*** *** ***

საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს
დაპყრობის 60 წლისთავისათვის ამ
კრებულის ერთად გამოცემა გადაწყვი-
ტეს: „თავისუფლების ტრიბუნამ“, „ჩვე-
ნი დროშამ“, „და „ივერიამ“, მას ვუწო-
დეთ „დაპყრობის 60 წლისთავი“ და ყო-
ველგვარ პარტიულობის გარეშე, შეეე-
ცადეთ მასში გადმოგვეცა ის ეროვნუ-
ლი ტრაგედია, რომელიც ქართველმა
ხალხმა განიცადა ბოლშევიკური რუსეთ-
ის ჯარების შემოსევისა და დაპყრობი-
საგან, საბჭოთა ხელისუფლების 60 წლის
განმავლობაში განუკითხავი ბატონობი-
საგან და, ამავე დროს, მოგვეცა სურა-
თი ჩვენი, უცხოეთში გადმოხვეწილი
საქართველოს შვილების სულიერი განწ-
ყობილებისა, მისწრაფებისა და გადაწყ-
ვეტილებისა ჩვენი სამშობლოს გუშინ-
დელი, დღევანდელი და ხვალინდელი
ბედის შესახებ.

*** *** ***

სარედაქციო კოლეგია: გულნარა ურატაძე
ლევან ფაღავა
გიორგი წერეთელი

რედაქციის მისამართი: *8, Rue des Marchais. 75019 Paris.*

შ ი ნ ა ა რ ს ი

განყოფილება პირველი: დოკუმენტები

.3 ნოე ჟორდანიას განცხადება დამფუძნებელ კრებაში, 1921 წლის 21 თებერვალს.
.4 საქართველოს მთავარ სამხედრო შტაბის ზოგიერთი კომუნიკე.
.6 გენერალ ჰეკერის საიდუმლო მოხსენება.
.8 ფილიპე მახარაძის საიდუმლო მოხსენება.
.15 დამფუძნებელი კრების ორი დადგენილება.
საქართველოს მთავრობის განცხადება.
.19 მაისი და თებერვალი – ლექსი – + ევტიხი აბულაძე
.20 კათალიკოს ამბროსის მიმართვა
.21 ტაბახმელის გმირებს – ლექსი – + ვანო ბაქრაძე

განყოფილება მეორე: დღევანდელი ემიგრაცია და საქ – ს „გასაბჭოება"

.22 საქართველოს დაპყრობა და ევროპა – მიშა ხუნდაძე
.28 ბოლშევიზმის არსი და საქართველო – შალვა კალანდაძე
.30 წერილი შორეთიდან ჩემს სკოლის მეგობარს– ლევან ფაღავა
.33 ცრუობა, ორპირობა, ძალადობა – გიორგი წერეთელი
.39 მ ო ვ ი გ ო ნ ო თ – დავით ვაშაძე
.41 ჩ ე მ ი ბ ე დ ი –ლექსი– მელიტონ ჟღენტი
.42 ჩვენი ეროვნული ემიგრაცია – გრიგოლ წერეთელი
.43 თებერვალი და ქართული კულტურა – მინდია ლაშაური
.52 ორი ლექსი თებერვალზე – გიორგი ყიფიანი

განყოფილება მესამე: მ ო გ ო ნ ე ბ ა ნ ი

.53 ჩ ე მ ი დ ღ ი უ რ ი დ ა ნ – + ფილიპე შარაძე
.54 ტ ა ბ ა ხ მ ე ლ ა – + ნ. მა – ლი
.59 ს ი ტ ყ ვ ა – +ქოლონელი ნიკოლოზ თოხაძე
.62 თებერვლის დღეები – + შალვა აბდუშელი
.66 გლოვის თვე – პავლე სარჯველაძე
.67 მოგონებები ამოღებული ჩემი რვეულიდან – ვალიკო ჩუბინიძე
.69 წითელი რუსეთი თავს დაგვესხა – ქრისტეფორე იმნაიშვილი

.73 **განყოფილება მეოთხე: დაპყრობის 60 წლისთავი პარიზში**

.74 29 მარტის კრება
.77 მანიფესტაციები საქართველოში
.78 29 მარტის კრებაზე წარმოთქმული სიტყვები: გიორგი შარაშიძის
.80 ვიქტორ ხომერიკის
გულნარა ურატაძის
.81 ლევან ფაღავის
.82 ვალიკო ჩუბინიძე
.83 დეკანოზი ილია მელია
.84 29 მარტის კრების რეზოლუცია
.85 მიმართვა პოლონელი ხალხისადმი.
შემოწირულებათა სია.

*** *** *** ***

პირველი განყოფილება: დოკუმენტები

ნოე ჟორდანიას განცხადება დამფუძნებელ კრებაში 1921 წლის 21 თებერვალს

(„მთავრობის თავმჯდომარეს ტრიბუნაზე ასვლისას კრება ესალმება ხანგრძლივი ტაშით).

მთავრობის თავმჯდომარე: მოქალაქენო! ახლა თანდათან ირკვევა ომის გამომწვევი მიზეზი და აგრეთვე ის მიმართულება, რომელსაც ომი ახლო მომავალში მიიღებს.

ირკვევა, რომ საბჭოთა მთავრობას დიდი ხნიდან ჰქონია განზრახვა საქართველოში გადატრიალება მოეხდინა და საბჭოთა ხელისუფლება გამოეცხადებია, მაგრამ მათ აქამდე ვერ შეძლეს ამის განხორციელება, რადგან არ ჰქონდათ საკმარისი საბაბი. ხოლო ამ ათი დღის წინ იპოვეს ეს საბაბი ლორის რაიონში. იქ მათ მოაწყვეს საიდუმლო შეთქმულება და დაარქვეს მას ხალხის გამოსვლა საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ. იქ მათ გამოაცხადეს ადგილობრივი საბჭოთა ხელისუფლება და აი, ვითომ მის დასახმარებლად მოდის რუსის ჯარი.

სწორედ ამ თვის თხუთმეტს გაიცა ბრძანება აზერბაიჯანში და სომხეთში მყოფ ჯარებისადმი და ეს ბრძანება ჩაგვივარდა ჩვენ ხელში ტყვეების საშუალებით. ამ ბრძანებაში ნათქვამია, რომ გადაწყვეტილია თბილისის აღება და საქართველოს საბჭოთა სისტემაზე გადაყვანა. იქ ჩამოთვლილია თუ რომელ ჯარის ნაწილმა რა უნდა გააკეთოს, როდის უნდა იქნას აღებული ესა თუ ის დაბა, ქალაქი თუ სოფელი. ბოლოს ნათქვამია, რომ 19 თებერვალს უნდა იქნას აღებული თბილისი.

ამ ჯარის პირველი შემოტევა, როგორც იცით, იყო უეცარი, მოულოდნელი, სრულიად მუხანათური და, აი, ამ უეცარმა და მოულოდნელმა შემოტევამ შეარყია ჩვენი ჯარის მდგომარეობა იქ, საცა ეს ჯარი იდგა. და შეარყია იმ ზომამდე, რომ იყო მომენტი, როცა ბორჩალოს მაზრაში საზღვარზე მდგარმა ჯარებმა სრულიად ვერ შეძლეს წინააღმდეგობის გაწევა. მაგრამ, საბედნიეროდ უნდა ითქვას, რომ ჯარმა და აგრეთვე ჩვენმა ხალხმა სწრაფად შეიგნეს მდგომარეობა,, გამოსწორდნენ და დროზე შეუდგნენ საორგანიზაციო სამხედრო მუშაობას.

ეს სწრაფი აღდგენა მდგომარეობისა, წინათ დასუსტებულ ჯარების ეს ახალი შეჯგუფება, ეს სწრაფი თავის მოყრა ჯარების და მათი სწრაფი შეკავშირება,-არის იმის მიზეზი, რომ ჩვენ დღეს აქ(თბილისში) ვიმყოფებით. ეს ჩვენ ლორიდან დავიწყეთ, როცა შევამჩნიეთ, რომ ერთი მხრით, ამ მუხანათურმა თავდასხმამ შეარყია ჩვენი ჯარი, ხოლო, მეორე მხრით, მოსაღოდნელი იყო აზერბაიჯანიდანაც დაგვესხმოდნენ თავს. ჩვენი მიზანი შეიქნა გამოგვეყანა ეს დასუსტებული ჯარი ბორჩალოს მაზრიდან და უკეთესი პოზიციები დაგვეკავებია. უკან დახევა ალაგ-ალაგ წარმოებდა წესიერათ, ალაგ-ალაგ არ ხდებოდა წესრიგით, როგორც ეს უკანდამხვევ ჯარს შეეფერება. საერთოდ კი, იქ მდგომ ჯარის დიდმა ნაწილმა დაიხია წესიერად, ან გამოვიდა ნაწილ-ნაწილად. გამოსულები დაღლილი იყვნენ, მაგრამ არა საბოლოოდ გატეხილი. მათ მხოლოდ ერთი-ორი დღის დასვენება ესაჭიროებოდათ, რომ ისეთივე ჯარიკაცები გამხდარიყვნენ, როგორც ახალგამოყვანილი მეომრები. აქ არ მომხდარა ის, რაც ჩვენ ვნახეთ ბათომში 1918 წელს. საკვირველი ისაა, რომ, მიუხედავად უეცარი თავდასხმისა, მიუხედავად მოულოდნელი გამოსვლისა, დეზერტირობას ადგილი არ ჰქონია.

ამგვარად, ამ დროის განმავლობაში ჩვენ შევძელით გამოგვეყვანა მტრის წინააღმდეგ კარგად გაწვრთნილი, შეიარაღებული და ერთსულოვნებით გამსჭვალული ჯარი.

პირველი დიდი ბრძოლა, რომელიც ჩვენ მტერს მივეცით, ეს იყო 19 თებერვალს ღამით. ბრძოლა ხდებოდა დიდ ფრონტზე, დაახლოებით ასი ვერსის მანძილზე. 18 და 19 თებერვალს ადგილი ჰქონდა მტრის შემოტევას მთელი ამ ფრონტის სიერცეზე და თქვენ გახსოვთ ეს დიდი ბრძოლა. 19-ს დილით გამოირკვა, რომ ჩვენ შევძელით მტრის ცენტრის გარღვევა და ის სავსებით დამარცხდა. შემდეგ, 19 თებერვალს დილით მოხდა ბრძო-

ლა ჩვენს მარცხენა ფლანგზე. იქ, ყარაიაზის მიდამოებში, მტერმა ნამეტანი წამოიწია წინ, მოვიდა მარტყოფში, ღიღოში და აქ, 19 თებერვალს, მოხდა ჩვენი მასთან შეტაკება; ჩვენ ვაიძულეთ ის უკან დაეხია, გავრეკეთ ყარაიაზში.

მხოლოდ დღეს, 21-ს და წინა ღამით, მოხდა დიდი ბრძოლა მარჯვენა ფლანგზე. აქ ბრძოლა თითქმის ისეთივე მწვავე იყო, როგორც ცენტრში. უნდა ითქვას, რომ საბჭოთა ჯარი შეტევას აწარმოებს დიდი გააფთრებით, მტკიცედ და დისციპლინასაც იჩენს. გასულ ღამით, კოჯორის მიდამოებში მდგარ ჩვენს ჯარებს თავს დასხნენ და მოინდომეს გაერღვიათ ერთი ადგილი, რომელიც არ ოყო საკმარისად დაცული. აქ მათ დახვდნენ იუნკრები და თქვენ იცით, რომ გაიმართა დიდი ბრძოლა,- ნამდვილი ხელჩართული ბრძოლა, გრანატებით და ხიშტებით, მაგრამ აქაც მათ სასტიკი დამარცხება განიცადეს.(მხურვალე ტაში) მტრის ჯარს რამდენიმე ისეთი მაღლობი ეჭირა, რომ ზედ ზარბაზნები დაედგათ, შეიძლებოდა მთელი თბილისის განადგურება. გუშინ მივიღეთ ჩვენ ზომები ამ მაღლობების წასართმევად. ეს იყო ჩვენი გამარჯვების პირველი ნაბიჯი და უნდა ითქვას, რომ ასეთი მიუდგომელი ადგილები, ასეთი მაღლობები, სადაც მტერი იყო გამაგრებული, ჩვენი გვარდიის ნაწილებმა იერიშით აიღეს ისე, რომ ერთი კაციც არ დაუკარგავთ(ხმები: გაუმარჯოს და მხურვალე ტაში). ამ ომში გამოირკვა, რომ საბჭოთა ჯარი ვერ უძლებს შეტევას. თვით ის მხნედ უტევს, მაგრამ მის წინააღმდეგ წარმოებულ შეტევას ის ვერ უმკლავდება,- წინააღმდეგ შემთხვევაში, მას, რომ შეტევის მოგერიების უნარი ჰქონდეს, ასეთ სიმაღლეებს ის არ დასტოვებდა.

უნდა ითქვას, რომ ჩვენი ჯარი და გვარდია სამაგალითო მხნეობას იჩენენ(კრება ფეხზე ადგომით, ტაშით, ვაშას და გაუმარჯოს ძახილით ესალმება ჯარსა და გვარდიას), მე მგონია, რომ ჩვენს ხალხში გაიღვიძა, აჩქეფდა ჩვენი წინაპრების სისხლი, იმ წინაპრების, რომელნიც შემოკრილ მტრის ურდოებს პატარა რაზმებით ამარცხებდნენ.

ახლა მინდა მოგახსენოთ თუ ვისი თაოსნობით წარმოებს თავდასხმა და ვინ წინამძღოლობს ამ საბჭოთა ჯარებს საქართველოს წინააღმდეგ. იცით აღბათ, რომ აქ გამოგზავნეს და დაარიგეს ფურცლები, სადაც სწერია, რომ შულავერში შედგა „საქართველოს მთავრობა", და ეს შულავერში შეყენებული მთავრობა ყოფილა თურმე ჩვენი ხალხის ნამდვილი ხელისუფლება, რომელიც მოუწოდებს ჩვენ ხალხს, დამფუძნებელ კრებას, გადააყენონ თავიანთი ხელისუფლება. გადააგდონ იგი და იცნონ „შულავერის მთავრობა". ეს ის ხალხია, რომელიც ესწრაფვის უცხო ქვეყნის ხიშტების საშუალებით დააწესოს თავისი ხელისუფლება, თავისი მმართველობა. ესენი არიან: მახარაძე ფილიპე, ორახელაშვილი მამია, მდივანი ბუდუ, ელიავა შალვა, ოკუჯავა მიშა, დუმბაძე ღადო, ნაზარეტიანი, ომარი, გეგეჩკორი აღექსანდრე და კვირკველია. და, აი, ბატონებო, ამ ქართველთ, ამ ჩვენ ქვეშევრდომთა სურვილს, რომელნიც მტერს მოუძღვიან და ცდილობენ ცეცხლითა და მახვილით მოსპონ ქართველი ხალხი და ჯარი და გახდნენ საქართველოს ტირანები,-მათ ამ სურვილს ქართველი ხალხი არასოდეს არ მიიღებს. ამ სირცხვილს ქართველი ხალხი არასოდეს, არავითარ გზით თავის თავზე არ აიღებს. იმისთვის ხომ არ უშრომია, იმისთვის ხომ არ გადმოუგდია მას პეტერბურგის მთავრობა, რომ „შულავერის მთავრობა" მიეღო. მე ვამბობ, როცა ქართველი ხალხი გაიგებს რა ვაჟბატონები აპირებენ მის გათელვას, ქართველი ხალხის სულიერი განწყობილება კიდევ უფრო განმტკიცდება და ის იტყვის: „ან სიკვდილი, ან გამარჯვება!" (ტაში, მხურვალე ოვაციები. წულაია: გაუმარჯოს ჩვენი ხალხის ბელადს, ნოე ჟორდანიას). [გადმობეჭდილია ჟურნალ „ჩვენი დროშა" №35-დან.].

-- -- --- --

მთავარი შტაბის ზოგიერთი კომუნიკე

12 თებერვალი: „ღამით 11-დან 12 თებერვალს, რეგულიარული ჯარის ნაწილები, სომხეთის მხრით, მოულოდნელად დაესხნენ თავს ბეზობდალით ჩვენს მოწინავე სადარაჯოებს სადგურ შაგალისთან და სოფელ შინიხთან, ბორჩალოს მაზრაში. ამავე დროს, ბორჩალოს მაზრაში მოსაზღვრე მოსახლეობის ნაწილმა, შემდგარმა სომხებისა და რუსებისაგან, მოახდინა აჯანყება და შეუერთდა თავდამსხმელებს, მეორე ნაწილი კი ჩვენი ერთგული დარჩა და თავის

დროზე შეგვატყობინა განზრახული თავდასხმის შესახებ. ბეზობდალის მხრით თავდამსხმელნი გავფანტეთ. ვორონცოვკის რაიონში აჯანყება დაძლეულია. შაგალის, უზუნლეარის და შინიხის რაიონებში ბრძოლა სწარმოებს.

--- --- --- ---

14 თებერვალი: *13* თებერვალს ჩვენი ჯარები აწარმოებდნენ ბრძოლებს ვორონცოვკის და სადახლოს სამხრეთით. ხელში ჩაგვივარდა ტყვეები რომლებიც მოწმობენ, რომ ჩვენს წინააღმდეგ მოქმედობენ სომხურ-რუსული საბჭოთა ჯარები.

--- --- --- ---

15 თებერვალი: *14* თებერვალს სადახლოს რაიონში წარმოებდა სროლა და მზვერავთა მოქმედება. მტერს ამ რაიონში აქტიურობა არ გამოუჩენია. ღორის ველზე მტერი შეეცადა გადმოსულიყო შეტევაზე, მაგრამ ჩვენი ჯარების ცეცხლმა მტრის ცდა გააქარწყლა. ღამით ჩვენმა ჯარებმა დაიკავეს ამ რაიონში უფრო ხელსაყრელი პოზიციები სიმაღლეებზე, რომლებიც ვორონცოვკის ჩრდილოეთით მდებარეობენ. არტილერიის ნაწილი, რომლის შესახებ *12* თებერვლიდან ცნობები არ გვქონია და რომელიც შინიხის რაიონში დაღუპულად ითვლებოდა, გზა გაიკაფა მის გარშემორტყმულ მტრის რკალში და მთის ბილიკებით გამოვიდა თავისიანებთან შესაერთებლად.

--- --- --- ---

19 თებერვალი: ღამით *18*-დან *19* თებერვალს მტერმა დიდი ძალებით იერიში მოიტანა ჩვენს პოზიციებზე თბილისის კარებზე. გააფთრებული ბრძოლა მთელი ღამე გაგრძელდა. მტერი უკუგდებული იქნა მძიმედ დაზიანებული და უწესრიგოდ მირბის. ჩვენ უკან მივდევთ. ჯერ-ჯერობით ხელთ ვიგდეთ ათასი ტყვე.

--- --- --- ---

20 თებერვალი: კოჯორის რაიონში ჩვენ ხელთ ვიგდეთ ზარბაზნები და ტყვეისმფრქვეველები. მტრის დევნა გრძელდება. გაგრის რაიონში, მდინარე მეხადირზე წარმოებს ბრძოლა.

--- --- --- ---

21 თებერვალი: *20*-დან *21* თებერვლის ღამით მტერმა, ახლად შემატებული ჯარებით გაძლიერებულმა, ორჯერ შეუტია ჩვენს ნაწილებს კოჯორის რაიონში, ორჯერვე მან მოაღწია ჩვენს სანგრებამდე. პირველი იერიში მოგერიებული იქნა ხელით სასროლი გრანატებით, მეორე კი ხიშტით შეტაკებით დამთავრდა. ჩვენი ჯარები, მიუხედავად უკიდურესი დაღლილობისა, ხანგრძლივ და მძიმე ბრძოლის გამო, ორჯერ გადავიდნენ კონტრშეტევაზე და მამაცური თავდასხმით უკუაგდეს მტერი. ყველა შემდეგი ცდა მტრისა შემოეტია ჩვენი ნაწილებისათვის უკუგდებული იქნა ცეცხლით. დილის *8* საათზე, *21* თებერვალს მტერმა დაიწყო უკან დახევა. *20* თებერვალს დაიწყო მტრის შემოტევა ადღერის მხრით...

--- --- --- ---

22 თებერვალი: თბილისის მიდამოებში ჩვენი ჯარები მისდევენ კოჯორთან დამარცხებულ მტერს. გუშინ ჩვენმა მოწინავე ნაწილებმა და მზვერავმა რაზმებმა დაიკავეს სოფლები კუმისი და წალასკური. კუმისთან მოულოდნელი თავდასხმით ღამე, ჩვენებმა ხელთ იგდეს მტრის რვა ტყვეისმფრქვეველი, სამი ოფიცერი და *53* წითელარმიელი. წალასკურთან—ყუმბარის და პატრონების ყუთები. კახეთში დაიწყო ადგილობრივი გლეხების ძლიერი პარტიზანული მოქმედება ბოლშევიკური კავალერიის წინააღმდეგ. დარიალში, მტრის ცდა ჩვენს პოზიციებს მოახლოებოდა უკუგდებული იქნა.

--- --- --- ---

23 თებერვალი: *22* თებერვალს თბილისის მდამოებში სიწყნარე იყო, მხოლოდ საღამოს დაიწყო მტრის მცირე ნაწილების შემოტევა ყარაიაზის მხრით, საგარეჯოზე. კახეთში გლეხების პარტიზანული ბრძოლა ძლიერდება. დარიალის ხეობაში მტრის შემოტევა უკუგდებული იქნა. გაგრის მიმართულებით მტერმა მრავალრიცხოვანი ძალებით შემოუტია ჩვენს მოწინავე სადარაჯოებს. ბრძოლები გრძელდება... (იხ. „ბრძოლა" №*19-20. 1926* წ.)

გენერალ ჰეკერის საიდუმლო მოხსენება

(საბჭოთა რუსეთის წითელი მეთერთმეტე არმიის სარდლის, გენერალ ჰეკერის მოხსენება „კავკასიის რევოლიუციურ-სამხედრო საბჭოს თავმჯდომარე ორჯონიკიძისადმი)

„ 1920 წლის 18 დეკემბერი. საიდუმლო.

თქვენი წერილის, №1753, საპასუხოდ ქვემოდ მოგახსენებთ მოსაზრებებს თუ რა პირობებში უნდა მოხდეს საქართველოში შეჭრა და რა უნდა იქნეს მხედველობაში მიღებული ამისათვის:

1. საერთაშორისო მდგომარეობა, ჩვენი დამოკიდებულება თურქეთთან.
2. ჩვენი ძალების მდგომარეობა, რომელთა გადაჯგუფება განსაზღვრულ ვადაში შეიძლება თავდასხმის პუნქტებზე.
3. ქართული ჯარის მდგომარეობა და რიცხობრივი ძალა.
4. მდგომარეობა ჩვენს ზურგში.

როგორც უკვე მოგახსენეთ „მე-11 არმიის რევოლიუციურ-სამხედრო საბჭოს“ კრებაზე ამა წლის[1920] 3 დეკემბერს, საქართველოს წინააღმდეგ ოპერაციები შესაძლებელია მხოლოდ იმ პირობებში თუ კიაზიმ კარაბეკირის[ქემალისტური თურქები] ჯარები დაიცავენ გარკვეულ მეგობრულ ნეიტრალიტეტს, რადგან, იმ შემთხვევაშიც თუ ამ ოპერაციისთვის დაინიშნებიან მეთერთმეტე არმიის გარდა, მთლიანად მეცხრე არმია და მეორე არმიის კავალერია, ჩვენს კომანდობას არ ეყოლება საკმარისი ძალები თურქების წინააღმდეგ ჯებირი რომ შეექმნათ. ჩვენი უწყების ცნობების მიხედვით, კიაზიმ კარაბეკირის ძალები, სარაკამიშ-ალექსანდრეპოლის ხაზზე აღწევს 22-24000 რეგულიერულ ჯარისკაცს და 14-16000 ქურთ და თათარ კავალერისტს. ვიღებთ რა მხედველობაში სომხური ჯარის სისუსტეს, რომელიც სრულ დაშლის კრიზისს განიცდის და, რომელიც საფუძვლიან რეორგანიზაციას მოითხოვს, ჩვენ თურქების შესაკავებლად უნდა დავაყენოთ ძალები, რომლებიც ერთ ქვეით დივიზიაზე და ერთ კავალერიის ბრიგადაზე მცირე არ იქნება.

ამ შემთხვევაშიაც კი ჩვენი ოპერაცია ყაზახ-წითელი ხიდის მიმართულებით და შორსაც, თბილისისაკენ, შეფერხებული იქნება. ქართული ჯარის ნაწილების მიერ სერიოზული წინააღმდეგობის შემთხვევაში, ჩვენი ჯარები შეიძლება კატასტროფიულ მდგომარეობაში ჩავარდნენ.

ამგვარად, მე არ ვხედავ შესაძლებლობას ასეთი ჯებირის მოსაწყობად, მითუმეტეს სამხედრო ოპერაციების დასაწყისში ვერ გავბედავ, გამოვიყვანო ჯარები, რომლებიც დაკავებული არიან ლენქორანში, დაღესტანში, ჯავუშირში და ყარაბახში.

ასეთ პირობებში, ჩემი ღრმა რწმენა არის, რაც წერილობით უნდა მოგახსენო, რომ ჩვენი ურთიერთობის თურქებთან წინასწარი მოგვარების გარეშე საშიში იქნება საქართველოს წინააღმდეგ სამხედრო ოპერაციების დაწყება.

თუ მეთერთმეტე არმიის რევოლუციური-სამხედრო საბჭო მიიღებს რეალურ გარანტიებს იმისას, რომ კიაზიმ კარაბეკირის ჯარები ჩვენს მიმართ მეგობრულ განწყობილებას დაიჭერენ, საქართველოს ოკუპაციის პრობლემა, და, უპირველესად ყოვლისა თბილისის, უფრო რეალური გახდება. საქართველოს წინააღმდეგ სრულიად უსაშიშრო ოპერაციის ჩასატარებლად მე მიმაჩნია საჭიროდ შემდეგი ძალების თავმოყრა: ყაზახ-წითელი ხიდის ხაზზე ორი ქვეთი დივიზია და ორი კავალერიის დივიზია, ფოილოსაკენ- ქვეითი ჯარის ერთი დივიზია და კავალერიის ორი დივიზია, აღსტაფა-ელიზავეტოპოლის ხაზზე ქვეითი ჯარის ორი დივიზია. სულ ექვსი დივიზია ქვეითი ჯარისა და ხუთი დივიზია კავალერისა. სრული ნამდვილი რიცხვით: 25000 ხიშტი და 4000 ხმალი. ფოილოს მიმართულებით ამის გარდა კიდევ უნდა გვყავდეს სამი ჯავშნოსანი მატარებელი. სოჭის მიმართულებით ქართული ჯარების შესაკავებლად იქ უნდა დავტოვოთ ქვეითი ჯარის ერთი დივიზია, ხოლო ვლადიკავკაზის დასაფარავად—ამხანაგ იქსის მოძრავი ჯარი. ეს ძალები უნდა გა-

მოვყოთ მეცხრე და მეთერთმეტე არმიებიდან. ამ გამოყოფისათვის, თუ შესაძლებელია მათი სამხრეთის ფრონტზე გადმოყვანა, უნდა მოვიხმაროთ პირველი არმიის ერთეულები.

პირველი გეგმით, საქართველოში შესასვლელად, ოპერაციებისათვის თბილისის წინააღმდეგ უნდოდათ დაენიშნათ სპეციალური ერთეულები მეოცე, მეთვრამეტე, მეოცდათორმეტე და მეოცდარვე დივიზიებისა, ამხანაგ შერშენევის, კავალერიის დივიზიების: მერვესა და მეთვრამეტეს ერთეულები, რომლებიც უნდა გამოიფანონ მეცხრე და მეთერთმეტე სხვა ერთეულებიდან. დამხმარე ძალები დასახელებულ ნაწილებიდან უნდა გამოიყონ იმ ფრონტის ნაწილებიდან, რომლებსაც ეხებათ მთავარსარდლის დეპეშა, რათა ჩემი არმია გაძლიერებულიყო. ამ პირობებში, დეკემბრის დამდეგისათვის, მე მეყოლებოდა საკმაო ძალები საქართველოს წინააღმდეგ გასალაშქრებლად, მაგრამ პოლიტიკურმა ამბებმა, რომლებსაც თქვენ კარგად იცნობთ, შეუძლებელი გახადა ამ გეგმის შესრულება. დამხმარე ძალები ჩემი არმიისთვის მოდიოდნენ უფრო დაგვიანებით, ვიდრე ეს ნაგულისხმები იყო. სამხრეთის ფრონტის რევოლიუციურ-სამხედრო საბჭოს №5376 დეპეშის მიხედვით, მეორე არმიის კავალერიის ტრანსპორტი შეჩერებული იქნა, ეშელონები №№134-628-661-312-454 დაკავებული იქნენ გუდურუ-პეტროვსკის ხაზზე, მეოცდარვე ქვეითი დივიზიის ნაწილები ვერ გამოიყვანეს და ვერ გაგზავნეს ფრონტზე, და განიცადეს რა დიდი დანაკლისი თვითონ მათ სჭირდებათ შევსება, მთელი მე-32 ქვეითი დივიზიიდან მხოლოდ მე-96 ბრიგადის გაყვანა შეიძლება ყაზახის მიმართულებით, მე-18 დივიზიის ერთეულებსაც სჭირდებათ დამხმარე ძალები და მათი თავმოყრა ძალიან ჭიანურდება. პეტროვსკში მოსვლისას ეშელონები გადავიყვანეთ ჩემი ბრძანებით ღენკორანის რაიონში. ამგვარად, აქსტაფა—ყაზახის რაიონში, უკეთეს შემთხვევაში შესაძლებელია ამჟამად ლაშქრობაში შევიყვანოთ განზრახულის მხოლოდ მეოთხედი ძალები. დეკემბრის ოთხს(1920 წ.), ყველა ვითარების აწონ-დაწონის შემდეგ, მე მოვახსენე საქართველოს რესპუბლიკის შესახებ რევოლიუციურ-სამხედრო საბჭოს, რომ ყოველად შეუძლებელია შესრულდნენ რევკომის ბრძანებები და დასრულდეს ჯარების თავმოყრა საქართველოს წინააღმდეგ თვით დეკემბრის თვის დასასრულისათვის. თუ დამხმარე ძალების მოსვლა დაგვიანებით გაგრძელდება, წინა მოხსენებულის დამატებით და შესავსებათ გაცნობებთ, რომ საჭიროა ჩქარი გადმოყვანა ჯარებისა ჩრდილო კავკასიიდან და მეორე არმიის კავალერიისა, თუგინდ ამით დროებით დაბრკოლდეს საქონლის გადაზიდვა, რათა სულ მოკლე ხანში ჯარის ნაწილები ისეთ ვითარებაში მოხვდნენ, რომ შეეძლოთ ყოველ წუთში რევოლიუციის მიმართ თავისი მოვალეობა აღასრულონ.

ასევე უნდა შესრულდეს ჯარის მომარაგების საქმეც. ვიღებ რა მხედველობაში მომარაგების მდგომარეობას, წინადადებას გაძლევთ მოუცადოთ ხორბლის მოტანას და დამხმარე ძალების მოსვლას, რაც დაგვიანებით გაგრძელდება, მის დაწყობას ელიზავეტოპოლში, მანამ სანამ საქართველოზე თავდასხმას დავიწყებდეთ. მითუმეტეს, რომ თბილისზე ლაშქრობის დროს ჯარის მომარაგებას გზაზე შეუძლია გამოიწვიოს პროტესტები მოსახლეობისა, რომელიც მტრულადაა განწყობილი წითელი არმიის მიმართ.

ზურგის მდგომარეობაზე: კატეგორიულად ვაცხადებ, რომ ზურგი არ შემიძლია უშიშრად ჩავთვალო თუ შემდეგი ერთეულები არ იქნებიან ჩემს განკარგულებაში: ღენკორანის რაიონში ერთი ნაწილი ქვეითი ჯარისა და ერთი კავალერიისა ტერტერა-შუშა-ჯებრაილის რაიონში, ორი ნაწილი ქვეითის და ერთი კავალერიისა აუცილებელია ვანქა-შუშა-შერუსის რაიონში, ნუხის რაიონში ერთი ნაწილი ქვეითისა, ბაქოს და რკინიგზის დაცვა მოითხოვს არა ნაკლები ერთი დივიზიისა. ამის დამოუკიდებლად, საიდუმლო დაწესებულებების ცნობით, აპრილში უნდა მოველოდეთ მასიურად თურქების შემოსვლას ჯებრაილის რაიონში. აუცილებელია ახლავე დავიკავოთ არაქსზე გადმოსასვლელი ყველა პუნქტი და ამ მიზნით იქ საკმაო ძალები უნდა მივიყვანოთ.

რაც შეეხება ქართული ჯარისა და გვარდიის მდგომარეობას, ამის გამო აქ აღარ ვლაპარაკობ, რადგანაც ამაზე უკვე მოვახსენე დაწერილებით რევოლუციურ-სამხედრო საბჭოს 1920 წლის 24 ნოემბერს. აქ მხოლოდ უნდა გავიმეორო, რომ მიუხედავად სისუსტისა და რევოლუციური სულისკვეთებისა, ქართულ ჯარებს შეუძლიათ წინააღმდეგობა, განსაკუთრებით თუ თავიდანვე ჩვენ ინიციატივა წაგვერთვა.

ყველა ეს მოსაზრება სრულებით იმას არ ნიშნავს, რომ შეუძლებელი იქნება საქართველოზე შეტევა, არამედ მგონია, რომ ეს უნდა მოხდეს მხოლოდ და მხოლოდ კარგი მომზადების შემდეგ, რათა სასწრაფოდ მოვუთავოთ ხელი თბილისის ხაღხს. თუ მაინც პოლიტიკური მოვლენები გვაიძულებენ დავიწყოთ შეტევა, მაშინ უნდა მოველოდეთ იმას, რომ ომი საქართველოს წინააღმდეგ მიიღებს ხანგრძლივ ხასიათს.

მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ჩვენ შეგვიძლია დაუბრკოლებლად ოკუპაცია მოვუხდინოთ მთელ საქართველოს ტერიტორიას სურამის ქედამდე, მაგრამ შემდეგ ჩემი ჯარები შეფერხდებიან. ამის გამო, ნებას ვაძლევ თავს გაგაფრთხილოთ, რომ უნდა დავაგვიანოთ შეტევა საქართველოს წინააღმდეგ, სანამ შემდეგი პირობები არ განხორციელდებიან:

1. კონცეტრაცია ბაქო-ბულახ-ნუხა-ელიზავეტპოლ-ყაზახში მეშვიდე ქვეითი დივიზიის და მეორე არმიის კავალერიისა.
2. ბაქო-ელიზავეტპოლის ხაზზე სანოვაგით დატვირთულ მატარებლების მოსვლა, რომელი სურსათიც საკმარისი იქნება დეკემბერ-იანვრის თვეთა განმავლობაში.
3. შეთანხმება თურქეთის სარდლობასთან.

ამ პირობების და ჯარის ერთეულთა სიმტკიცის შემთხვევაში, მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ კამპანია საქართველოს წინააღმდეგ შეიძლება მოთავდეს ექვსი კვირის განმავლობაში.

მე თქვენ გთხოვთ ანგარიში გაუწიოთ ზემოდ აღნიშნულ მოსაზრებებს თქვენს მოხსენებაში „რევოლუციურ-სამხედრო საბჭოს" თავმჯდომარის მიმართ."

(„კავკასიონი" №15)მე-11 არმიის სარდალი: ჰეკერი

--- --- --- ---

ფ ი ლ ი პ ე მ ა ხ ა რ ა ძ ი ს ს ა ი დ უ მ ლ ო მ ო ხ ს ე ნ ე ბ ა
რუსეთის კომპარტიის ცეკასადმი, საქ. „გასაბჭოების" 9 თვისთავზე

„უკვე ცხრა თვეზე მეტი გავიდა მას შემდეგ, რაც საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება დამკვიდრდა. ვადა სრულიად საკმაოა იმისათვის, რომ ერთგვარი ჯამი გავუკეთოთ ამ ხნის განმავლობაში წარმოებულ მუშაობას. სამწუხაროდ ამის გაკეთება აქ შეუძლებელი ხდება.

ამ მოხსენებაში მე მხოლოდ ორ მიზანს ვისახავ: 1. დავხატო ის პირობები, რომელშიაც ჩვენ მოგვიხდა მუშაობა საქართველოში დღიდან იქ საბჭოთა ძალაუფლების დამყარებისა და 2. მივუთითო იმ ღონისძიებებზე, რომლებიც საშუალებას მოგვცემდნენ უფრო წარმატებით გვეწარმოებინა, როგორც პარტიული, ისე საბჭოთა აღმშენებლობა საქართველოში.

უწინარეს ყოვლისა უნდა მივუთითოთ იმ გარემოებაზე, რომ 1921 წლის დასაწყისში, ესე იგი საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისას, ჩვენი პარტიული ორგანიზაციების მდგომარეობა საქართველოში მეტისმეტად უნუგეშო იყო, რაც შედეგი იყო იმ ლეგალიზაციის, რომელიც გამოცხადდა საბჭოთა რუსეთსა და მენშევიკურ მთავრობის შორის დადებული ხელშეკრულების ძალით 1920 წლის 8 მაისს. ნამდვილად კი ეს ლეგალიზაცია მენშევიკურ საქართველოში პირდაპირ პროვოკაცია შეიქნა, სადაც ლეგალური არსებობა ყოვლად შეუძლებელი იყო. თავისთავად ცხადია, რომ ეს მეტად მცირე ლეგალური შესაძლებლობა მაქსიმალურად უნდა გამოგვეყენებინა, რასაც ჩვენ კიდევაც ვშვებოდით შეძლებისდაგვარად, მაგრამ ამავე დროს საჭირო იყო არალეგალური აპარატის დატოვებაც. ამაზე მე ვუთითებდი ჯერ კიდევ ლეგალიზაციის დასაწყისში(დაახლოებით 1920 წლის მაისის დამლევს) პირველსავე პარტიულ თათბირზე, რომელიც მაშინ მოწვეული იყო ჩვენი მომავალი ტაქტიკის გამოსარკვევად საქართველოში, და მე მაშინვე ვაფრთხილებდი ამხანაგებს არ გატაცებულიყვნენ მაიმცდამაინც ლეგალური მუშაობით. სამწუხაროდ, ჩემი რჩევა მაშინ არ გაიგონეს. ზოგიერთი ამხანაგი მეტად გაერთო ჩვენი პარტიის ცრუ ლეგალიზაციით და, მიუხედავად კომინტერნის მეორე კონგრესის დადგე-

ნილებისა, რუსეთის კომპარტიის ც.კ-ს სპეციალური დირექტივებისა—კომუნისტური პარტიის მუშაობის შესახებ ბურჟუაზიულ ქვეყნებში—მათ არას გზით არ უნდოდათ არალეგალური აპარატის ორგანიზაცია და მოითხოვდნენ მხოლოდ და მარტო ლეგალურ მუშაობას. სამწუხაროდ, ჩემი წინასწარმეტყველება ახდა გაცილებით ადრე, ვიდრე მე თვითონ ვფიქრობდი დადებული ლეგალიზაციის შესახებ და 6-7 თვის შემდეგ ჩვენი პარტიიდან მხოლოდ ნამსხვრევები დარჩა. ამრიგად, 1921 წლის დასაწყისში საქართველოს კომპარტია სავსებით თავმოკვეთილი შეიქმნა და ამ თავმოკვეთაში ბრალი ჩვენ გვედება და განსაკუთრებით იმ ამხანაგებს, რომლებიც მაშინ უშუალოდ ხელმძღვანელობდნენ პარტიულ მუშაობას საქართველოში. მე კი კავბიუროს დადგენილებით 1920 წლის სექტემბრიდან გაწვეული ვიყავი მოსკოვში. პირდაპირ გასაკვირველი და გასაოცარია, რომ ჩვენი პარტიული ორგანიზაციების ამგვარად განადგურების შემდეგ, კავბიურო ვერ მიხვდა გაეგზავნა საქართველოში თუნდაც რამდენიმე მუშაკი, რომლებიც მონახავდნენ ადგილობრივ გადარჩენილ იაჩეიკებს, შეაკავშირებდნენ მათ და მისცემდნენ სათანადო დირექტივებს. ამაზე არავინ ფიქრობდა და მოხდა ის, რომ **როდესაც დაიწყო წითელი ჯარების შეტევა, ამ შეტევის მიზანსა და განზრახვაზე არც ერთმა იაჩეიკამ, წარმოიდგინეთ, პარტიის არც ერთმა წევრმა საქართველოში არ იცოდა და ეპვიც კი არ ჰქონდა. ამიტომ, ჩვენი ორგანიზაციების მხრივ, რამდენადაც ისინი ჯერ კიდევ მიათრევდნენ თავის წუთისოფელს, არავითარი გამაფრთხილებელი ზომის მიღება არ შეიძლებოდა.** ცხადია, ამ გარემოებამ კიდევ უფრო გაუადვილა მენშევიკებს, წითელი ჯარების შემოტევისას, გაესწორებიათ ანგარიში აქა-იქ კიდევ დარჩენილ ჩვენი ორგანიზაციებისათვის და დაეჭირათ არამც თუ კომუნისტები, არამედ ცოტად თუ ბევრად მათი თანამგრძნობნიც. ამრიგად მოხდა შემდეგი:

1. საქართველოში წითელი ჯარის შესვლამ და საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადებამ მიიღო აშკარა გარედან დაპყრობის ხასიათი, ვინაიდან შიგნით ამ დროს არავინ არც კი ფიქრობდა აჯანყების მოწყობაზე.

2. საბჭოთა ძალაუფლების გამოცხადებისას საქართველოში არ აღმოჩნდა არც პარტიული უჯრედი, არც მეტი, რომ არ ვთქვათ, პარტიის ცალკე წევრი, რომელსაც შეძლებოდა უფლების ორგანიზაციის მოწყობა. რომ ამ საქმეს ხელი მოჰკიდეს უმეტეს შემთხვევაში საეჭვო, ან პირდაპირ ბოროტმომქმედმა ელემენტებმა. აი, სადაა ჩვენი პირველი შეცოდება, სადაა ბოროტების ფუძე და აი, აქედან იწყება ყოველგვარი ჩვენი წაფორხილება საქართველოს საბჭოთა აღმშენებლობის საქმეში.

შეიძლებოდა თუ არა ერთბაშად აგვეშორებია ყველა შეცდომა და დეფექტი და აგვეღო სწორი ხაზი? აუცილებლად შეიძლებოდა, რომ იმთავითვე მოგვეხერხებია საქართველოს ცენტრში მტკიცე და ერთიანი ძალაუფლება. მიუხედავად მრავალ დაბრკოლებათა და სირთულეთა ეს მოხერხდებოდა, მაგრამ შეუძლებელი შეიქნა, რადგან იმთავითვე რამდენიმე ძალაუფლების ორგანო აღმოჩნდა: ერთის მხრივ, საქართველოს ცენტრალური კომიტეტი და რევკომი, რომლებიც მხოლოდ ნომინალურად ითვლებიან უზენაეს ორგანოებათ, კავბიურო რ.კ.პ. და მ.ე-11 არმიის „რევვოენსოვეტი", რომლებიც არიან ნამდვილი უზენაესი ორგანოები ძალაუფლებისა. ეს უკანასკნელი უმეტეს ნაწილად წყვეტს საქართველოს შესახებ ყოველგვარ პოლიტიკურ საკითხებს, რასაკვირველია, საქართველოს ც.კ. და რევკომის დაუკითხავად.

ამასთანავე, არ შემიძლია არ გავიხსენო ერთი გარემოება, რომლის შესახებაც ხშირად ლაპარაკობენ, არც ერთი წევრი ორივე კავბიუროსი საქმით ანგარიშს არ უწევს. მე ვლაპარაკობ ქართველი ერის ზოგიერთი წრის ნაციონალურ მიდრეკილებაზე. უნდა ვაღიაროთ ის ფაქტი, რომ უკანასკნელი სამი-ოთხი წლის განმავლობაში საქართველოს მასები შეეჩვიენ საქართველოს სახელმწიფოს დამოუკიდებლობას, თუმცა ცხადია დამოუკიდებლობა ეფემერული და ფიქტიური იყო. უნდა გამოვტყდე, რომ ეს მოვლენა ჩემთვისაც პირდაპირ მოულოდნელი იყო და მისი ანგარიშგაუწევლობა ყოველად შეუძლებელი იყო. აღსანიშნავია, რომ ეს გარემოება ჯერ კიდევ ლენინმა განსჭვრიტა მო-

სკოვში, ერთგვარი ლოღიკური დასკვნაც გააკეთა და ჩვენს წამოსვლისას სათანადო დირექტივები მოგვცა. და მართალი უნდა ითქვას, პირველ ხანებში ჩვენ თითქოს სწორ პოზიციაზე ვიდექით, ყოველ შემთხვევაში სიტყვით მაინც. ჩვენ ყველანი ყველგან ვაცხადებდით, რომ საბჭოთა რუსეთი არასგზით არ სპობს დამოუკიდებელ საქართველოს, რომ წითელი არმია მოვიდა მხოლოდ მშრომელთა მასების გასანთავისუფლებლად ანტანტის იმპერიალისტების ბრჭყალებისაგან და სხვადასხვა.

ბუნებრივად იბადება კითხვა: შეეძლებთ თუ არა ჩვენ ამ პოზიციაზე შეჩერებას თუნდაც სულ მცირე ხნით მაინც და ამაზე ხომ ბევრი რამ იყო დამოკიდებული. მასების მოტყუება პოლიტიკით ხომ შეუძლებელია და განსაკუთრებით ქართველი ხალხის, რომელიც ესოდენ გამომწვარი და გამობრძმედილია პოლიტიკაში ამ უკანასკნელი წლების განმავლობაში. საჭირო იყო ამ მასებისთვის გვეჩვენებია, რომ მართლაც დამოუკიდებლობის ნიადაგზე ვდგავართ, რომ შეუძლებელი იყო სიტყვით დამოუკიდებლობაზე ლაპარაკი და საქმით მისი უარყოფა და მოსპობა, და ეს მითუმეტეს საჭირო იყო, რომ ყველა ჩვენი მტრები და უმთავრესად მენშევიკები ჩვენ იმას გვაბრალებენ, რომ ბოლშევიკებს სურთ საქართველოს სახელმწიფოს მოსპობა, საქართველო უნდათ გადააქციონ რუსეთის უბრალო გუბერნიებათ, როგორც ეს იყო ცარიზმის დროსაო. სამწუხაროდ ბევრი კომუნისტი ფიქრობდა და დღესაც ფიქრობს, რომ ეს ასე უნდა იქნას დაუყოვნებლივ. საჭირო იყო მტრისთვის წაგვერთმია ეს ჩვენი საწინააღმდეგო კოზირი, ამას მოითხოვდა ძალაუფლების ინტერესებიც. მართალია ეს იქნებოდა ჩვენის მხრით ერთგვარი დათმობა მასების ნაციონალისტური გრძნობების მიმართ, მაგრამ დათმობა არა არსებითი და ამასთანავე ჩვენ დავემყარებოდით, ერთი მხრით, კომინტერნის მეორე კონგრესის დირექტივებს და, მეორეს მხრით, ლენინის დარიგებას, რომელიც მან ცალკე წერილად გამოუგზავნა კავკასიის კომუნისტებს.

ამ დათმობით ჩვენ ორ კურდღელს ვკლავდით. ჯერ ერთი, ხელიდან ვგლეჯდით მთავარ კოზირს ჩვენს მტრებს—მენშევიკებს და მეორე, გადმოვიბირებდით ჩვენს მხარეზე ქართველ ინტელიგენციის ერთ ნაწილს, უმთავრესად მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტებს და ქართველ ესერებს, რომლებიც მენშევიკების დროს მემარცხენე ოპოზიციას წარმოადგენდნენ, ხოლო საბჭოთა უფლების დამკვიდრების შემდეგ საჯაროდ აცხადებენ, რომ სავსებით ვიზიარებთ საბჭოთა პლატფორმას და დიდი სიამოვნებით ვიმუშავებთ, მხოლოდ იმ პირობით თუ საქართველოს სახელმწიფო არ იქნება მოსპობილი. ამ ჯგუფთან თანამშრომლობას კი ჰქონდა და დღესაც აქვს არა მარტო მორალური მნიშვნელობა.

როგორც ზევით იყო ნათქვამი, ამგვარი დაპირება, მოსკოვის ნებართვით, ჩვენ საზოგადოდ რამდენჯერმე მივეცით სიტყვით, მაგრამ საქმით არც ერთხელ არ გაგვიმართლებია. ჩვენ ვეუბნებოდით, რომ ვაშენებთ არა სავსებით, მაგრამ მაინც დამოუკიდებელ საბჭოთა სახელმწიფოს, შევქმნით წითელ არმიას და სხვადასხვა, მაგრამ ჩვენ ვტოვებდით რა უჯრადღებოდ ცენტრის დირექტივებს, სისტემატიურად თანდათან ამით იმგვარ ნაბიჯებს ვდგამდით, რომ უარყოფდა ყოველ ჩვენს დანაპირებს. რკინისგზების და საგარეო ვაჭრობის გაერთიანება, რკინისგზების პროფკავშირების ორგანიულად შეერთება და სხვადასხვა მოახდინეს მეტად სასწრაფოდ, მოუფიქრებლად, მოუმზადებლად, ზევიდან საომარ ბრძანებათა წესით. ყველა ამ ღონისძიებათა განხორციელება კი შეიძლებოდა სხვა გზით, გაუხმაურებლად, ხელშეკრულების წესით და სხვა. მხოლოდ შემდეგში დავიწყეთ კამპანია ზემოხსენებულ გაერთიანებათა საჭიროების შესახებ.

ამიერკავკასიის რესპუბლიკების დამოუკიდებლობის შენახვით, ვფიქრობ, მგონი, ცოტათი გავანელეთ ის უნდობლობა, რომელიც ხალხში ჩვენს მიმართ დაიბადა ყველა ამ დაწესებულებების წყალობით, მაგრამ სამაგიეროდ ჩვენ იძულებული ვიყავით მოვშორებოდით ჩვენს პირდაპირ საქმეს, უშუალო მუშაობას პარტიულ და საბჭოთა აღმშენებლობაში, რათა დაგვეპყრო და მოგვეკედლებია მუშურ-გლეხური მასები და მოგვეწვია თვით საბჭოთა ყრილობა. ჩვენ ჯერ კიდევ მონელებული არ გვქონდა ზემოხსენებული ამბები, რომ კავბიურომ სრულიად მოულოდნელად ახალი სიურპრიზის წინაშე დაგვაყენა. ვგულისხმობ ამიერკავკასიის რესპუბლიკების ფედერაციას და საქართველოს წითელი ლაშქრის

მოსპობას. კავბიუროს ეს დადგენილებაც იმგვარადვე ტარდება ცხოვრებაში, საომარ ბრძანებათა სახით და არავითარი წინასწარი მსჯელობა პარტიულ ორგანიზაციებში არ ხდება.

ავიღოთ პირველად ამიერკავკასიის ფედერაცია. დამახასიათებელია, რომ კავბიუროს დადგენილება ამ საკითხის შესახებ საქ. კომპარტიის ცენტრალურ ორგანოში(„პრავდა გრუზია") დაბეჭდილი, პირდაპირ მოულოდნელი იყო თვით ცენტრალურ კომიტეტისათვის. აქედან ცხადია, რომ კავბიურო სრულიად საჭიროდ არ თვლის ისეთ მნიშვნელოვან საკითხში, როგორიცაა ამიერკავკასიის ფედერაცია, ანგარიში გაუწიოს თვითეულ რესპუბლიკის ხელმძღვანელ პარტიულ ორგანოთა აზრს და ეს კი , არც მეტი და არც ნაკლები, ამ ორგანოების ავტორიტეტის ძირის გამოცლაა, დაცემაა ხალხის თვალში.

ახლა არსებითად არაფერი გვაქვს საწინააღმდეგო მათი სრულიად, ორგანიულად რუსეთთან შეერთებისა, მაგრამ საკითხავია: საჭიროა და სასარგებლო ეს ფორმალური გაერთიანება და ისიც ზევიდან ძალდატანებული, მაშინ, როცა ჯერ კიდევ არ დავახლოებივართ მასებს, როდესაც ჯერ კიდევ ვერ მოგვისწრია საბჭოების მოწვევა? მე ვაცხადებ, რომ ამგვარი ზევიდან ნაკარნახევი გაერთიანება არამც თუ რამეს მოგვცემს, არამედ ის კიდევ უფრო მოგვაშორებს ხალხს, ის კიდევ უფრო დაამძიმებს და გაართულებს მთელს ჩვენს მუშაობას საბჭოების მოწვევის საქმეში და ხელს შეუწყობს კიდევ ახალ პროვოკაციას ბოლშევიკებისა და საზოგადოდ საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ. ფედერაცია ამგვარ პირობებში ნიშნავს ერთი კიდევ ახალი ზედმეტი ბიუროკრატიული აპარატის წამოსკუპებას, ხალხისაგან სრულიად მოწყვეტილს და მეტად არა პოპულარულს. რასაკვირველია, აზერბაიჯანის აღმასრულებელ კომიტეტებში ერთ დღეს სულ სხვა იქნებოდა, რომ საქართველოსა და სომხეთში შედგენილი ყოფილიყო საბჭოები და ეს ფედერატიული გაერთიანება გატარებულიყო საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის აღმასრულებელ კომიტეტებში. დიახ, მაშინ სულ სხვა იქნებოდა: მაშინ ჩვენ მოვიპყრობდით ნამდვილს და მტკიცედ გაერთიანებულს, მასებზე დამკვიდრებულს საბჭოთა რესპუბლიკებს. და ეს არ იქნებოდა წინ გახტომა, მოვლენის გასწრება, რომელიც სრულიად უადგილო იყო დღევანდელს პირობებში. მაგრამ ამ რესპუბლიკათა ნამდვილი გაერთიანება, როგორც ერთმანეთთან, აგრეთვე რუსეთთან ხომ სხვა გზითაც შეიძლებოდა, გაცილებით უფრო მისაღები და მიზანშეწონილი გზით. მე ვლაპარაკობ თავისუფალ შეთანხმებაზე, სამეურნეო პირობათა გაერთიანებაზე ხელშეკრულებათა, კონვენციათა საფუძველზე, რაზედაც ჯერ კიდევ სტალინი მიგვითითებდა თავის მოხსენებაში, რომელიც მან პარტიულ კრებაზე გააკეთა თფილისში ყოფნის დროს.

ამ დირექტივების მიხედვით, რომელიც რ. კ. პარტიის მეათე ყრილობის დადგენილებისაგან გამომდინარეობს, ჩემი ინიციატივით უკვე დადებულია რამდენიმე ხელშეკრულება რუსეთისა და საქართველოს მიწათ-მოქმედებათა კომისარიატებს შორის, რომლის ძალითაც თითქმის სავსებით გაერთიანებულია ამ კომისარიატების სამეურნეო ხარჯები მათი ფორმალურად ერთის მეორესადმი დაუმორჩილებლად. და სწორედ ეს არის არა მყვირალა, საქმიანი გაერთიანება, რომელიც ხმას აკმედინებს ყველა ჩვენს მოწინააღმდეგეს და არ აძლევს მათ საშუალებას გასწიონ ჩვენს წინააღმდეგ რაიმე პროვოკაცია. მეორეს მხრით, სიმართლე რომ ვსთქვათ, ნუთუ ამიერ-კავკასიის რესპუბლიკები არსებითად უკვე გაერთიანებული არ არიან, ნუთუ ისინი განკერძოებულად არსებობენ, ნუთუ ნამდვილად იმდენად დამოუკიდებელი არიან, რომ სულმოუთმენლად საჭიროა გაერთიანება, თორემ ყველაფერი დაიღუპებაო? თავის თავად ცხადია, რომ არაფერი ამისთანა არ არის და მხოლოდ გამოუსწორებელ დონ-კიხოტებს ეჩვენება ეს. აიღეთ თუ გნებავთ კავბიურო [კავბიურო . კავკასიური ბიურო კომუნისტებისა], მისი წრეს გადაკარბებული ოპეკუნობა; აიღეთ ოკა, და ერის რა დამოუკიდებელ, განკერძოებულ არსებობაზე შეიძლება კიდევ ლაპარაკი!.. ნუთუ ეს სასაცილო არ არის. ჩვენ ვლაპარაკობთ მხოლოდ განსაზღვრულ ფაქტის დაცვაზე, სიფრთხილეზე, ვინაიდან ჩვენ აღყაშემორტყმული ვართ, ყოველის მხრიდან ბლოკადაა გამოცხადებული და ყოველი გაუფრთხილებელი ნაბიჯი, ყოველი მოუფიქრებელი

გამოსვლა საშინლად დაგვცემს ხალხის თვალში. და კავბიუროს დადგენილება კი ამიერ-კავკასიის ფედერაციის სასწრაფოდ ცხოვრებაში გატარების შესახებ ძირიანად ეწინააღდეგება ჩვენს ტაქტიკას, რომელიც მეტად ფრთხილი და მოქნილი უნდა იყოს, რომ არ მივცეთ პროვოკაციის მასალა ჩვენს მოწინააღმდეგებს. ამასთანავე ეს დადგენილება არამც თუ ასუსტებს ნაციონალისტურ მისწრაფებას, არამედ აღვივებს და ამაგრებს მას.

ამგვარი და შეიძლება კიდევ უარესი უარყოფითი მნიშვნელობა ჰქონდეს კავბიუროს მეორე დადგენილებას საქართველოში წითელი ჯარის გაუქმების შესახებ. ამ დადგენილებით კავბიურომ ნათლად დაამტკიცა, რომ იგი არამც თუ არ უწევს ანგარიშს ადგილობრივ პირობებს და საქართველოში შექმნილ მდგომარეობას, არამედ საზოგადოდ ცოტა ყურადღებას აძლევს რ.პ.ც.კ. და ამხ. ლენინის სპეციალურ რჩევა-დარიგებას, რომელიც ჯერ კიდევ დიდი ხანი არ არის მას შემდგომ, რომ ურჩევდა საქართველოს კომუნისტებს, რაც შეიძლება საჩქაროდ შექმენით წითელი ჯარიო.

კავბიუროს აღნიშნული დადგენილება, რომელიც მოხდა საქართველოს ცეკას და რევკომის დაუკითხავად, მის ორგანოებში წინასწარ განუხილველად, მთლიანად სპობს ყველა ჩვენს პლანებს და საქმიანობას და ამავე დროს პირდაპირ ეწინააღმდეგება ცენტრის ყველა დირექტივას.

ახლა ვიკითხოთ, ვის და რას შეუშლიდა ქართული წითელი ლაშქრის ცალკე, ფორმალური არსებობა საოპერაციო მხრით ისედაც სავსებით და მთლიანად ოკაზე დამორჩილებული. აბსოლუტურად არავის და არაფერში. ორგანიზაციულად მისი არსებობა მხოლოდ მის შექმნას გაგვიადვილებდა. მორჩა და გათავდა. მართალია, ელიავამ, რომელიც იმთავითვე დაყენებულ იქმნა სამხედრო და საზღვაო კომისარიატის სათავეში, უაღრესად პასუხსაგებ საქმეში, სრული სიკოტრე გამოიჩინა, როგორც ახლა შეურყეველი საბუთებით ირკვევა. შეკრებილია მისი მოადგილის - ამხ. აღნიაშვილის და აგრეთვე საქართველოს კომპარტიის მიერ დანიშნული სარევიზიო კომისიის მიერ დიდძალის საბუთები. ელიავამ ყოველი საშუალებით ჩაიგდო ხელში, რაც იყო ძვირფასი საქართველოში. გაფლანგა ათეული და ასეული მილიარდები და ნაცვლად წითელი ჯარისა, ყოფილ კონტრრევოლუციონერ ოფიცერთაგან, თავადთა და აზნაურთაგან შექმნა ბანდიტებისა და სპეკულანტების ნამდვილი შაიკა, რომელსაც ახლა ამხ. აღნიაშვილი ათეულებითა და ასეულობით იჭერს და ხვრეტს.

ბოლოს, როდესაც ელიავა მიხვდა, რომ მისი სიკოტრე, უკეთ, მისი ბოროტმოქმედება, ქართული ჯარის შექმნაში უკვე გამოაშკარავებულია, თავი რომ გადაერჩინა, პასუხისგებისაგან და სასამართლოსაგან, მეტად არაჩვეულებრივი , არამოხერხებული ნაბიჯი გადადგა: თავის ბოროტმოქმედების დასაფარავად მან წინადადება მისცა კავბიუროს, გაეუქმებინა ქართული წითელი ჯარი და შეეერთებინა იგი ორგანიულად რუსულ არმიასთან. ოკამ და კავბიურომ მის მაგიერ, რომ ელიავა პასუხისგებაში მიეცა, დიდი ყურადღებით მიიღო მისი წინადადება. ამავე დროს კიქართული წითელი ჯარის შექმნა ყოველ მიზეზის გარეშე შეიძლებოდა. მე კატეგორიულად ვამტკიცებ, რომ ელიავას ნაცვლად ვინმე სხვა ამხანაგი ყოფილიყო, სავსებით უბრალო, მაგრამ პატიოსანი, წითელი არმიის მნიშვნელობის შემგნები მუშა, წითელი ჯარი აუცილებლად გვეყოლებოდა, ვინაიდან საამისო ყველაფერი გვქონდა: ცოცხალი მასალა და პატარა ლაშქრისათვის საჭირო ქონება, აგრე ბოროტად გაფლანგული. მე ჯერ კიდევ საქართველოში ჩამოსვლისას დავინახე და ვიგრძენი, რომ ელიავა საქართველოს წითელ ჯარს ვერ შექმნიდა, რომ ის ჩვენ დაგვღუპავდა და ეს აზრი მას ამხანაგურად გავუზიარე, მეგობრული დარიგება მივეცი, რომ შეცდომები აეცდინა, მაგრამ ყველაფერი ფუჭი შეიქმნა. მე კი უძლური ვიყავი რაიმე რადიკალური ზომა მიმეღო, მაგალითად გადამეყენებინა ელიავა, რადგანაც ეს ჩვენდა დაუკითხავად იყო დანიშნული. ეს კიდევ ცოტაა. ელიავამ გაბედა და ამას გარდა საგარეო კომისრობაც იკისრა. ამ ადგილზე ის ითვლებოდა ამხ. მდივანის ჩამოსვლამდე. ამ დარგში მისი მუშაობის შესახებ აქ ზედმეტია ვილაპარაკოთ.

მე აუცილებლად მიმაჩნია აგრეთვე ხაზი გავუსვა შემდეგ გარემოებას: მოსკოვის პოლიტიკა ამიერკავკასიის სამი რესპუბლიკის, კერძოდ საქართველოს მიმართ მე მესმოდა და მესმის ასე: მეტისმეტი ფრთხილი ტაქტიკით უნდა მიღწეული იქნეს სრული სულიერი და ეკონომიური გაერთიანება, ისე, რომ ამ რესპუბლიკებს შერჩეთ გარეგნულად ფორმალური დამოუკიდებლობა. ამ მიზნით პირველ ყოვლისა უნდა ვეცადოთ ამ რესპუბლიკების მუშები და გლეხები ვაზიაროთ საბჭოთა ხელისუფლების პრინციპებს, ჩავითრიოთ ხალხის ფართო მასები მუშურ-გლეხურ აღმშენებლობაში და სხვა. როცა კარგად ვიცით, რომ ამიერკავკასიის რესპუბლიკებში ბურჟუაზიული მთავრობების არსებობის დროს ხალხის მასები საკმაოდ მოიწამლენ ნაციონალიზმის და შოვინიზმის შხამით, უნდა ძალიან ფრთხილად მივუდგეთ ამ მასებს. ერთხელ და სამუდამოდ ხელი უნდა ავიღოთ ბრძოლის ისეთ წესებსა და საშუალებებზე, რომელსაც ცარიზმი ხმარობდა, რომ მასები არ ჩამოვიცილოთ და პირიქით გონიერი და ფრთხილი პოლიტიკით მოვიზიდოთ ჩვენსკენ. ამავე დროს, რასაკვირველია, ნაციონალისტური გრძნობების გამწვავების საბაბიც არ უნდა მივცეთ. ასეთი პოლიტიკა გვავალებს ყოველგან და ყოველთვის ანგარიში გავუწიოთ ადგილობრივ პირობებს და ხანდისხან ნაციონალისტურ ინტელიგენციას ცოტა რამ დავუთმოთ, რომ გამოვიყენოთ ეს უკანასკნელი საბჭოთა ხელისუფლების ინტერესების მიხედვით.

ასეთია გზა, ასეთია საშუალებები, რომლებიც შეგვაძლებინებს ადრე მოვუღოთ ბოლო ნაციონალისტურ ცრუმორწმუნეობას, მოვსპოთ ეროვნებათა შორის უნდობლობა და სხვა. მე ვფიქრობ, საერთოდ ასეთია პოლიტიკა რუსეთის ს.ს.ფ. რესპუბლიკის, კომინტერნის და კომუნისტური პარტიისა წვრილ ერების მიმართ დღევანდელ ისტორიულ მომენტში, იმ წვრილ ერების, რომლებიც წინათ და ახლაც იჩაგრებიან დიდი სახელმწიფოების მიერ. შესაძლებლობის და ჩემი საკუთარი ძალ-ღონის ფარგლებში მე ვცდილობდი გამეტარებია სწორედ ასეთი პოლიტიკა საქართველოში. არა შიშით, არამედ სინიდისის ქვეშ. ურყეველი ფაქტია, რომ ამიერკავკასიის კომუნისტურ პარტიებში არიან ამხანაგების ჯგუფები, რომლებიც ნაციონალიზმისაკენ იხრებიან. ამასთანავე უნდა აღვნიშნო, რომ კავბიურო, არც წინანდელი და არც ახლანდელი, არ დგას ამ მხრივ თავის მდგომარეობის სიმაღლეზე: სიტყვით კავბიურო არის რუსეთის კ.პ.ც.კ. პოლიტიკის გამტარებელი კავკასიაში, საქმით კი მუდამ იჩენდა რყევას და ერთი უკიდურესობიდან მეორეში ვარდებოდა. კავბიუროს უმნიშვნელოვანეს დადგენილებებში არ ჩანს ფრთხილი ტაქტიკა და ის სწორი მიდგომა ადგილობრივ ხასიათის მეტად მწვავე და საეჭვმანო საკითხებისადმი, რის შესახებაც მე ზემოდ ელაპარაკობდი: ერთი, ამიერკავკასიის რესპუბლიკების ფედერაციისა და, მეორე, საქართველოს წითელი ჯარის მოსპობის შესახებ. მართლაც, საჭიროა აქვე აღინიშნოს, რომ კავბიუროს შემადგენლობაში ისეთი ამხანაგები არიან, რომლებიც არც ახლა ცნობენ რესპუბლიკების ფორმალურად დამოუკიდებელ არსებობას და თვლიან მათ რუსეთის ს. ს.ფ. რესპუბლიკის გუბერნიებად.

არ შემიძლია სიჩუმით ჩავუარო აგრეთვე რ.კ.პ.ჩ.კ. წევრის, ამხანაგ ორჯონიკიძის განცხადებას, რომელიც მან გააკეთა საქართველოს კ.პ.ც.კ. სხდომაზე, *1921* წლის *15* ნოემბერს, ბათუმის პორტის საკითხის განხილვის დროს საქართველოს ცეკას წევრებისა და სხვა ადგილობრივ ამხანაგების მიმართ. მან ასეთი კატეგორიული განცხადება გააკეთა: „ბოლოს და ბოლოს გაიგეთ რომ მოსკოვი თქვენ არ გენდობათო.“ რას ნიშნავს ეს? თუ კომუნისტი კომუნისტს არ ენდობა მაშინ ორში ერთი: ან ერთი მათგანი არ არის კომუნისტი, ანდა არიან კომუნისტები უმაღლესი ხარისხისა და კომუნისტები დაბალი ხარისხისა, და ამ დაბალ ხარისხის კომუნისტებს ეკუთვნიან ალბათ ადგილობრივი კომუნისტები, ქართველები, სომხები და სხვები, რომლების ნდობა არ შეიძლება. მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ მოსკოვი ამას ასე არ უყურებს, მაგრამ ადგილობრივი ამხანაგები ამას ვერ ხედავენ, ამაშია ჩვენი უბედურება.

პირიქით, ისეთი ამხანაგი, ძალიან ხშირად, რომელიც გამოიჩენს ინიციატივას, საქმისადმი ინტერესს, მოიქცევა არა შაბლონურად, არამედ ადგილობრივ პირობებს ან-

გარიშს გაუწევს, უნდა ეღოდეს, რომ მას ჩარიცხავენ ნაციონალისტად, და უნდა აღვნიშნოთ ის ფაქტი, რომ ორივე კავბიუროს წევრები ძალიან ხშირად მიმართავენ ასეთ ხერხს ქართველი ამხანაგების შესაშინებლად, რითაც კოლონიზატორულ მიდრეკილებას ხელს უწყობენ კიდეც.

ამრიგად, ჩვენს წინაშე დგას მეტად სერიოზული და მნიშვნელოვანი საკითხი: ჩვენში ატმოსფერო მეტისმეტად შეკუმშულია, საჭიროა ამის გაფანტვა და გაჯანსაღება. საჭიროა უფრო ნორმალური დამოკიდებულება დაწესდეს ცენტრსა და პერიფერიებს შორის. საჭიროა მტკიცე და ნათელი დირექტივები, რომ ადგილობრივად პასუხისმგებელმა ამხანაგებმა იცოდნენ რა არის უახლოესი დავალება და მიზანი ცენტრისა. მაგრამ, ესეც არ კმარა, ისინი უნდა იცნობდნენ ცენტრის ტაქტიკას, და რაც უმთავრესია, ცენტრი სავსებით უნდა ენდობოდეს ადგილობრივ კომუნისტებს.

კონკრეტიულად, ჩემის აზრით, აუცილებელია ახლა შემდეგი ზომების მიღება:

1. ცენტრმა უნდა შეიმუშაოს სწორი და გარკვეული ტაქტიკური ხაზი ამიერკავკასიის რესპუბლიკების მიმართ, რომ შემთხვევით და ცალკე ამხანაგების სურვილით არ იყოს შესაძლებელი მისი შეცვლა. საჭიროა გამოირკვეს: მიზანშეწონილია თუ არა ამ მოკლე ხანში მათი—რესპუბლიკების—შენახვა, ან თუ აუცილებელია დაუყოვნებლივ მათი ლიკვიდაცია. ჩემის აზრით, და ეს არის აზრი საქართველოს კომპარტიის დიდი უმრავლესობის, გარეშე და შინაური პოლიტიკის მოსაზრებით, ამიერკავკასიის რესპუბლიკების შენახვა საჭირო არის.

2. უნდა შეჩერდეს კავბიუროს მეტისმეტად ბუნდოვანი დადგენილება ამიერკავკასიის რესპუბლიკების ფედერაციის შესახებ, სანამ საქართველოს და სომხეთის საბჭოები არ მოწყობილან და ფედერატიული გაერთიანების გატარება ცენტრალურ ისპოლკომების საშუალებით არ მომხდარა. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ გვექნება ერთი ბიუროკრატიული აპარატი მეტი, და არავითარი ნდობა მასაში.

3 — უნდა შეჩერდეს კავბიუროს დადგენილება საქართველოს წითელი არმიის მოსპობის შესახებ, მოიხსნას ელიავა სამხედრო კომისრობიდან და მიეცეს სამართალში.

4. უნდა მიეცეს სპეციალური დირექტივები საქართველოს, სომხეთის და აზერბაიჯანის ცეკებს რუსეთის კომპარტიის მეათე ყრილობის დადგენილებათა გატარების შესახებ, როგორიცაა: ა) დანიშვნის სისტემის უარყოფა და არჩევნების წესზე გადასვლა,

ბ) სამხედრო კომუნიზმის დროის მეთოდებისა და ჩვეულებათა უარყოფა, ე. ი. წმინდა პარტიულ და საბჭოთა საქმეებში ბრძანებების მოსპობა,

გ) პასუხისმგებელ პარტიულ მომუშავეთა სავალდებულო კრებებზე წინასწარ საკითხების გარჩევა - დისკუსია პარტიის ფარგლებში და კრიტიკის სრული თავისუფლების მინიჭება იმ საკითხებზე, რომელთა შესახებ ყველასათვის სავალდებულო დადგენილება არ გამოტანილა.

5. კავკასიაში, განსაკუთრებით ამიერ-კავკასიაში, ჩვენ საქმე გვაქვს უკიდურეს თავისებურებასთან, მეტისმეტად რთულ პირობებთან, ამიტომ საჭიროა რ.კ.პ.ც.კ. კავბიურო შეიქმნეს მოსაშუალე და მომწესრიგებელ ორგანოდ კავკასიაში; საჭიროა მან გამოიჩინოს უდიდესი სიფრთხილე ყველა მნიშვნელოვან ადგილობრივი საკითხების გადაწყვეტის დროს. ამასთანავე ადგილობრივ ცეკას უნდა ჰქონდეს უფლება მიმართოს აპელაციით, როგორც რუსეთის კომუნისტური პარტიის ცეკას, ისე ყრილობასაც. სასურველია, რომ კავბიუროს, რომელიც მომავალში აუცილებლად არჩეულ უნდა იყოს, უფლება და მოვალეობანი სავსებით გამოირკვეს.

6. საქართველოს, სომხეთის და აზერბაიჯანის ცეკებს და რევკომებს ადგილობრივ საკითხებში მიეცეს სრული დამოუკიდებლობა.

7. ამიერკავკასიის რესპუბლიკების ურთიერთ შორის და რუსეთის ს.ს.ფ.რ. ეკონომიური გაერთიანება შესაძლებელია დაუყოვნებლივ და უმტკივნეულოდ გატარდეს იმ გზით, რომ გაერთიანდეს ეკონომიური მოქმედება ცალ-ცალკე რესპუბლიკების ნარკომატების ხელშე-

კრულების ან კონვენციის საფუძველზე, რომელზედაც საქმიანი ხელშეკრულებანი უფრო ჩქარა მოუმზადებენ (სხვათა შორის, ამასვე მიგვითითებდა ამხ. სტალინიც) ნიადაგს ამ რესპუბლიკების სავსებით და მტკიცედ გაერთიანებისას. ასეთი ხელშეკრულების ნიმუშად გამოდგება ამ ახლო ხანში დადებული ხელშეკრულება რუსეთის და საქართველოს მიწათმოქმედების კომისარიატებს შორის. რაც შეეხება სამხედრო ძალების გაერთიანებას, ეს უკვე ფაქტიურად განხორციელებულია ამ რესპუბლიკებში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღიდან, — სხვანაირად არც შეიძლებოდა. სხვა ზომებს მე აქ არ ვასახელებ.

მე ვგრძნობ და მესმის, რომ ახლანდელი ხელმძღვანელი ორგანო — კავბიუროს — ტაქტიკა აუცილებლად უნდა შევცვალოთ, თუ გვინდა მასების ნდობა დავიმსახუროთ, თუ გვინდა საბჭოთა ხელისუფლებისაკენ ისინი მოვიზიდოთ. ახლა კი ჩვენ, პირიქით, ჩვენს გარშემო ყველას ხელს ვკრავთ, ძალიან დიდი წარმოდგენა გვაქვს ჩვენ ძალებზე და ვერ ვაფასებთ მოწინააღმდეგეთა ძალებს."

მოსკოვი, 6 დეკემბერი 1921 წ. ფილიპე მახარაძე

(„თავისუფალი საქართველო" № 24, 1922 წ.)
(ფილიპე მახარაძის ეს მოხსენება ინახება საბჭოთა კავშირის ცენტრალურ კომიტეტში)

--- --- --- ---

დამფუძნებელი კრების ორი დადგენილება

1. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციის დამტკიცება

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრება, არჩეული პირდაპირი, თანასწორი, საყოველთაო, ფარული და პროპორციული საარჩევნო სისტემით, ორივე სქესის მოქალაქეთა მიერ, თავის 1921 წ. 21 აპრილის სხდომაზე ერთხმად ამტკიცებს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციას.

2. სამშობლოს მოღალატეების შესახებ

დამფუძნებელმა კრებამ 21 თებერვალს საღამოს სხდომაზე გამოიტანა შემდეგი დადგენილება:

„იღებს რა მხედველობაში, რომ საქართველოზე თავდასხმაში მონაწილეობას იღებენ ქართველი ხალხის უღირსნი შვილნი, დამფუძნებელი კრება ადგენს: ყველა ქართველები, რომლებიც უშუალო მონაწილეობას იღებენ შეიარაღებულ ბრძოლაში საქართველოს წინააღმდეგ ან დახმარებას უწევენ ამ ბრძოლას, გამოცხადებული არიან ქართველი ხალხის მოღალატეებათ. მათ ერთმანეთ ყოველივე ქონება და კანონს გარეშე არიან გამოცხადებულნი. ამ დადგენილების სისრულეში მოყვანა ევალება მთავრობას".

--- --- --- ---

საქართველოს მთავრობის განცხადება

საბჭოთა რუსეთის ჯარების მიერ საქართველოში შეჭრისა და დაპყრობის შესახებ

1921 წლის 19 მარტს საქართველოს მთავრობა, რომელმაც ძალაუფლება ხალხის ნება-სურვილით მიიღო, რაც გამოიხატა საყოველთაო საარჩენო ხმისმიცემით, იძულებული გახდა თავისი ქვეყანა დაეტოვებია. ეს იძულება გამოიწვია საბჭოთა რუსეთის ჯარების მიერ საქართველოს ოკუპაციამ, რომელმაც ხალხს თავისუფლება და დამოუკიდებლობა წაართვა და მის მთავრობას მოუსპო საშუალება მისი საქმიანობის წარმოებისა ეროვნულ მიწა-წყალზე.

ქვემოდ მოკლე განმარტებები იმ მოვლენების შესახებ, რომლებიც წინ უსწრებდნენ მტრისაგან საქართველოს დაპყრობას.

თავისი არსებობის პირველ დღეებიდანვე საქართველოს რესპუბლიკამ ყველა

მის განკარგულებაში არსებული საშუალებები გამოიყენა, რათა დაეცვა მშვიდობა მის მეზობლებთან.

ქართველმა ხალხმა თავისი სახელმწიფოს ორგანიზაცია მიანდო იმ ჯგუფს, რომელიც მეოთხედი საუკუნის განმავლობაში სათავეში ედგა ქვეყნის პოლიტიკურ მოვლენებს და, რომელიც მას წარმოადგენდა რუსეთის იმპერიის 4 დუმაში. ხალხის ნდობა, რომლითაც ეს მთავრობა სარგებლობდა,–დამფუძნებელ კრებაში ის წარმოდგენილი იყო დეპუტატთა 80%თ,–საქართველოს რესპუბლიკას აზღვევდა შინაურ კრიზისებისგან, რომლებიც შეიძლება გამოეწვია პარტიათა შორის ქიშპობას. ქვეყნის შინაური მშვიდობა აგრეთვე უზრუნველყოფილი იყო იმ ღრმა რეფორმებით, რომლებიც განხორციელდა მოსახლეობის თითქმის ერთსულოვნებით.

ასეთ პირობებში, რესპუბლიკის არსებობას შეიძლებოდა დამუქრებოდა მხოლოდ და მხოლოდ გარეშე ძალები, რაც საქ. მთავრობას უკარნახებდა დიდ სიფრთხილეს მის საგარეო პოლიტიკაში. ამიერკავკასიის რესპუბლიკების დაახლოება და ურთიერთობის განმტკიცება მეზობელ ქვეყნებთან ისევე, როგორც ევროპის სახელმწიფოებთან, ასეთი იყო მთავარი მიზნები ამ პოლიტიკის.

მაგრამ, ერთგული მისი მოვალეობისა: დაეცვა ქვეყნის დამოუკიდებლობა, საქ. რესპუბლიკის მთავრობას არ შეეძლო დაეშვა, რომ რომელიმე მის მეზობელს რესპუბლიკისათვის თავს მოეხვია თავისი ნება-სურვილი, თავისი კანონები და მისთვის ეკარნახა ესა თუ ის პოლიტიკა ევროპის ქვეყნების მიმართ. ამ მდგომარეობამ გამოიწვია მოსკოვის მთავრობის სიძულვილი საქათველოს მიმართ. მას უნდოდა მისი მპყრობელობა გაევრცელებია მთელს ამიერკავკასიაზე, რათა მას შეძლებოდა ის გამოეყენებია, როგორც პოლიტიკური იარაღი. საქ. მთავრობის გადაჭრილ უარზე, გამხდარიყო მოსკოვის აგენტი და მონაწილეობა მიეღო საბჭოთა რუსეთის იმპერიალისტურ ავანტიურაში, ბოლშევიკებმა გამოაცხადეს, რომ ეს მთავრობა იყო „ანტანტის“ აგენტი.

საქართველოს „გასაბჭოება“ შეიქმნა მთავარი ელემენტი ბოლშევიკების პოლიტიკისა წინა აზიაში.

მრავალი აჯანყებების და შეთქმულებების ჩაშლის შემდეგ, რომლებიც ეწყობოდნენ მოსკოვის ემისრების და ოქროს მეშვეობით, საბჭოთა მთავრობამ, მიუხედავად სამშვიდობო ხელშეკრულებისა, რომელსაც მან ხელი მოაწერა საქართველოსთან 1920 წლის 7 მაისს, გადაწყვიტა საქართველოს დაპყრობა სამხედრო ძალებით.

1920 წლის დეკემბერში, რუსეთის მე-11 წითელი არმიის სარდალს, გენერალ ჰეკერს, დაევალა მოხსენება წარედგინა თუ რა სამხედრო ძალები იქნებოდა საჭირო საქართველოს დასაპყრობად. თავის დაწვრილებით მოხსენებაში, გენერალი ასაბუთებდა, რომ მისი არმია ვერ შეძლებდა მოეხდინა ეს დაპყრობა თუ ანგორას მთავრობა თანხმობით არ იქნებოდა განწყობილი ამ წამოწყებისა. ბოლშევიკები იძულებული იყვნენ გადაედვათ საქართველოს წინააღმდეგ ღაშქრობა, მაგრამ დაუყოვნებლივ დაიწყო მათი ჯარების თავმოყრა საქ. საზღვრებზე. საქ. მთავრობის პროტესტები ამის შესახებ დარჩნენ უშედეგო.

ომის თავიდან ასაცილებლად, საქ. მთავრობა შეეცადა გამოერკვია მოსკოვის მთავრობის მიზნები ამიერკავკასიაში. მან ითხოვა მისი დაშვება რუსეთ-თურქეთის კონფერენციაზე, რომელიც დანიშნული იყო მოსკოვში, გასულ თებერვალში. ეს წინადადებაც დარჩა უპასუხოდ საბჭოთა მთავრობისაგან.

საქ. მთავრობის მიერ გადადგმული ნაბიჯები, მოსალოდნელი გართულებების თავიდან ასაცილებლად სომხეთის მხრიდან, რომელიც ამ დროს უკვე „გასაბჭოებული“ იყო, სასურველად დაგვირგვინდნენ: ერევნის მთავრობა დათანხმდა საბოლოო საკითხები მოლაპარაკებით მოგვარებულიყო ორ ქვეყანას შორის და გადა-

წყდა მოწვეულიყო თბილისში 15 თებერვალს.

მიუხედავად ამისა, 11 თებერვალს მე-11 არმიის რუსულმა ჯარებმა გადმოლახეს საქართველოს საზღვრები სომხეთის მხრიდან.

ბ-ნმა შეინმანმა, საბჭოთა მთავრობის წარმომადგენელმა თბილისში, მტკიცედ განუცხადა საქ. მთავრობას, რომ რუსეთმა არაფერი არ იცოდა ამ თავდასხმის შესახებ და, რომ ის იყო სომხეთის მთავრობის მიერ მოწყობილი.

იმავე დროს, საქართველოს მთავრობამ მიიღოს საბჭოთა სომხეთის წარმომადგენლისაგან, ბ-ნ შაევერდოვისაგან არანაკლებ მტკიცე განცხადება, რომლის მიხედვითაც სომხეთი სრულიად უცხო იყო ამ თავდასხმაში.

ფაქტები ადასტურებენ, რომ ამ ორი განცხადებიდან ბ-ნ შაევერდოვის განცხადება იყო მართალი; თბილისის მახლობლად წარმოებულ ბრძოლების დროს, ქართულმა ჯარებმა ტყვედ ჩაიგდეს მტრის მრავალი ჯარისკაცი. მათი დაკითხვებიდან გამოირკვა, რომ ყველა იყო წარმოშობით ცენტრალური რუსეთის პროვინციებიდან და ეკუთვნოდნენ მოსკოვის ჯარების რეგულარულ ნაწილებს. მაშასადამე საბჭოთა რუსეთმა, და არა სომხეთმა, საქართველოს შემოუტია თავისი ჯარები 11 თებერვალს სომხეთის მხრიდან.

15 თებერვალს, მე-11 არმიის ახალმა ნაწილებმა, გაძლიერებულმა კავალერიის შენაერთებისაგან, გადმოლახეს საქართველოს საზღვრები აზერბაიჯანის მხრიდან.

საქ. მთავრობა, რომელმაც მთელი თავისი ენერგია მიმართა შემოსული მტრის უკუსაგდებლად, შეეცადა ომის შეწყვეტას დიპლომატიური საშუალებებით.

16 თებერვალს, საქ. მთავრობის თავმჯდომარემ ტელეგრამით მიმართა მოსკოვის მთავრობას, მაგრამ საგარეო საქმეთა კომისრის თანაშემწემ, ნ-მა კარახანმა, რომელიც ტელეგრაფის მეორე ბოლოში იმყოფებოდა, უარი განაცხადა მასთან მოლაპარაკებაზე.

მეორე დღეს, ბ-მა ჩიჩერინმა, რომლისთვის თითქოს ცნობილი არ იყო საქართველოზე წითელი არმიის თავდასხმა, თბილისის რადიო-ტელეგრაფში გაგზავნილ დეპეშით საქ. მთავრობას შუამდგომლობა შესთავაზა საქართველოსა და ამიერკავკასიის სხვა რესპუბლიკებს შორის. თუმცა დიდ იმედებს არ ამყარებდა ჩიჩერინის ამ მიმართვის გულწრფელობაზე, საქ. მთავრობამ უპასუხა, რომ ღებულობდა ამ წინადადებას იმ პირობით, რომ რუსეთის მთავრობას თავისი ჯარები გაეყვანა საქართველოდან.

ამასობაში კი ვითარდებოდა სამხედრო ოპერაციები. ქართველი ხალხი გმირული წინააღმდეგობით შეხვდა თბილისის წინააღმდეგ ორი მხრიდან გაჩაღებულ შეტევებს. ჯარმა და სახალხო გვარდიამ უკუაგდეს მტრის ყველა იერიში, თუმცა ცოცხალი ძალით, შეიარაღებითა და საბრძოლო მასალით როდი შეედრებოდა მას.

21 თებერვალს, საქ. მთავრობის თავმჯდომარემ დეპეშით მიმართა ჩიჩერინს და სთხოვა მას განემარტა საქართველოს წინააღმდეგ რუსეთის მიერ გაჩაღებული ომის მიზეზები. ეს დეპეშა უპასუხოდ დარჩა, რის შემდეგ საქ. მთავრობის თავმჯდომარემ მოუწოდა ლენინსა და ტროცკის ამ აშკარა იმპერიალისტური და თავდასხმითი ომის შეწყვეტისაკენ.

ამის საპასუხოდ, საბჭოების მთავრობამ სამი ახალი მიმართულებით გაშალა შეტევები საქართველოს წინააღმდეგ - ვლადიკავკაზიდან სამხედრო გზაზე გაელით, მამისონის უღელტეხილიდან ქუთაისისაკენ და შავი ზღვის სანაპიროდან სოჩის მიმართულებით. ამგვარად, საქართველოს ყოველ მხრიდან შემოესიენ რუსეთის ჯარები, კერძოდ - მე-11 არმია, შემდეგ კი მე-8, მე-9 და მე - 13 არმიები, და აგრეთვე ბუდიონის და ჟლობას კავალერიის ნაწილები.

თუ მხედველობაში მივიღებთ ხალხის ენთუზიაზმს და მოხალისეთა დიდ რაოდენობას, საქ. მთავრობა იქნებ შესძლებდა მტრისადმი წინააღმდეგობის გაშლა-გაფართოებას, მაგრამ მან იარაღითა და საბრძოლო მასალით ვერ უზრუნველყო ერის ყველა შვილი, რომელიც მზად იყო თავი დაედო სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის. უნდა აღინიშნოს, რომ საქ. მთავრობა ორი წლის განმავლობაში ამაოდ ცდილობდა სამშობლოს დასაცავად საჭირო სამხედრო ტექნიკის ევროპულ სახელმწიფოთაგან მიღებას. ასეთ დახმარებაზე დათანხმდა მხოლოდ ერთი სახელმწიფო, მაგრამ, - ~~გადაწყვეტ~~ ტილება დაგვიანებული იყო.

ბოლშევიკები კი, იყენებდნენ რა ყირიმის ულევ რესურსებს, ქართული ლაშქრის წინააღმდეგ გზავნიდნენ თანამედროვე შეიარაღებით აღჭურვილ ახალ-ახალ ძალებს.

22 თებერვალს, ბოლშევიკებს ახალმა ვითარებამ შეუწყო ხელი: ანგორის მთავრობამ საქ. მთავრობას წარუდგინა ულტიმატუმი, რომლითაც მოითხოვდა არდაგანის და ართვინის ევაკუაციას. საქართველოსთვის შეუძლებელი იყო თურქებისათვის, ე.ი. ახალ ფრონტზე წინააღმდეგობის გაწევა, და საქ. მთავრობა იძულებული შეიქმნა თავისი ჯარები გაეყვანა ამ ქალაქებიდან, თუმცა მან ამავე დროს ნათლად განაცხადა, რომ ამით არ წყდებოდა ეს საკითხი და რომ პრობლემის საბოლოო მოგვარება შეთანხმებასა ან არბიტრაჟს საჭიროებდა.

საქართველოს სამხედრო მდგომარეობა დღითი-დღე რთულდებოდა. ხუთი მხრიდან გარშემორტყმული საქ. რესუბლიკა მეტად უთანასწორო ბრძოლაში იყო ჩაბმული. ქართულ ჯარს განადგურება ემუქრებოდა. საქ. უმაღლესმა სარდლობამ გადაწყვიტა თბილისის ევაკუაცია და უკან დახევა, რათა მოეხდინა ჯარის კონცენტრაცია ძლიერ პოზიციებზე. ჯარის ყველა ნაწილს მიეცა უკან დახევისა და რიონის მარცხენა ნაპირზე ბრძოლის გაგრძელების ბრძანება, ბათუმის როგორც სამხედრო ბაზად შენარჩუნებით.

25 თებერვალს, თბილისი დატოვებულ იქნა ქართული ჯარის ნაწილების მიერ. დაიწყო მთავარსარდალის მიერ ნაბრძანები უკან დახევა. ბრძოლები ახალ ხაზზე სამ კვირას გაგრძელდა.

ქართველმა ხალხმა ამ ტრაგიკულ დღეებში კვლავ დაამტკიცა თავისი ერთიანობა და მტკიცე გადაწყვეტილება საქართველოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის დაცვის საქმეში. ფუჭად ჩაიარა ბოლშევიკების აგენტთა ყველა მცდელობამ სახალხო აჯანყებისა თუ სამხედრო ამბოხების მოწყობის მიზნით. მაგრამ სამხედრო ტექნიკას და მასალას მოკლებული, უმოკავშირედ, თავის ბედის ანაბარად მიტოვებული საქართველო, რომელიც არსაიდან დახმარებას არ მოელოდა, ხანგრძლივად ვერ გაუძლებდა დიდ რუსეთს... ანგორის მთავრობის პოლიტიკამ დააჩქარა მისი წინააღმდეგობის დასასრული. არდაგანის და ართვინის დაკავების შემდეგ, ქემალისტურმა მთავრობამ აუწყა საქართველოს, რომ მათ შორის უკვე აღარ არსებობდა სადავო საკითხები და საქ. დახმარება შესთავაზა, რათა ბოლშევიკური ჯარები არ შესულიყვნენ ბათუმის პროვინციაში. ქემალისტურმა მთავრობამ თხოვა საქ. მთავრობას, არავითარი წინააღმდეგობა არ გაეწია თურქეთის ჯარების ბათუმის პროვინციაში შესვლისათვის, ჯარებისა, რომლებსაც თითქოს მონაწილეობა უნდა მიეღოთ ამ რაიონის ბოლშევიკებისაგან დაცვაში.

მაგრამ, ბათუმში შესვლის შემდეგ, თურქებმა განაცხადეს: ანგორის დიდმა ეროვნულმა კრებამ დაადგინა მოხდეს ბათუმის და მთელი პროვინციის ანექსიაო და თურქები შეეცადნენ ძალით აეღოთ სახელმწიფოებრივი შენობები და ციხე-სიმაგრეები. თურქებმა ამავე დროს საქ. მთავრობას გაუგზავნეს ულტიმატუმი, რომლითაც მოითხოვდნენ ქართული ჯარის განიარაღებას. ბათუმში გაჩაღდა ცხარე ბრძოლები თურქებსა და ქართველებს შორის. ქართველებმა თურქები განდევნეს ქალაქიდან, მაგრამ საქ. ამ დღიდან ორ ფრონტზე მოუხდა ბრძოლა. ეს მეორე ფრონტი კი იყო სწორედ იქ, სადაც მას სამხედრო ბაზა უზრუნველყოფილად მიაჩნდა. ქართული ჯარი, ორი ძლიერი სახელმწიფოს, რუსეთის და თურქეთის ჯარებით გარშემორტყმულს, არ გააჩნდა წარმატების არავითარი შანსი, განწირული იყო დასაღუპავად.

17 მარტს, საქ. მთავრობამ გადაწყვიტა რიონის მარცხენა ნაპირზე ბრძოლების შეწყვეტა და ჯარის დაშლა, რამაც ბოლშევიკურ ძალებს გზა გაუხსნა ბათუმის და საქ. მთელი ტერიტორიისაკენ. ამის შედეგად, საქ. მთავრობა იძულებული გახდა დაეტოვებინა მტრის მიერ დაკავებული ტერიტორია. ეს იყო ერთადერთი გამოსავალი, რათა საქ. მთავრობას თავი აერიდებია დამპყრობელებთან ყოველგვარი

პოლიტიკური კონტაქტებისაგან.

ბოლშევიკებმა, წითელი არმიის მიერ დაკავებულ ტერიტორიაზე, შექმნეს სამხედრო ხელისუფლება „რევოლუციური კომიტეტის" სახელწოდებით. საქ. რესპუბლიკის მთავრობამ ხალხისადმი მიმართვაში დააზუსტა თავისი დამოკიდებულება ამ კომიტეტისადმი. მან კერძოდ განაცხადა, რომ ლეგალურ ხელისუფლებად ვერ ჩაითვლებოდა რუსული ხიშტებით ქვეყანაში ძალით შემოტანილი ეს უზურპატორული კომიტეტი, რომელიც შედგება საქართველოს მტრის ჯარების ნაფეხურებს შემოყოლილ პირებისაგან, ქართველი ხალხის ნების წინააღმდეგ. ამ კომიტეტს არავითარი უფლება არ ჰქონდა თავი ჩაეთვალა „ხელისუფლებად".

განაცხადა რა პროტესტი ქართველი ხალხის წინააღმდეგ გამოყენებული ძალმომრეობის გამო, საქ. მთავრობამ კვლავ გაიმეორა, რომ ნებისმიერ პირობებში და ყველგან ერთგული დარჩება თავისი მოვალეობისა, ესე იგი, დაიცავდა ქართველი ხალხის სასიცოცხლო ინტერესებს,—**თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას.**

ზემოდ ჩამოთვლილი ფაქტები ნათლად ადასტურებენ:

1. არა შინაურმა მოძრაობამ, გამომდინარემ თუნდაც ხალხის უმცირესობისაგან, არამედ უხეშმა გარეშე ძალამ დაარღვია ხალხის მიერ თავისუფლად მიღებული დემოკრატიული კონსტიტუციური წესწყობილება და მის ნაცვლად შემოიღო საბჭოთა რუსეთიდან გადმოღებული ინსტიტუტი.

2. ქართველმა ხალხმა გმირული წინააღმდეგობა გაუწია მტერს და მან, თავისი მთავრობის ირგვლივ დარაზმულმა, თავისი მიწა-წყალი დათმო მხოლოდ იმის შემდეგ, როცა ამოწურა წინააღმდეგობის ყველა შესაძლებლობა.

3. საქართველოს დღევანდელი მდგომარეობა არის უცხო ჯარის მიერ ქვეყნის სამხედრო ოკუპაცია.

იძულებული, ბოლშევიკური ოკუპაციის გამო, დაეტოვო ეროვნული მიწა-წყალი, საქართველოს მთავრობა აგრძელებს დამფუძნებელი კრებიდან მიღებული მანდატის და იმ ვალდებულების შესრულებას, რომელიც მან ხალხის წინაშე იკისრა, იცავს რა ამ ხალხის ინტერესებს იმ სახელმწიფოების წინაშე, რომლებმაც იცნეს საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობა.

პარიზი. *1921* წლის აპრილი

(საქ. მთავრობის ეს წერილობითი მოხსენება ამოღებულია: „*DOCUMENTS relatifs a la question de la Georgie devant la Societe des Nations*"-დან. *Edition de la Legation de georgie en France. Paris 1925.*)

ევტიხი აბულაძე

მაისი და თებერვალი

შევცქერი, ცერა ცას ცრემლები სცვივიან, თებერვლის თვეში ქართლი დაიტანჯა;
ყუმბარები ყურებში ახლაც მიწივიან, შავად შეიმოსა ბათომი და განჯა.
მოდიან დუმილით მებრძოლთა რაზმები. უცხოთა ბრბოებმა თბილისი წაღეკა.
ატირდა ქალაქი გულგანაბზარები, სოფელმა განგაშის ზარები დარეკა.
და მას შემდეგ შარა ისე აიშალა საქართველოს ბედი ისე შეტრიალდა,
მამულმა ცრემლები ვეღარ შეიმშრალა, გამარჯვების დროშა აღარ აფრიალდა.
თებერვალში მიწა წითლად შეიღება. ერის იმედები ოცდაერთში მოჰკლეს;
მაგრამ, ტანჯვას ბოლო მაშინ მოეღება, თებერვალს მაისი როცა დააჩოქებს.

25.02.51. ევტიხი აბულაძე

(„კავკასიონი" №*15*)

კათალიკოს ამბროსის მიმართვა
გენუის კონფერენციისადმი

„კულტურულ კაცობრიობას, გენუის კონფერენციაზე წარმოდგენილს, მონა ღვთისა ამბროსი, სულიერი მწყემსი და პატრიარქი სრულიად საქართველოისა, ქრისტეს მიერ სიყვარულით მოიკითხავს.

ჯერ კიდევ არაქრისტიანულ ხანაში, კავკასიონის ძირში, შავისა და კასპიის ზღვებს შორის, ქართული მოდგმის ტომებმა შექმნეს, პატარა სივრცით, მაგრამ ძლიერი ნებისყოფით და მდიდარი აქტიური ნიჭით, სახელმწიფო, რომელიც ცნობილია ისტორიაში საქართველოს სახელით და, რომელიც საუკუნეთა განმავლობაში ერთადერთი მატარებელი იყო წინა აზიაში ქრისტიანული კულტურისა და ევროპული ჰუმანიზმისა.

მე-*18* საუკუნის გასულს, გარეშე მტრებთან ბრძოლაში ძალამიხდილი, ქართველი ერი ნებაყოფლობით მიეკედლა ერთმორწმუნე რუსეთს, იმ იმედით, რომ მისი მფარველობის ქვეშ საქართველო უზრუნველყოფდა თავის პოლიტიკასა და ეროვნულ არსებობას, რაც აშკარად არის აღნიშნული *1783* წლის საქ. მეფე ერეკლე მეორის და რუსეთის იმპერატრიცა ეკატერინე მეორის შორის დადებულ პოლიტიკურ ტრაქტატში.

მაგრამ, სამწუხაროდ, გაცრუებულ იმედების ამარად დარჩენილი ჩემი სამშობლო *117* წლის განმავლობაში რუსეთის ბიუროკრატიისგან განიცდიდა მხოლოდ მწვავე დესპოტიას და აუტანელ შევიწროებას. ამიტომ *1917* წელს, დაირღვა თუ არა რუსეთის იმპერიის ხელოვნური მთლიანობა, ქართველმა ერმა გამოაცხადა დამოუკიდებლობა და დაუყოვნებლივ ხელი მოჰკიდა თავისი პოლიტიკურისა და ეროვნულ-კულტურული ცხოვრების რესტავრაციას. მიუხედავად იმისა, რომ ამ მუშაობაში მას აფერხებდნენ შინაური და გარეშე მტრები, მან გამოიჩინა ისეთი ნიჭი და ეროვნული შემოქმედებითი ენერგია, რომ სამი წლის შემდეგ განათლებულმა ევროპამ სცნო მისი სახელმწიფოებრივი უნარი და ადგილი უბოძა საქართველოს დამოუკიდებელ, სუვერენულ პოლიტიკურ ერთეულთა შორის.

რასაკვირველია, ამას ვერ შეურიგდა მისი ბატონი, მცირე ერთა მჩაგვრელი რუსეთი: მან დასძრა საქ. საზღვრებისაკენ საოკუპაციო არმია და *1921* წ. *25* თებერვალს, უსწორო ბრძოლაში სისხლიდან დასცალა საქართველო, ხელმერედ დაადგა კისრად ისეთი მძიმე და სამარცხვინო მონობის უღელი, რომლის მსგავსი მას არ განუცდია თავის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში.

ოკუპანტები მართალია ლამობენ შინ და გარედ ყველანი დაარწმუნონ, რომ მათ გაანთავისუფლეს და გააბედნიერეს ქართველები, მაგრამ რამდენად ბედნიერად გრძნობს თავს ქართველი ერი, ეს ყველაზე უკეთ ვუწყი მე, მისმა სულიერმა მამამ და დღესდღეობით ერთადერთმა ნამდვილმა მოძღვარმა, რომლის ხელშიაც არის ამ ერის გულიდან გამომავალი იდუმალი ძაფები და, რომელსაც უშუალოდ ესმის მისი კვნესა და ვაება.

თამამად და გაუზვიადებლად ვამბობ: ის ყოვლად შეუფერებელი ექსპერიმენტები, რომლებსაც ამ უკანასკნელ წლებში ახდენენ ქართველი ერის ზურგზე, აუცილებლად მიიყვანს მას ფიზიკურად გადაშენებისა და სულიერად გაველურების და გახრწნის კარამდე.

ერს ართმევენ მამა-პაპათა სისხლით და ძვლებით გაპოხიერებულ მიწა-წყალს, რომელს უცხოეთიდან შემოხიზნულთ ურიგებენ; მათი წყალობით ისედაც გაღატაკებულ ერს პირიდან გლეჯენ მისი სისხლითა და ოფლით მონაგარ სარჩოს და გაუგებარი სიჩქარით იმავე უცხოეთში ეზიდებიან.

ერს უგმობენ და ართმევენ მშობლიურ ენას, მას უბილწავენ ეროვნულ მამაპაპეულ კულტურას. დასასრულ, მას უბღალავენ წმიდათა წმიდას- სარწმუნოებრივ გრძნობას და, სინდისის თავისუფლების დროშის ქვეშ, ნებას არ აძლევენ თავისუფლად დაიკმაყოფილოს რელიგიური მოთხოვნილება. მისი სამღვდელოება უკიდურესად დევნილია, მისი ეკლესია— ეს ძველისძველადვე ფაქტორი საქ. ეროვნული სახელმწიფოებრივი ამა-

ღლებისა და ძლიერებისა– დღეს უფლება აყრილია იმდენად, რომ ნებაც არა აქვს თავისი შრომით, გარჯილობით და უნარით მოიპოვოს მუდმივი სახსარი არსებობისა. ერთი სიტყვით, ერი კვნესის, ერი გმინავს, მაგრამ საშუალება არა აქვს ხმის ამაღლებისა.

ამ პირობებში ჩემს მწყემსთმთავრულ მოვალეობად ვრაცხ კულტურული კაცობრიობის გასაგონად ვთქვა: მე, როგორც ეკლესიის წარმომადგენელი, არ შევდივარ პოლიტიკური ცხოვრების სხვადასხვა ფორმის დაფასებაში და რეგლამენტაციაში, მაგრამ არ შემიძლია არ ვისურვო ჩემი ერისთვის ისეთი წყობილება, რომელიც შედარებით უფრო მეტად შეუწყობს ხელს მის ფიზიკურ აღორძინებას და კულტურულად განვითარებას. ამიტომ გთხოვთ :

1. დაუყოვნებლივ გაყვანილ იქნეს საქ. საზღვრებიდან რუსეთის საოკუპაციო ჯარი და უზრუნველყოფილ იქნეს მისი მიწა-წყალი უცხოელთა თარეშობისა და მძლავრება - მოტაცებისაგან.

2. საშუალება მიეცეს ქართველ ერს თვითონ, სხვათა ძალდაუტანებლად და უკარნახოდ, მოაწყოს თავისი თავი ისე, რგორც ეს მას უნდა, შეიმუშაოს ისეთი ფორმები სოციალ-პოლიტიკური ცხოვრებისა, როგორც მის ფსიქიკას, სულისკვეთებას, ზნე-ჩვეულებას და ეროვნულ კულტურას შეესაბამება.

სრული იმედი მაქვს, რომ მაღალპატივცემული კონფერენცია, რომელსაც მიზნად დაუსახავს გაარკვიოს უდიდესი პრობლემები კაცობრიობის ცხოვრებისა და დაამყაროს ქვეყანაზე სამართლიანობა და თავისუფლება, არ უგულებელ ჰყოფს პატარა საქართველოს ელემენტარულ მოთხოვნილებას, დღეს ჩემი პირით წარმოთქმულს, და დაიხსნის მას ძალმომრეობისა და სამარცხვინო კლანჭებისაგან.

კურთხევა უფლისა იყოს თქვენზედა და თქვენს კეთილშობილურ მისწრაფებასა და მუშაობაზე. მდაბალი **ამბროსი**, პატრიარქი სრულიად საქართველოისა.

7 თებერვალი. თბილისი.

(უწმიდესი და უნეტარესი ამბროსის ეს მიმართვა გადმობეჭდილია კრებულ „**კავკასიონი**“ **№15**- დან, სადაც მითითებულია, რომ ის პირველად დაბეჭდილა გაზ. „კომუნისტში“ პირველ თებერვალს ***1924*** წელს, შემდეგი სათაურით:„უწმინდესი კონტრ-რევოლუცია.“)

ვანო ბაქრაძე

ტ ა ბ ა ხ მ ე ლ ი ს გ მ ი რ ე ბ ს

დღეს *24* თებერვალია, სისხლის ცრემლებით ვიგონებთ წარსულს,
შაღვას, ბიძინას, მერაბს და ოთარს, გმირულ ბრძოლებში დაღუპულ მამულს,
დედას თალხებში, მუდამ ცრემლიანს, სამგლოვიაროდ ღოყებ დაკაწრულს;
მამადავითზე თვით წმიდა მამის ღანდსა ვხედავდით ხელებაპყრობილს,
მხურვალე ლოცვით ღმერთს ავედრებდა მამულისათვის თავდადებულებს.
ოი, მამულო! უფალმან უწყის, რომ მზად ვიყავით თავი დაგვედო,
საშვილიშვილოდ, როგორც წინაპართ გარდაუვალი ძეგლი აგვეგო.
ბევრი შეგცოდა ჩვენმა თაობამ, არ გსურს დაგვზოგო.
მამულო **ტურფ**ა, გვჯერა, რომ შენი დიდება ძველი კვლავად აღსდგება,
რომ ქარ**თველ**ობა თვალებს გაახელს, ბორკილებს დასწყვეტს და მობეზრდება
მტრის ფეხს ქვეშ გება, მისი მონება.
დღეს *24* თებერვალია, ტაბახმელისა ვიგონებთ გმირებს.
ვფიქრობთ, რომ იქაც, საქართველოში მათ საფლავებზე მოფენენ ვარდებს
და ჩუმად ვინმე ააწკარუნებს სიონის ტაძრის დამტვრეულ ზარებს.

(„**კავკასიონი**“**№15**) **ვანო ბაქრაძე**

მ ე ო რ ე გ ა ნ ყ ო ფ ი ლ ე ბ ა –
დ ღ ე ვ ა ნ დ ე ლ ი ე მ ი გ რ ა ც ი ა დ ა ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს „გ ა ს ა ბ ჭ ო ე ბ ა“

1. ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს დ ა პ ყ რ ო ბ ა დ ა ე ვ რ ო პ ა

საუკუნეების განმავლობაში მაჰმადიანულ სახელმწიფოთა წინააღმდეგ მუდმივ ომებით დაქანცული საქართველო ცდილობდა ერთ დიდ ძლიერ ქვეყნის მფარველობა მოეპოვებინა. ამ მფარველობას მისი მეფეები დასავლეთის სახელმწიფოებში ეძებდნენ, სახელდობრ საგრანგეთში, სადაც მეფე ვახტანგმა გააგზავნა თავადი ორბელიანი *1714* წელს. ხოლო, რაკი მათ ამ მხრით ვერავითარი დახმარება ვერ მიიღეს, გადაწყვიტეს მიმართონ რუსეთს, რომელიც იყო ძლიერი მეზობელი და თან იგივე სარწმუნოების როგორც საქართველო. *1783* წელს რუსეთსა და საქართველოს შორის დაიდო ხელშეკრულება პროტექტორატის–„ტრაქტატი“, რომლის ძალით საქ. ინარჩუნებდა შინაგან ავტონომიას და უარს ამბობდა თავის დამოუკიდებლობაზე საერთაშორისო სფეროში. ქართ. დინასტია ხელუხლებელი რჩებოდა, აგრეთვე მისი დიპლომატიური წარმომადგენლობა საზღვარგარეთ. მხოლოდ, საქ. მეფეები აღიარებდნენ რუსეთის მეფეების უმაღლეს ხელისუფლებას საგარეო პოლიტიკის საკითხებში, და თავის მოვალეობად სთვლიდნენ არავითარი ნაბიჯი არ გადაედგათ მეზობელ სახელმწიფოების მიმართ რუსეთთან წინასწარ შეუთანხმებლად, ხოლო შინაგან პოლიტიკაში ირჩენდნენ სრულ დამოუკიდებლობას.

საქ. თავის ჯარებით დაეხმარებოდა რუსეთს, როდესაც ამას რუსეთის მეფე მოითხოვდა, და რუსეთი თავის მხრით, თავს ვალდებულად თვლიდა ომის დროს საქართველოსთვის სამხედრო დახმარება გაეწია, მისი ტერიტორიის მთლიანობის დასაცავად. *1783* წლის ხელშეკრულობა, ზღუდავდა რა საქ. სუვერენიტეტს, ცნობდა, მიუხედავად ამისა, საქართველოს სახელმწიფოს და მთავრობის არსებობას.

მაგრამ, საქ. დიდ ხანს არ ისარგებლა იმ უფლებებით, რომლებიც გამომდინარეობდნენ ამ ხელშეკრულობიდან, ჯერ ერთი, რუსეთმა არ აასრულა თავისი ვალდებულება, სპარსეთი ორჯერ შემოიჭრა საქართველოში ისე, რომ არც ერთ რუს ჯარისკაცს არ მიუღია მონაწილეობა მის დაცვაში. ნათელია, რომ თუ ერთი მხარე არღვევს ხელშეკრულებას, ეს უკანასკნელი კარგავს თავის იძულებით ძალას მეორე მხარესათვისაც.

მაგრამ ეს ხელშეკრულება არ იყო ფორმალურად შეწყვეტილი არც საქართველოს არც რუსეთის მიერ, ვინაიდან, პირველისთვის ის იმედს წარმოადგენდა, რომ მომავალში ის დაიცავდა მას მაჰმადიან სახელმწიფოთა შემოსევებისაგან, ხოლო მეორესთვის ის წარმოადგენდა საჭირო ბაზას აზიისკენ მოძრაობისათვის, რომელიც რუსეთის იმპერიის საგარეო პოლიტიკაში ერთ-ერთ მთავარ მიზანს შეადგენდა.

1783 წლის ტრაქტატი იყო პირველი ეტაპი რუსეთისთვის. მან შემდეგ გადაწყვიტა, რომ მის პოლიტიკურ მიზნების განსახორციელებლად, უფრო მიზანშეწონილი იქნებოდა ამ ტრაქტატის გაუქმება და საქართველოს ავტონომიის მოსპობა. მართლაც, *18* იანვარს, *1801* წელს, იმპერატორმა პავლე პირველმა გამოაცხადა საქ. ანექსია და მისი გადაქცევა ორ გუბერნიად. გადაასახლა ქართული დინასტიის წევრები და დანიშნა მათ მაგივრად რუსი გუბერნატორები.

ეს გადაწყვეტილება დაადასტურა აღექსანდრე პირველმა თავის მანიფესტით *12* ენკენისთვეს, *1801* წელს.

რუსეთის ისტორიოგრაფები ეძახიან ამ ანექსიას-„თავისუფალ შეერთებას საქართველოსას რუსეთთან“(დობროვოლნოე პრისოედინენიე), მაგრამ შეერთება რომ ნებაყოფლობითი იყოს, ამისთვის საჭიროა, რომ ქვეყანა, რომელიც უარს ამბობს თავის ავტონომიაზე, ამ თავის ნებისყოფას ფორმალურად გამოთქვამდეს, როგორც ეს მოხდა, მაგალითად *1795* წელს, როდესაც კურლიანდია შეუერთდა რუსეთს. არავითარი მსგავსი არ მომხდარა საქართველოს შემთხვევაში, მისი ანექსია იყო *1783* წლის ხელშეკრუ-

ღების შელახვა, იყო ძალმომრეობის ცალმხრივი აქტი.

საქართველოს, როგორც რუსეთის ნაწილის ყოფნა გაგრძელდა ერთ საუკუნოზე ცოტა მეტი. რევოლუციის შემდეგ, განსაკუთრებულ ისტორიულ პირობებში, საქართველომ აღადგინა თავისი დამოუკიდებლობა: ამ დროს მთელ რუსეთში გაჩაღებული იყო სამოქალაქო ომი. ქართველმა ხალხმა არ მიიღო მონაწილეობა ამ ომში, დარჩა ნეიტრალური და შეუდგა დემოკრატიულ რესპუბლიკის აშენებას, და რევოლუციის მიერ წამოყენებულ სოციალურ რეფორმებს, სახელდობრ აგრარულ რეფორმის განხორციელებას, სრულ თავისუფლებისა და მშვიდობიანობის პირობებში.

ახალგაზრდა სახელმწიფოს სტაბილიზაციის განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რაც შეიძლება მაღე მისი დამოუკიდებლობის დიპლომატიურ ცნობას სხვა სახელმწიფოების მიერ, უმთავრესად დასავლეთის მიერ. ამ მიზნით მთავრობამ, რომლის პრეზიდენტი იყო ნოე ჟორდანია, სოციალ-დემოკრატიის დიდი ლიდერი, გააგზავნა საზღვარგარეთ დელეგაცია, კარლო ჩხეიძის და ირაკლი წერეთლის მეთაურობით. ეს ორი პიროვნება ჩავიდნენ პარიზში *1919* წლის თებერვლის ბოლოს. რაკი ორივემ დიდი როლი ითამაშა რუსეთში, განსაკუთრებით ი. წერეთელმა, როგორც დროებითი მთავრობის წევრმა, რომელსაც შემთხვევა ჰქონდა მოკავშირე სახელმწიფოების დიპლომატებთან და პოლიტიკურ მოღვაწეებთან შეხვედრებისა, ისინი დიდი სიპატიებით იყვნენ მიღებული.

დასავლეთის პოლიტიკური წრეები ნაკლებად იცნობდნენ საქართველოს, და ჩვენმა დელეგატებმა გამოიჩინეს დიდი ენერგია, რომ გაეცნოთ ეს პატარა ქვეყანა, თავისი ძველი ცივილიზაციით, თავისი ისტორიით, თავისი გმირული ბრძოლით დამოუკიდებლობის დასაცავად, თავისი ბუნებრივი სიმდიდრეებით, ბუნების სილამაზით, რათა დაერწმუნებიათ, რომ საქართველოს აქვს ყოველგვარი საშუალება იარსებოს როგორც დამოუკიდებელმა სახელმწიფომ.

აქ მინდა მოვიტანო ერთი ფაქტი, რომელიც მე თვით წერეთელმა მიამბო. როდესაც ის ლონდონში იყო, მან ინახულა ლორდ კერზონი, ინგლისის მაშინდელი საგარეო საქმეთა მინისტრი, აუხსნა მას საქ. მდგომარეობა და განუვითარა საბუთები, რომ ამ ახალ პატარა სახელმწიფოს შეუძლია დამოუკიდებელი არსებობა. კერზონმა დიდი ყურადღებით მოისმინა წერეთლის სიტყვები და უპასუხა:„მე დარწმუნებული ვარ, რომ ქართველ ხალხს შეუძლია შექმნას დამოუკიდებელი სახელმწიფო. მე გეტყვით, არა მარტო ქართველ ხალხს, რომელმაც საუკუნოების განმავლობაში შეინარჩუნა თავისი დამოუკიდებლობა და განავითარა თავისი ცივილიზაცია, არამედ ყველა განუვითარებელ ხალხსაც შეუძლია შექმნას დამოუკიდებელი სახელმწიფო. თქვენი პრობლემა ეს არ არის. თქვენი პრობლემა არის შემდეგი: შეგიძლიათ თქვენ უზრუნველყოთ თქვენი დამოუკიდებლობა იმ უშველებელ სახელმწიფოს თანხმობის გარეშე, რომელიც თქვენი მეზობელია და, რომელსაც ჰქვია რუსეთი?." აი, სწორედ აქ არის ქართული პრობლემის სიძნელე, ქართველი ხალხის დრამა!

რუსეთთან შეთანხმება, მასთან მეგობრული განწყობილების დამყარება — ეს საქართველოსთვის აუცილებელი იყო და არის,—რა თქმა უნდა იმ პირობით, რომ **რუსეთი საქართველოს თვისუფლებას აღიარებდა.** ასე იყო, როდესაც საქ. მეფემ ხელშეკრულება დადვა რუსეთთან *1783* წელს, ასე იყო, როდესაც რევოლუციის შემდეგ, საქ. კვლავ აღდგა როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო. როგორც უკვე აღვნიშნეთ, მისი მთავრობა თავიდანვე შეეცადა, რომ საქ. დამოუკიდებლობა ცნობილი ყოფილიყო უცხო სახელმწიფოების მიერ. რა თქმა უნდა, რუსეთის მიერ ცნობას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოსთვის, და *1920* წელს, როდესაც სამოქალაქო ომი ჯერ კიდევ არ იყო გათავებული რუსეთში, შეიქნა ხელშემწყობი პირობები რუსეთსა და საქართველოს შორის შეთანხმებისათვის. და მართლაც *7* მაისს დაიდო ე.წ. „მეგობრობის ხელშეკრულება", რომლის პირველი მუხლი აღიარებს რუსეთის სურვილს გამოასწოროს ის უსამართლობა, რომელიც რუსეთის იმპერიამ გამოიჩინა საქ. მიმართ: „რუსეთი

„ეყრდნობა რა რუსეთის ფ.ს.ს. რესპუბლიკის მიერ საქვეყნოდ გამოცხადებულ პრინციპს, რომლის ძალით ყველა ერებს უფლება აქვთ თავისუფლად გადაწყვიტონ თავიანთი ბედი, თვით სრულ გამოყოფამდე სახელმწიფოდან, რომელსაც ისინი ეკუთვნიან,– ცნობს ურეზერვოდ საქ. სახელმწიფოს დამოუკიდებლობას და სუვერენობას და უარს ამბობს ყველა იმ უფლებებზე, რომლებიც მეფის რუსეთს ჰქონდა ქართველი ხალხისა და ქართული მიწა-წყლის მიმართ“. მეორე მუხლში: „რუსეთი ვალდებულებას იღებს არავითარი ფორმით არ ჩაერიოს საქ. შინაგან საქმეებში.“ მეოთხე მუხლში: რუსეთი აღიარებს, რომ ბათუმის ოლქი და ბათუმის პორტი საბოლოოდ შედის საქართველოს ტერიტორიაში. მეხუთე მუხლი: საქ. ვალდებულებას იღებს არ დაუშვას თავის ტერიტორიაზე ძალები, რომლებიც მოქმედებენ რუსეთის და მის დღევანდელ მთავრობის წინააღმდეგ. და, თავის მხრით, რუსეთი ვალდებულებას იღებს არ დაუშვას თავის ტერიტორიაზე საქართველოს და მისი მთავრობის მიმართ მტრულად განწყობილ ძალების მომზადება.

ამ ხელშეკრულებამ, რა თქმა უნდა, ჩვენ მთავრობას გაუადვილა მუშაობა საქ. დამოუკიდებლობის იურიდიულად ცნობის მოსაპოვებლად დიდი სახელმწიფოების მიერ. ამ მხრით მას დიდი დახმარება გაუწიეს ევროპის სოციალისტებმა. ამსტერდამის ინტერნაციონალურმა კონფერენციამ ერთხმად მიიღო ირაკლი წერეთლის მიერ წარმოდგენილი რეზოლუცია, რომელიც მოითხოვდა საქ. რესპუბლიკის თავისუფლებას და დამოუკიდებლობას.

1920 წლის ენკენისთვეში საქ. მთავრობამ დაპატიჟა საქართველოში ევროპის სოციალისტური მოძრაობის მთავარი წარმომადგენლები, იმ მიზნით, რომ მათ გაეცნოთ ეს ქვეყანა და დაენახათ თუ რა განახორციელა საქ. დემოკრატიამ. მათ შორის იყვნენ, ინგლისიდან რამზეი მაკდონალდი, თომას შოუ და ქალბატონი სნოუდენი, ბელგიიდან ემილ ვანდერველდე, კამილ ჰოისმანსი და ღუი დე ბრუკერი, საფრანგეთიდან რენოდელი, მარკე და ინგელსი, და გერმანიიდან კარლ და ღუიზა კაუცკი.

დელეგაცია ჩამოვიდა საქ–ში *13* ენკენისთვეს, დარჩა იქ ორი კვირა, შემოიარა მთელი ქვეყანა და შეისწავლა მთავარი კითხვები. მხოლოდ კარლ კაუცკი იქ დარჩა სამი თვე და როცა დაბრუნდა, გამოაქვეყნა ერთი მნიშვნელოვანი ბროშურა საქართველოზე და იმ საქმეზე, რომელიც ქართველმა ხალხმა განახორციელა.

დელეგაციას დიდი ენთუზიაზმით შეხვდა ქართველი ხალხი. აი, რას წერს პიერ რენოდელი ამის შესახებ: „იმ შეხვედრამ, რომელიც სოციალისტურმა დელეგაციამ მიიღო საქართველოში, გადალახა ჩვენი წარმოდგენის საზღვრები. ჩვენი მოგზაურობის დროს არ იყო არც ერთი ქალაქი, არც ერთი სოფელი, სადაც მოსახლეობა არ მოგვსალმებოდა ფრანგული სიტყვებით: „*Nos chers Hotes*“, რამაც ჩვენ ასე აგვაღელვა. ბათუმში ათიათასობით მამაკაცები, ქალები, ბავშვები სიხარულით გვესალმებოდა, როგორც დემოკრატიის და სოციალიზმის წარმომადგენლებს, ხოლო თბილისში ორასი ათასი ხალხი, ფანჯრებიდან გაშლილი დროშებით , ენთუზიაზმით ესალმებოდა პროცესიას, რომელიც ჩვენ მიგვყავდა პარლამენტის შენობისაკენ. ასეთივე სურათი იყო ქუთაისში. სოფლებში, გლეხები გვიღებდნენ, ძველი ადათის მიხედვით, პურ-მარილით, ღვინით სავსე რქებით, ქადებით და ხილით. ანდა კიდევ მთიელები, თავიანთი პატარა მკვირცხლი ცხენებით, ღამით ჩამოსულნი– ყველა ესალმებოდა სოციალისტური ინტერნაციონალის წარმომადგენლებს და გამოხატავდნენ მათ მიმართ იმედს და რწმენას, რომელიც ახასიათებს ერს, რომელმაც მოიპოვა თავისუფლება, რომელსაც სურს იცოცხლოს, რომელსაც სწამს იდეების კეთილშობილება ისე, როგორც ნებისყოფის და სიმამაცის ძალა და მნიშვნელობა. საქართველოში ჩვენ განვიცადეთ სიხარულის გრძნობები, რომლებსაც ჩვენ არ დავივიწყებთ.“

დაბრუნებისას, სოციალისტებმა დიდი სამსახური გაუწიეს საქართველოს, ქართულ საქმეს ევროპაში. *1921* წელს, *21* იანვარს დიდმა სახელმწიფოებმა იცნეს იურიდიულად საქ. დამოუკიდებლობა, გარდა შეერთებულ შტატებისა, რომელიც იმ დროს იცავდა რუსე-

თის მთლიანობას. ეს ფაქტი შესაძლებელი გახადა, ერთი მხრით, საქ–ს შინაგანმა შეკავშირებამ და მთავრობის პოლიტიკამ, და, მეორე მხრით, იმ ფაქტმა, რომ დასავლეთის სახელმწიფოებმა დაკარგეს იმედი, რომ საბჭოთა რეჟიმს მაღე მოეღება ბოლო რუსეთში.

რა თქმა უნდა, ამ დიპლომატიურმა გამარჯვებებმა დიდი აღტაცება გამოიწვია საქართველოში. ამ ამბავის აღსანიშნავად მოწვეულ ზეიმზე, თბილისში, სხვა დიპლომატთა შორის იყო აგრეთვე საბჭოთა რუსეთის მთავრობის წარმომადგენელი ს. ქავთარაძე, რომელმაც მიმართა პრეზიდენტ ნოე ჟორდანიას შემდეგი სიტყვებით:„მე მოგმართავთ თქვენ, ვინაიდან თქვენ და მე მივიღეთ ჩვენი იდეები ერთი და იგივე წყაროდან, და თქვენ ხართ ჩემი მასწავლებელი. ნება მომეცით ეს სადღეგრძელო უდიდესი გულწრფელობით დავლიო ქართველი ხალხის და მისი დღევანდელი ბელადის, თქვენი პირადი კეთილდღეობისათვის."

მიუხედავად ამისა, რამოდენიმე დღის შემდეგ, იმ დროს, როდესაც საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენელი, აკაკი ჩხენკელი, საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტ მილერანს მინდობილობის წერილს უდგენდა, საბჭ. რუსეთის ჯარები აღმოსავლეთიდან და ჩრდილოეთიდან გადადიან საქართველოს საზღვარს მისი დაპყრობის მიზნით, ისე, რომ რუსეთს არც ულტიმატუმი წარუდგენია, არც ომი გამოუცხადებია საქართველოსთვის. ქართულმა ჯარმა წინააღმდეგობა გაუწია შემოსეულ ჯარს, მაგრამ რამოდენიმე კვირის შემდეგ, ის დამარცხებული იქნა და რუსის ჯარებმა დაიკავეს მთელი ქვეყანა.

პირველ ხანს რუსეთმა ვერ გაბედა იმის თქმა, რომ საქართველო იქნა დაპყრობილი მილიტარული აგრესიის შედეგად. ბოლშევიკები ამტკიცებდნენ, რომ საბჭოთა რეჟიმი დაარსდა საქართველოში ქართველი ხალხის აჯანყების შედეგად, ქართულ სოციალისტურ მთავრობის წინააღმდეგო, მაგრამ ძალიან ძნელი იყო ამ ვერსიის სერიოზულად დაცვა, ვინაიდან ომის ფაქტის დამალვა შეუძლებელი იყო, და მერე ყველამ იცოდა, რომ საქართველოს მთავრობა არჩეული იყო თავისუფლად, ქართველი ერის მიერ, საყოველთაო საარჩევნო სისტემის ნიადაგზე, და ამ თავისუფალ არჩევნებში ყველა პარტიებს მიეცათ საშუალება თავიანთი წარმომადგენლები გაეგზავნათ პარლამენტში. მართლაც ყველას ყავდა დეპუტატები, გარდა ბოლშევიკებისა, რომლებმაც ვერ მოახერხეს ვერც ერთი დეპუტატის არჩევა.

საბჭოთა მთავრობამ წამოაყენა ახალი ვერსია, რომლის მიხედვით საქართველოში მოხდა აჯანყება და საბჭოთა ჯარების ინტერვენცია, რომელსაც მხოლოდ ამ აჯანყებისათვის უნდა გაეწია დახმარება. რასაკვირველია, ეს ინტერვენცია, მათი განცხადებით, იმპერიალისტური აქტი კი არ იყო, არამედ მოქმედება რევოლუციონური, ისე, როგორც ჩვენს ხანაში,-რუსეთის თავდასხმა უნგრეთზე, ჩეხოსლოვაკიაზე და ბოლოს ავღანისტანზე,- თავდასხმა კი არ იყო, არამედ დახმარება, რომელიც თვით ამ ერებმა სთხოვეს რუსეთს, მათ ბრძოლაში „რეაქციის" და „კონტრ-რევოლუციის" წინააღმდეგ.

საინტერესოა აქ მოვიგონოთ სამი ინტერნაციონალის კონფერენცია *1922* წლის აპრილში, სადაც რუსეთის კომუნისტების წარმომადგენელმა- რადეკმა აღიარა, რომ რუსეთმა საქართველო დაიპყრო იმიტომ, რომ მას შეძლებოდა თავისუფლად გაეტანა ნავთი შავ ზღვაზე, და იგივე რადეკმა ხელახლა განაცხადა საზავო კონგრესზე, ჰაგაში, *1922* წლის დეკემბერში: „საქართველო უნდა დაბრუნებულიყო რუსეთში, ვინაიდან მას ესაჭიროებოდა ნავთიო." რადეკის სიტყვა მით უფრო ყალბია, რომ, როგორც ყველამ იცის, ნავთი საქართველოში კი არა აზერბაიჯანში იყო, საქართველოში კი მხოლოდ ნაწილობრივ გადის ნავთის პიპლინი, რომლითაც ნავთი გადის ბაქოდან ბათუმში. გარდა ამისა, საქართველო ყოველთვის მზად იყო ნავთის თავისუფალი გადატანა უზრუნველეყო ისე, როგორც რუსეთის სხვა სასიცოცხლო ეკონომიის ინტერესები დაეცვა ყოველ დარგში.

ლ. ტროცკის, თავის სტალინის ბიოგრაფიაში, მოყავს ფაქტი იმ აზრთა

განსხვავებაზე, რომელიც არსებობდა ბოლშევიკ ლიდერებს შორის. რაც შეეხება საქ. „გასაბჭოებას“, ის ამბობს: „მე ვიცავდი იმ აზრს, რომ საჭირო იყო, სანამ დავიპყრობდით საქართველოს, წინასწარ ნიადაგის მომზადება განსაკუთრებულ დროს განმავლობაში, იმ მიზნით, რომ ჯერ მოგვემზადებია აჯანყება და მერე შევსულიყავით მის დასახმარებლად... ორჯონიკიძე, რომელსაც მხარს უჭერდა სტალინი, იმ აზრის იყო, რომ წითელ არმიას დაუყოვნებლივ უნდა დაეპყრო საქართველო. ლენინმა მხარი დაუჭირა ცენტრალურ კომიტეტის ქართველ წევრებს და პოლიტბიურომ გადაწყვეტილება მიიღო პირველ თებერვალს, *1921* წელს, როდესაც მე ურალში ვიყავიო“. ტროცკი უმატებს, რომ „საქართველოს ნაადრევმა გასაბჭოებამ გააძლიერა მენშევიკები და გამოიწვია *1924* წელს ქართველ ფართო მასების აჯანყება, როდესაც თვით სტალინის აზრით საჭირო გახდა საქართველოს ხელახალი დამუშავება.“ ტროცკი არ მალავს, რომ „ქართველმა ხალხმა დიდი წინააღმდეგობა გაუწია საქართველოს გასაბჭოებას. იმ უხეშმა ზომებმა, რომლითაც ეს გასაბჭოება განხორციელდა, უფრო გააძნელა მდგომარეობა. ამ პირობებში საჭირო იყო ქართულ მასების მიმართ დიდი სიფრთხილის გამოჩენა. აი, სწორედ აქ გამოაშკარავდა აზრთა უთანხმოება ლენინსა და სტალინს შორის. პირველი საჭიროდ თვლიდა საქართველოს და საერთოდ ამიერკავკასიის მიმართ დიდ მოქნილობას, წინდახედულობას, მოთმინებას, მაშინ, როდესაც სტალინი ფიქრობდა, რომ რაკი მთელი სახელმწიფოებრივი ძალა მათ ხელში იყო, ადვილი გამარჯვება საქართველოში უზრუნველყოფილი იყო. ორჯონიკიძეს, საქართველოს მოუთმენელ დამპყრობელს, ყოველი წინააღმდეგობა თავის პირად შეურაცხყოფად მიაჩნდა. როგორც ჩანს სტალინს ავიწყდებოდა, რომ დიდი ხანი არ იყო, რაც ჩვენ საქართველოს დამოუკიდებლობა ვიცანით და მასთან ხელშეკრულება დავდეთ. ეს იყო *7* მაისს, *1920* წელს, და *11* თებერვალს, *1921* წელს სტალინის ბრძანებით წითელი ჯარი შეიჭრა საქართველოში მის დასაპყრობად და დაგვაყენა ჩვენ ასრულებულ ფაქტის წინაშე.“

ტროცკი წერდა ამას, როდესაც ის განდევნილი იყო უცხოეთში, მაგრამ ჩვენ არ უნდა დავივიწყოთ მისი სიმძაფრით და ცინიზმით სავსე ბროშურა: „მეუდუ იმპერიალიზმომ ი რევოლიუციეი“, რომელიც ამართლებს საქართველოს დაპყრობას საბჭოთა რუსეთის მიერ.

ამგვარად, როგორც რუსეთის იმპერატორმა *1801* წელს დაარღვია *1783* წლის ხელშეკრულება, ისე ბოლშევიკურმა რუსეთმა დაარღვია *1920* წლის ხელშეკრულება, დაიპყრო საქართველო და შეუერთა ის რუსეთს.

თუ ძველ რუსეთს შეეძლო, თუ არ გაემართლებია, ეცადა მაინც აეხსნა ეს აქტი საქართველოს სისუსტით მისი მტრების წინაშე, ბოლშევიკურ რუსეთის მოქმედება მოკლებული იყო ყოველივე ნიადაგს, ვინაიდან *1921* წელს საქართველო იმყოფებოდა ისეთ მდგომარეობაში, რომ შეეძლო სამართლიანად ეკონომიური, კულტურული და პოლიტიკური წარმატების და აყვავების იმედი ჰქონებოდა.

ნოე ჟორდანიამ, როგორც საქართველოს პრეზიდენტმა და ირაკლი წერეთელმა, როგორც სოციალ-დემოკრატიის წარმომადგენელმა უცხოეთში, მიმართეს უცხოეთის მთავრობებს და სოციალისტურ პარტიებს და შეატყობინეს მათ ნამდვილი ფაქტები და მდგომარეობა. საქართველოს დაპყრობამ გამოიწვია დიდი აღშფოთება მსოფლიოს ყველა პოლიტიკურ წრეებში, გარდა კომუნისტებისა! განსაკუთრებით ძლიერი იყო რეაქცია სოციალისტების მხრით. სუყველგან სოციალისტურმა პარტიებმა მიიღეს საპროტესტო რეზოლუციები, მრავალი წერილი გამოქვეყნდა მსოფლიო პრესაში, რომლებიც სასტიკად გმობდა საბჭოთა მთავრობის აგრესიას. ჩვენ მოვიყვანთ აქ რამოდენიმე მაგალითს: კარლ კაუცკი წერს თავის ბროშურაში: „ამაზე დიდი დამცირება და შეურაცხყოფა სოციალიზმის მაღალ იდეალების ძნელი წარმოსადგენია, ესაა ყველაზე საშინელი იმ დრა-

მაში, რომელიც ახლა კავკასიაში ტრიალდება." „საქართველო გახდა მოსკოვის იმპერიალიზმის მსხვერპლი" და კაუცკი ღაპარაკობს იმ სიძულვილზე, რომელსაც განიცდის მოსკოვი სოციალ-დემოკრატების მიმართ, „ის მათ კონტრ-რევოლუციონერებთან ერთ დონეზე აყენებს, სინამდვილეში მას ისინი უფრო სძულს ვიდრე ნამდვილი კონტრ-რევოლუციონერები." კაუცკის აზრით, საქართველო იყო სოციალ-დემოკრატიული- მენშევიკური, ეს საკმარისი იყო მოსკოვისათვის, რომ მას მისთვის სიკვდილის განაჩენი გამოეტანა.

1921 წელს, *21* ივნისს საფრანგეთის სოციალისტურმა პარტიამ(*SFID.*) გამოსცა მანიფესტი საქართველოს შესახებ, რომლიდანაც მოგვაქვს ზოგიერთი ციტატები: „ს.ფ.ი.ო. მიმართავს საფრანგეთის მუშათა კლასს, რომ მან განაცხადოს პროტესტი საქ. სოციალისტური და დემოკრატიული რესპუბლიკის მკვლელობისათვის, რომელიც რუსეთის ბოლშევიკურმა მთავრობამ ჩაიდინა."

„...საქართველომ ზავის ხელშეკრულება ჩამოაგდო რუსეთთან, მან შეასრულა თავისი მოვალეობა რუსეთის რესპუბლიკის მიმართ, უარყო ყოველგვარი დახმარება მისი მტრების, კერძოდ დენიკინის.

„ქართ. სოციალისტებმა შექმნეს დემოკრატიული სახელმწიფო— საყოველთაო თავისუფალ საარჩევნო სისტემაზე დამყარებული, სადაც მოქალაქეთა თავისუფლება უზრუნველყოფილი იყო. ეკონომიურ სფეროში, სოციალიზაცია განხორციელებული იყო, რამდენადაც ეს შესაძლებელი იყო, ევროპასთან შედარებით უფრო ნაკლებ განვითარებულ ქვეყანაში. ამგვარად აშენებული და მომქმედი თავისუფალი საქართველო წარმოადგენდა ბოლშევიკებისათვის აუტანელ მუდმივ საყვედურს.

დღეს ქართველი ხალხის თავისუფლება მოისპო. საქ. იმყოფება უშველებელი ჯარის ოკუპაციის ქვეშ, სადაც ბატონობენ ბოლშევიკური ბიუროკრატები. ქვეყნის სიმდიდრე იტაცება ყოველდღიურად.

მსოფლიო სოციალიზმის სხვა ფრაქციების წარმომადგენლებმა უკვე გამოაცხადეს პროტესტი. საფრანგეთის სოც. პარტიის პროტესტი არ იქნება ნაკლებად ენერგიული."

განსაკუთრებით ძლიერი იყო უცხოეთში მყოფ რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ პარტიის დელეგაციის საპროტესტო რეზოლუცია, რომელსაც ხელს აწერდა მარტოვი და აბრამოვიჩი. „ისინი აღშფოთებით გმობენ საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობას და მიმართავენ მთელ მსოფლიოს მუშათა ორგანიზაციებს, რომ მათ ენერგიული გავლენა მოახდინონ რუსეთის საბჭოთა მთავრობაზე, და ის აიძულონ გაანთავისუფლოს ქართველი მუშების და გლეხების მშვიდობიანი რესპუბლიკა."

სოციალისტური ინტერნაციონალის აღმასრულებელი კომიტეტი შეიკრიბა *1921* წ. *19* მარტს მიიღო შემდეგი რეზოლუცია: „მეორე ინტერნაციონალის აღმასრულებელი კომიტეტი ღრმა მწუხარებას გამოსთქვამს იმის გამო, რომ ბოლშევიკურმა ჯარებმა საქ. დაიპყრეს, იქ დაამხო სოციალისტური მთავრობა, რომელიც საყოველთაო საარჩევნო სისტემის ნიადაგზე არჩეული იყო და, რომელსაც *80%*-ზე მეტი ნაწილი ქართველი ერისა მხარს უჭერდა, და მის მაგივრად დაამყარა სამხედრო დიქტატურა.

აღმასრულებელი კომიტეტი თავის ნდობას უცხადებს საქ. სოციალისტურ მთავრობას და იმედს გამოთქვამს, რომ დემოკრატია მაღე ისევ აღსდგება საქართველოში და სოციალისტური მთავრობა დაიბრუნებს ძალაუფლებას."

ხოლო, *1921* წ. *23* ივნისს მიღებულ რეზოლუციაში ის აცხადებს, რომ მან განიხილა ქართული სოც. დემოკრატიული პარტიის წინადადება, რომელსაც მხარი დაუჭირეს ინგლისის მუშათა პარტიამ, საფრანგეთის და ბელგიის და სხვა ქვეყნების სოც. პარტიებმა და, რომლის მიხედვით უნდა შეიქმნას სოციალისტებისაგან და კომუნისტებისაგან შემდგარი საერთო კომისია, რომლის მოვალეობა იქნება ზედამხედველობა გაუწიოს თავისუფალ რეფერანდუმს, რომელმაც უნდა გამოარკვიოს თუ რა პოლიტიკური წესწყობილება სურს ქართველ ხალხის უმრავლესობას. „აღმასრულებელი კომიტეტი მხარს უჭერს ამ წინადადებას და იღებს გადაწყვეტილებას, რომ მიმართოს საბჭოთა მთავრობას ამ რეზოლუციის განხორციელებისათვის."

რა თქმა უნდა, საბჭოთა მთავრობამ არავითარი ანგარიში არ გაუწია ამ წინადადებას. საქართველოს განთავისუფლება გახდა სოციალისტური ინტერნაციონალის ოფიციალური მოთხოვნილება, მაგრამ, როგორც ირაკლი წერეთელი ერთ-ერთ წერილში წერდა პ. აქსელროდს, რუსეთის სოციალ-დემოკრატიის ლიდერს: „საქართველოს საკითხი ეს არის წვეთი, რომელშიაც გამოისახება საერთაშორისო მოძრაობის უძღურება."

ყველაფერი ეს მოხდა 60 წლის წინად. მსოფლიომ დაივიწყა ეს ამბავი, ისე, როგორც მან დაივიწყა ბალტიის რესპუბლიკების რუსეთის მიერ ანექსია, ისე, როგორც უნგრეთის და ჩეხოსლოვაკიის დემოკრატიზაციისათვის ბრძოლის იმავე რუსეთის მიერ უმოწყალოდ დამარცხება. მაგრამ, ქართველ ერს ეს არ დავიწყებია! 1924 წლის გმირული და ტრაგიკული აჯანყების შემდეგ, დარწმუნებული, რომ ის ვერსად ვერ მოიპოვებდა სათანადო დახმარებას და მარტო მას არ შეეძლო სრული თავისუფლების მოპოვება, მან გადასწყვიტა შეეგუოს დღევანდელ მდგომარეობას, მაქსიმალურად დაიცვას ეროვნულ-კულტურული სიმდიდრე და გულში ღრმად იმედი ატაროს, რომ ერთ დღეს ტერორს და დიქტატურას ბოლო მოეღება და რუსეთის სხვა დაჩაგრულ ერებთან ერთად ის აღიდგენს თავის სუვერენულ უფლებებს.

მიშა ხუნდაძე

--- --- --- --- ---

2 ბოლშევიზმის არსი და საქართველო

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დღიდან, ქართველი ხალხი სახელმწიფოს მთლიანობის დასაცავად გამუდმებით იბრძოდა და, მისდა სასახელოდ, ამ ბრძოლიდან ის გამარჯვებული გამოვიდა, სანამ მას ისევ მუხანათურად და მზაკვრულად ამჟამად წითელი რუსეთი თავს არ დაესხა.

დამოუკიდებელმა საქართველომ ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა განსაკუთრებით საგარეო ფრონტზე. დამოუკიდებელი საქართველოს რესპუბლიკა ევროპის სახელმწიფოებისაგან იურიდიულადაც იყო ცნობილი. იურიდიულად ის იცნო საბჭოთა რუსეთმა 1920 წლის 7 მაისს, რასაკვირველია მზაკვრულად. მაგრამ, როგორც მეფის რუსეთმა არ შეასრულა თავისი მეფური სიტყვა, ისე წითელმა რუსეთმა არ შეასრულა თავისი ინტერნაციონალურ-ლენინური სიტყვა. ის ქურდულად შეესია საქართველოს 1921 წლის 11 თებერვალს და იმავე დღეს მოსკოვის რადიომ მთელ მსოფლიოს ამცნო, რომ ქართველი მუშები და გლეხები აუჯანყდნენ საქ. მთავრობას და თბილისზე მიეშურებიანო. ასეთი გაუგონარი უსაზიზღრესი სიცრუე მოსკოვის რადიომ კაცობრიობას მოსდო, ამით დამალა ხა მისი ქურდული შემოსევა და დღესაც, როცა დასჭირდებათ, ამას იმეორებენ, თუმცა ყველამ კარგად უწყის, რომ ეს თავიდან ბოლომდე სიყალბეა. წითელი ჯარები საქართველოს უტევდნენ ყოველმხრიდან. ბრძოლები თბილისთან. ბრძოლები მამისონის უღელტეხილზე. ბრძოლები დარიალის ხეობაში, აფხაზეთში. წითელმა რუსეთმა დაიკავა საქართველო და იქ ძალითა და ძალადობით ბოლშევიკური რეჟიმი დაამყარა. ქართველმა ხალხმა მას რამდენიმე აჯანყებით უპასუხა, მაგრამ ყველა აჯანყება სისხლში იყო ჩახრჩობილი.

რას პირდებოდა ოქტომბერი ხალხებსა და მშრომელ მასებს და როგორ იყო განხორციელებული დანაპირები - და კერძოდ, რა მოუტანა მან საქართველოს? ოქტომბერი მიზნად ისახავდა ისეთი საზოგადოების შექმნას, სადაც არ იქნებოდა კლასებად დაყოფა და ადამიანის მიერ ადამიანის შრომის ექსპლოატაცია. სამოცი წლის განმავლობაში აღმოცენდა ახალი სოციალური ურთიერთობა: პარტიული ფენა აბსოლუტური პოლიტიკური ძალაუფლებით აღჭურვილი და მცხოვრებთა დანარჩენი ნაწილი — სრულიად უფლებას მოკლებული.

გამოირკვა, რომ ბოლშევიზმი არ ეკუთვნის ისეთ სოციალ- პოლიტიკურ წყობათა ოჯახს, რომელნიც აღმოცენდებიან ხალხთა ცხოვრების ბუნებრივ საფუძვლებზე და ადამიანის

ბუნებრივ მოთხოვნილებებს ემსახურებიან, რის გამო ხანგრძლივად ცოცხლობენ და საუკუნეებით ძლებენ. საბჭოთა წყობილება უფრო თავმოყრილი მმართველობაა, ვიდრე წარსულ დროთა აბსოლუტიზმი, დესპოტიზმი და ტირანია, სადაც ხალხთა ცხოვრების დიდი ნაწილი სახელმწიფოს ეპყრა ხელში. ბოლშევიკური სახელმწიფო კი მთლიანად დაეპატრონა ხალხთა ცხოვრებას, ყველა მის პოლიტიკურ, ეკონომიურ და კულტურულ სფეროს, ადამიანის ყოველგვარ მოქმედებას და თვით ყოველ სწრაფვასა და ლტოლვას. ამ სახელმწიფოს გიგანტური მანქანის გარეშე არ არსებობს არავითარი ადამიანური საქმე, ყოველივე მას ემორჩილება, ყოველივე ამ მანქანაშია შერეკილი, მის ნაწილად არის გადაქცეული. ბოლშევიკურ სახელმწიფოში არ არსებობს პიროვნება, აქ ასეთი სიტყვა აღარ ჭრის ხმარებაში. მისი ადგილი დაიკავა „საბჭოთა ადამიანის" მცნებამ. ეს არის ადამიანი, სახელმწიფოებრივ მანქანის „პაწია ხრახნი".

ყოველი ცოცხალი არსი საჭიროებს თავისუფლების ერთგვარ რაოდენობას. საბჭოთა სახელმწიფოში მომწყვდეული ორას ორმოცდა ათი მილიონი ცოცხალი ხრახნი მოკლებულია ამ ადამიანური ცხოვრებისათვის აუცილებელ თავისუფლებას. არ არსებობს ცხოვრების არც ერთი კუნჭული, ეს ხრახნი თავის უფლად, თავის ბატონად გრძნობდეს თავს. მას ყოველთვის და ყოველგან სხვები ატრიალებენ, სხვები ამოძრავებენ და სხვები უყრიან ყოველდღ ურ საკვებს ბაგაზე მიბმულ პირუტყვისავით. პოლიტიკური ძალის ეგზომ ინტეგრალური ბატონობა ადამიანზე არასოდეს ხილულა წარსულში, და ეს უსათუოდ არა იმიტომ, რომ სურვილი არავის დაბადებია. ტირანები და დესპოტები ვერ მიდიოდნენ ისე შორს, ვინაიდან ეს ადამიანის ბუნებას ეწინააღმდეგებოდა და მისი განაღდება და ხანგრძლივად შენარჩუნება შეუძლებელი იყო. ბოლშევიზმმა მოახერხა ამის განხორციელება. ამის მიზეზი იყო ერთად თავისმოყრა მთელ რიგ სოციალურ და პოლიტიკური მოვლენებისა და ჩვენი ეპოქის ტექნიკური შესაძლებლობისა. მაგრამ ეს განსაკუთრებული მოვლენები ცვალებადობას განიცდიან , სუსტდებიან ან ქრებიან, ხოლო ადამიანური ცხოვრების ბუნებრივი მოთხოვნილებანი ძალაში რჩებიან და თავისას მოითხოვენ. ამისი ნიშნები საკმარისად შეიმჩნევა დღეს საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე, სადაც მოსახლეობის მიერ სახელმწიფო ქონების განუკითხავ ძარცვა – გლეჯას აქვს ადგილი. ესენი არ არიან კულაკები ან კაპიტალისტები, ესენი საბჭოთა წყობილების ღვიძლი შვილნი არიან.

ოქტომბერი დაპირდა გლეხობას მიწას, მაგრამ მიწას სახელმწიფო დაეპატრონა. საბჭოთა თეორიებისა და სისტემის გზით გლეხს, კერძოდ ქართველ გლეხს, ბოლშევიკებმა წაართვეს შრომის ხალისი და უნარი, ისევე, როგორც წაართვეს სამშობლო და იძულებულსა ხდიან ცოლშვილი „ხალტურითა" და სხვა მისდაგვარი საშუალებებით არჩინონ. ნახევარ საუკუნეზე მეტია, როგორც ქართველი, ისე მთელი საბჭოთა კავშირის გლეხობა პასიურ წინააღმდეგობას ეწევა და მასში ოდნავ არ გამქრალა კერძო საკუთრებისა და კერძო ინიციატივის წყურვილი.

არც მუშის მდგომარეობაა სახარბიელო. მისი პროფკავშირები სახელმწიფო ორგანოებად გადააქციეს, წაართვეს გაფიცვების უფლებები, რომლებიც კაპიტალისტურ ქვეყნებში მუშების ძლევამოსილ იარაღად ითვლება და სადაც გაფიცვები კანონით უზრუნველყოფილია.

დამოუკიდებელ და აღორძინების გზაზე შემდგარ საქართველოს წაერთვა თვითმმართველობის მინიმალური უფლებები და სუვერენობაზე ლაპარაკი ხომ ზედმეტია. საბჭ. კონსტიტუცია ქაღალდზე ჩინებულად გამოიყურება, მაგრამ სინამდვილეში იგი სხვებისათვის არის დაწერილი, საპროპაგანდოდ. ცხოვრებაში კი მოქმედებს დაუწერელი კანონი. ქართველ ერს ოქტომბერმა ახადა პოლიტიკური უფლებები: აკრძალა სიტყვის, წერის, კრების, კრიტიკის თავისუფლება.

დამოუკიდებელ საქართველოში ფართოდ ჰქონდა გზა ხსნილი პრესის თავისუფლებას, კომუნისტურ პრესის ჩათვლით, ვინაიდან დამოუკიდებელი საქართველო წარმოადგენდა მრავალპარტიულ სისტემიან სახელმწიფოს. ქართულმა მწერლობამაც ღაღად გაშალა ფრთები, მაშინ როცა საბჭოთა რეჟიმის პირობებში მწერლობას სახელმწიფო სამსახური დაეკისრა, რაც მეტად საზიანო აღმოჩნდა ქართული მწერლობისათვის. რასაკვირველია, ჩვენ არ ვუარყოფთ ზოგიერთ მეცნიერულ თუ მწერლობის დარგში

მიღწეულ წარმატებებს, მაგრამ აქ რეჟიმი არაფერ შუაშია. ეს ქართველი ერის გამძლეობისა და ცხოველმყოფელობის შედეგია და ის იმაზე მეტყველებს, რომ დამოუკიდებელი და თავისუფალი არსებობის პირობებში, ქართული მეცნიერება და მწერლობა დევური ნაბიჯებით წავიდოდა წინ.

დღეს საქართველოში არსებობს საგარეო საქმეთა სამინისტრო, მაგრამ რა დანიშნულება აკისრია ამ სამინისტროს არავინ უწყის, მაშინ როცა დამოუკიდებელ საქართველოში, საგარეო საქმეთა სამინისტროს ყავდა თავისი წარმომადგენლები, ელჩები სხვადასხვა ქვეყნებში, ისე, როგორც ამ ქვეყნებს საქართველოში, და ამ სამინისტროს საშუალებით საქართველო აწარმოებდა გაცხოველებულ ურთიერთობას, როგორც მის მეზობლებთან ისე მსოფლიოს ნებისმიერ სახელმწიფოებთან. რაღა ბევრი გავაგრძელოთ, თებერვალს ამ სამოცი წლის განმავლობაში სახარბიელო არაფერი მოუტანია ქართველ ხალხისთვის, გარდა ცრემლისა და ოფლისა და ამჟამადაც საბჭოთა საჭეთმპყრობელნი კიდევ უფრო მეტ ცრემლსა და ოფლს მოითხოვენ.

შალვა კალანდაზე

--- --- --- --- ---

3. წერილი შორეთიდან ჩემს სკოლის მეგობარს საქ. დაპყრობის 60 წლისთავზე

თებერვლის შავ-ზაფრიანი, სევდიანი და ნაღვლიანი დღეა. ხეები გამეჩხერებულ-გატიტვლებული, გზები ღამიანი, მდინარეები ტყვიისფერი, მოღუშულად მიმდინარე. ყოველი მცენარე ჯერ კიდევ ყრუალა, ბუნდოვანი, მაგრამ გაზაფხულის ძახილით გამხნევებული, მოუთმენლად ემზადება მის შესახვედრად. აი, საათები ხელშემწყობი ჩაფიქრების *1921* წლის შავი თებერვლის დღეებზე.

57-მა მწარე და ნაღვლიანმა წლებმა განვლო მას შემდეგ, რაც უცხოეთში ვიმყოფები. ჩემი ცხოვრების მიწურულში, მინდა ამ საჯარო წერილში გითხრა, ვით აღსარება, თუ რატომ, რისთვის, რამ გამხადა იძულებული დამეტოვებინა ჩემი საყვარელი და დაუვიწყარი სამშობლო, რომლის გამოღმით დავრჩი ამდენი ხნის განმავლობაში და, რომლისთვისაც ვლოცულობ და ვბორგავ. უცხოეთში ჩემს სვე-ბედს იზიარებს მრავალი ქართველობა. ჩვენ, სულით, გულით, მთელი ჩვენი არსებით, ქართველები დავრჩით და ვიბრძვით ჩვენი ქვეყნისათვის წართმეული უფლებების აღსადგენად. ვცდილობდით არასოდეს სამშობლოს სახელი არ შეგვერცხვინა. პატიოსანი შრომით გვიცხოვრია. არავისთვის არაფერი წაგვირთმევია. და, თუ ვინიცობაა ჩვენი სამარეც უცხო მიწაში გაითხრება, ჩვენ მხოლოდ ღვივილის ძმათა სასაფლაოს სამარხ მიწას, ისიც დროებით, მივითვისებთ, ხოლო სამშობლოს სიყვარუ[illegible], მის ძვირფას ხატებას მუდამ ჩვენს გულში ვატარებთ და თან ჩავიტანთ უცხოეთის მიწის სიცივეში.

შენ თურმე საბჭოთა რეჟიმის დიდი პიროვნება ყოფილხარ, ასულხარ პარტიულ იერარქიის მწვერვალზე და გადმომცეს თურმე გითქვამს,:„თუ რატომ ან რისთვის არ ვბრუნდები სამშობლოში?, რომელმაც მიაღწია განვითარების უმაღლეს წერტილს, სადაც შენდება სოციალიზმი ჩვენი დიადი პარტიის მეთაურობით, რომელმაც მიანიჭა ქართველ ერს უდიდესი ნივთიერი კეთილდღეობა და თავისუფლებაო.“

მაკვირვებს შენი გასაშტერებელი ცრუმარქვია განცხადება! შენ იცი, რომ ისტორიის მიზანია სრულად და სწორად აღადგინოს სინამდვილე და წარმოადგინოს მოვლენები და შემთხვევები ისე, როგორც სინამდვილეში ხდებოდა ისტორიულ დროთა სვლაში. ამას ისიც დავუმატოთ: თუ მართალია ის დებულება, რომელიც გვეუბნება: ისტორია წარსულის შემსწავლელი, აწმყოს გაკვეთილია და მომავლის გამომცნობიო, მაშინ ერთი წუთით თვალი გადავავლოთ ჩვენს ისტორიას. გეტყვი მოკლედ, ერეკლე მეფესთან დადებული ხელშეკრულება დაარღვია რუსეთმა, მოახდინა ჩვენი ქვეყნის ანექსია, ის რუსეთის უბრალო გუბერნიად აქცია. ქართველი ხალხი არასოდეს არ შერიგებია რუსეთის მიერ ჩა-

დენილ ღალატს და მის გულში ატარებდა, 117 წლის განმავლობაში, შეუწყვეტელ გზნებასა და მისწრაფებას იყოს თავისუფალი, ჰქონდეს სუვერენული სახელმწიფო.

და, დადგა ეს დიადი დღეც, აღსრულდა დიდი ილიას ოცნება „ჩვენი თავი ჩვენ უნდა გვეყუდნოდესო." დიახ, 26 მაისს 1918 წლისა იშვა ახალი საქართველო, მთლიანი, დამოუკიდებელი, სუვერენული. რუსეთის 1917 წლის თებერვლის რევოლუციამ საქართველოში მიიღო ნაციონალური რევოლუციის სახე, რაც აუცილებლად ამტკიცებს ქართველი ხალხის დიდ ეროვნულ შეგნებას და, რამაც ჩვენი ქვეყანა იხსნა განსაცდელისგან. ქართველმა ხალხმა გამოიჩინა დიდი პოლიტიკური სიმწიფე, ზომიერება, სიმტკიცე, თვისი ყოველდღიური დაუცხრომელი შრომით და ბრძოლით სამი წლის განმავლობაში ახალშობილ საქართველოს სახელმწიფოს საერთაშორისო აღიარება მოუპოვა. საქ. დამოუკიდებელმა რესპუბლიკამ პირველყოვლისა პრესის თავისუფლება უზრუნველყო ცხოვრებაში და დააკანონა კონსტიტუციონალურად. საქ. მაშინ ოთხი მთავარი პარტია არსებობდა: სოციალ-დემოკრატიული, სოციალ-ფედერალისტების, ნაციონალ-დემოკრატიული და სოციალისტ-რევოლუციონერების პარტიები. ყველა ამ პარტიებს ჰქონდათ ყოველდღიური ბეჭდვითი ორგანოები. სოც. დემოკრატებს: „ერთობა", „სოც. დემოკრატი", „დროშა", „სასოფლო გაზეთი"; სოც. ფედერალისტებს: „სახალხო საქმე", „ხალხის მეგობარი"; ნაც. დემოკრატებს „სამშობლო"; სოც. რევოლუციონერებს „შრომა"; კომუნისტურ პარტიასაც, რომელიც მეტად მცირერიცხოვანი იყო, ისე, რომ დამფუძნებელ კრებაში ვერც ერთი დეპუტატი ვერ გაიყვანა, მასაც ჰქონდა ყოველდღიური გაზეთი „კომუნისტი."

კიდევ მეტი, ყველა საქ. რესპ. ტერიტორიაზე მცხოვრებ ერთა უმცირესობას დამფუძნებელკრებაში ყავდა თავისი წარმომადგენელი და ჰქონდა თავისი ბეჭდვითი ორგანო. მაგალითად სომხებს ჰქონდა ყოველდღიური გაზ. „მშაკ", რუსებს-„ტიფლისკიე ვედომოსტ"-ი და სხვა. ამას გარდა გამოდიოდა „ХЕХილი", „კავკასიონი", „ეშმაკის მათრახი", „ნაკადული", „განათლება" და სხვა. ერთი სიტყვით, პროფ. შალვა ნუცუბიძის სიტყვებით რომ ვთქვათ: „თავისუფალ საქ–ში ბეჭდვითმა სიტყვამ, ეროვნულ და მეცნიერულ კულტურამ ფართოდ გაშალეს ფრთები. დაარსდა უნივერსიტეტი, დაიწერა ოპერები, ითარგმნა უცხო კლასიკური მწერლები, დაიწერა და ითარგმნა პედაგოგიური და მეცნიერული სახელმძღვანელოები, საქართველო გამოვიდა მსოფლიო შარა-გზაზე და შევიდა თავისუფალ ერთა კავშირში, როგორც სრულუფლებიანი სუვერენული სახელმწიფოო."* „მოხდა საყოველთაო არჩევნები, რომელიც არასოდეს არ მომხდარა, დაარსდა საქ. რესპუბლიკა, რაც არას დროს არ ყოფილა, გაერთიანდა მთელი საქართველო, რასაც არ ჰქონია ადგილი თამარ მეფის შემდეგ, საქ. შევიდა საერთაშორისო განწყობილებაში და თვით ცნობილი იქნა, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო. ეს ისტორიაა, ქართველი ერის ისტორიაა და ვინ გაბედავს მის წაშლას ან უარყოფას. ვერავინ!,რადგან ის გამომდინარეობდა ხალხის გულისნადებიდან, თავისუფლების წყურვილიდან, ე.ი. მთელი ერის მოძღვრებაში თავისუფლების მოსაპოვებლადო", დასძენს ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე, აწ განსვენებული გიორგი გვაზავა(იხ. „საქ. და ერ. დემოკრატიული პარტია"). აი, რა ვიყავით რას მივაღწიეთ. ისმება კითხვა: როგორ შეხვდა საბჭოთა რუსეთი ჩვენს დამოუკიდებლობას? „რუსეთი სცნობს საქ. სახელმწიფოს დამოუკიდებლობას და სუვერენობას, იღებს ვალდებულებას თავი დაიკიროს ყოველგვარ შინაურ საქმეებში ჩარევისაგან." რუსეთს 1920 წლის 14 ნოემბრის ხელშეკრულებით მიენიჭა უფლება ისარგებლოს ნავთის საადენებით და რეზერვუარებით. ერთი სიტყვით, ორ სრულუფლებიან სახელმწიფოთა შორის დამყარდა სრული, ნორმალური ურთიერთობა. ეს ისტორიაა. არ უნდა გვეშინოდეს სიმართლის თქმისა. თქვენ არ ცნობთ და ეწინააღმდეგებით ფაქტებს, როდესაც ამბობთ „საქ. მოხდა ბოლშევიკური გადატრიალება, საქ. გასაბჭოდა თავის ნება-სურვილითო."

---

* იხ. შ. ნუცუბიძის სტყვა წარმოთქმული დამფუძნებელ კრებაში, 1919 წ. 19 აპრილს.

თქვენ არ გინდათ დაინახოთ სინამდვილე, არ გსურთ დაეყრდნოთ ფაქტებს, რადგან ეს ფაქტები არ ღაგდებიან თქვენი სურვილისამებრ, და იწყებთ ჯავრობას და ღანძღვას, რაც თქვენ არგუმენტაცია გგონიათ. ჩვენ თქვენ ვერ მიგბაძავთ და გეტყვით, რომ საქართველოს მუხანათურად თავს დაესხა რუსეთი ბოლშევიკების მეთაურობით და ცხარე ბრძოლების შემდეგ ჩვენ დაგვიპყრეს და დააწესეს რუსული საოკუპაციო რეჟიმი. მართალია ეს დებულება? ამის შესახებ მოვისმინოთ საქართველოს უღირსი შვილი, საქ–ს „რევკომის" პირველი თავმჯდომარე ფილიპე მახარაძე(სრული ტექსტი იხ. მე-8 გვერდზე): „საქ–ში შემოსვლამ და საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადებამ მიიღო გარედან მოხდენილ დაპყრობის ხასიათი. საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადების დროს არ აღმოჩნდა არც ერთი პარტიის უჯრედი, არც ერთი პარტიის წევრი, რომ უფლებრივი ორგანო შეედგინაო" და სხვა. სამი ინტერნაციონალის აღმასრულებელ კომიტეტების წარმომადგენლების კონფერენციაზე, ბერლინში, 1921 წელს რადეკმა აღიარა „საქ. ოკუპაცია ნავთის გზების უზრუნველყოფის მიზნით მოხდაო", ხოლო, ტროცკი მეორე ინტერნაციონალის კონგრესზე იძულებული გახდა ეღიარებინა,რომ საქა–ს მართლაც თავს დაესხნენ რუსეთის წითელი ჯარები. „ქართველები იბრძვიან თავგანწირულად, გვიწევენ დიდ წინააღმდეგობას", მიმართავს საბჭოთა მთავრობას კავკასიის მე-11 არმიის სარდალი ჰეკერი, და თხოულობს საჩქაროდ მოაშველონ დამხმარე ძალები „თუ გსურთ სისხლისმღვრელ ომს ბოლო მოეღოსო".
გეკითხები: ესაა გადატრიალება?. ქართველი ხალხის ნება-სურვილით გასაბჭოება?
ეხლა ვიკითხოთ რა მოუტანეთ ქართველ ხალხს? თქვენი წყობილება არაა, არც სოციალისტური, არც ფედერატიული, არც რესპუბლიკური, არამედ მხოლოდ და მხოლოდ ტირანული, შეპყრობილი, როგორც ძველად მეფის დროს, ერთი აკვიატებული, მითიური აზრით–მტაცებლური იმპერიალისტური ექსპანსიის.

თქვენ ჩაკეტეთ ხალხი და არწმუნებთ მას, რომ მხოლოდ და მხოლოდ საბჭ. რუსეთშია დამყარებული სამართლიანობა. სინამდვილეში კი ძველებურად ისევ ერთი მუჭა მმართველები განცხრომით ცხოვრობთ, ხალხი კი გათანასწორებულია სიღატაკეში. თქვენ განმარტოებული ხართ ხალხიდან და თქვენ ჩააყენეთ ხალხი მონურ მორჩილებაში. თქვენ სიკეთისა და თავისუფლების წინააღმდეგი ხართ და ქედს იხრით მხოლოდ სიმკაცრისა და ძალის წინაშე. იმისათვის, რომ თქვენში იცხოვრო საკმარისი არაა დამალო შენი აზრები, უნდა თვალთმაქცობდე კიდეცა. პირველი აუცილებელია, მეორე საჭირო და სასარგებლო. თქვენ გაიძახით:„ჩვენ დავამყარეთ ამიერკავკასიაში ნაციონალური მშვიდობიანობაო", სინამდვილეში კი დაამყარეთ სამარისებური სიჩუმე, ხალხის გაჟლეტით, ციხით, კატორღით და დამონებით. მოსკოვის გეგმებია რუსულ ცომში აზილოს ყველა ერები და გამოაცხოს ახალი, რუსული ყაიდის, საბჭოთა ადამიანი უფროსი „ძმის" რუსული ენით, კულტურით, ზნე-ჩვეულებით და ადათით.

დასასრულს გეკითხები: ესაა „ქართველი ხალხის ბედნიერების ნიშანსვეტი?" ჩვენ წაგვართვეს თავისუფლება, მეობა, სიდიადე, და ეს უნდა იდღესასწაულოს ქართველმა ხალხმა? სად ან რომელ ქვეყანაში ღღესასწაულობს ერი თავის დაპყრობას? არა, თებერვალი, რომელიც ჩვენს ისტორიაში შევიდა შავი თებერვლის სახელით არის, სინამდვილეში, ეროვნული გლოვის ნიშანსვეტი– ქართველო კაცო არ დაივიწყო ეს შენ!

აი, რისთვის გავხდით ჩვენ ემიგრანტები. ჩვენსა და თქვენს შორის ხიდი ჩატეხილია, ჩვენსა და თქვენს შორის ჯალათთა მიერ განაწამები სიკვდილით დაღუპული ქართველ პატრიოტთა ლეგიონებია, რადგან საქართველო კვლავ დაპყრობილია, ამიტომ ვრჩებით შეურიგებელი.

ამ წერილის შემდეგ შენ მე უდიდეს რასისტად მომნათლავ, ვიცი თუ როგორ ხარ გატაცებული რუსეთით. აქაც გეტყვი სრულიადგულახდილად ჩემს აზრს. თავისთავად ცხადია ქართველი ხალხი არაა რუსების მტერი, ის მხოლოდ თავის არსებობას იცავს რუსების მძლავრობისაგან. რუსები თვითონ იტანჯებიან საბჭოთა ტირანიით. როცა ისინი ამ ტირანიისგან განთავისუფლდებიან მაშინ, თუ ისინი თავიანთ ბატონობაზე ხელს აიღებენ საქართველოს მიმართ, მოლაპარაკებით,თანასწორობის ნიადაგზე, ყველა უთახ-

მოება ადვილად ამოიწურება. მაშინ ქართველებს შეეძლებათ ნამდვილი მეგობრობა გაუწიონ რუსებს.

მწამს და მჯერა: ქართველი ერი დაკარგულ სუვერენობას მოიპოვებს და წართმეულ უფლებებს დაიბრუნებს. ამ იმედით და რწმენით გეთხოვები, უკვე ხანდაზმული ვემზადები დიდი მოგზაურობისათვის. ვამაყობდი, რომ ვიყავი სრულუფლებიანი მოქალაქე პატარა სასიქადულო სუვერენული სახელმწიფოსი. თებერვალმა ყველაფერი ეს მომტაცა, მაგრამ თანწამყვება იმედი, რომ დამარცხების თებერვალი გამარჯვების მაისით შეიცვლება, ქართველი ხალხის თავისუფლება და თვითხელმწიფება ისევ აღსდგება.

ლევან ფაღავა

--- --- --- ---

4. ცრუობა, ორპირობა, ძალმომრეობა

„სიცრუე და ორპირობა ავნებს ხორცსა მერმე სულსა", ბრძანებს შოთა რუსთაველი. ბოლშევიკ-კომუნისტებს სიტყვით გაღმერთებულიჰყავთ ჩვენი ერის ეს უდიდესი პოეტი და მოაზროვნე, მაგრამ საქმით მისი შეგონებების სრულიად საწინააღმდეგოდ მოქმედებენ. აქვე უნდა ითქვას: საბჭოთა ხელისუფალთა სიტყვათა და საქმეთა შორის მუდამ იდვა და ძევს უფსკრული, იგივე შოთას სიტყვებით რომ ვთქვათ: „დიდი ზღვარი." ამ ვაუბატონებმა, სიცრუე და ორპირობა გაიხადეს სახელმწიფოს მართვის მთავარ პრინციპებად, მათ მიუსადაგეს ძალმომრეობა და, აგერ 63 წელიწადია, რაც ისინი ბატონობენ რუსეთში და, რაც დრო გადის, თანდათან აფართოებენ თავიათ საბრძანებელს. ჯერ-ჯერობით თითქოს კიდევაც გაუმართლდათ: მათი დაპყრობითი მიღწევები შთამბეჭდავი და ჩამაფიქრებელია. კრემლის ხაზეინთა საბრძანებელი შეუდარებლად დიდათ გასცდა მეფის რუსეთისას. დღეს რუსები ბატონობენ არა მხოლოდ აღმოსავლეთ ევროპაზე ბერლინამდე, არამედ აგრეთვე ახლო და შორეულ აზიაშიც, აფრიკის და ცენტრალურ ამერიკის რიგ ქვეყნებშიც და თუ იმ ძალებსაც გავითვალისწინებთ, რომლებიც კრემლის კარნახით და გეგმებით მოქმედებენ საბჭოებისადმი უშუალოდ დაუქვემდებარებელ მსოფლიოში,

მაშინ ცხადად წარმოგვიდგება ის რეალური საშიშროება, რომელსაც წარმოადგენს საბჭოთა ხელისუფლება თავისუფლებისმოყვარულ ადამის მოდგმისათვის.

მე დარწმუნებული ვარ, რომ საბოლოოდ მაინც შოთას სიბრძნე „ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია" უნდა გამართლდეს. საბჭოთა რეჟიმის ბოროტება უნდა დამარცხდეს, ხალხთა თავისუფლების კეთილობამ უნდა გაიმარჯვოს, და ეს არა იმიტომ, რომ მე ასე მინდა და ასე შევნატრი მას, არამედ იმისთვის, რომ ასეთია კაცობრიობის დიდი უმრავლესობის ნება-სურვილი, ამას მოითხოვს დღევანდელი ადამიანის დაუოკებელი ლტოლვა თავისუფლებისა და თანასწორობისაკენ, დაბოლოს, ამას მოითხოვს საზოგადოების განვითარების კანონზომიერებაც.

მიუხედავად იმისა, რომ კომუნისტებს სწამთ ვითომც ისინი პროგრესს ემსახურებიან და თითქოს ამ პროგრესის გზაზე წინ მიუძღვიან კაცობრიობას, ისინი, პირიქით, ბორკავენ, აფერხებენ, უკან ექაჩებიან საზოგადოების ბუნებრივ განვითარებას და, ამიტომ ისინი განწირული არიან დამარცხებისათვის.

ჩვენი სამშობლოს განთავისუფლებაც მე მესახება ამ გარდაუვალ ისტორიულ პერსპექტივაში.

ბოლშევიკები სანამ თვითმპყრობელობას ებრძოდნენ, სამართლიანად წერდნენ და ქადაგებდნენ: „რუსეთის იმპერია ხალხთა საპყრობილეა და ის უნდა დაემხოსო." მათ მიერ ძალაუფლების ხელში ჩაგდებისთანავე, 1917 წლის 15 ნოემბერს, რუსეთის სახალხო კომისართა საბჭომ გამოსცა „დეკლარაცია რუსეთის ხალხთა უფლებებზე", რომელსაც ხელს აწერდა თავმჯდომარე ვ.ი. ლენინი და ეროვნებათა საქმეების სახალხო კომისარი ი.ბ. სტალინი. ამ დეკლარაციაში ნათქვამი იყო: „საბჭოების ყრილობამ ა.წ.(1917) ივნისში გამოაცხადა რუსეთის ხალხთა უფლება თვითგამორკვევისა. ამავე წლის ოქტომ-

ბერში, საბჭოთა მეორე ყრილობამ დააადასტურა ეს განუყოფელი უფლება რუსეთის ხალხებისა უფრო მტკიცედ და გარკვეულად. ასრულებს რა ამ ყრილობათა ნებას, სახალხო კომისართა საბჭომ გადაწყვიტა თავის მოქმედებას რუსეთის ეროვნებათა საკითხში საფუძვლად დაუდვას შემდეგი საწყისები:

1. თანასწორობა და უზენაესობა რუსეთის ხალხთა.

2. უფლება რუსეთის ხალხთა თავისუფალი თვითგამორკვევისა, თვითგამოყოფისაც და დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნისაც.

3. მოსპობა ყველა და ყველანაირი ნაციონალური თუ ნაციონალურ-რელიგიური პრივილეგიებისა და შევიწროებებისა.

4. თავისუფალი განვითარება ნაციონალურ უმცირესობათა და ეთნოგრაფიულ ჯგუფთა, რომლებიც დასახლებული არიან რუსეთის ტერიტორიაზე...“

ყველა ეს კეთილშობილი მეტყველება დარჩა უქმად და საბჭოების სირცხვილად. არც ლენინს, არც მის მემკვიდრეებს მათით არ უსარგებლიათ, არ უხელმძღვანელებიათ.

ისარგებლეს რა რუსეთის სახელმწიფოს მოშლილობით, ყოფილი რუსეთის იმპერიის ერებს ლენინის საბჭოებისთვის არ უკითხავთ ისე შეუდგნენ თავ-თავიანთ დამოუკიდებელი ეროვნული ცხოვრების მოწყობას.

სანამ რუსეთში სამოქალაქო ომი მძვინვარებდა და საბჭოების არსებობა საფრთხეში იყო, მანამ ლენინის მთავრობა არარუს ხალხთა თანაგრძნობებს იხვეჭდა ზემოდ მოტანილ განცხადებებით, მაგრამ როგორც კი ბოლშევიკებმა რუსეთის შიგნით გაიმარჯვეს, მაშინვე, დაუყოვნებლივ, წითელმა არმიამ გააგრძელა ლაშქრობა და ერთიმეორეზე მიყოლებით დაიპყრო ყველა ყოფილ რუსეთში ჩამწყდეული ერები, რომლებსაც ცოტა ხნის წინად თავისუფლებას და ყოველ სიკეთეს ჰპირდებოდა.

1920 წლის ზაფხულისთვის საბჭოთა რუსეთის ჯარების მიერ გასაბჭოებას გადაურჩნენ: პოლონეთი, რომელსაც ზურგს უმაგრებდა საფრანგეთი, და, რომლის დამცველმა მხედრობამაც კბილები ჩაუმტვრია და უკუაგდო თავის საზღვრებიდან საბჭოთა ჯარები, ფინლიანდია, რომელსაც გერმანია ეხმარებოდა, და ბალტიის სამი რესპუბლიკა, რომელთაც ინგლისი მფარველობდა(ორი ათეული წლის შემდეგ, როგორც კი დრო იხელთა, სტალინის რუსეთმა ბოლო მოუღო ამ რესპუბლიკების დამოუკიდებელ არსებობას). კავკასიაში იმ დროს ერთადერთი საქ. წინ აღუდგა მის საზღვრებში შემოჭრილ წითელ არმიას და ყოველგვარ საგარეო დახმარებას მოკლებულმა ქართულმა ლაშქარმა დაამარცხა და უკუაგდო აზერბაიჯანში და იქ მას საბოლოო განადგურებით ემუქრებოდა, მაგრამ საქ–ს მთავრობამ საომარი მოქმედების შეჩერება ბრძანა, რადგანაც იმ დროს ლენინის მთავრობამ საქ–ს დამოუკიდებლობა იცნო და, *1920* წ. *7* მაისს ხელი მოაწერა საქართველოსთან სამეგობრო ხელშეკრულებას, რომლის პირველი ორი მუხლი ამბობდა:

1. გამოდის რა ხალხთა თვითგამორკვევის უფლებიდან, რომელიც რუსეთის ფედერატიულმა საბჭოთა რესპუბლიკამ გამოაცხადა, რომ ყველა ხალხს აქვს უფლება თავის ნებაზე განაგოს თავისი ბედი, თვით იმ სახელმწიფოდან სრულ გამოყოფამდე, რომელსაც ის ეკუთვნის, რუსეთი ცნობს ურეზერვოდ საქ–ს სახელმწიფოს დამოუკიდებლობას და სუვერენობას და ნებაყოფლობით უარს ამბობს ყველა იმ უფლებებზე, რომლებიც რუსეთს ჰქონდა ქართველი ხალხისა და ქართული მიწა-წყლის მიმართ.“

2. „ამ ხელშეკრულების პირველ მუხლში გამოცხადებულ პრინციპებიდან გამომდინარე, რუსეთი ვალდებულებას ღებულობს ხელი აიღოს ყოველგვარ ჩარევისაგან საქ–ს შინაურ საქმეებში.“

ამ ხელშეკრულობის წყალობით ამიერკავკასიაში მყოფი წითელი ჯარის ნაწილები სამარცხვინო კაპიტულაციას გადაურჩნენ, ქართველმა ბოლშევიკებმა ლეგალური არსებობის უფლება მიიღეს, რაც შეეხება ზემოდ მოტანილ ვალდებულებებს,

მათ შესრულებაზე კომუნისტებს არც უფიქრიათ. მზადება საქართველოს დაპყრობისათვის შეუჩერებლად გრძელდებოდა. სექტემბერში საქ–ს მთავრობამ უკვე იცოდა, არა მხოლოდ განზრახვა საბჭოთა რუსეთის ჯარების მოსალოდნელი თავდასხმის შესახებ, არამედ, აგრეთვე, ამ თავდასხმის გეგმებიც. ნოე ჟორდანია, თავის მოგონებებში „ჩემი წარსული", ამის შესახებ წერს: „ენკენისთვეში(*1920* წ.) დავბრუნდი თბილისში. ბაქოდან მომივიდა ცუდი ინფორმაცია. ბოლშევიკური წყაროებიდან გვატყობინებდნენ, რომ მოსკოვი ისევ ემზადება საქ–ს დასაპყრობადო." იქვე აგრძელებს, „ბაქოდან ცნობების მოსვლა გრძელდებოდა, იქ ჩვენი წარმომადგენელი იყო გაბო ხუნდაძე, ყავდა მეგობრები ძველ ბოლშევიკებს შორის; ამათში, ალბათ, ბევრი არ თანაუგრძნობდა საქ–ს დაქცევას და აწვდიდნენ ცნობებს გაბოს. ერთ დღეს ის თვითონ ჩამოვიდა მოულოდნელად და დაწვრილებით გვიამბო. აშკარა იყო მოსკოვის განზრახვა." იქვე: „ჩვენის ცნობით შემოტევა უნდა დაიწყოთ დეკემბერში." და ბოლოს: „...გვქონდა ცნობა, რომ პირველი შემოტევა დაიწყება ბორჩალოს საზღვრებთან და მას გამოაცხადებენ აჯანყებად; ამნაირათ, მთელ ომს მოსკოვი ევროპაში გამოიტანს შინაურ ამბოხებად და მით ხელს დაიბანს."

ეს ცნობები გამოდგა სრული ჭეშმარიტება და სწორედ ასე გათამაშდება საქ–ს „გასაბჭოება" *1921* წლის თებერვალში.

ბოლშევიკების მიერ საქ–ში შემოკრისათვის მზადების შესახებ ეკვმიუტანელ ცნობებს ვგებულობთ, კავკასიაში მომქმედ საბჭ. რუსეთის მე-*11* არმიის სარდლის, გენერალ ჰეკერის წერილიდან, კავკასიის რევოლუციური საბჭოს თავმჯდომარე, სერგო ორჯონიკიძისადმი (სრული ტექსტი ამ წერილის იხ. აქვე მე-*6* გვერდზე.) ამ წერილობით მოხსენებიდან სხვათაშორის ისიც გამომდინარეობს, რომ საქ–ზე შემოტევა თავიდან განზრახული ჰქონდათ *1920* წლის დეკემბრის დამდეგისთვის „მაგრამ პოლიტიკურმა ამბებმა, რომლებსაც თქვენ კარგად იცნობთ, წერს გენერალი ჰეკერი, შეუძლებელი გახადა ამ გეგმის შესრულება. დამხმარე ძალები ჩემი არმიისთვის მოდიოდნენ უფრო დაგვიანებით, ვიდრე ეს ნაგულისხმევი იყო."

როგორც ნოე ჟორდანიას იგივე „ჩემი წარსული"-დან ჩანს, საქ–ს მთავრობა შეუდგა მზადებას მტრის მოსალოდნელ თავდასხმის მოსაგერიებლად. *11* ნოემბერს საქ–ს მთავრობამ შექმნა „თავდაცვის საბჭო", მაგრამ როგორც ჩანს იგი ვერ აღმოჩნდა თავისი უდიდესი მისიის სიმაღლეზე, რადგანაც, როცა *1921* წლის *11* თებერვლის ღამით, მთავრობისათვის და მაშასადამე სამხედრო შტაბისთვისაც უკვე ცნობილი გეგმების მიხედვით, საბჭოთა ჯარები შემოიჭრნენ სომხეთიდან ბორჩალოში და იქ მცხოვრები ზოგიერთი სომეხიც ააჯანყეს, ეს სრულიად მოულოდნელი გამოდგა იქ მდგომ ქართულ ღაშქრისათვის. აი, თვით პრეზიდენტის მწარე სიტყვები ამის შესახებ: „...გარეკეს ჩვენი ჯარი, დაატყვევეს ბევრი–ერთი სიტყვით ცნობილი სამარცხვინო დამარცხება." სანამ რუსებმა აზერბაიჯანიდანაც არ შემოუტიეს, საქ–ს მხედრობის მთავარი შტაბი ვერ გაერკვა რა ხდებოდა: ვისი ჯარები შემოიჭრნენ? საბჭოთა რუსეთის თუ სომხეთის?

ამ პირველმა მარცხმა, იქნებ ომის საბოლოო ბედი არ გადაწყვიტა, მაგრამ საქართველოს დამარცხება უეჭველად დააჩქარა. გასული წლის მარტში, „თავისუფლების ტრიბუნამ" წერილში "დამარცხება მართლა იყო აუცილებელი?", რუსეთის მაშინდელ შინაურ და საგარეო მდგომარეობიდან გამომდინარე, უპასუხა, რომ არა არ იყო აუცილებელი. ეს დასკვნა საფუძვლიანად მიგვაჩნია. მხოლოდ, დღევანდელი წერილის მიზანი არ არის მიანიშნოს ამ მარცხის პასუხისმგებლები. ერთი უდავოა: ქართველ ხალხს ამაში ბრალი არ მიუძღვის, მან გამოიჩინა ერთგულება და შემჭიდროება მის მთავრობის მიმართ და დიდი პატრიოტიზმი სამშობლოს მიმართ.

ამ პირველი მარცხის ასახსნელად, ჩვენ ვფიქრობთ, რომ მიუხედავად დროზე მიღებულ გაფრთხილებისა, საქ–ს პოლიტიკური და სამხედრო ხელმძღვანელო-

ბა მაინც არ ფიქრობდა, რომ მოსკოვის ჯარები ყოველგვარი მიზეზის გარეშე და ომის გამოუცხადებლად, ასე მუხანათურად თავს დაესხმოდა საქართველოს.

ლენინმა კი, რომელზედაც ზოგიერთი ქართველი კომუნისტი დღესაც ისე ლოცულობს, როგორც ახალ მესიაზე, *1921* წლის *28* თებერვალს, ასეთი საჯარო განცხადება გააკეთა: „სომხეთის და საქართველოს შეტაკებას არ შეეძლო ჩვენი აღელვება არ გამოეწვია და ეს მოვლენები იქამდე მივიდნენ, რომ სომეხ-ქართველთა ომი გადავიდა აჯანყებაში, რომელშიც მონაწილეობა მიიღო რუსული ჯარის ზოგიერთმა ნაწილებმა“-ო. „ჩვენ ვიცით, აგრძელებს ლენინი, რომ აჯანყება დაიწყო იმ ნეიტრალურ ზონაში, რომელიც ძევს საქართველოსა და სომხეთს შორის და, რომელიც საქ–მ დაიკავა ანტანტის იმპერიალისტების ნებართვით. სომხების გლეხობამ თებერვლის დასაწყისში საშინელი აჯანყება დაიწყო, რომელიც გასაოცარი სისწრაფით გავრცელდა და მოედო არა მარტო სომხების მოსახლეობას, არამედ ქართულ მოსახლეობასაც“-ო. „დიდი“ ლენინის ეს დიდი ტყუილი მას შემდეგ ხელზე აქვთ დახვეული საბჭოთა რუსეთის მთავრობას და მის მსახურ-ლაქიებს საქართველოში. ცვლილება მხოლოდ იმაშია, რომ, გასაგები მოსაზრებებით, დღეს სომხების აჯანყებაზე აღარ ლაპარაკობენ, არამედ ვითომც საქ–ს „გასაბჭოება“ თვით ქართველმა ხალხმა მოახდინა, ქართველი მუშები და გლეხები აუჯანყდნენ მის მენშევიკურ მთავრობას, შექმნეს რევოლუციური კომიტეტი, რომელმაც დახმარება სთხოვა რუსეთის საბჭოთა მთავრობას. ამ უკანასკნელმა, შეასრულა რა თავისი ინტერნაციონალური მოვალეობა, გამოაგზავნა წითელი არმია აჯანყებულ მუშებისა და გლეხების დასახმარებლად. სოციალისტურმა რევოლუციამ მოიპოვა გამარჯვებაო. ამას წერენ და ქადაგებენ არა მარტო მათგან დამონებულ საბჭოთა საქართველოში, არამედ მათ შუბლის ძარღვი ისე აქვთ გაწყვეტილი და ისე გათავხედებული არიან, რომ ჩვენს შვილებსაც კი უგზავნიან აქ საფრანგეთში, ალბათ სხვაგანაც უცხოეთში ამგვარად დაწერილ „საქართველოს ისტორიას.“(იხილეთ ბატონ ოთარ გიგინეიშვილის მიერ საფრანგეთში ჩამოტანილი და დარიგებული წიგნაკები ფრანგულ ენაზე:„*un peu d'Histoire de la Georgie*“)

როგორ დაიპყრეს საქართველო?

საქართველოს გასაბჭოება, რომ მის საზღვრებს გარედ მზადდებოდა ამის ჯელაზე ეჭვმიუტანელი მოწმობაა, როგორც ზევით უკვე ითქვა, გენერალ ჰეკერის საიდუმლო მოხსენება „კავკასიის რევ. საბჭოსადმი“, ხოლო საქ–ში, რომ, არც თავდასხმის წინ და არც მთელი ომის განმავლობაში, ქართველი ხალხის აჯანყებას ადგილი არ ჰქონებია, ამას თვით ფილიპე მახარაძე აღიარებს თავის საიდუმლო წერილში, მიწერილი რუსეთის კ.პ.ც. კომიტეტისადმი.(იხ. სრული ტექსტი მე-*8* გვერდზე.) ამ წერილში, ავტორი, სხვათაშორის ამბობს: „საქ–ს გასაბჭოება გადაიქცა დაპყრობად, რადგან იქ იმ დროს არავითარი ბოლშევიკური იარჩეიკა არ არსებობდა, თვით პარტიის არც ერთი წევრი, რომელსაც ცოდნოდა წითელი არმიის შეტევა და ამ შეტევის მიზანიო.“ იქვე აზუსტებს: „საქ–ში წითელი ჯარის შესვლამ და საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადებამ მიიღო აშკარა გარედან დაპყრობის ხასიათი, ვინაიდან შიგნით ამ დროს არავინ არც კი ფიქრობდა აჯანყების მოწყობაზე.“ ქართველი ბოლშევიკების პაპს და საქ–ს „რევ. კომიტეტის“ პირველ თავმჯდომარეს აქვს პირადი, და არა სიმართლის სიყვარულის, მოტივები ობიექტიურად შეაფასოს საქ–ს „გასაბჭოება“. ის აბათილებს ლენინის და მისი მემკვიდრეების ჭორებს, ამიტომ ეს წერილი განწირული იყო კ.პ.ც. კომიტეტის ცხრაკლიტურ არქივისათვის. იქნებ დღეს აღარც კი არსებობდეს. კომუნისტებისაგან ასეთი რამ არ არის გასაკვირველი.

ერთი სიტყვით, საბჭოთა ოფიციალური ვერსია, ვითომც ქართველი

მუშების და გლეხების აჯანყების შედეგად მომხდარიყოს საქ. გასაბჭოება, რომელსაც ინტერნაციონალური, კლასობრივი დახმარება გაუწია რუსულმა წითელმა არმიამ, მოკლებულია ყოველგვარ სიმართლეს და ის მოგონილია, რათა დამაღლოს საბჭოთა მთავრობის იმპერიალისტური აგრესია დამოუკიდებელ, სუვერენ საქ-ს სახელმწიფოს მიმართ.

რაც შეეხება რუსეთ-საქართველოს ომს, რომელიც 35 დღის განმავლობაში გრძელდებოდა, ამის შესახებ არსებობს უმრავი დოკუმენტური მასალები, რომელთაგან ზოგიერთს აქვე ვბეჭდავთ, და საბედნიეროდ ჯერ კიდევ ცოცხალია ბევრი მონაწილე, ზოგიერთი მათგანის მოგონებებსაც აქვე მოკლედ ვბეჭდავთ. ყველა წყაროების გათვალისწინებით ომის მსვლელობა სულ მოკლედ შემდეგნაირად წარმოგვიდგება:

11 თებერვალს ღამით მტრის ჯარები თავს დაესხა საქართველოს სომხეთის მხრიდან, ბორჩალოს რაიონში. მტერს მიემხრო ადგილობრივ მცხოვრები ზოგიერთი სომეხი და რუსი გლეხი, ნაწილი კი დარჩა ერთგული საქართველოსი. აქ საზღვარზე მდგარმა ჯარმა, რომელიც დანაწილებული იყო და გაფანტული, დროზე ვერ შეამჩნია მტრის მოახლოება. მოულოდნელად ორ ცეცხლშორის აღმოჩენილი, ნაწილი ტყვედ ჩავარდა, ნაწილმა მძიმე ბრძოლებით დაიხია, ნაწილმა კი ჯგუფ-ჯგუფად შემდეგ გამოაღწია მტრის მიერ დაკავებულ ტერიტორიიდან. მიუხედავად პირველი სერიოზული მარცხისა ქართული ღაშქარი სერიოზულ წინააღმდეგობას უწევს მტერს, რომელიც გააფთრებით უტევს, 12-13-14 თებერვალს წარმოებულ ბრძოლების დროს სოფლები ხშირად გადადიან ხელიდან ხელში.

15 თებერვალს რუსებმა გახსნეს ახალი ფრონტები. აზერბაიჯანიდან საზღვრები გადმოლახა მე-11 წითელმა არმიამ, გაძლიერებულმა კავალერიის ორი დივიზიით, ჩრდილოკავკასიიდან, დარიალის ხეობით, მამისონის უღელტეხილით და შავი ზღვის სანაპიროთი, სოჩის მიმართულებით, მე-8, მე-9, და მე-13 არმიების ნაწილები. ცხადია: ამ დროსთვის მოსკოვმა გადაწყვიტა რაც შეიძლება სწრაფად მოუღოს ბოლო საქ-ს წინააღმდეგობას. ჩრდილოეთისა და დასავლეთით რუსები ვერ ახერხებენ წინ წამოწევას, სამხრეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით ძლიერი ბრძოლების შემდეგ, მთავარსარდლობის ბრძანებით ქართული ჯარები იხევენ თბილისისაკენ.

17-ში ინიშნება საქ-ს მხედრობის ახალი მთავარსარდალი, გენერალი გიორგი კვინიტაძე. 18-ში, ღამით ქართულმა ღაშქარმა პირველი დიდი გამარჯვება მოიპოვა: გენერალ მაზნიაშვილის სარდლობით, ქართველებმა გაანადგურეს იაღლუჯის სანახებში შემოჭრილი მტერი, დავლად რჩება 1600 რუსი ჯარისკაცი და დიდძალი სამხედრო იარაღი და ტყვია-წამალი. ამის შემდეგ, რუსები იერიშზე გადმოდიან კოჯორ-ტაბახმელას მიმართულებით. პირველი მძლავრი შემოტევით მათ კიდევაც აიღეს კოჯორი, გვერდით მოექცნენ გენერალ ანდრონიკაშვილის შტაბს და თბილისისაკენ დაეშვნენ, მაგრამ აქ თავი ისახელეს სამხედრო სკოლის ასეულებმა, ხელჩართული კონტრ-იერიშებით მტერი კოჯორს მიაჭყლიტეს, მაშველი ძალების მოსვლის შემდეგ კოჯორი უკან დაიბრუნეს, დამარცხებული მტერი ქოროღლის ციხის, სოფელ კუმისის, ვაშლოვანის და ერთვისის პოზიციებზე გადაყარეს. ქართველებმა აქ ხელთ ჩაიგდეს ტყვეები, ოთხი ზარბაზანი, ყუმბარებით და ვაზნებით დატვირთული ჯავშნიანი ავტომობილი და სხვა.

17-დან 24 თებერვლამდე სასტიკი ბრძოლებია თბილისის კარიბჭეებთან. რუსები გააფთრებით უტევენ ხან ერთ, ხან მეორე საბრძოლო უბანს,

ებებენ სუსტად დაცულ ადგილს, რათა გასტეხონ დამცველთა წინააღმდეგობა და შეიჭრენ დედაქალაქში. ქართული ლაშქარი მტკიცედ იცავს ყოველ მტკაველ მიწას, ბრძოლის ყოველ უბანზე მტერს დიდ ზარალს აყენებს და მათ შემოტევებს აქარწყლებს. ფრონტების სარდლები ელიან დამხმარე ძალებს, მუდმივი ბრძოლებისაგან დაღლილ და მცირერიცხოვან ძალების გასაძლიერებლად, ელიან მთავარსარდლის ბრძანებას იერიშზე გადასასვლელად, რათა საბოლოოდ გაანადგურონ თბილისთან მებრძოლი მტრის ჯარები, ამის მაგივრად, 24 თებერვლის ღამით, ისინი ღებულობენ მთავარსარდლის ბრძანებას, რომ უკან დაიხიონ მცხეთისაკენ.

ეს იყო საბედისწერო გადაწყვეტილება. მის მაზანშეწონილობაზე კამათი დღემდე გრძელდება. ამ წერილის მიზანს არ შეადგენს ამ კამათში ჩაერიოთ. ვიტყვით მხოლოდ, რომ გენერალ კვინიტაძეს ჰქონდა სერიოზული მოტივები ასეთი გადაწყვეტილების მისაღებად: მიუხედავად წარმატებებისა დედაქალაქის დამცველები დაღლილ-დაქანცული იყვნენ მოწინავე ხაზზე გამუდმებული ბრძოლებით, ცუდად იყვნენ შეიარაღებული და მეტისმეტად მცირერიცხოვანი იყვნენ ,იმ ვრცელი ფრონტისთვის, რომელსაც ისინი იცავდნენ. მიღებული დამარცხებების მიუხედავად მტერი ძლიერი იყო, მას ახალ-ახალი ძალები მოჰყავდა ბრძოლის ველზე, მარტო მე-11 არმია ითვლიდა 35 000 ხიშტსა და ხმალს. მტერს დიდ უპირატესობას ანიჭებდა კავალერია და განსაკუთრებით ტანკები, რომლებიც სრულიად ახალი გამოჩენილი იყვნენ ბრძოლის ველზე. მთავარსარდლის გადაწყვეტილება დააჩქარა ცნობამ, რომ თბილისს გარს უვლიდა რუსების კავალერიის ორი დივიზია და, რომ მათი მოწინავე ნაწილები უკვე გამოჩნდნენ ავჭალის რკინიგზის სადგურთან. თუ მტერი ამ სადგურის დაკავებასაც შეძლებდა, ქართული ლაშქარი მაშინ ექცეოდა სრულ გარემოცვაში და მას უკან დასახევი გზა აღარ ექნებოდა. მაშინ, როცა, თუ ამ ხელსაყრელი მდგომარეობით ისარგებლებდა, როცა მტერი ძლიერ დაწოლას არ აწრმოებდა ფრონტებზე, თბილისის ქვაბში მყოფ ჯარებს უვნებლად გაიყვანდა და ახალ პოზიციაზე გამაგრდებოდა, რუსების წინააღმდეგ ომი უფრო ხანგრძლივად შეეძლებოდა. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ წინააღმდეგობის გაწევის ხანგრძლივობას მაშინ ჰქონდა მეტად დიდი მნიშვნელობა.

მაგრამ არც ის უნდა გამოვუშვათ მხედველობიდან, რომ დედაქალაქის მტრისთვის დატოვებას ჰქონდა უაღრესი ფსიქოლოგიური მნიშვნელობა, მას შეეძლო გამოეწვია, და კიდევაც გამოიწვია ქართველი ხალხის და ქართული ლაშქრის სულიერი განწყობილების დაცემა, გამარჯვების რწმენის დაკარგვა.

ყოველ შემთხვევაში, თბილისი არ დაცემულა, არც ქართული ლაშქარის ლაჩრობითა და ღალატით, არც თბილისელთა აჯანყებით. ღამით დაცლილ ქალაქში, მხოლოდ მეორე დღეს შუადღისას ქურდულად, ფრთხილად შევიდნენ რუსი წითელარმიელები. არ სჯეროდათ ქართული ჯარების უკან დახევა. ისინი ფიქრობდნენ, რომ ეს მათი სამხედრო ფანდი იყო. თბილისელები მათ სიხარულით წინ არ მიგებებიან, როგორც ამას დღეს საბჭოთა პროპაგანდა წარმოსახავს. პირიქით, თებერვალივით სუსხიანი იყო მათი შეხვედრა.

თბილისის შემდეგ ქართულმა ჯარმა გამარჯვების რწმენა დაჰკარგა. მან რუსებთან გამკლავება ვერ შეძლო ვერც მცხეთასთან, ვერც გორთან და ვერც სურამის უღელტეხილთან, როგორც ამას მთავარსარდალი იმედოვნებდა. თბილისის შემდეგ ბრძოლები მაინც კიდევ გაგრძელდა სამი კვირის განმავლობაში და აღბათ კიდევ უფრო დიდხანს გაგრძელდებოდა, რომ თურქეთს უკანიდან არ ჩაეკრა მახვილი საქართველოსთვის. ყარსისა და არდაგანის დაკავების შემდეგ, თურქეთის ჯარებმა მოინდომეს ბათუმის და მთელი აჭარის მხარის ანექსია. ქართულმა ლაშქარმა ისინი აქედან გარეკეს, მაგრამ ორი მძლავრი სახელმწიფოს წინააღმდეგ ბრძოლა უიმედო იყო. მთავრობა მოერიდა ტყუილუბრალოდ ქართული სისხლის ღვრას და ბოლშევიკების ფრონტზე ჯარს განიარაღება და მტრისადმი დანებება უბრძანა.

ამით დასრულდა ომი. საქართველო დამარცხდა ბრძოლის ველზე. მას ძალით თავს მოახვიეს მოსკოვის საბჭოთა ხელისუფლება.

რასაც ჩვენ განსაკუთრებით გვინდა ხაზი გავუსვათ, ეს ისაა, რომ, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ბორჩალოს რაიონში მცხოვრებ უმნიშვნელო რიცხვის სომხებისა და რუსების აჯანყებას, რომელიც წითელი არმიის შემოჭრასთან ერთდროულად მოხდა და, რომელიც უეჭველად ბოლშევიკების მოწყობილი იყო გარედან, მთელი ხუთი კვირის ომის განმავლობაში არ არსებობს მაგალითი, შემთხვევა, ქართველი ხალხის, ქართველი გლეხების და მუშების აჯანყებისა. თვით კომუნისტი ავტორებიც, რომლებიც ასე ბაქიობენ თავიანთი რევოლუციური წარსულით, ვერ ასხელებენ ქვეყნის ვერც ერთ კუთხეს, ვერც ერთ ქალაქს ან სოფელს, სადაც ადგილი ჰქონებოდეს ამ აჯანყებას. რა თქმა უნდა, ეს აღმოსავლეთური ზღაპარია, ცინიზმით სავსე და საბჭოთა რუსეთის მთელი პოლიტიკა საქართველოს მიმართ შეგვიძლია ზუსტად გამოვხატოთ იმ ფორმულით, რომლითაც ჩვენ ეს წერილი დავიწყეთ: ცრუობა, ორპირობა და ძალმომრეობა. საქართველო მსხვერპლი გახდა საბჭოთა რუსეთის, კომონისტურად გადანათლულ ბოლშევიკების, რომელთა შორის ჩვენდა სავალალოდ ქართველებიც იყვნენ, მაგრამ ისინი დეკორაციას წარმოადგენდნენ და არა ქართველი ხალხის მასებს, ცრუობის, ორპირობის და ძალმომრეობის და ის გრძელდება ამ სამოცი წლის განმავლობაში.

გიორგი წერეთელი

--- --- --- --- ---

5. მოვიგონოთ

ჩაესვენა ქართული მზე, საქ–ო კვლავ გახდა რუსეთის შოვინისტური პოლიტიკის მსხვერპლი 1921 წელს, მაგრამ ქართველი ერი არ ურიგდება დაპყრობას და შეუპოვრად განაგრძობს წინააღმდეგობას, თუმცა დიდი მსხვერპლის გაღებით.

სვანეთის აჯანყება 1921 წელს, 1922-ში ამბოხება ხევსურეთისა, მაშინ ჯერ კიდევ არსებულ ქართული ჯარის აჯანყება, რასაც მოჰყვა მისი დაშლა და მეთაურების სრული განადგურება.

ქართველი ხალხის ამ გმირულ ეპიზოდებზე ცნობებს საქ–ში ვერ მიიღებთ, წყაროებში არ არსებობს, ვერსად ვერაფერს ამოიკითხავთ, საფლავებიც მიუგნებელია, ერთად ჩაყარეს ორმოებში და ზედაპირი გაათანასწორეს. მაგრამ, ისინი უფრო მეტად ცოცხლობენ ხალხის მეხსიერებაში და მათი სახელოვანი თავგაწირვა თაობიდან თაობაზე, მამიდან შვილზე, უფროსი ძმიდან უმცროსზე გადადის. ვის დაავიწყდება ქართველი გენერლების ანდრონიკაშვილის, აფხაზის, წულუკიძის, პოლკოვნიკ ხიმშიაშვილის, მუსხელიშვილის, ზანდუკელის, ბაგრატიონ-მუხრანსკის და მრავალთა გმირული სიკვდილი, რომლის მსგავსი ჩეკის ჯალათებს სიზმარშიც არ უნახავთ რუსეთში. 1923 წლის 20 მაისი განმეორებაა 300 არაგველის და ცხრა ძმა ხერხეულიძეების ვაჟკაცობის, ქართველი მამულიშვილის სიკვდილზე გამარჯვების. დღესაც გვაღელვებს და გვამხნევებს მათი სიტყვები: „სიკვდილი ვერ შეგვაშინებს. ჩვენი სიკვდილი საქ–ს განთავისუფლების თავდებია.“ „მე ვკვდები სიხარულით, რადგან ღირსი გავხდი სამშობლოს სამსხვერპლოზე ზვარაკად მიტანისა, ჩვენი სიკვდილი გამარჯვებას მოუტანს საქ–ს.“ „გადაეცით, რომ ჩვენ დავიხოცეთ, ვით შეჰფერით ქართველ პატრიოტებს. სახეზე გეტყობათ, რომ გაკვირვებთ ჩვენი სულის სიმტკიცე. წადით და უთხარით თქვენებს თუ როგორ კვდებიან ქართველები სამშობლოსათვის.“

ვალიკო ჯუღელის, ნოე ხომერიკის და მრავალთა სახე ხომ მთელი თავისი სიძლიერით აღიბეჭდა ჩვენს მეხსიერებაში, სიცოცხლეზე თავისი სურვი-

ლით ხელი რომ აიღეს,–მათ ხომ საზღვარგარეთ თავისუფალ ცხოვრებას საქ–სთვის სიკვდილი ამჯობინეს! დღესაც ხომ მთელი თავისი სიმძაფრით გვესმის კათალიკოს ამბროსის სასამართლოში ნათქვამი სიტყვები: „სული ჩემი ღმერთს ეკუთვნის, გული ჩემს სამშობლოს, მძორი ჩემი, ჯალათებო, თქვენ და, რაც გინდათ ის უყავით მას“-ო. ეს ძარღვიანი, ჟრუანტელის მომგვრელი სიტყვები ქართული ეკლესიის წინამძღოლისა, რომელიც მუდამ არა ნაკლებად იცავდა ქართულ სინდისს და პატიოსნებას, ვიდრე ძღვამოსილი ქართველი მეფენი, აფხიზლებს ძველ ქართველ ბოლშევიკებსაც კი. მათი სიმპატიები გაუტეხელი ქართველი ხალხისაკენ იხრება, დანაშაულს გრძნობენ და მოსკოვის წინააღმდეგ ოპოზიციას ჰქმნიან, მოსკოვის მიერ საქ–ს საქმეებში ჩაურევლობას ითხოვენ. ბუდუ მდივანი, მამია ორახელაშვილი, მაღაქია ტოროშელიძე, შალვა ელიავა, ძმები ოკუჯავები, რომლებმაც მოსკოვში აბელ ენუქიძეში იპოვნეს დამხმარე-მანუგეშებელი ძაღა და, რომლებმაც საქ–ს კარებები გაუღეს საბჭოთა რუსეთს, მხოლოდ ცოდვების მონანიებად გარდაიქცნენ, მოსკოვმა ყველა სიცოცხლეს გამოასალმა.

რუსეთმა ჯერ კიდევ მაინც ვერ მოიმაგრა ფეხი ქართულ მიწაზე, ვერ სძლია ქართულ სულს, ვერ გატეხა ქართველი ერის თავისუფლებისადმი სიყვარული. ქართველ ერს ჯერ კიდევ ახსოვს და ოცნებობს თავისუფალ ცხოვრებაზე, სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მზიან დღეებზე. 26 მაისის მოგონება მას ათბობს, ენერგიას მატებს, სულს უმტკიცებს და იარაღისაკენ მოუწოდებს. ხალხი ტყეში იჭრება, იწყებს გააფთრებულ პარტიზანულ ბრძოლებს საქ–ს ყველა კუთხეში. კახეთში–ქაქუცა ჩოლოყაშვილი, რომლის გარშემო შეყრილან შეფიცულები, საქ–ს მტრებს მის გაგონებაზე შიშის ზანზარი რომ ეწყებათ და მისი პატარა ჯგუფის დანახვაზე რუსული რეგულიარული სამხედრო ნაწილები კურდღლებივით რომ გარბიან. ქართლში–ბრძოლებში გამობრძმედილი ფავლენიშვილი და ღაშქარაშვილი და სხვაგან სხვანი, ყველა ფეხზე დგება, მთელი საქ. ემზადება საერთო დარტყმისათვის.

ეს დღეც მოვიდა, მაგრამ 1924 წლის აგვისტოს აჯანყებაც, საქ–ს დამოუკიდებლობის კომიტეტის ხელმძღვანელობით, მარცხდება და იწყება შურისძიების ხანა. ხვრეტენ ყველას, ვინც კი ჯალათებს ხელში უვარდება. რუსი და სხვა ეროვნების ჩეკისტები ქართველებზე ნადირობაში ერთმანეთს ეჯიბრებიან: „არ ინდობენ ქალებსაც და ბავშვებსაც კი“-ო, ამბობს ინგლისელი ქართველოლოგი ლენგი.

ვის დაავიწყდება შორაპანსა და ზესტაფონს შორის, დაქედილ საქონლის ვაგონებში გამომწყვდეულები, ასობით ქართველ მამულიშვილების ტყვეისმფრქვეველებით დაცხრილვა. საქ–ში ხმა დაყარეს, რამდენიმე გადარჩა და ევროპაში გაიქცაო. რამდენ დედას აღეძრა იმედი, იქნებ ჩემი შვილიც მათ რიცხვში მოხვდაო. მახსოვს, მეც მწერდნენ „კუჭია იაშვილი(პაოლოს ძმა) მანდ ყოფილა და ეცადე მოძებნე“-ო...

1928-34 წლებში, ქართული ნაციონალიზმის წინააღმდეგ წარმოებულ რეპრესიების გვერდით, წარმოებს გაუგონარი სასოფლო-სამეურნეო ექსპერიმენტები–ძალდატანებითი მთლიანი კოლექტივიზაცია და მასთან დაკავშირებული „კულაკების“ ფიზიკური ლიკვიდაცია–რომელმაც იმსხვერპლა ათასობით სოფლის საუკეთესო მშრომელი, დოვლათის შემქმნელი გლეხი და ქვეყანა ეკონომიურ კატასტროფამდე მიიყვანა.

1934-39 წლებში, როგორც ვიცით, მასიური ტერორის დროს ათი ათასობით ქართველი დახვრიტეს ან გადაასახლეს, რომელთაგან უკან ბევრი არ დაბრუნებულა. მეტყვიან: ეს საყოველთაო იყო, მან რუსებიც ბევრი იმსხვერპლაო. მართალია, მაგრამ ეს ჩვენ არაფრით არ გვანუგეშებს, ჯერ ერთი, და მეორეც, რუსეთში რუსეთის სიყვარულისათვის არ ჰკლავდნენ, მაშინ, როცა საქ–ში ქართველ პატრიოტებს და ასეთად შემჩნეულებს ავლებდნენ მუსრს.

მივადექით მეორე მსოფლიო ომის ხანას, ქართველი ხალხის ჯალათების,

საბჭოთა ხელისუფლების, დასაცავად და გადასარჩენად საქ–დან გარეკეს შვიდასი ათასი მისი საუკეთესო შვილი, რომელთაგან თითქმის ნახევარი ცოცხალი და ჯანმრთელი სახლში აღარ დაბრუნებულა. ამ უშველებელ ჭრილობას ქართველი ხალხი როდის მოიშუშებს! იმ დროს შექმნილი ქართული ლეგიონიც, რომელიც პოლიტიკური დევნილებისა და ყოფილ ტყვეებისაგან შედგა, იგივე ქართველი ხალხის *1921* წლის თებერვალ-მარტის ომს აგრძელებდა, მისი ისტორიაც ქართველი ხალხის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ისტორიის ერთი თავია, რომელსაც საქ–ს მეისტორიე თავის დროზე დაწერს და მით მთელი ქართველი ხალხის საკუთრებად აქცევს.

მიუხედავად ასეთი სისხლისაგან დაცლისა ქართველმა ახალგაზრდებმა მაინც გაიბრძოლეს *1956* წელში. რუსულმა სატანკო დივიზიამ მათი კეთილშობილი სისხლით შეღება თბილისის ქუჩები.

ამჟამად მოსკოვს იერიში მიაქვს ქართველი ხალხის უკანასკნელ ციხე-სიმაგრეზე–ჩვენს დედაენაზე. ბრეჟნევი შეეცადა საქ–თვის მის მიერ ბოძებულ კონსტიტუციიდან ქართული ენა, როგორც საქ. რესპუბლიკის ძირითადი ენა ამოეგდო. ჩვენი საამაყო ახალგაზრდობა არ შეუშინდა სიკვდილს და *1978* წლის *14* აპრილს საპროტესტო მანიფესტაციებით გამოვიდა თბილისის ქუჩებში. წინასწარ გაფრთხილებული მსოფლიო საზოგ. აზრის შიშით, ბრეჟნევმა მაშინ უკან დაიხია კონსტიტუციონალურად, მაგრამ საბოლოოდ რუსებს თავიანთ განზრახვაზე ხელი არ აუღიათ. ამას მოწმობს *365* ქართველი მეცნიერის, პედაგოგის, მწერლის და სხვა თვალსაჩინო მოღვაწეთა პეტიცია ბრეჟნევისადმი, რომელიც პირველად გამოქვეყნდა პარიზის რუსულ გაზეთში და შემდეგ „თავისუფლების ტრიბუნა“.ს უკანასკნელ, *31* ნომერში. ქართველი ხალხი ცდილობს დაიცვას თავისი დედაენა ლეგალური საშუალებებით, მაგრამ საეჭვოა, რომ ის ამას შეძლებს საბჭოთა ხელისუფლების არსებობის პირობებში. საბჭოთა მესვეურები არც კი მალავენ, რომ მათი მიზანია შექმნან ერთი მსოფლიო სახელმწიფო ერთი რუსული ენით და, რა თქმა უნდა, კრემლის ბატონობით.

ასეთია მკრთალი სურათი საბჭოთა რუსეთის ბატონობისა ჩვენს სამშობლოში, როლის სამოც წლისთავს წელს მტერი ზეიმობს და მისთვის ჩვეული ტერორის შიშით, ცინიკურად, ქართველ ხალხსაც აიძულებს მონაწილეობა მიიღოს ამ ზეიმში. ქართველმა ხალხმა იცის რასაც ნიშნავს ეს „საზეიმო“ თარიღი და, რაც მან მას მოუტანა. ამას არ შეიძლება სხვაგვარად ეწოდოს თუ არა „გენოსიდი“–ქართველი ხალხის ფიზიკური განადგურება, მისი ეროვნული მოსპობის მიზნით. ამდენი მსხვერპლი ქართველმა ხალხმა სხვა არ იცის, მისი ხანგრძლივი ისტორიის განმავლობაში, თვით მრისხანე და დაუნდობელი შაჰ-აბასის ბატონობის დროსაც.

დავით ვაშაძე

!!! !!! !!! !!! !!!

ჩ ე მ ი ბ ე დ ი

შემოდგომის ცივი ქარი
დაელურს უელის ჩემს ფანჯარას,
ნელი წვიმა მის მინაზე
ათამაშებს უზუნდარას.

*

ღამე ებრძვის დღის სინათლეს,
ბოროტების აჩენს ლანდებს.
მე ამ ქვეყნის აღარა ვარ
და მივყავარ შორს, შორს დარდებს:

სადაც ჩვენი ძმების სისხლით
მორწყულია კოჯრის ველი,
წმიდა მსხვერპლი საბურთალოს
და სიონი ძველის ძველი;

*

სადაც ნაზი დედაჩემი
ნახშირს ხაზავს კერიაზე,
წლეებს ითვლის, ტანჯვის წლეებს
და ჩამოსდის ცრემლი თვალზე.

(„ბედი ქართლისა“№9) მელიტონ ყლენტი

6 ჩვენი ეროვნული ემიგრაცია

როდესაც საბჭოთა რუსეთის ჯარებმა ჩვენი სამშობლო დაიპყრეს, ჩვენი მთავრობა, დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმი, მთავარსარდალი და მათი ახლო თანამშრომლები საზღვარგარეთ წამოვიდნენ, რათა მტერს ხელში არ ჩავარდნოდნენ და გაეგრძელებინათ ბრძოლა ოკუპანტების წინააღმდეგ. შემდეგში, სხვადასხვა დროს, იმავე გზას დაადგა ბევრი რიგითი მებრძოლიც, რომლებმაც სამშობლოს მტრების მხარეზე გადასვლას ან წამებით სიკვდილს დევნილის და უსამშობლოს მწარე ხვედრი არჩიეს. ამგვარად, მეფე ვახტანგ მეექვსეს შემდეგ პირველად, სამშობლოს გარეთ აღმოჩნდა ეროვნულ-პოლიტიკური, საკმაოდ მრავალრიცხოვანი ქართული ემიგრაცია, რომელმაც თავის მიზნად დაისახა სამშობლოს დამოუკიდებლობისადმი ერთგულება, საბჭოთა რუსეთის კომუნისტური იმპერიალიზმის მხილება საერთაშორისო საზოგადოებრივი აზრის წინაშე და მათი სიმპატიების მოპოვება ქართველი ხალხისადმი. ძალიან დიდი მუშაობა იქნა ჩატარებული ამ მხრით დასავლეთის დემოკრატიულ ქვეყნებში, ერთა ლიგაში, მეორე და ორნახევარ სოციალისტურ ინტერნაციონალებში. მათ არა ერთხელ გამოიტანეს სიმპატიისა და თანაგრძნობის რეზოლუციები ქართველი ხალხის მიმართ და დაგმეს საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობა. თუმცა ისინი უშედეგოდ დარჩნენ, მაგრამ, როგორც შენახული საუნჯე, ისინიც შეიძლება გამოადგნენ ერთ დღეს მებრძოლ საქ–ს.

პირველ წლებში ჩვენი სიმართლის საყოველთაოდ აღიარება ადვილი არ იყო. კომუნისტური პარტიების წყალობით მოსკოვი ახერხებდა საზოგადოებრივი აზრის დაეკვეებას, მისი სისხლიანი მგლის სახის, უმანკო ბატკნის ქურქში გახვევას. დრომ ჩვენი პოზიციები გაამართლა.

თუმცა ჰიტლერის ნაციზმის საშიშროებამ დროებით მიჩქმალა მოსკოვური კომუნიზმის საფრთხე. ქართველი ერის ტრაგედიაც ჩრდილში მოექცა, მაგრამ მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ უფრო ნათლად გამომჟღავნდა მოსკოვის იმპერიალიზმი, როცა მან მთელი აღმოსავლეთ ევროპა დაიპყრო და გააკომუნისტა.

რუსული კომუნიზმის გაკოტრება განსაკუთრებით მას შემდეგ გახდა თვალსაჩინო, როცა *1956* წელს რუსების ტანკებმა უწყალოდ მოსრეს უნგრეთის მშრომელები და, როცა იგივე რუსულმა სატანკო დივიზიებმა პრაღის გაზაფხულს თალხები ჩააცვა. რაც შეეხება საბჭოთა ჯარების ავღანისტანში შეჭრას და იქ წარმოებულ ხანგრძლივ ომს, ის საერთაშორისო კომუნისტურ მოძრაობის პერსპექტივაშიც ვეღარ თავსდება, საქ–ს შემდეგ, აქ პირველად სააშკარაოზე გამოდის საბჭოთა იმპერიალიზმი და მას გმობს არა მარტო მთელი დასავლეთი სამყარო, არამედ, აგრეთვე, ბევრი კომუნისტური პარტიები და თვით კომუნისტური რეჟიმები.

საბჭოთა კავშირის სამხედრო ძლიერება ზენიტშია, ამაზე დღეს აზრთა სხვადასხვაობა აღარ არსებობს, მაგრამ ამავე დროს მისი იდეოლოგია განიცდის ღრმა კრიზისს, როგორც შიგნით, ისე საერთაშორისო სარბიელზე. ამ კრიზისის ნათელ ილუსტრაციას წარმოადგენს პოლონეთის მუშების და საერთოდ პოლონეთის მშრომელების აჯანყება საბჭოური წესწყობილების წინააღმდეგ. პოლონეთის ამბები არ შეიძლება პოლონეთით შემოიფარგლოს, რადგანაც მისი გამომწვევი მიზეზები საერთოა მთელი კომუნისტური სამყაროსათვის, თვით საბჭოთა კავშირის ჩათვლით.

ჩვენ ვიმყოფებით დიდ ისტორიულ მოვლენათა წინ, რომელმაც გზა უნდა გაუხსნას თავისუფლებისაკენ ყველა დაპყრობილ ერებს, საქ–ს განთავისუფლებაც ამ გზით მიემართება. დღეს ფიქრიც კი შეუძლებელია მხოლოდ საქ–ს განთავისუფლებაზე. ეს მდგომარეობა მოითხოვს, რომ რუსებისაგან დაჩაგრულ ყველა ერის ემიგრაციებს შორის არსებობდეს მჭიდრო კავშირ-ურთიერთობა. ამ მხრით მოღ-

ვაწეობდა წარსულში ჩვენი პოლიტიკური ემიგრაცია. ის აქტიური მონაწილე, და ხშირად ინიციატორიც, იყო კავკასიის ხალხების, საბჭოების ყველა პყრობილ ხალხების და სატელიტ სახელმწიფოების ეროვნულ ემიგრაციების ურთიერთ კავშირის და თანამშრომლობის. ამავე დროს ჩვენ მეგობრული ურთიერთობა გვქონდა დასავლეთის პოლიტიკურ პარტიებთან, განსაკუთრებით კი ევროპის სოციალ-დემოკრატიულ პარტიებთან, მაგრამ დღეს ყველაფერი ეს შესუსტდა ან მოიშალა. ჩვენი უფროსი თაობა ვალმოხდილი გაეიდა ამა ქვეყნიდან. ჩემი თაობიდანაც ბევრი აღარ დავრჩით, ხანდაზმულობის გამო პრაქტიკული საქმიანობა გვიძნელდება. მომყოლი თაობების ვალია უფროსების მიერ ნაკეთები საქმე გააგრძელოს და კეთილად დააგვირგვინოს. ემიგრაცია საქ-ს ვერ გაანთავისუფლებს, მაგრამ თუ დარაზმული დარჩა მას შეუძლია მნიშვნელოვანი როლი ითამაშოს ამ საქმეში და ბევრი უსიამოვნება თავიდან ააშოროს სამშობლოს.

ამ სამოცი წლის განმავლობაში, ემიგრაცია არასოდეს არ დაეკვებულა, არც მისი მისიის კეთილშობილებაში, არც სამშობლოს განთავისუფლების გარდუვალობაში. ბევრი ვერ მოესწრო ამ ბედნიერ დღეს... როგორ გაიხარებენ მათი ძვლები უცხო მიწაში, როცა ქართველი ხალხის გამარჯვების ყიჟინის ექოს ქარი მათ საფლავებამდე მიაწვდენს.

გრიგოლ წერეთელი

--- --- --- --- ---

7. თ ე ბ ე რ ვ ა ლ ი დ ა ქ ა რ თ უ ლ ი კ უ ლ ტ უ რ ა

„კულტურა არის ენა, რომლის საშუალებითაც სულს შეუძლია თქვას, რასაც ის გრძნობს.“

ოსვალდ შპენგლერი

1921 წლის თებერვლის *25*-ს შეწყდა საქ-ს დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი ცხოვრება, იგი საბჭოთა რუსეთის ორბიტში მოექცა. ამ საბედისწერო დღიდან დაიწყო ე.წ. „ორტოდოქსალური მარქსიზმის“ უკიდურესი „სოციალისტური“ ექსპერიმენტები, რომლებიც შეეხენ ქართული ცხოვრების ყოველ დარგს; დაიწყო ქართული სულის აღრევა

ქართული ეკლესია

დაპყრობის პირველსავე წელს დაიწყეს გააფთრებული კამპანია ქრისტიანული რელიგიის წინააღმდეგ. უფრო სწორად, რომ ვთქვათ ჩვენი ეროვნული მეობის—ქართული ეკლესიისა და მისი სახელოვანი სამღვდელოების წინააღმდეგ, რადგან:„საქ—ში სამღვდელოების, სულიერ მწყემსთა მნიშვნელობა დიდია. სამღვდელოება წარმოადგენდა იმ უძველეს საყრდენს, რასაც ეყრდნობოდა ქარ—ლი ერი თავის მრავალსაუკუნოვან, მძიმე ისტორიულ არსებობის პირობებში.“(ვ. **რომანოვსკი**. „საქ. ისტორიის მიმოხილვიდან“. ტფილისი. *1901* წ. გვ. *440*, რუსულ ენაზე) ხოლო, საქ—ს ეკლესიის დღევანდელმა მესაჭემ, **ილია მეორემ**, გაზეთ „დოიჩლანდ უნდ დი ველტის“ კორესპონდენტს, დიტრიხ მოღერს განუცხადა: „ქარ—ლი ეკლესია ეს არის ქართველი ერიო“.

კომუნისტები ეცენ პირველად ბოდბეში არსებულ წმიდა ნინოს სავანეს. აი, რას მოგვითხრობს ამის შესახებ ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე და მწერალი, საქ—ს პარლამენტის წევრი დავით ვაჩნაძე: „...*1923* წელს, კახეთში, ბოდბეს მონასტერში გამოჩნდა ბოლშევიკების რაზმი. ამ რაზმმა აღყა შემოარტყა სამლოცველოს, სადაც ესვენა ნეშტი წმიდა ნინოსი. სანამ შეუდგებოდნენ თავიანთ ველურ საქციელს, დაიწყეს სიტყვების თქმა. ორატორები ცდილობდნენ თავიანთ მხარეზე განეწყოთ დამსწრე გლეხების თანაგრძნობა. „ჩვენ ახლა თქვენ დაგარწმუნებთ თუ როგორ გაბიაბურებდნენ თქვენ მღვდლები. გავხსნით მის საფლავს და დაინახავთ მთელს მათს სიცრუეს“— ამბობდა

ერთი. ამ დროს შემორტყმული წრე გაარღვია მონასტრის მესვეურმა და უთხრა მათ: „თქვე უღმერთოებო არ უწყით თუ რას სჩადიხართ. იცით, რომ ეს ქართული მიწა თავის გულში ინახავს საქ–ს დიდ განმანათლებელის, წმიდა ნინოს ნაშთს. ქარ–ლი ერისთვის წმიდა ნინო არის დიდი წმინდანი, მაგრამ ის იყო უბრალო მომაკვდავი და რაც უნდა თხაროთ, მას თქვენ აქ ვერ იპოვით... განაგრძეთ თხრა, მაგრამ თუ ფიქრობთ, რომ ამ ადგილის წაწყმედით თქვენ აღმოფხვრით ქართველ ხალხის რწმენას მის მიმართ, უშედეგოა! წმიდა ნინოს კულტი ქარ–ლი ადამიანის ღრმა გულშია ჩამარხულია.“

1922 წელს, ბათუმში ერთ-ერთ ქართულ ეკლესიის კედელზე გამოაკრეს პლაკატი:„ამხანაგო დედებო და მამებო, ძვირფასო პაპა, ძვირფასო დიდედა, მოქალაქე ბიცოლებო და ბიძებო! ბოლო უნდა მოეღოს ჩვენს აბუჩად აგდებას. ჩვენ ვართ ოქტომბრის თავისუფალი ბავშვები. მოვითხოვთ დაცული იქნეს ჩვენი ბავშვობა. რატომ გვნათლავთ ჩვენ ეკლესიებში, რატომ მიგვათრევთ ჩვენ ეკლესიაში, რატომ გვასწავლით ლოცვა-ვედრებას?! ამის შემდეგ შემოიღეს ე.წ. კომუნისტური ნათლობა და კომუნისტური ქრისტეს აღდგომის დღესასწაული, რომელიც მარცხით დამთავრდა.

ქარ–ლი ეკლესია ყოველთვის სათავეში ედგა ერის მთლიანობას, ის იყო ქართული ეროვნული სახელმწიფოს ჩამოყალიბებისათვის მებრძოლი და მისთვის ისტორიული საფუძვლების მიმცემი:„უფალმან მოგცათ თქვენ უფლება განგებად მთლიანად ქვეყნისა და სამართლით მართვისა“–ეუბნებოდა ქართული ეკლესია ქართველ მეფეთა და მთავართ. („ქართლის ცხოვრება“). ამ გზას არ უღალატა არც კათალიკოსმა ამბროსიმ და ჰააგის საერთაშორისო კონფერენციას გაუგზავნა მიმართვა, რომელშიც საქ–ს მწყემსთმთავარი მოითხოვდა წითელი არმიის გაყვანას საქართველოდან და თავისუფალი რეფერენდუმის ჩატარებას. ამის შემდეგ ბოლშევიკებმა კათალიკოსი და მასთან ერთად ქართველ სამღვდელოების თვალსაჩინო წარმომადგენლები დააპატიმრეს და საჩვენებელი პროცესი მოაწყვეს თბილისში. ამ პროცესზე კათალიკოსმა ამბროსიმ ამაყად განაცხადა: „მე არ მეშინია თქვენი განჩინებისა. სული ჩემი ეკუთვნის უზენაესს, გული ჩემი–ჩემს საყვარელ საქართველოს, ხოლო ჩემი გვამი მიიღეთ და მოექეცით როგორც გენებოთ! ქართველ ღვთისმსახურთ ყველას თავი ღირსეულად ეჭირათ. მათი სიკვდილით დასჯა ვერ გაბედეს და დაკმაყოფილდნენ პატიმრობით.

შემდეგ შეუდგნენ ქართულ ისტორიულ ძეგლების გაპარტახებას: „შეუდგნენ ქუთაისის სობოროს დაშლას შუა ქალაქში, ბულვარის პირდაპირ. ქუთაისის გარშემო მდებარე სოფლებმა ადრე გაიგეს ეს ამბავი და ქალიან-კაციანად ქუთაისს მოაშურეს, ტაძართან მოზღვავდნენ, გარს მცველებად მოადგნენ... შეშინებულმა ჩეკისტებმა ხალხს ტკბილად დაუწყეს ლაპარაკი, ხელისუფლებასთან მოსალაპარაკებლად გაისტუმრეს. გულუბრყვილო ხალხი მთავრობისაკენ გაემართა. ჩეკისტებმა ქუჩები ტყვიისმფრქვეველებით გაამაგრეს, თოკებით ტაძრის თავზე აცოცდნენ, ჯვარი გადაამტვრიეს და შეუდგნენ ტაძრის დანგრევას... გამწარებული ხალხი წვერ-ულვაშს იგლეჯდა, მანდილოსნები იწყევლებოდნენ, ცხარე ცრემლად იღვრებოდნენ. „ეხლა მივხვდით ეს რა ველურები შემოგვესია, მეორეთ მოსვლაო“, გაიძახოდნენ... ‘‘ (აღ. ქორქიას სტატია. „მებრძოლი საქ–ო“ *1936* წელი.)

„*1925* წელს ტფილისს ეწვია მოსკოვიდან მებრძოლ უღმერთოთა კავშირის ცენტრალური საბჭოს კომისია, რომლის შემადგენლობა უფრო გაადიდეს ტფილისში. ხსენებული კომისია, საქ–ს კ.პ. ცეკას კულტპროპგანყოფილების მაშინდელი გამგის, ვალია ბახტაძის თანხლებით გამოცხადდა მოწამეთის ისტორიულ მონასტერში. იქ თავი მოუყარეს აუარებელ ხალხს. ვალია ბახტაძემ მათ თვალწინ გახსნა წმინდანების დავით და კონსტანტინეს ნეშტი და მიმოფანტა იგი ირგვლივ. შემდეგ, ვალია ბახტაძე ნერონივით აღიმართა და იქ დამსწრეთ განუცხადა: „ამ თქვენს წმინდანებს თუ რამე ძალა აქვთ, უმალ გამაგიჟონო!“ ხალხიდან გამოვიდა ერთი დარბაისელი მოხუცი იმერელი გლეხი და ბახტაძეს უთხრა: „შენ უკვე გაგიჟებული ხარ, შვილო, სხვა სიგიჟე არ გიწე-

რიაო!" ეს იყო, რა თქმა უნდა, ქართველი ხალხის ორმაგი შეურაცხყოფა: სარწმუნოებრივი და ეროვნული, რადგან დავითი და კონსტანტინე, ძმები ჩხეიძენი, იყვნენ ეროვნული გმირები, რომლებიც იცავდნენ თავიანთი ქვეყნის თავისუფლებას და დამოუკიდებლობას.

შეგნებულად უნდათ აღმოფხვრან ჩვენი ხალხის მეხსიერებიდან ხსოვნა ამ ჩვენი სახელოვანი გმირებისა, თორემ რას უნდა ნიშნავდეს შემდეგი გარემოება?: ჩვენს ხელთ არის, საქ–დან ეხლახან დაბრუნებული ერთი ჩვენი მეგობარი გერმანელი ტურისტის მიერ ჩამოტანილი „საგზური–ქუთაისი", რა თქმა უნდა, ეს საგზური დაბეჭდილია რუსულად. ამ საგზურში ჩამოთვლილია მთელი რიგი მნიშვნელოვანი ადგილებისა, ქუჩებისა, მაგრამ ერთი სიტყვაც არ არის დაძრული მოწამეთაზე, თითქოს იგი არასოდეს არ ყოფილიყოს. რას ვხედავთ ამ წიგნაკში? გელათის ქუჩისათვის დაურქმევიათ შაუმიანის სახელი. რა დამსახურება მიუძღვის შაუმიანს ქუთაისში?

ქალაქ ბათუმში დახურეს ეკლესია და შიგ გახსნეს ბიბლიოთეკა წითელარმიელებისათვის. თბილისში დახურეს წმინდა გიორგის ეკლესია და გადააკეთეს აბანოდ. დუშეთის რაიონში, სოფელ მჭადიჯვარში, მე-*15* საუკუნეში აგებული ისტორიული ეკლესია, გადააქციეს საკოლმეურნეო საწყობად, ხოლო ეკლესიის მოწყობილება გამოიყენეს ადგილობრივი კლუბის დეკორაციად. სოფელ ხობში, ბოლშევიკებმა დახურეს ისტორიული ეკლესია ღვთისმშობლის სახელობისა და ანტირელიგიურ მუზეუმად გადააკეთეს. თბილისში დიდუბის ეკლესია გადააკეთეს მუზეუმად. ქუჩეჩები, რომლებიც ატარებდნენ ისტორიული გმირების სახელებს გადააკეთეს. მაგალითად: ერეკლე მეორეს მოედანს დაარქვეს ავგუსტ ბებელის მოედანი, თბილისის ისტორიულ მოედანს–ისანს დაარქვეს *26* კომუნარის სახელი და სხვა.

ისტორიული ძეგლები

ქართულ ეკლესიის დევნის პარალელურად, ნადგურდება ჩვენი ეროვნული მეობის დამამტკიცებელი ცოცხალი მოწმეები, ქართული ისტორიული ძეგლები. მათი მოუვლელობა თუ განზრახ განადგურება მოხდა საქ–ს შემდეგ რაიონებში: დმანისში, წალკაში, სადაც მაცხრამეტე საუკუნის დასაწყისში და უფრო ადრე თავი შეუფარებიათ არაქართულ ელემენტებს. ამათმა ქართული რაიონების ეთნიური შემადგენლობა სავსებით ააჭრელეს და ძირფესვიანად გადააბრუნეს ეროვნული ტოპონიმიკა. ჟამთა უკუღმართ ტრიალში შეთხელდა ქართული მოსახლეობა, მიატოვეს საცხოვრებელი ადგილები და ეს ადგილები დაიკავეს უცხო-ჩასახლებულებმა. ამათმა კიდევ სახელები შეუცვალეს სოფლებს, დაბებს, ადგილებს, მდინარეებს, მთებს და დაარქვეს ის სახელები, საიდანაც აყრილან და გადმოსახლებულან. ავიღოთ მარტო დმანისის რაიონი, ეს ოდესღაც აყვავებული ქართული მხარე, სამხრეთ საქ–ს მხარე, სადაც დარწეულა ქართული კულტურის აკვანი, სწორედ აქ ნადგურდება უმოწყალოდ ჩვენი ისტორიული ძეგლები. აქ გაუნადგურებიათ მე-*11* საუკუნის ძეგლი–მოჩუქურთმებული ქვის ჯვარი, ძველი ქართული წარწერით, ააფეთქეს მე-*12* საუკუნეში ნაშენი ეკლესია და რამდენი უნდა ჩამოვთვალოთ.

დიდი ილია „ქვათა ღაღადში" წერდა, რომ ბევრ ადგილას ქართული ძეგლებიდან ამოშალეს ქართული წარწერებიო, მაგრამ ამ ამბავთან შედარებით „დმანისელი მოღვაწენი" უფრო შორს წასულან. ისინი წარწერებთან ერთად პირწმინდად სპობენ თვით ძეგლებსაც.

ინგრევა ქართული ისტორიული ძეგლები, ჩვენი ეროვნული მეობის მღაღადებელნი... რას გვერჩით, ღაღადებენ დანესტიანებული კედლები, ციხე-კოშკების ნანგრევები და თითქოს გულისტკივილით, ადამიანური ენით მეტყველებენ: ჩვენი ერის უბედურებასთან ერთად ჩვენც გადავიტანეთ საშინელი ნგრევებისა და წარტყვნის ქარიშხალი. ჩვენი სრული აღგვა მოინდომეს, მაგრამ ვერ აღგვგავეს სრულიად... გავუძელით

ქარიშხლიან საუკუნეებს, თუმცა ნახევრად გვერდებშელეწილნი, პატივაყრილნი და რაც გადავრჩით ახლაც აღარ გვაყენებენ. მოგვხედეთ, გვიშველეთ! მოსთქვამენ ხავსიანი ქვები, ჩამონგრეული სამრეკლოები...

ქრისტიანობა როდი ნიშნავდა ჩვენში მარტო სარწმუნოებას, არამედ იგი ამავე დროს ნიშნავდა ეროვნულ მეობის დაცვას. „რჯულის დაცვა, საქ–ს მიწა-წყლის დაცვად გარდიქმნა და მიწა-წყლის დაცვა–რჯულის დაცვად... ქრისტიანობა ქრისტეს მოძღვრების გარდა, ჩვენში ნიშნავდა მთელი საქ–ს მიწა-წყალს, ნიშნავდა ქართველობას“, წერს ილია ჭავჭავაძე.

ქართული მწერლობა

მეორე თავსამტვრევი საკითხი ბოლშევიკებისთვის გახდა ქართული მწერლობის „გასაბჭოება“, მისი რეჟიმის იდეოლოგიისადმი დაქვემდებარება. ქართული მწერლობა თავიდან მტრულად შეხვდა საქ–ს დაპყრობას წითელი არმიის მიერ. პირველ ხანებში ბოლშევიკები ითმენდნენ მის არსებობას, მაგრამ ჯელაფერს ხომ თავისი დასასრული აქვს?

ჰოდა, საქ–ს „რევკომის“ 27 თებერვლის დადგენილებით, ხოშტარიასეული სახლი(მაჩაბლის ქუჩა 13) გადასცეს ხელოვნების მუშაკებს. სახლს ეწოდა „ხელოვნების სასახლე“. დაარსდა ხელოვანთა კულტურული მთავარი კომიტეტი, რომელიც აერთიანებდა ხელოვნების ყველა დარგის მუშაკებს: მწერლებს, მუსიკოსებს, მხატვრებს და თეატრის მუშაკებს. კომიტეტის თავმჯდომარედ არჩეული იქნა პოეტი კოტე მაყაშვილი. დეკემბერში ჩამოყალიბდა „რაპპის“(როსსიისკაია ასოციაცია პროლეტარსკიხ პისატელეი) საქ–ს განყოფილება, რომელმაც თავის თავს უწოდა „პროლეტარული მწერლობის ასოციაცია.“ მასში შედიოდნენ: სანდრო ეული(ქურიძე), იონა ვაკელი(მგონი ეს იყო 1930 წელს, პოეტ სიმონ ჩიქოვანთან მქონდა ნაცნობობა და ვკითხე: რა არის ვაკელი მეთქი. მან გაიცინა და თქვა: იონა ვაკელი, პოეზია გამოაკელი, დარჩა ნაკელიო.), ნოე ზომლეთელი, ისიც ქურიძე, სილვა თოდრია, რაჟდენ კაღაძე, რომელიც დახვრეტილი იქნა 1937 წელში, იაკინთე ღისაშვილი, პეტრე სამსონიძე, პიესა „სალტეს“ ავტორი, ისიც მოსპეს მგონი 1937-ში, აკოფ აკოფიანი, აღას ვარდანიანი, ვიღაც ერზიკიანი და სხვა. ეს მწერლები, თუ შეიძლება მათ მწერლები ეწოდოთ, შემოიკრიბნენ ჟურნალ „ქურას“ გარშემო. ამას წინად, ჟურნალ „ცისკრის“ 1974 წლის მე-10 ნომერში, ქალბატონმა **მედეა გორდელაძემ** მოათავსა მეტად შეუსაბამო სტატია სათაურით: „ჟურნალი „ქურა“ და მისი როლი ქართული საბჭოთა ლიტერატურის ჩამოყალიბებაში.“ მ. გორდელაძე თავის სტატიას იწყებს პროპაგანდული შაბლონით: „დაიწყო ახალი ერა ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვან ისტორიაშიო.“ მაგრამ, მას ავიწყდება თქვას, რომ ეს ახალი ერა არის საქ–ს დამოუკიდებელი სუვერენული სახელმწიფოს გაუქმების, მისი მსოფლიოს პოლიტიკური რუკიდან ამოშლის ერა.

ქ–ნ მედეას თუ დავუჯერებთ, თურმე „ქურას“ წინ უსწრებდა სატირული ჟურნალი „ყუმბარა“ და მას მოჰყავს ადგილები სანდრო ეულის მოწინავე სტატიიდან: „წავიდა დრო გამასხრებული „მათრახებისა“ და „ნიშადურებისა“-ო. ვაი ჩვენს უბედურებას! აქ იგულისხმება აღბათ „ეშმაკის მათრახი“ და „ნიშადური“. ქ-მა მედეამ უნდა იცოდეს, რომ ეშმაკის მათრახს მეთაურობდა ნიჭიერი იუმორისტი ნესტორ კალანდაძე, ხოლო „ნიშადურს“ ცნობილი საზოგადო მოღვაწე ვალერიან გუნია. როგორ შეიძლება გაეტოლოს „ყუმბარა“, „ტარტაროზი“ ან „ნიანგი“ „ეშმაკის მათრახსა“ და „ნიშადურს“? ეს ხომ პარადოქსია და მეტი არაფერი? ანდა რა საჭირო იყო, როცა მას მოჰყავს პროლეტ-მწერლებიდან კაღე ფეოდოსიშვილი, რომელიც წერდა: „დავახრჩობ დედას, თავს მოვჭრი მამას, თუკი მიბრძანებს რევოლუცია“. კიდევ ერთი ნიმუში ფეოდოსიშვილის უნიჭობის: „ელექტროფიკაცია საქმე კეთილი, წყლის ექსპლოატაციით სინათლის მიღება.“ რაც შეეხება სილია თოდრიას, მის დიდ ნიჭზე პირველად ქ-ნ მ. გორდელაძისაგან გავიგეთ. ს. თოდრია ცნობილია მისი თარგმნით. მან თარგმნა მასავით უნიჭო რუსი იუმორისტის დემიან ბედნის „ახა-

ლი აღთქმა“ და დაწერა: „დემიან ბედნის თქმა, სილია თოდრიას თარგმნა.“

თავის სტატიაში, ქ–ნი მედეა რატომღაც არ წყალობს პროლეტარულ მწერალ რაჟდენ კალაძეს, ალბათ იმიტომ, რომ რაჟდენ კალაძე სანდრო ეულთან, სილია თოდრიასთან და შაქრო ნავთღუღელთან შედარებით, მართლა, რომ მწერალი და კრიტიკოსი იყო. ქ–ნი მედეა ალბათ იმიტომაც არ წყალობს მას, რომ რაჟდენ კალაძე ქართველ კომუნისტებს შორის ეროვნულად მოაზროვნე ადამიანი იყო. მას ბრალად ედებოდა ე.წ. „ნაციონალ-უკლონისტობა“ და საქ–ს კ.პ. მეხუთე ყრილობამ *1927* წელს ის პარტიის რიგებიდან გარიცხა. პარტიული პროპაგანდისტები წერენ, რომ ის *1937* წელს გარდაიცვალაო. ეჭვი გვეპარება. დარწმუნებული ვართ ის მსხვერპლია ეჟოვშჩინის ხანის ტერორისა.

მედეა გორდელაძე უყურადღებოდ არ სტოვებს ცისფერყანწელებს და მათ პოეზიას დეკადენტურს უწოდებს. ეს პოეტური კორპორაცია ნამდვილი ძმობის ორდენი იყო. მათ უყვარდათ ერთმანეთი. ერთმანეთს ლექსებით ებაასებოდნენ. თხზავდნენ და იწვოდნენ პოეზიის პარნასზე. ისინი მარტო პოეტები კი არ იყვნენ, არამედ მებრძოლი მამულიშვილებიც. *1918* წლის გაზაფხულზე, როცა ბუდუ მდივნები მოუწოდებდნენ ხალხს არ დაეცვათ „ბურჟუაზიული სამშობლო“, ცისფერყანწელი პოეტები ბრძოლის ველზე იყვნენ. რად ღირს პაოლო იაშვილის ლექსი: „ბრძანება ისმის და სმენა ჩქარა, გაშალეთ მზეზე კრიალა ხმლები. ან დავიბრუნოთ ჩვენი აჭარა, ანდა ბათომთან დავტოვოთ ძვლები.“

ხოლო ტიციან ტაბიძემ ბათომის დაკარგვით გამოწვეულ ეროვნულ ტრაგედიას შემდეგი ლექსი მიუძღვნა: „ბათომი მისცეს და ორპირზე მოდის თათარი, ატმის ყვავილით სისხლიანი სტირის აპრილი, ყვითელ სატურნის უბედობით ავად გამხდარი, პოეტის სულიც საქართველოს კუზად დახრილა.“

1922 წელს „რაპპის“ საქ–ს განყოფილებაში შევიდა *19* მწერალი, მათ შორის, კარლო კალაძე, ვალ. ლუარსაბიძე, შალვა რადიანი, სიმონ ხუნდაძე და სხვა. *1925-26* წლებში მას შეემატა *13* მწერალი: კონსტანტინე ლორთქიფანიძე, ალიო მაშაშვილი, გიორგი მდივანი, ვ. მაჭავარიანი, ელ. ზედგინიძე, რატომღაც ერთ დროს პოლუმორდვინოვად სახელდებული დავით რონდელი, ალ. სულავა, არჩილ ჩაჩიბაია, პანტელეიმონ ჩხიკვაძე და სხვა. ამათგან ანტი-ქართული მოტივებით თავი ისახელეს კონსტანტინე ლორთქიფანიძემ, რომელსაც ჩუმად გვარის შემარცხვენელს ეძახდნენ და რატომ: კ. ლორთქიფანიძემ დაწერა ერთი ლექსი: „საბარგო ავტომობილი“. ამ ავტომობილით *1924* წლის აგვისტო-სექტემბერში საბურთალოზე დასახვრეტად მიყავდათ ქართველი მამულიშვილები. ამის შესახებ გარეწარი ბენიტო ბუაჩიძე წერდა: „ლორთქიფანიძე იძლევა ჯანსაღ კლასობრივ ფსიქოლოგიას. ის, რაც საშინელ სევდას მოგვრის მოწინააღმდეგეს, ის ძვირფასია თვითეული რევოლუციონერისთვისო.“ ეს ბუაჩიძე, რომელსაც, რა თქმა უნდა ჩუმად, „ლიტერატუტულ ჩეკას“ ეძახდნენ, *1937* წელს დახვრიტეს თუ გადასახლებაში დაიღუპა. დღეს ის რეაბილიტაცია ქმნილია და მასზე წერენ: „*1937* წელს გარდაიცვალაო.“

კ. ლორთქიფანიძემ კიდევ უფრო გააღრმავა თავისი ეროვნული ნიჰილიზმი და მის ერთ ლექსში მოტანილია შემდეგი თვალმარგალიტი: „სანამდე ელავს გაბასრული ხმალი კომუნის, მე ჩემს სამშობლოს ყველგან ვიპოვნი“. ის კიდევ უფრო შორს მიდის როცა წერს: „ჩვენ, წინაპრებო ერთმანეთი გადავიცანით, ჩემთვის ერთია დღეს ერეკლე და მახმად ხანი“. ვაი სირცხვილო! ზედმეტია ამ შემთხვევაში კომენტარი, როგორც იტყვიან ხოლმე.

აი კიდევ ქ-ნ მ. გორდელაძის საყვარელი პოეტები, ჟურნალ „ქურა“-დან: „ხელში ვიღებ კალამს, რადგან დამკრა მუზამ, თუ კარგს ხასიათზე ვიქნები ორ ლექსს შევთხუზამ...“–გიგო ხეჩუაშვილი. ხოლო სანდრო ეული: „ერთი ორი, ერთი ორი, იყავ სწორი. მაღლა ასწი ჩვენი დროშა ალისფერი, ცეცხლისფერი.

ოქტომბერი მოდის რაშით, შეეგებოთ ტაშით...“

პროლეტარულ ძველ თაობას გამოეყო ახალგაზრდობის ერთი ნაწილი და ახალგაზრდა პუბლიცისტ პლატონ ქიქოძის რედაქტორობით გამოვიდა ყოველკვირეული სამხატვრო-საალიტერატურო ორგანო „პროლემაფი“(პროლეტარული მწერლობის ახალი ფრონტი). ცოდვა გამომქღავნებული ჯობიაო, იტყვიან ხოლმე, მანდ მოვათავსე ორი კრიტიკული მიმოხილვა, შემდეგ დავშორდი მას. ამის მიზეზი გახლდათ ის, რომ პ. ქიქოძეს მივუტანე ერთი ლიტერატურული მიმოხილვა, რომელსაც ერქვა „ქართველი პოეტების პარადი.“ პ. ქიქოძემ სამი დღის შემდეგ მითხრა: „ვერ დავბეჭდავთ ფაშისტურიაო.“ ახალგაზრდა ვიყავი, ფარ-ხმალი არ დავყარე და იმ „ფაშისტური“ წერილით მივადექი საქ–ს განათლების და ა.ლ.კ.კ.–ს პედაგოგიურ, სამხატვრო და საალიტერატურო „საზღვარზეს“ რედაქციას. მისი მთავარი რედაქტორი იყო მარიამ ორახელაშვილი. მაშინ ის სახალხო კომისრად მუშაობდა. *1937* წელში მის მეუღლე მამია ორახელაშვილთან ერთად, ისიც სიცოცხლეს გამოასალმეს. ამ ჟურნალის რედაქტორი იყო მეტად განათლებული ახალგაზრდა კაცი, არჩილ მიქაძე. ისიც აგრეთვე მსხვერპლი გახდა „ეჟოვშჩინისა“.

ჰოდა, ეს„ ფაშისტური“ სტატია მოიწონეს და დაიბეჭდა ამ ჟურნალში *1925* წ. მაინც რა იყო ის საშინელება ჩემს სტატიაში, რომელმაც ასე დააფრთხო პ. ქიქოძე? ჩემი სტატია იწყებოდა შემდეგი სიტყვებით: „საქ–ო ღამაზი ფერიებისა და პარნასელთა მუზის დაუშრეტელი ქვეყანაა. ქართული რასა მსოფლიოში მშვენიერი რასაა და ქარ–ლი პოეზიის აღლუმი ძველი რომის ტრიუმფს არ ჩამოუვარდება...“ ბედმა გერმანიაში გადმომტყორცნა და *1961* წელს მიუნხენში დავბეჭდე ლიტერატურული ესკიზი სათაურით:„ქართული სული“ და ეს ჩემი ნაშრომი სწორედ ამ სიტყვებით იწყება, რომელმაც ასე დააფრთხო „პროლემაფი“.

უპარტიო მწერლები და პოეტები კიდევ ახერხებენ საკუთარ თავის გამოჩენას და აარსებენ თავიან მხატვრულ ორგანოებს: *1923* წელს ტიციან ტაბიძის რედაქტორობით გამოვიდა ცისფერყანწელთა გაზეთი „ბარიკადი“, რომლის გამოცემა შეწყდა *1924* წელს, გამოიცა ახალმწერლობის კავშირის ორგანო „ღომისი“, კონსტანტინე გამსახურდიამ გამოსცა ჟურნალი „ილიონი“, გალაქტიონ ტაბიძემ გამოსცა თავისი გაზეთი „გალაქტიონი“, *1923* წელს იგივე კ. გამსახურდიამ გამოსცა „საქართველოს სამრეკლო.“

1921-25 წლებში საქ–ში ადგილი ჰქონდა მწერალთა ოთხ დაჯგუფებას: აკადემიური ჯგუფი, პოეტების ჯგუფი, ცისფერი ყანწელები, მეჯარცხენე ფუტურისტები და პროლეტარული მწერლების ასოციაცია, რომელიც წარმოადგენდა „რაპპის“ ფილიალს საქართველოში. აი, როგორ ახასიათებენ ამ დაჯგუფებებს საქართველოში: „აკადემიური ჯგუფი წარმოადგენდა ყველაზე მრავალრიცხოვანს და კონსერვატიულს. თავის გარშემო აერთიანებდნენ სხვადასხვა ჟანრის პოეტებსა და მწერლებს. ეს დაჯგუფება წარმოადგენდა ანტიპროლეტარულ რეაქციონური კლასების ნაციონალისტურ გადანაშთებს. ამ გაერთიანებას მეთაურობდნენ კონსტანტინე გამსახურდია, აღექსანდრე აბაშელი, კოტე მაყაშვილი, პავლე ინგოროყვა, იოსებ გრიშაშვილი, ი. მჭედლიშვილი, ხარიტონ ვარდოშვილი და სხვა. საქ–ს კომპარტიის მე-*10* ყრილობაზე თავის მოხსენებაში ამხ. ბერიამ ეს ლიტ. გაერთიანება დაახასიათა, როგორც უკიდურესი მიმართულება ქართულ ლიტერატურაში. ლიტერატურული ჯგუფი გაფორმდა *1922-23* წლებში და ამ ჯგუფის ორგანოებს წარმოადგენდნენ: „ქართული სიტყვა“, „ღომისი“, „ილიონი“, „კავკასიონი“, „ხომალდი“, „საქართველოს სამრეკლო“ და სხვა...“ „პოეტური ჯგუფი „ცისფერი ყანწები“, რომელიც წარმოიშვა ქართულ ლიტერატურაში პირველ მსოფლიო ომის წლებში, წარმოადგენდა ტიპიურ სიმბოლისტურ მიმართულებას, როგორც დაგვიანებული გამოძახილი დასავლეთევროპული და რუსულ ბურჟუაზიული დაკადენტური ლიტერატურისა...“(ლ. ბერია)[იხ. „ისტორია გრუზინსკოი ლიტერატური“–ა. ბარამიძე, შ. რადიანი, ბ. ეღენტი. მოსკოვი. *1952* წ.]

საბჭოთა ხელისუფლებამ დიდხანს ვერ მოითმინა მწერლების ეს დამოუკიდებელი დაჯგუფებები. 1932 წელს გამოქვეყნდა საკ. კ.პ. ცენტრალური კომიტეტის 23 აპრილის დადგენილება „ლიტერატურისა და ხელოვნების ორგანიზაციების მუშაობის გადახალისების შესახებ." გაუქმდა პროლეტარული მწერლობის ასოციაცია და სხვა დაჯგუფებები. ყველა მწერალი ადმინისტრატიული წესით გააერთიანეს მწერალთა კავშირში, რომელიც შემდეგ დაუქვემდებარეს საბჭოთა კავშირის მწერალთა ცენტრალურ ორგანიზაციას. იმავე წელს, 25 დეკემბერს გაიხსნა საქ–ს საბჭოთა მწერლების, სწორად, რომ ვთქვათ საბჭოთა კავშირის მწერალთა კავშირის საქ–ს ფილიალის პირველი ყრილობა. თუ მეხსიერება არ მღალატობს სწორედ ამ ყრილობაზე თავს დაესხნენ კონსტანტინე გამსახურდიას და უკიჟინეს: „კ. გამსახურდიას წითელი ბაშლაყი არ უყვარსო." გამსახურდიამ მათ უპასუხა: „მე ყველანაირი ბაშლაყი მიყვარს, ოღონდ ქართულიო." აი, რის შემდეგ დაიწყო ქართველი პოეტებისა და მწერლების „გასაბჭოება." საბჭოთა ხელისუფლებამ ამ დღიდან არა მარტო აკრძალა დამოუკიდებელი ლიტერატურული დაჯგუფებები, არამედ გაუგონარი ტერორით, რომელმაც თვით კომპარტიის ხაზის გამტარებელი „რაპელებიც" კი არ დაინდო, პატიმრობით, წამებით, ციხე-გადასახლებებით და დახვრეტებით თავზარდაცემული გადარჩენილები აიძულა ყველა ერთ საბჭოთა პლატფორმაზე დამდაგარიყო და პარტიის დირექტივების გამტარებელი ყოფილიყო.

„მოხდა თუ არა საქართველოს გასაბჭოება, გვარწმუნებს კრიტიკოსი ბესო ჟღენტი, ქართველი პოეტები თავიდანვე ჩაებნენ საბჭოურ ცხოვრებაში და მიიღეს საბჭოთა ხელისუფლებაო." მართალია ეს? ვალაპარაკოთ ზოგიერთი ფაქტები. დავიწყოთ აღექსანდრე აბაშელით. პოეტმა არ მიიღო საქ–ს „გასაბჭოება", რომელიც არა ერთხელ გამოხატა თავის ღირიკულ ლექსებში. ამის საჩვენებლად ავიღოთ „კრწანისი"– „და ერის ტანჯვის გამომხატველი იზრდება გულში დიდი ნაღველის ორი მწვერვალი– კრწანისის ველი და თებერვალი." ეროვნული გრძნობებითაა აღთქმული ლექსი: „წერილი ნოე ჩხიკვაძეს". საქ–ს დაპყრობით და მისგან გამოწვეული შედეგებით გულამღვრეული პოეტი ასე მიმართავს თავის მეგობარ პოეტს, აწ გარდაცვლილ ნოე ჩხიკვაძეს: „ეხლა ქუხილი არ ისტამბება, ხარი არ ჰყვირის მაღალ მთებიდან, ლექსი წაიღო ახალ ამბებმა, ამოწერილმა გაზეთებიდან." დიახ, ეს ხარი–ირემი ერთ-ერთი ქართული ეროვნული სიმბოლოთაგანია ქართულ პოეზიაში. ჩვენი დიდი პოეტი ვაჟა ფშაველა ხმარობდა მას სიმბოლოდ. ჩვენი ქვეყნის დამპყრობელებმა ამ ხარს, რომელიც მაღალ მთებიდან ყვიროდა თავისუფლებაზე, ღაგამი ამოსდეს და მის ნაცვლად პოეზიაში გააბატონეს იაფფასიანი სარეკლამო ლექსები. ამას ებრძვის ჩვენი პოეტი. ახალგაზრდობაში, აღ. აბაშელი, დიდ გოეთესავით ეკლესიაში არ დადიოდა, მაგრამ ერთ დღეს ეკლესიაში შევიდა და ჯვარცმულის ხატს მოწიწებით ემთხვია:

„ნოემბრის ქარში, ცივ ქუჩაში მოხეტიალეს
შემაკრთობს ზარი და ტაძარში შევალ შემთხვევით,
მოვისმენ ღაღადს, ძველი გრძნობა უცებ იელვებს,
ავანთებ ცრემლით ჩემს წამწამებს და ჯვარს ვემთხვევი.
კრიალებს ვერცხლის საცეცხლური და საკმეველი,
აღსავლის კარებს ცისფერ ღრუბლად ენარნარება.
მორწმუნეთ შორის ვდგევარ უცხო კათაკმეველი,
მაგრამ „განვედი" ჩემს ოცნებას არ ეკარება.
თავდება ღოცვა, ახსენებენ ჯვარზე ნაწამებს,
გადავდგამ ნაბიჯს მოწიწებით და ჯვარს ვემთხვევი."

ერთხანს ამ სტრიქონების გამო კომუნისტ-კრიტიკოსებმა პოეტში უღმერთობა დაინახეს და სიხარულით ცას ეწიენ, მაგრამ სიტყვა „განვედმა" შეაფიქრიანეს და

ამ შედევრის ავტორი კინაღამ ჯვარზე აცვეს ქრისტესავით. რას არ უწოდებდნენ მას, დეკადენტურ პოეტს, ბურჟუაზიულ რეაქციონერს და სხვა.
ჩვენი დიდი პოეტი, მწერალი და მოაზროვნე გრიგოლ რობაქიძე აღფრთოვანებული იყო ალ. აბაშელის ამ ლექსით და მას ქართული ლირიკის შედევრთა ათეულში იხსენიებდა. ჰოდა, ბევრი ჭიდილისა და ბრძოლის შემდეგ ალექსანდრე აბაშელი იძულებული გახდა „გასაბჭოებულიყო". მისი „საბჭოური" ხასიათის ლექსები მაინც ატარებენ ცენზურის ძალდატანებას და მოკლებული არიან აბაშელისეულ გრძნობას და პოეტურ სინაზეს.

წარმოიდგინეთ მკითხველო, რომ საბჭოთა პოეტი ყოფილა თურმე კოტე მაყაშვილიც. აი დაუჯერებელი ამბავი! კოტე მაყაშვილმა სხვა მრავალ ქართველ პოეტებთან და მწერლებთან ერთად განვლო ნარეკლიანი გზა. მას მემარჯვენე და რეაქციონურ პოეტს ეძახდნენ და მის ლიტერატურულ დაჯგუფებას, რომელიც თავმოყრილი იყო ჟურნალ „კავკასიონის" გარშემო, მენშევიკურ საქ–ს მიმტირალს უწოდებდნენ.

კ. მაყაშვილი უმღეროდა *1905* წლის რევოლუციას, მაგრამ ამით არ ყოფილა ის საბჭოების მომღერალი. დამარცხდა *1905* წლის რევოლუცია, გაჰქრა ყოველგვარი იმედი, რეაქციამ გაიმარჯვა. პოეტის გულიც სევდამ მოიცვა და მისი სული წმინდა ლირიკას ორგანიულად ჩაექსოვა. ამ ხანის მის ლექსებში: „დავრდომილი სნეული", „ტიროდა, ცრემლი სდიოდა", „ღამე" და მისთანანი მეღაენდება პოეტის სულის სინაზე. კოტე მაყაშვილის ლექსები, როგორც აკაკისა, ხალხმა შეიყვარა, მას მღეროდა და მღერის. რაც შეეხება საქ–ს დაპყრობას *1921* წლის თებერვალში საბჭოთა წითელი არმიის მიერ, ნიჰილერმა მამულიშვილმა ასე დაიტირა: „არც სიცოცხლის, არც სიკვდილის, აღარა მაქვს ხალისი,
თებერვალმა დამიზამთრა სამუდამოდ მაისი."
ეს მაისი, განა ამას თქმა უნდა, *1918* წლის *26* მაისია, საქ–ს სახელმწიფოებრივი სუვერენობის აღდგენის დღე, ხოლო თებერვალი ამ სუვერენობის დამხობის დღე.

მართალია, პოეტ იოსებ გრიშაშვილს გვიან გააკეთებინეს „საბჭოური" ლექსები, მაგრამ ვინ არ იცის თუ როგორ დაგმო, პოეტმა, ბოლშევიკების მიერ სამშობლოს დაპყრობა:

„ჩვენ იმგვარად შევეჩვიეთ
ჩვენ საკუთარ ფერსა და ხმას,
რომ ვარასდროს ვერ ვიგუებთ
გამარჯვებულ რუსის ჩექმას.

***

მე დავდიოდი, როგორც შამილი,
მომავლის ბედი კვაღდაკვალ მსდევდა
და ივსებოდა გულში შხამივით
ბესიკის ბაღში ნაზარდი სევდა.

***

ზეინაბად გადვიქცევით,
გულს ჩავიკლავთ აღთქმას შმაგურს
და უსისხლოდ მტერს არ მივცემთ
არც ერთ კუთხეს, არც ერთ აგურს.

***

თქვენ ამბობდით საქართველომ
რაც არ უნდა გაიბრძოლოს,
ის რუსეთის კომუნისტად
გადიქცევა მაინც ბოლოს.

***

ხომ ასრულდა, თქვენ მოხვედით,
ჩვენ მიგიღეთ ორივ ხელით,
მაგრამ ხალხი არ შეგარჩენთ
სხვის ხიშტით რომ შემოხვედით."

იოსებ გრიშაშვილი მტკიცედ იდგა ქართულ კლასიკურ პოეზიის ტრადიციებზე, მას გულს უკლავდა ქართველი ხალხის დამარცხებით გამოწვეული სევდა:

„სიზმრად ვნახე საქართველო, სისხლის ზღვაში ბანაობდა,
ქართველის დროშა დაფლეთილი, ქარის ფრთებზე ქანაობდა
და მეც ვითომ ღრუბლებიდან დავყურებდი იმ ნაპირებს,
სადაც ნაშთი ჩახვეოდა მკერდგაპობილ მებრძოლ გმირებს.

დავყურებდი ძველ მონასტრებს, ძველ აკლდამებს წინაპართა
და ვფიქრობდი: ნუთუ ერი ისე დაჭკნდა და დაკნინდა,
რომ სხვას მიაქვს ჩვენი ხალხის სიამაყე, წმინდათ-წმინდა."

იოსებ გრიშაშვილი ვერ შეურიგდა საქ–ს დაპყრობას და თითქმის შეწყვიტა წერა. გავიდნენ წლები. კვლავ გაისმა საყვარელი პოეტის ხმა. ეხლა მისი თემა გახდა ძველი ტფილისი, სირაჯხანა, დახურული ბაზაზღანა, ორთაჭალა, ხარფუხი, ირაკლის აბანოები, შეითან ბაზარი,.. ძველი ტფილისი თავისი ამქრებითა და ყარაჩოხელებით.

იოსებ გრიშაშვილიც ბოლოს და ბოლოს „გასაბჭოდა".

1895 წლის აპრილის ორს, იმერეთის სოფელ შუამთაში, ორპირის მახლობლად, დაიბადა ქარ–ლი პოეზიის ნიჭიერი წარმომადგენელი, ქართული სიმბოლისტური სკოლის „ცისფერყანწელთა" ერთერთი დამაარსებელი და თეორეტიკოსი, ტიციან ტაბიძე.

„მე დავიბადე აპრილის თვეში, გაშლილ ატმების ყვავილებიდან.
მაწვიმს სითეთრე და წვიმის თქეში, ცრემლი მგონია ჩემ თვალებიდან."

ტ. ტაბიძის შემოქმედებისათვის დამახასიათებელია პოეზიით თავდავიწყებული გატაცება:

„მე არ ვწერ ლექსებს...ლექსი თვითონ მწერს,
ჩემი სიცოცხლე ამ ლექსს თან ახლავს,
ლექსს მე ვუწოდებ მოვარდნილ მეწყერს,
რომ გაგიტანს და ცოცხლად დაგმარხავს."

ტიციანმა განიცადა თვითმკვლელობა პოეტური. მან გააკეთა ზოგიერთი „თანამგზავრული" ლექსი, მაგრამ ამ ლექსებშიც, პოეტს არ დაუკარგავს თავისი ინდივიდუალობა:

„ტიციან მქვიან, ვრჩები ტიციანად."

და, როცა ამ სიტყვების გამო მას თავს დაესხნენ „რაპპის" კრიტიკოსები, ტიციანს ქედი არ მოუხრია„ სერგეი ესენინში" სხვათაშორის ამბობს:

„ამხანაგებო თუ ღრმა ღელეში ჩვენი თავებიც სადმე გაგორდეს,
ყველამ იცოდეს, რომ პოეტებში ესენინ ჰყავდა ძმად ცისფერ ორდენს."

ტიციან ტაბიძემ იცოდა, რომ კომუნისტები ამ გაბედულებას არ აპატიებდნენ და ასე დააბოლოვა თავისი ლექსი:

„ჩვენ ახლა სხვა დრო წამოგვეწია, ჩვენც აღბათ სადმე ჩაგვაძაღლებენ."

ნობელის პრემიის ლაურეატი, ბორის პასტერნაკი, რომელიც ახლო მეგობარი იყო ტიციან ტაბიძის, წერს ტიციანის ქვრივს, *1955* წლის *10* ოქტომბერს, მას შემდეგ, რაც მან პოეტის მკვლელობა და მისი რეაბილიტაციაც გაიგო:
„საცოდავი, საცოდავი ტიციან. ის იყო უეჭველად საცოდავი. ის გრძნობდა, რომ მას წამებულად უნდა ევლო...მას ამას გული ეუბნებოდა" და სხვა.

ტიციან ტაბიძე დახვრიტეს იმავე ეჟოვშჩინის დროს. სწორედ პოეტური სიმწიფის ასაკში.

პაოლო იაშვილი. მას უწოდებდნენ ქართული პარნასის მშვენებას. კარგი მთხრობელი და პოეტური ნადიმების შეუდარებელი თამადა, პ. იაშვილის ლექსებიც ნიაღვარივით მომდინარეობდა. ბერიას ჯალათებისაგან წამებით სიკვდილს თვითმკვლელობა არჩია. დღეს, რესპუბლიკის სახალხო არტისტი თამარ წულუკიძე, თავის მოგონებაში „იყო ერთი პოეტი", პაოლო იაშვილს ცილს სწამებს ვითომც ცხენზე ამხედრებული მიგებებოდეს თბილისში შემოსულ რუს წითელარმიელებს.

ჩეკისტებმა წამებით მოჰკლეს დიდი მწერალი მიხეილ ჯავახშვილი, გერცელ ბააზოვი და რამდენი სხვა, მათ არ დაინდეს თვით „რაპპელი" მწერლები, პოეტები, კრიტიკოსები :ბენიტო ბუაჩიძე, პლატონ ქიქოძე, კალე ფეოდოსიშვილი ,

ფრიდონ ნაროუშვილი და მრავალი სხვები. ეს არის მცირე და მკრთალი სურათი საბჭოთა საქართველოს პოეზიისა და მწერლობის გოლგოთის. ამ სტატიისთვის განკუთვნილი ადგილის სიჭიწროვე ნებას არ მაძლევს უფრო დაწვრილებით განმეხილა და შევეხებოდი მეტად თუ ნაკლებად მნიშვნელოვან, როგორც საბჭოსაქართველოს წარსულიდან, ისე მის დღევანდელ პოეტებსა და მწერლებს. თუ ღმერთმა ინება, მომავალში განზრახვა მაქვს უფრო დაწვრილებით ჩემი აზრი ამის შესახებ გავუზიარო მკითხველებს.

მიუნხენი. *1980-81* წ. **მინდია ლაშაური**

გიორგი ყიფიანი

***

შენი სახელით დავიბადეთ ჩვენ ამა ქვეყნად,
წინ მიგვიძღვოდა მზე და მთვარე, ბავშვის ღიმილით.
აღბათ შენ იყავ ჩვენი მოდგმის პირველი დედა
სულს, რომ ამბოხებს უხილავი გულისტკივილით.
იისფერ დილას, მთის მწვერვალებს და მზის სიცელქეს,
ათამაშებდა ნაძვის ტყეთა ფოთოლთ შრიალი,
მწვანე ფერები მიწის მკერდში იშლიდნენ ფესვებს
და გაზაფხული ყვავილებში პირმომცინარი.
სულყველას გვერქვა მშვენიერი შენი სახელი,
სულყველას გვერგო ტკივილების მწარე იარა,
სიცოცხლის გზაზე ყინვის კაცმა შეგვავლო ხელი
და ყვავილებზე თებერვალმა გადაიარა.

--- --- --- ---

საკაცობრიო თებერვალი

არ აქვს სამშობლო, სამშობლო გრძნობას
ყველას ეკუთვნის, დიდს და პატარას,
ბუნების ძალა თუ კი მენდობა,
ჰიანჰველასაც ვაძლევ სამართალს.

***

წითელ ჯოჯოხეთს მოაქვს ზღვა და მოაქვს ხმელეთი,
მონების გლოვა ამღელვარებს დაღლილ სამყაროს.
თებერვლის ღამე, ტკივილებით ამონახეთქი,
დაჩეხილ მიწის ჭრილობებში დაეძებს ნაყოფს.

***

სისხლის ტალღებმა ჩაიძირა თეთრი ტაძარი,
საკუთარ ძვლებზე დააფიცეს მორიგი მონა,
ქართლოსის კვნესა, თებერვალის ნაანდერძალი,
ევროპის გულში ტკივილებით დღეს განმეორდა.

***

ძრწოდე მსოფლიოვ, ვერ გაიგე პირველი ტანჯვა,
მაისის სხივებს გადაუდგა წითელი მკვლელი.
თებერვლის დანით დასერილი აგვისტოს მაჯა
საკაცობრიო სინდისისა იყო დამცველი.

***

შემოგხვევია განწირული ხალხის ჭრილობა,
მსხვერპლის ჭიდილი, სიკვდილის წინ სიცოცხლის დავა.
კავკასიონი კვლავ გეძახის კაცობრიობას,
დროა გაიგოთ ჯოჯოხეთის პირველი დრამა.

გიორგი ყიფიანი

(„რჩეული შაირების კრებული.„ *1951* წ.)

მესამე გაანყოფიერება— მოგონებები

ჩემი დღიურიდან

12 თებერვალი. დილით სტუდენტთა სასადილოში მივდიოდი(აქ იყო სტუდენტთა გამგეობის სამდივნო), გზაში რაღაც ყველანი დაღვრემილი მეჩვენა. ყურადღება არ მივაქციე, სამდივნოში შევედი და მუშაობას შევუდექი. 11 საათი იყო სასადილოს დარბაზში გამოვედი, არაჩვეულებრივად მრავალი სტუდენტები იყვნენ იმ დროისათვის და ჯგუფ-ჯგუფად ხმადაბლა ლაპარაკობდნენ. ერთ ჯგუფს შევუერთდი,—არა, აზერბაიჯანელებს შემოუტევიათ და წითელ-ხიდზე გადმოსულან, თბილისს უახლოვდებიანო, ამბობდა ერთი. მე მითხრეს სომხები გადმოვიდნენ ხრამზე და წინ მოიწევენო, თქვა მეორემ. მესამემ კიდევ დაუმატა: ამ დილით სამხედრო სამინისტროს ერთმა მოხელემ გადმომცა, რომ შავი ზღვის ნაპირებზე შემოგვიტია წითელმა ჯარმაო. ყველა მეტად შეწუხებული და აღელვებული იყო. უნდოდათ გაეგოთ რაშია საქმე, რა მოხდა: შეიძლება ყველა ეს ხმებია, პროვოკაციაა პანიკის ჩამოსაგდებად, საჭიროა სინამდვილის გაგება, გაისმა ხმები...

სტუდენტთა სასადილოს მოლარე კ. სამყურაშვილმა გადმომძახა: ტელეფონზე გთხოვენო. ვინ არის, ვკითხე. არ ვიცი სტუდენტთა კავშირის მდივანს თხოულობს, მიპასუხა. სასმენი მილი ავიღე, ვინ ბრძანდებით შეეკითხე.—გრიგოლ ღორთქიფანიძე ვარ, გრიგოლ ღორთქიფანიძე, მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე, განათლების მინისტრი. რა ამბავია? გამიელვა თავში. „შეგიძლიათ 12 საათისათვის უნივერსიტეტში მოიწვიოთ მიტინგი? მდგომარეობა მეტად ცუდია: მტერი ყოველ მხრიდან გვიტევს, მცირე სანაპირო ჯარები მტრის ძლიერ შემოტევას ვერ უძლებენ და უკან იხევენ, საჭიროა მიშველება, გამხნევება, სანამ მაშველი ჯარები მოსულან სტუდენტებმა უნდა იყოჩაღონ. ახლა უკვე 11 საათია და ერთ საათში ვერ მოვახერხებთ მათ თავშეყრას. სტუდენტები გაფანტულია მთელ ქალაქში: კლინიკებში, ლაბორატორიებში, სემინარებში და საგრძნობი ნაწილი მსახურობს. თუ გვიან არ იქნება, სამ საათისათვის შევძლებ ვაცნობო ყველას. „კეთილი, სამი საათისთვის იყოს. მაშ, სამ საათზე გრიგოლ რცხილაძე და მე უნივერსიტეტში ვიქნებით“, მითხრა მან. მივიღეთ სასწრაფო ზომები, ყველა გავაფრთხილეთ უნივერსიტეტში და ინსტიტუტებში.

სამი საათისათვის სტუდენტობა თავს იყრის უნივერსიტეტის პირველ აუდიტორიაში(ეს იყო ყველაზე დიდი დარბაზი). სამზე და ხუთ წუთზე კათედრაზე გამოდის ბატონი მინისტრი. სტუდენტები ტაშით ეგებებიან. მოკლეთ, დრამატიულ სურათს ხატავს მდგომარეობისას და მგრძნობიარედ მოუწოდებს ახალგაზრდობას თავის წმინდა მოვალეობის შესრულებისათვის. ის გრიგოლ რცხილაძემ შეცვალა. მისი თბილი, მგრძნობიარე მოწოდება ახალგაზრდათა მიმართ ტაშით იფარება. შენობა ვეღარ იტევს, მიტინგი ეზოში გადავიტანეთ. აქ, ქართველ მოსწავლე ახალგაზრდობის სულიერი მამა და მათი უსაყვარლესი ადამიანი ივანე ჯავახიშვილი, მათ მიმართავს: „შვილებო, ჩემი მოვალეობაა თქვენ წიგნისა და კალმისკენ მოგიწოდოთ, მაგრამ ერის ცხოვრებაში არის ისეთი მომენტები, როცა საჭიროა ყველაფერი განზე გადასდო და იარაღით ხელში მტერს მიეგებო. და აი, მეც თქვენ დღეს იარაღისაკენ მოგიწოდებთ.“ „ვაჟკაცსა უნდა გული რკინისა, თუნდ აბჯარი ჰქონდეს ხისაო“, უკანასკნელი სიტყვა სტუდენტ ოქროპირს(ასე ეძახოდნენ მას) გიორგი ნაკაშიძეს ერგო. მან მისთვის ჩვეული მგრძნობიერებით ახალგაზრდათა მღელვარება უმაღლეს მწვერვალამდე აიყვანა. გოგონები ცრემლებს ღვრიდნენ. გაისმა მქუხარე ხმა გ. სვანიძის: სასახლისაკენ! გუნდმა დასძახა: „ქარ—ღო ხელი ხმალს იკარ.“ ხალხი დაიძრა... სასახლის წინ მათ მიესალმა დამფუძნებელი კრების თავმჯდომარე აღ. ღომთათიძე და პროფ. შ. ნუცუბიძე. იქვე შესდგა რამოდენიმე რაზმი ყოფილ ოფიცერ სტუდენტთა მეთაურობით, რომელთაგან ბევრი მსხვერპლად დაეცა სამშობლოს სამსხვერპლოზე.

(„ჩვენი დროშა“ №35. 1961 წ.) ფილიპე შარაძე

ტ ა ბ ა ხ მ ე ლ ა

რაშია საქმე, გვგზავნიან ომში თუ არა? ტფილისთან ზარბაზნები ჰქუხს და ჩვენ კი აქა ვართ! არა, ლოდინი აღარ შეგვიძლიან! თუ ყველას არ გაგვგზავნიან თითოობრივ მაინც წავიდეთ ან ჯგუფ-ჯგუფად, გაისმოდა სამხედრო სკოლის ეზოსა და სამოსწავლო ოთახებში, აქა-იქ შეგროვილ ჯგუფებში. შიგა და შიგ ჯგუფს ვიღაც მოსწყდებოდა და ოთხად მოკეცილ ქაღალდს კლასის ოფიცერს გაუწოდებდა. ქაღალდში ეწერა: „ვინაიდან სკოლას ფრონტზედ არ ჰგზავნიან, გთხოვთ დაუყონებლივ მიმავლინოთ მომქმედ ნაწილში." თხოვნები უპასუხოდ რჩებოდა და იუნკერთ სახეთ მოლოდინში შფოთისა და მღელვარების ნიღაბი ეკვროდათ... ხმები ბევრი იყო, რომ იუნკრები ფრონტზე არ წავლენ სრულიად, ან მხოლოდ უფროსი კურსელები ოფიცერთ ხარისხით, ან წავლენ ყველანი. მღელვარება შეწყდა ღენერალ კვინიტაძის მთავარსარდლათ დანიშვნის დღიდგან. აქ ეპვი აღარავის ეპარებოდა, რომ ვაღდებულების მოხდის სურვილში, მისგან თანაგრძნობის მეტს ვერას მიიღებდნენ.

მართლაც, *16* თებერვალს ყველამ იცოდა, რომ ფრონტზე გავდივართ. *17*-ს დილიდგანვე სკოლა მოეწყო სამგზავრო სამზადისით. მოედანზე იდგა: ოთხი ასეული ქვეითი იუნკრებისა, ერთი ბატარია, ხუთი ცხენოსანი იუნკერი, ნაცვალთა ათასეულის ახალი ასეულები, სკოლის მუსიკა. ეზოში ოფიცერთა შეკაზმულ ცხენებს მიმოატარებდნენ. სკოლა მაყურებელ ნათესავებით გაივსო.

ადგილზედ! სმენა, მარჯვნივ სწორდით!—გაისმა მწკრივებში, როდესაც სკოლის საუფროსოს კარებში პოლკ. ჩხეიძის ბუხრიანი ქუდი გამოჩნდა. მაიორ ანანიაშვილმა პატაკი ჩააბარა. პოლკოვნიკმა ასეულები გადაათვალიერა, მორთმეულ ცხენზედ რკინის ქანდაკებასავით გუნდების წინ აღიმართა და ჯარისთვის „თავისუფლება" ბრძანა. ასეულებმა მუხლებში ჩაიკეცეს. ჭიშკრიდან ღენ. ანდრონიკაშვილი გამოჩნდა. შავ ცხენს პოლკ. ჩხეიძისკენ მოაოთხებდა. უკან მხლებელი ადიუტანტები მოსდევდნენ. ასეულობით სმენა, სწორება მარჯვნივ, იარაღით სალამი, ბატონო ოფიცრებო! გასცა ცხენიდგან პოლკ. ჩხეიძემ და ოთხივე გენერალს მიეგება. ურთიერთის წინ შეჩერდნენ. ღენერალმა პატაკი ჩაიბარა. წყობილებას დაუახლოვდა, აღგზნებული თვალები იუნკერნაცვალ ათასეულის გუნდებს მიაპყრო და, როდესაც მუსიკამ ჰიმნი ბოლომდე დაიმღერა, დაიწყო: „ყმაწვილებო, ბედნიერი ვარ მოგილოცოთ, რომ საშუალება გეძლევათ თქვენი მოქმედებით დაადასტუროთ თქვენი სურვილი სამშობლოს სამსახურისა. მე თქვენს მასწავლებელს და უფროსს ეპვი არ მეპარება ზუსტად შეასრულებთ მხედრულ მოვალეობას და პირნათლად წარსდგებით ქართულ ისტორიის სამხჯავროს წინაშე. არ დაივიწყოთ ველზე ყოფნისას, რომ ყოველ თქვენს ნაბიჯს მოწმეთ ეყოლება იგივე მიწა, ცა და ბუნება, რომელიც არა ერთხელ გაკვირვებულა ქართველთ გმირობით და უდრეკელობით სიკვდილის წინაშე. გაუმარჯოს ჩვენს საქმეს, გაუმარჯოს საქართველოს და ქართულ ჯარს, ვაშა!"— ვაშა!—იგრიალა აღგზნებული სიტყვებით გატაცებულმა გუნდებმა. ვაშა!—ყვიროდნენ ახალგაზრდები და ამ გრიალზედ შეამჩნევდით, რომ მართლაც სანეტარო წუთები დადგომოდათ და რკინის კედლის შენგრევაზეც არ დაფიქდებოდნენ ერთ წუთსაც...

ვაშა!—იმეორებდა ბანათ სკოლის შენობები, მტკვრის ხეობა და მამადავითის ფერდობები. მუსიკა „აღსდეგ გმირთ-გმიროს დამღეროდა... ათეულებით მარცხენა მხარი წინ, ნაბიჯით იარ!—გაისმა რიგებში და ქართულად ამეტყველებულ მუსიკას ასეულები აედევნენ.

სამხედრო სკოლა მიდის ფრონტზედ, სამხედრო სკოლა!—ელვის სისწრაფით გავარდა ხმა ქალაქში და მთელი ქალაქი მიხაილოვის და შოთა რუსთაველის ქუჩაზედ გამოიფინა. ძლივს მიარღვევდნენ ასეულები აზღვავებულ ტალღას. ქალი თუ კაცი, დიდი თუ პატარა, ყველა აქ გამოსულიყო და მწყობრად მიმავალთ ტაშის ცემითა და ვაშათი ეგებებოდა. იუნკერთა სასწავლებელი კი მიდიოდა მთელი მხედრული სიდარბა-

ისლით, წარბშეუხრელათ და დინჯათ, თითქოს ამ ზღვა ხალხის გადმოხეთქილი სიმპატია მათ არ ეხებოდათ.
საიდღანაც გაჩნდნენ კალათა ავსებული ვაჭრები, ქართველები და არაქართველები. ხილი, თუთუნი, ნამცხვარი, ტკბილეულობა და ვინ იცის რა არ გამოეზიდნათ ომში მიმავალთა პატივსაცემათ. მოსიყვარულე სახეებით რიგებს უახლოვდებოდნენ, საჩუქრებს უწვდიდნენ, ტკბილი სიტყვებით ემშვიდობებოდნენ. იუნკრები ზომიერი ნაბიჯით წინ მიმართვიდნენ, საჩუქართ ჩამორთმევით მწკრივებს არ შეარყევდნენ. დიდი წყენა იყო ალბათ ეს სპარსულ და ქართულ ქუდიან გრიშაშვილის თბილისისათვის, მაგრამ სხვაფრივ არ იქნებოდა. მუსიკა მხედრულ მელოდიიდან მხედრულზე გადადიოდა. მუდამ მშვიდი ღენერალი ანდრონიკაშვილი, თავისი ამალით, სკოლას წინ მიუძღოდა. უკან პოლკ. ჩხეიძის ბუხრიანი ქუდი მიქანაობდა. შემდეგ ქვეითი გუნდები, მეზარბაზნენი, ცხენოსანნი,— ბოლოს ზემდეგი ოდიშელიძე, უკან ნაცვალთა ათასეულის ახალი გუნდები.

ვერის დაღმართის დამლევიდან ხალხმა იმატა. აღტაცების და მისალმების ყიჟინი ბედნიერ დედათა მიერ შვილების უკანასკნელ ღოცვასა და აღერსში აირია. შვილო! შენ იცი, როგორ იბრძოლენ სამშობლოსთვის! —შვილებო! შვილო! ეალერსებოდნენ ხან შვილს, ხან მის ამხანაგებს. შვილები და ამხანაგები კი ხალხის პატრიოტული ენტუზიაზმით გულაჩუყებულნი ისევ განაგრძნობდნენ მედგრულათ წინსვლას. არც ერთს მწკრივი არ გამოუმტვრევია, მაგრამ გარეგნულათ, დედის აღერსისათვისაც ჯრუთ, აძგერებული გული ღამის საბუდიდგან გადმომხტარიყო. როგორ დამშვიდდებოდა ყოველი მათგანი საშოალება, რომ ყოფილიყო დუმილის დარღვევისა და მთელი ხმით დაძახებისა: „ქართველებო, საყვარლებო, ძველო თბილისო არა ვართ ღირსი თქვენი ასეთი მოპყრობისა, მაგრამ გაგიმართლებთ იმედებს, არც ერთი ჩვენგანი გაუმარჯვებლივ ცოცხალი უკან აღარ დაბრუნდება!“ არ შეიძლებოდა არც ამის თქმა და მისთვის იყო, რომ დაგუბებული გრძნობები თითქოს არღვევდა მათ სხეულს და გადმოხეთქვას ღამობდა მათ არსებიდგან...
— ვასილ ბარნაველი, ვასილ ბარნაველი, გაისმა ჩურჩულით მწკრივიდან მწკრივზედ გადაცემული ხმა. შავათ ჩაცმული, შავ ცილინდრში, შოთას პროსპექტის მზიან მხრით, მოდიოდა. სწორედ მზემ გამოანათა და ვერცხლით შეფერილი ჭაღარა, რაღაც ღვთისნიერი სხივით გაასხივოსნა; განგებამ თუ მოაღლინა იმ წუთს ქუჩაზედ. უძღეველმა სულის სითბომ გადმოსჩქეფა მისი არსებიდგან მის მოწაფეებზედ და სამშობლოს სამსხვერპლოზედ მიტანის სამზადისი ოსტატურათ ჩაჰბერა თავისივე ხელით წლობით ნაქედ გულებს. წუთიერი იყო მისი ხილვა, მაგრამ მარადისობაზედ ძლიერი იქ დაბადებული გრძნობები.

ბოტანიკურ ბაღთან სკოლამ შეისვენა და მხოლოდ აქ ჩაეკვრნენ ურთიერთს მიმავალ-გამცილებლები, დედა და შვილნი, დანი და ძმანი, ნაცნობნი და მახლობელნი. —ნუ გეშინიან ქალო, დამარცხებულსაქ ვერ გვნახავთ, გავიმარჯვებთ ან დავიხოცებით! რა იცოდნენ ზოგიერთებმა, რომ ქართველ ქალებს მართლაც უკანასკნელათ ელაპარაკებოდნენ.

ცოტა ხნის შემდეგ ჩვეულებრივი ყივილ-ხივილით, სიმღერით და მხიარულობით იზლაზნებოდა კოჯორის აღმართით იუნკერ-ნაცვალ ათასეულთა ასეულები.

17-ს საღამოს სკოლა უკვე ტაბახმელაში იყო და ამ დღიდგან იწყობდა ცხოვრებას მძიმეს, ცხოვრებას მოკლეს და აზრიანს, ცხოვრებას ძვირფასს.

18-ს ყინეღლიანი დღე იყო და ცივი. პირველი და მეორე მწყობრი ხაზში ყარაულს ეწეოდნენ, მესამე და მეოთხე ტაბახმელის განმარტოებულ შენობაში იყვნენ და ძალას იკრებდნენ წინამდებარე მოვლენებისათვის. მეტ წილს ეძინა, ზოგი თოფებს წმენდნენ. — ბიჭებო, ჟორდანია და კვინიტაძე მოდიან, დაიძახა ვიღაცამ. შეიქმნა ფუსფუსი. მხედრულ მისალმებისათვის დრო აღარ იყო. ჟორდანიას დაფიქრებულ ჭაღარა სახეში ამ დღეს სპეციალური სევდა გამოიყურებოდა. რა აფიქრებდა? საქ—ს წინ ამართული საფრთხე? ნორჩი იუნკრების სიბრალული? მისი განცდანი ამ დღეს გაურკვეველი დარჩა. ნისლი ტაბახმელის ფერდობით კუმისის ტბისკენ ჩაცურდა და ტაბახმელას ვარსკვლავი-

ანი ღამე ჩამოაწვა. იუნკრები საგუშაგოზედ იდგნენ. მეზობელთ შუა სივრცე გაეკრათ, ზვერვა გაეხშირებიათ და ფრთხილათ მოწესრიგებას ჩქარობდნენ. ყრუ სიჩუმეს ნიჩბის შემთხვევითი ყღარუნი თუ შეარყევდა, ან დროგამოშვებით ძახილი: სდექ! ვინა ხარ! ბუ–უხ!...ბუ–უხ! გაისმა დაბლიდგამ. ფეხქვეშ მიწა დაკრილსავით შეფართხალდა და ტაბახმელა სადღაც შორს განახეთქ ყუმბარათა ხმამ მოიცვა. ეს სოღანლუღის ბრძოლა დუღდებოდა. ღამე ცეცხლის ენებით აწვიმდა და ყუმბარათა ხმას ტყვიამფრქვევთა რაკრაკი აედევნა. შორიდან მონაწვდნენ ვაშა–ურას ძახილში ძლივ იმაგრებდნენ თავს იუნკრები ჩაშველების სურვილიდგან.

19-ს დაჭიმულ გრძნობას დაემატა ღენ. ანდრონიკაშვილის ამაჟრჟოლებელი მოლოცვა: „ჩვენს მარცხნივ, ღენერალ მაზნიაშვილმა ღამის განმავლობაში მტრის ყველა იერიში მოიგერია, გათენებისას თვით გადავიდა იერიშზედ, ხელთ იგდო *1500* ტყვე, მტერი ზარალით იხევს. გილოცავთ გამარჯვებას.“ თუ საქ–მ იცოდა იმ დროს რა სული მეფობდა ტაბახმელაზედ ოფიცრებსა და იუნკრებში, დამშვიდებული უნდა ყოფილიყო თბილისის ბედზედ.

...*19*-ს დილიდგან მოლოდინის საათები გაგრძელდა. გუშაგები, მზვერავები, ხაზში გაშლილი მწყობრები გამზადებულ თოფებს ხელში სრესავდნენ და წინ გაშლილ მიდამოებს გამობურთული თვალებით ემუქრებოდნენ.

მზის სხივებმა მთის კალთებში მიწოლილ ქანღებს ყვითლად გაუცინეს. წაქეზებულმა ტაბახმელამ გულ-მკერდი გაიშიშვლა... არე-მარე ტრფობის მდუმარებით მიყუჩდა... მეოთხე მწყობრის სულ მარჯვნივ ათეული ტაბახმელიდგან კუმისისკენ დაქანებულ ხრამის თავში იყო. მაღლობიდგან მშვენივრად ჰხედავდა ქვეიდგან მონაპარ გზას.–თეთრად მოიკლაკნებოდა. „გზაზედ, შავად რაღაცა მოსჩანს“, გაისმა რამოდენიმე ხმა ერთათ. შავ წერტილთან იუნკრების ცქერის ხაზები შეჯგუფდა. რაღაც უნდა მოდიოდეს. თანდათან გვიახლოვდება, გრძელიც არის. ბოლო არ უჩანს. იძახდნენ აქა- იქედგან, თან გაკრიალებულ თოფებს დაჰყურებდნენ და ვაზნებს იმარჯვებდნენ.

–არავინ ისროლოს, ეს ღეკების მოხალისე ცხენოსანი რაზმი უნდა იყოს. მტერი მკვრივ წყობილებით არ წამოვიდოდა, იძახდა ღეიტენანტი ანდრონიკაშვილი, თან ჭოგრიტს იმარჯვებდა თავის ნათქვამში დასარწმუნებლად და ჩასაფრებულ ტყვიამფრქვეველს უახლოვდებოდა. შავი ხაზი ცოტა ხანს კიდევ მოდიოდა დინჯად, შემდეგ რაღაც მოძრაობა დაიწყო, განზედ გაიშალა. აქა–იქ პატარა ნაწილები წამოიმძღვარა...სიჩქარეს უკლო.

ეს უკვე საეჭვო იყო. შინაურს ამდენი სიფრთხილე რათ სჭირდებოდა?–აბა, ბიჭებო, ტყვიამფრქვევიდგან ცეცხლი ჰაერში!–ტრა...ტა...ტა..ტა.. აკიხვინდა სიჩუმეში ტყვიამფრქვევი. მტერი გაწვა. ცეცხლს ცეცხლით უპასუხა. ხაზები მარჯვნივ მიდრიკა და მოკლე ხანში გზიდგან დაწყებული იუნკრების წინ ამართული მთელი ქედის სიგრძეზედ, ცეცხლით ამეტყველდა. ბუუუმ...ზუუუ...ბუხ.. იუნკრებს ჯერ ყურთ დაეცოთ, შემდეგ რაღაცას სუნმა გული შეუხუთათ. ერთი წამის შემდეგ, რომ გამოერკვნენ, საშინელი ბოლი ჰფარავდათ და ზარბაზნების მქუხარე ყუმბარა-შრაპნელები წინ და უკან ხტოდნენ. მოკლე ხანში, იუნკრების აქარიშხლებული გულები დიდი ხნიდგან ნანატრ, ულამაზეს სტიქიაში ჰგრძნობდნენ თავს.

ამეტყველდნენ ქართული ზარბაზნები, ატიტინდნენ ტყვიამრქველები, აბზუვდნენ თოფები. სამხედრო სკოლა მოვაღეობას იხდიდა.

თოვლიან ხევებით, არა ერთხელ ჩამოეშო მტრის შავი ზვირთები. ვერც ერთმა დაბლა ვერ ჩამოაწია. იშვიათმა მოახერხა ქედის უკანვე ამოფარება. იუნკრის არც ერთი ტყვია უქმად არ გასროლილა და დანიშნულებას ბევრი არც ასცდენია. მტერი, ახალი ძალებით გაძლიერებული, ახლათ მოიწევდა წინ, ახლათვე უკუგდებული, რომ წინსვლა ხელახლათ განემეორებია. ალბათ ლოტბარი გუნდს კარგად ლოტბარობდა.

საზრიანი უნდა ყოფილიყო იუნკერთ ნაწილების განაწილება პოლკ. ჩხეიძის მიერ. მტერმა ქართული სული ვერსად გასტეხა, იუნკერთა ხაზი ვერ გაარღვია, მაგრამ

რიცხოვანი უპირატესობა საშუალებას აძლევდა, განმეორებულ იერიშებთან ერთად, ხაზის თანდათანობით მარჯვნივ გაგრძელებას.

იუნკერთა ფრონტი ვულკანივით დუღდა; მტერი მის კედეროს გადასცდა და გვერდში მოექცა. გვერდი ცარიელი აღმოჩნდა. მარჯვნივ მყოფ ჯარის ნაწილებს მამადავითისკენ დაეხიათ... სიცალიერით გათამამებული მტერი, ათასეულამდის, სკოლის ზურგისკენ დაეშვა. მარჯვნით მყოფ მეოთხე მწყობრმა რკალი შემოფარგლა, წინიდგან მოიერიშე ტაღლებს იგერიებდნენ, გვერდსა და ზურგში მომავალ მტერს ცეცხლით აზიანებდნენ. ცეცხლზე, მტერმა ცეცხლი გააჩინა, მაგრამ ცეცხლი საზარელი, ცეცხლი შეჯგუფებული სამი მხრიდან.

მტერი ანდრონიკაშვილის შტაბისკენ დაეშო. მდგომარეობა გართულდა. ქარისგან დამძრალმა ტაბახმელელმა სიკვდილმა კბილები ააკაწკაწა და მოღერებულ ცელის ჩრდილი ტფილისს დააყრდნო. იუნკრები დახევასა და თავის გადარჩენაზედ არ ფიქრობდნენ.

იუნკერი მიქაძე სასწრაფო ბრძანებით ცხენს პოლკ. ჩხეიძისაკენ მიაქროლებდა. პოლკოვნიკი, შტაბის მარჯვნივ, თავის საყარაულო პუნქტზე იდგა, კოჯორიდან ზურგისკენ ჩამავალ მტერს შესცქეროდა და ჩვეულებრივი სიმშვიდით თავის ისტორიულ ჩიბუხს აბოლებდა. ხელში ნიშნებით მორთული თოფი ეჭირა, მხარზე პატანტრაში გადაეგდო. იქვე ახლოს მაიორი გარდაფხაძე და კაპიტანი მაჭავარიანი რაღაცეზე ლაპარაკობდნენ. ბატონო პოლკოვნიკო, მაქვს პატივი მოგახსენოთ დავალებული ბრძანება: „ბოლშევიკები ჩამოდიან კოჯორიდან ზურგში, შტაბი უკვე ცეცხლის ქვეშ იმყოფება, ამისათვის ნაბრძანებია სკოლამ და მეათე ათასეულმა დაიხიონ უკან." საით?— შეეკითხა პოლკოვნიკი, თან თვალს ჩამომავალ რუსებს არ აშორებდა.—აგერ იქით, გაიშვირა ხელი იუნკერ მიქაძემ მამადავითისკენ. პოლკ. ჩხეიძე ჩიბუხის ბოლში გაეხვია და ერთი წუთით განცდათა მორევში შეეცურდა. მამადავითის მთაზედ, ასეთ პირობებში, მივიყვან მარტო იუნკრებს. სხვები გაიფანტებიან ან ტფილისისკენ დაეშვებიან. მტერი სწრაფად დაიკავებს ჩვენ მიერ მიტოვებულ სიმაღლეებს. ტფილისი დაეცემა... და ვისი ბრალით? აქ თვალით დაეხატა სქელი წიგნი, ქართული ისტორიისა. თაობიდან თაობაზე ჰკითხულობენ, დიდი და პატარა ქართველნი, და იქა სწერია: „კრიტიკულ წუთებში სამხედრო სკოლამ დააგდო თავისი პოზიციები და დაიხია მამადავითის მთაზედ, რის შემდეგ ბოლშევიკებმა დაიკავეს ტაბახმელა და აქედან შემოვარდნენ ტფილისში."

არა, ეს ასე არ იქნებოდა დაწერილი, და ეს ერთი შემთხვევა იყო, რომ ანთებული ჩიბუხის მოწევისათვის აღარ სცალოდა. არწივისებური თვალები ღია ფრთისა და ზურგისთვის მიეპყრო და კლდესავით მოსხეპილი, ქანდაკებას ჰგავდა. გარდაფხაძე და მაჭავარიანიც, მიქაძის მოხსენების შემდეგ აღარ ლაპარაკობენ. ისინიც, მძიმე წუთზედ ჩაფიქრებულნი, ბოლშევიკების შეუჩერებელ წინსვლას შესცქეროდნენ და მოპარვით, პოლკ. ჩხეიძის თვალთაგან მდგომარეობიდგან გამოსავალის ამოკითხვას ჰლამობდნენ.

ირგვლივ ომის ჯოჯოხეთი, თოფ-ყუმბარათა ქუხილში, ზეიმს ახშირებდა. პოლკ. ჩხეიძის გული ამ დროს იმასვე სწყვეტდა, რასაც ფიქრობდნენ იუნკრები, გულ აჩუყებულ ტფილისზედ უკანასკნელ გავლისას: „ტფილისისკენ რუსები ჩვენ გვამებზედ გადაივლიან". —„იუნკერო, თავისუფალი ხართ, მეც მოვდივარ შტაბში". — უპასუხა დამშვიდებით პოლკ. ჩხეიძემ მომლოდინე მიქაძეს, თან ამომწვარ ჩიბუხს ხელის გულზედ იტყაპუნებდა ნაცრის გამოსაყრელად. „მაიორ ბახუტაშვილმა მოაბრუნოს ზარბაზნები უკნისკენ ცეცხლისთვის; ქარუმიძემ დადგას სამთო ზარბაზნები ბაღისა და სოფელ ტაბახმელის შუა"! — უბრძანა პოლკოვნიკმა მაიორ გარდაფხაძეს და კაპიტან მაჭავარიანს. თვითონ ცხენით გაჰქუსლა შტაბისაკენ.

პატარა ხანს უკან იუნკრების მე- 2 მწყობრი, ათასეულის ნახევარი ასეული, ოფიცრებით: კაპ. თოიძეთი და ქარუმიძით, მტრის შესაჩერებლათ იერიშზედ გადადიოდნენ. წინ ყუმბარათა მარჯვე ცეცხლი მიუძღოდათ. ორივე ოფიცერი მოკლულ იქნა. მაგრამ მტერი დიდი ზარალით შეჩერებული.

იუნკრები ღირსი მოწაფენი გამოდგნენ თავის მასწავლებლისა. ერთი მტკაველი მიწა მტერს არ დასთმობია. გამარჯვება იყო სრული, სულისკვეთება საუცხოვო, და ერთი დასანანებელი იუნკრებისთვის მხოლოდ ის, რომ ღამე დაღლილები და მშიერები შინდისში მიჰყავდათ დასასვენებლათ.

მთავარსარდლის ბრძანებით ფუნიკულიორიდგან, სოფელ ბებუთოვკიდგან, თელეთის ქედიდგან მიიწევდნენ წინ, კოჯორის დასაბრუნებლად, მის მიერ დაძრული ათასეულები. მხედრებისთვის, იმ დღიდანვე ეჭვი არ ყოფილა *19, 20* და *21*-ს კვინიტაძის სარდლური ხელოვნების შედეგი იყო, დანარჩენნი თავის ვალს ასრულებდნენ. მართალია, *20*-ში ტფილისის ბედი კოჯორზედ სწყდებოდა, მაგრამ იქ გამარჯვება მაინც მარცხით და ტფილისის დაკარგვით დამთავრდებოდა, რომ იმ პატარა ჯგუფებს კონტრ-იერიშებით და უკან მომბრუნებელ ზარბაზნების ცეცხლით, მოპირდაპირე არ შეეკავებინათ, სანამ მთავარსარდალი შესძლებდა მაშველი ჯარის გამოგზავნას.

სკოლა შინდისში ისვენებდა. მის ნაცვლად ტაბახმელას გვარდიისა და ჯარის ნაწილები იცავდნენ, არც ცოტანი: მე-*10* ათასეულის ნაწილები, ორი გვარდიის ასეული, მე-*5* ათასეული და კიდევ სხვა ნაწილები. კოჯორთან მიწოლილმა მტერმა ტაბახმელაზედ მოინდომა მოკლე მანძილით ტფილისისკენ დაშვება. გამეხებული შეტაკებებით, მრავალ უკუგდებული იერიშების შემდეგ, მაინც წინ წამოიწია, ზოგიერთ ადგილას შემოამტვრია და შტაბსა და ზარბაზნებს დაემუქრა. საკითხის გადასაჭრელად იუნკრები საჭირონი გახდნენ, და ფარნაოზი, ახლათ ჩამოსულ მთავარსარდლის ბრძანებით, შინდისში ჩხეიძესთან ცხენს მიაჭენებდა. —სკოლა ამოიყვანეთ საჩქაროთ ტაბახმელაზედ, მგომარეობა გართულდაო... სკოლა დაიძრა... გზაში კიდევ მოვიდა ბრძანება: „აჩქარდით, ფრონტი გაირღვა!" დაყარეთ ყველაფერი ვაზნების გარდა, სწრაფად წინ! გაისმა პოლკ. ჩხეიძის ფოლადისებური ხმა.

იუნკრები შარში გაშლილნი მირბიან; თავზედ ტყვიამფრქვეველები ბზუიან, ყუმბარათა ცეცხლი შინდისიდანვე სდევთ. აქა-იქ დაჭრილ-დახოცილი იუნკრები იჩოქებენ. ყუმბარათა ბოლში სჩანს რაღაც ნაწილები...იხევენ..მხოლოდ ვიღაცა, ვაჟკაცური გამომეტყველებით, წარბშეუხრელად, ტანში გასწორებული, სიმწარით იქნევს აქა-იქ მათრახს და ნაწილების გაჩერებას ღამობს... იერიშებისათვის ვერ გაუძღიათ, ველს ატიტვლებენ... მათრახიანი ჯუღელია, თავის ნაწილების შეჩერებას ღამობს. იუნკრების დანახვაზედ იმედის სხივი უთამაშებს თვალებში, შვებით სუნთქავს, სწამს საქმე მოგებულია.

ვაშა! გრიალებდნენ იუნკერთა მწკრივებში და სასტიკი იერიში უნებლიეთ გვარდიელებზე და ბოლშევიკებზე თანაბრათ მიჰქონდათ. გვარდიელები მათმა ტაღღამ წინ წაიღო. ხაზი აღდგენილი იქნა. იუნკრების სული შთაენერგა ტაბახმელას სხვა ჯარებსაც; ყველა საღამოდის განუწყვეტლად მონატანი იერიშები მოგერიებული იქმნა. მტერი დაზარალდა. საღამოსთვის მთლად მიჩუმდა და ტაბახმელა მიმწყნარდა. ოღონდ ყუმბარები ისევ შხაპუნებდნენ—აქ ომის ღმერთი მაინც ზეიმობდა.

ღამე, სამხედრო სკოლის უბნიდგან გაჰქონდათ *25* გვამი. ტფილისისკენ კი მიგორავდა ოთხი მტრის საველე ზარბაზანი და ერთი დაზიანებული ჯავშნოსანი... უკან დაგლეჯილი ტყვეები მისდევდნენ. იუნკერთა სული მეფობდა ტაბახმელაში.

22-23-ს მტერს აღარაფერი სერიოზული გაუბედია. კოჯორზე ბრძოლები გამარჯვებით დამთავრდა. დაღლილმა ჯარებმა ვაშლოვანამდის სდიეს. ღრმა დევნისათვის დასვენებული არ აღმოჩნდნენ. მე-*11* და მე-*12* ათასეულებს ეღოდნენ ახალციხე-არტაანიდან.

24 თებერვალი ქანღითა და ზარბაზნების გრიალით გათენდა. ოც ნაბიჯს იქით აღარაფერი სჩანს. ბოლშევიკები სარგებლობენ სიბნელით, ტაბახმელის წინამდებარე ქედებით ხევებში წითელი კურსანტები ჩამოჰყავთ და მოულოდნელად ხელჩართულზე გადმოდიან. ბრძოლა ჩაღდება სასტიკი. არც ერთის მხრივ დანდობა...

ვაშა და ურა ზარბაზანთ გრიალში ირევა. ხიშტის ძგერასა და კოხდახთ თხლაშუნში იშვიათად მოისმის წამით დაშორებულ მწკრივების სროლა. იერიშს კონტრ-იერიში მოსდევს, კონტრიერიშს ახალი იერიში, სიკერპეს სიკერპე და ბრძოლის გახურებულ ჟინს, ახალი ჟინი... მოწინააღმდეგე ღირსი ფალავანდი გამოდგა. ჩვენები ყოველ მტკაველ მიწას ზედ აკვდებიან... თოვლი გაწითლდა. გვამები მოძრაობას აძნელებენ. ხელჩართული არა ნელდება... იუნკრები ერგული არიან ტფილისის ქუჩებში ჩუმათ დადებულ ფიცისა: „ბოლშევიკები ჩვენს გვამებზე გადმოიელიან..." გაუმარჯოს საქართველოს! უკანასკნელად იძახიან გულგანგმირული ახალგაზრდები და მხიარულათ ეხუტებიან ცივი გვამებით მშობლიურ მიწას...

ღამე ჩამოწვა სქელი და ნოტიო. გატეხილი მტერი აღარსადა სჩანს. ქართული ხაზები შენარჩუნებულია და ტაბახმელის რვა კილომეტრიან სივრცეს ისევ სდარაჯობს იუნკერთა ორი ჯგუფი: ერთი კაპიტანი მაჭავარიანით *12* კაცი, მეორე, კაპიტან ალავიძით: *8* კაცი. მზათ არიან ყველანი ახალ-ახალი იერიშის მოსაგერიებლათ. არავინ წვება, რომ დაქანცულს ძილი არ მოერიოს... ვაზნების გამოლევა არ ანაღვლებთ, ხიშტს დაჰყურებენ... ერთგულნი არიან დადებულ ფიცის...რა იქნება ხვალ, ეს მათ არ აფიქრებთ. მათი მოვალეობა იციან. ალბათ ხვალ ბოლშევიკები იერიშს გაიმეორებენ, დარჩენილი *20* იუნკერი დაიხოცება და მტერი...

რა იყო სხვაგან? იქაც ხომ მზგავსად იბრძოდნენ. იქნებ იქაც ეს?... თუ ეს ასეა, მაშ თბილისის კედლებთან ბრძოლის გაგრძელებას ახალი ძალები ესაჭიროებოდა, ძალები არსად სჩანდა და ბრძოლის მოგების იმედი ტფილისის შეწირვასა, დროს მოგებას და ახალ დარაზმულობას მოითხოვდა... ალბათ, მხოლოთ ამისთვის, უნებლიეთ გადარჩენილი იუნკრების მოქანცული ჩრდილები, სევდითა და ბოღმით, ჯერ მიბნელებულ ტფილისზედ და შემდეგ მტკვრის მარცხენა ნაპირით, მცხეთისკენ მიიძვროდნენ. გადარჩენილ ჯგუფს წინ მიუძღოდა ტაბახმელის გამწარებული გმირი და ორიოდე გადარჩენილი ოფიცერი. უკან ტუ-ტუე, სოფელ მორიდებით დაგვიანებით ისწრაფვიდნენ საავადმყოფოდგან გამოპარული დაჭრილი იუნკრები.

ცხრამეტ მარტს, ქართულ ზღვას რამოდენიმე გემი მოწყდა. გემში ერისა და მხედრის კაცებში გადარჩენილი იუნკრებიც ერივნენ. მათ თვალებს კაეშანი და სევდა ასდევნებოდა.

(„მხედარი" №*17*. პარიზი. *1934*.) ნ. მა—ლი.

--- --- --- ---

ს ი ტ ყ ვ ა

წარმოთქმული კოლონელ **ნიკოლოზ** (კუკური) **თოხაძის** მიერ, ქართული სათვისტომოს კრებაზე, პარიზში, *1971* წლის მარტის ცხრამეტს.

„დღეს ჩვენ შეკრებილი ვართ ამ დარბაზში იმ სამგლოვიარო თარიღის აღსანიშნავად, რომელიც ყველას, განურჩევლად ჰასაკისა და მსოფლმხედველობისა, მძიმე ღოდივით გვაწევს და მწარე განცდით გვიპყრობს ჩვენი სამშობლოს უბედურების წინაშე. მე სხვანაირად მოაზროვნე აქ არავინ მეგულება და არც უნდა ჰქონდეს ადამიანი ჩვენს შორის ისეთ გარეწარს, რომელიც ჩვენსავით არ განიცდის ჩვენი საყვარელი სამშობლოს დატოვების თარიღს და ჩვენი მიწა-წყლის შემოსეულ მტრის ხელში ჩავარდნას.

ახლა მე მსურს აგიწეროთ ტაბახმელას ქედზე, თბილისის დასაცავად, სკოლის და მასთან ერთად დაკავშირეული ჯარის ნაწილების მიერ გადახდილი ბრძოლების რამდენიმე ეპიზოდი. განსაკუთრებით *17* თებერვლიდან *24* თებერვლის შუაღამემდე სამხედრო სკოლის მოქმედება და სამშობლოს დასაცავად გაღებული მსხვერპლი.

17 თებერვალს, დილის ხუთ საათზე, სამხედრო სკოლის უფროსმა გენ ალ. ანდ-

რონიკაშვილმა მიიღო ჩვენი ახლად დანიშნული მთავარსარდლის, გენ. კვინიტაძის ბრძანება: სამხედრო სკოლა საჩქაროდ გამოვიდეს ტაბახმელას ქედზე მთელი თავისი შემადგენლობითო.

18 თებერვალს გამარჯვება სოღანლუღის ნაკვეთზე იყო გამოწვეული სადარაჯო ათასეულის ერთი გუნდის მედგარი წინააღმდეგობით და ვაღოდია გოგუაძის ჯავშნოსან მატარებლის მტრისთვის კრიტიკულ წუთში აღმოსავლეთით წინსვლით; შედეგი კი იყო: გარღვეულ ფრონტში შემოჭრილი მტრის განადგურება ან ტყვეებათ წაყვანა; ზარბაზნები, ტყვიამფრქვეველები და ტყვეები თბილისის ხალხმა ნახა სასახლის გვერდზე გამოფენილი *19*-დან *23* თებერვლამდე.

შავნაბადის, ტაბახმელას და კოჯორის ნაკვეთზე რა ხდებოდა *18* თებერვალს? გენ. ანდრონიკაშვილმა ბრძანების მიღებისთანავე ყველაფრის მომზადება დაავალა პოლ. ჩხეიძეს და თვითონ წინდაწინ გაეშურა ტაბახმელა-კოჯორის ნაკვეთისაკენ. სამხედრო სკოლა და ნაცვალთა ათასეულის ახლად გაწვეულ ჯარისკაცებს *7* კილომეტრი სიფართე ფრონტის დაცვა გვევალებოდა.

11 თებერვალს, ღამით, რუსის ჯარის ნაწილები, სომეხ და ქართველ მოღალატეთა ჯგუფების დახმარებით, ჩვენ სანაპირო სადარაჯოებს თავს დაესხნენ და ჩვენი საზღვრები გადმოლახეს. *16* თებერვლამდე მეორე არმიის ბრიგადამ ხეობებით უკან დაიხია, ჯერ სადგურ სანდარზე და შემდეგ ხრამზე შეუჩერებლად, თბილისისაკენ.

17 თებერვალს გენ. კვინიტაძე დაინიშნა მთავარსარდლად. თბილისიდან სამხედრო სკოლა გამოვიდა *12* საათზე, გადაასწრო მეოთხე ათასეულს და ტაბახმელას ქედზე განაწილდა, გენ. ანდრონიკაშვილის მიერ ნაჩვენებ სანგრებში. გენერალმა თავისი შტაბი მოათავსა გზატკეცილის დასავლეთით მხარეზე მდებარე დუქნის ორ ოთახში. იქვე დარჩნენ მის განკარგულებაში ხუთი ცხენოსანი იუნკერი, საინჟინერო განყოფილების ათ იუნკერს დაეკისრა მავთულით კავშირის გაბმა მთელი ჩვენი ნაკვეთის სივრცეზე, რომელიც ხევებით და ბუჩქებით იყო დაფარული, რის გამო კავშირის გაბმა ფერხდებოდა და ხუთი ცხენოსანი იუნკერი განუწყვეტლივ მისვლა-მოსვლაში იყო. ჩვენ აღმოსავლეთ-ჩრდილოეთ ფრთასთან მხოლოდ ათი იუნკერი გვაკავშირებდა. შტაბს ტელეფონით კავშირი მხოლოდ თბილისთან ჰქონდა.

ტაბახმელაზე ასვლისთანავე, სამხედრო სკოლამ, ნაცვალთა ათასეულის ახლად გაწვეულ ჯარისკაცების მიერ შედგენილმა ათასეულმა, ნაცვალთა ბატარეიამ, იუნკერთა ორმა საველე ზარბაზანმა, დავიკავეთ ზემოხსენებული ფრონტის ნაკვეთი, რომელიც გადაჰყურებდა სოფელ ვაშლოვანს და წავკისს.

18-ს საღამოს, ჩვენს პოზიციებზე ამოვიდნენ ბ-ნი ნოე ჟორდანია, მთავარსარდალი და სამხედრო მინისტრი.

ტაბახმელას ქედზე სკოლას ეკავა ძველი სანგრები, *1914* წლის ომის დროს წინასწარ გათხრილი, როცა თურქების იერიშები კავკასიის ფრონტს დაემუქრნენ და მდგომარეობა საშიში შეიქმნა ამიერ კავკასიაში. ზედმეტია აგიწეროთ ამ სანგრების მდგომარეობა *1921* წელში. ეს იყო უბრალო თხრილები, ნიაღვრების კალაპოტი, ზოგჯერ სულ გავერანებული და უვარგისი. მიუხედავად ამისა სკოლაზედ განაწილდა და *19* თებერვლის დილამდე ამ ცენტრალურ პოზიციებს იცავდა. ღამემ მშვიდობიანად გაიარა. მხოლოდ კანტი-კუნტი სროლა გაისმოდა სადარაჯოზე მდგომ ჯგუფებიდან.

19-ს დილით, ჩვენი პოზიციიდან გადავყურებდით ტაბახმელის ლაბორატორიუმს, სადაც იდგა მაიორი ბახუტაშვილის ბატარეა, სკოლის ნაცვალთა შემადგენლობით. ეს ბატარეა განუწყვეტელ კავშირში იყო პოლკ. ჩხეიძესთან, რომელიც ცხენზე იჯდა, ჯალიონს ეწეოდა; მის გარშემო შეკრებილი იყვნენ მაიორი ანანიაშვილი, კაპ. მაჭავარიანი და კაპ. შავდია.

დილის *8* საათი იყო დაახლოებით, პირველი თოფის სროლა გაისმა და ჩხეიძის წინ მდგომი ჯგუფიდან მაიორი ანანიაშვილი წუთისოფელს გამოესალმა. ის იყო ჩვენი სკოლის გუნდის უფროსი და ის გახდა მტრის ნასროლ როჯო ტყვიის პირველი

მსხვერპლი. მტრის ცხენოსნები თითოეულად და ჭენებით მიიმართებოდნენ კოჯორის აღმართზე და ჩვენი ზარბაზნებით თითოეულ ჯგუფის გამოჩენაზე ცეცხლს ვხსნიდით; ასე გაგრძელდა დილის თორმეტ საათამდე.

მთაწმინდის ფუნიკულიორით იწყო ამოსვლა ბათუმის გვარდიამ და ვალიკო ჯუღელის მეთაურობით შეუტიეს კოჯორს, იუნკერთა წყობის მარჯვენა ფრთაზე. ჩვენი შეტევა კოჯორის აღებით დამთავრდა. ბათუმის გვარდიამ და მეოთხე ათასეულმა განაგრძო ქოროღლისაკენ წინსვლა, მაგრამ კოჯორის აღება ძვირად დაუჯდა იუნკერთა მეორე მწყობრს, რომელიც მეტად დაზარალდა. კაპიტანი თოიძე და თორმეტი იუნკერი გახდნენ მსხვერპლი. მეორე მწყობრი აღარ არსებობდა.

24 თებერვალი. მტერმა დილიდანვე გახსნა არტილერიის გახშირებული ცეცხლი. მათი ჯურვები მეორე და მესამე სანგრების აღმოსავლეთით სკდებოდა; ამ სანგრებს სკოლის ახლად გაწვეულ ჯარისკაცების ორი გუნდი იცავდა, მაგრამ წინა დღეების ბრძოლების დამსწრე და უკვე ნაცადი ჯარისკაცები შეუდრეკლად იდგნენ თავიანთ ადგილზე. გათენებიდან დაღამებამდე სროლა და ალტილერიის გრიალი არ შეწყვეტილა. იერიშები და კონტრიერიშები რამდენჯერმე განმეორდა; რუსის ჯარის ნაწილები დაჟინებით ცდილობდნენ ტაბახმელას ხელში ჩაგდებას და თბილისისაკენ გზის გაკაფვას; ხან ერთ სანგარს, ხან მეორეს, გაშმაგებით შემოუტიეს, მაგრამ მოგერიებული იქნენ.

საღამო ხანს, მტერმა ახალი ძალებით მძლავრი იერიში მიიტანა მეოთხე სანგარზე, რომელსაც მთელი დღის განმავლობაში პირველი ათასეულის ნაწილები იცავდნენ. აქ მტერმა შეძლო ხიშტებით სანგრის აღება, შიგ ჩაიმალა, განაგრძო აღმოსავლეთისაკენ წინსვლა და თავი ამოყო სანგრიდან იმ გორაკის წინ, სადაც გოგი მესხიშვილის ორი სამთო ზარბაზანი იდგა. მტერი გაეშურა ხიშტებით მათ ასაღებად; გოგი მესხიშვილმა სწრაფად შემოიკრიბა მის გარშემო ზარბაზნების მსახური ჯარისკაცები, იძრო ხმალი და მედგრად შეუტია შემოსეულ მტერს, ჩეხავდა მარჯვნივ და მარცხნივ. ჩვენი პოზიციიდან უმწეოდ შევყურებდით ამ გულშემზარავ სურათს, მიშველება შეუძლებელი იყო ჩვენი ზარბაზნებით ასეთ ხელჩართულ ბრძოლაში. უცებ ვაშას ყიჟინამ მოაღწია ჩვენამდე, ეს იყვნენ უკანასკნელ მაშველად ტაბახმელას ბაღებში შეფარებული იუნკერთა მწყობრები, რომლებიც ეკვეთნენ რუსებს სწორედ იმ წამში, როცა მათ მედგრად იგერიებდნენ გოგი მესხიშვილი და მისი ჯარისკაცები. კაპ. შავდიას, ხოშტარიას და ჩიჩუას წინამძღოლობით იუნკრების მოულოდნელ და მძლავრ დარტყმას ვერ გაუძლო მტერმა, ზურგი იბრუნა ისევ მეოთხე სანგრისკენ და სწრაფად მოშორდა ტაბახმელას ჰორიზონტებს და სოფლებში მიიმალა. შემდეგ ვიცით რაც მოხდა. ბრძოლის ველზე გმირულად დაეცნენ: შაღვა ერისთავი, ოთარ ღორთქიფანიძე და იოსებ ჯანდიერი; დაჭრილნი იყვნენ სამივე ოფიცერი და *15* იუნკერი.

19 თებერვალს, იუნკერთა მეორე მწყობრის კოჯორზე კონტრიერიშს გადარჩენილი იუნკრები გაანაწილეს მესამე, მეოთხე და პირველ მწყობრების შემადგენლობაში და მონაწილეობას ღებულობდნენ *24* თებერვლის კონტრიერიშებში.

მოულოდნელად მივიღეთ ბრძანება პოზიციებიდან გზატკეცილზე ჩავსულიყავით აუჩქარებლად და გამოვთხოვებოდით ჩვენი სკოლის უფროსს, რომელიც შტაბის წინ იდგა და უკანასკნელად გვეთხოვებოდა. ჩვენ კი თბილისისკენ მივემართებოდით.

მტერს ტაბახმელიდან აცნობეს, რომ მათ წინ აღარავინ იყო და *25* თებერვალს დილით მტერმა გაბედა თბილისში შესვლა."

(„კავკასიონი" №*15*. პარიზი. *1971*.)

+ კოლონელ ნიკოლოზ თოხაძე

თებერვლის დღეები

როდესაც გამოირკვა, რომ ჩვენს საზღვრებს უტევდნენ არა უბრალო ბრბოები, არამედ რუსული წითელი ჯარების რეგულიარული ნაწილები, საქ–ს პროფესიონალური კავშირების საბჭოს პრეზიდიუმმა, რომლის თავმჯდომარე იყო განსვენებული სეით დევდარიანი და, რომლის მდივანი გახლდით მე, მოვუყარეთ თავი თბილისის მუშა მოხალისეებს და მოვუწყვეთ სამხედრო ვარჯიშობა სპეციალისტების ხელმძღვანელობით. დავამზადეთ და დავგზავნეთ ფრონტებზე სანოვაგე და საექიმო მასალები.

თბილისის დაცემის წინა დღეს, მე და ჩემმა ორმა თანამშრომელმა, წავიღეთ საჩუქრები და ეტლით ავედით კოჯორისკენ სადაც ჩვენი იუნკრები და გვარდიელები იბრძოდნენ. სროლის ხმა თანდათან ახლოვდებოდა, როდესაც მივაღწიეთ იმ ადგილს, სადაც ორი დღის წინ აფეთქდა ჩვენი საექიმო ამბულატორია და გახდა მსხვერპლი ჩვენი მოწყალების და მაყაშვილი, ჩვენი ეტლიდან სამი თუ ოთხი მეტრის მანძილზე გავარდა ყუმბარა. ეტლი დაფარა მტვერმა. ჩვენ ვაპირებდით გზის გაგრძელებას, რომ სამხედრო ყარაულს არ გავეჩერებიეთ. მან გამოგვართვა ჩვენი ამანათები და გვირჩია უკან დაბრუნებულიყავით.

მეორე დღეს მოვიდა სეით დევდარიანი, რომელიც გვაკავშირებდა ჩვენ მთავრობასთან და დამფუძნებელ კრებასთან, და გვითხრა, რომ ყველა შემოტევები მოვიგერიეთ და გადავდივართ შეტევაზეო. ჩვენ იმედიანად შევუდექით მუშაობას.

მაგრამ, სამწუხაროდ, საღამოს ექვს საათზე სეითი მოვიდა დაღონებული და გვამცნო თავზარდამცემი ამბავი: მტერმა გაარღვია პოზიციები, თავი მოგვიარა, მოდის პირდაპირ თბილისზე, მთავრობამ გადაწყვიტა თბილისის დატოვება და მცხეთაში გამაგრებაო. სეითის მწუხარებას აღარ ჰქონდა საზღვარი, და, როდესაც ჩვენ ჩავიცვით მაზარები და ავიკიდეთ თოფები მხარზე, მან ერთგვარი შურით ამოიოხრა: „ნეტა თოფის ხმარება მაინც ვიცოდეო.“

მე განვიზრახე დარჩენა თბილისში და წინააღმდეგობის გაწევა მუშათა ორგანიზაციებში. ამის გამოცდილება მე მქონდა რუსეთიდან, სადაც სამოქალაქო ომის დროს და შემდეგაც დიდი ბრძოლები ჩაატარეს მუშათა ორგანიზაციებმა და, რომელშიდაც მე პირადათ მივიღე მონაწილეობა აქტიური, როგორც პროფ. კავშირების ხელმძღვანელმა, როგორც პრესის, ისე საჯარო გამოსვლებითაც.

რადგან სხვა ავტორიტეტი აღარ იყო, მე და ჩემი ორი კოლეგა წავედით გვარდიის შტაბში სადაც დამხვდნენ აღექსანდრე დგებუაძე, ა. ჭიაბრიშვილი და სხვა შტაბის წევრები. მე მათ წარვუდგინე ჩემი გეგმა, რომ არ ივარგებს მუშათა კავშირების კომუნისტების ხელში ასე უბრძოლველად ჩაგდება. უკეთესია ჩვენ აქ დავრჩეთ და მივცეთ აქ ბრძოლები, მითუმეტეს, რომ მუშათა მასები ჩვენ თანაგვიგრძნობენ, გარდა ორი თუ სამი კავშირისა, რომლებიც უცხოელებისაგან შედგებიან თქვა. შტაბის წევრებმა არ გაიზიარეს ჩემი პოზიცია, განსაკუთრებით წინააღმდეგი იყო ალ. დგებუაძე, რომელმაც მოიყვანა შემდეგი არგუმენტი: „კი დარჩებით ამხანაგებო, მაგრამ, რომ გაგიკეთონ მობილიზაცია და გაიძულონ ჩვენ წინააღმდეგ ბრძოლა“-ო. ამ სიტყვებზე ჩვენი დავა შეწყდა. ეტყობოდა, რომ ჩვენი დარჩენა არ იქნებოდა კარგად გაგებული და გამოიწვევდა ეჭვებს. გამოვემშვიდობეთ გვარდიელებს და დავუნიშნეთ ერთმანეთს პაემანი ქუთაისში და მივაშურეთ სადგურისაკენ.

გზაში მე გადავწყვიტე ზესტაფონში გავლა და ჩემი დის ნახვა, რომ მისთვის ჩამებარებია ჩემი ახლად შერთული მეუღლე, რომელიც მარტო რჩებოდა თბილისში. ზესტაფონის სადგური დამხვდა მილიციონერებით გარშემორტყმული. ყველა სადგურზე ჩამოსულ სამხედრო პირებს უყრიდნენ თავს ქალაქის მმართველობაში ღამის გასათევად, აბანოს მისაღებად და დასასვენებლად. მე ვიყავი მაზარაში და მეკიდა თოფი. მეც წამიყვანეს სხვებთან ერთად. როდესაც ყველას მიცეს თავშესაფარი, ჩემთან მოვიდნენ ერობის თავმჯდომარე, კ. ბუაჩიძე და მისი მოადგილე, სანდრო მენაღარი, რომლებმაც

გამაცილეს ჩემი დის ბინამდე, რათა ღამის ყარაულებს არ ჩავვარდნოდი ხელში უცნობობის გამო. მეორე დღეს გავედი სადგურში. მინდოდა განმეგრძო გზა ქუთაისისაკენ, სადაც მქონდა დანიშნული შეხვედრა პროფკავშირების პრეზიდიუმის წევრებთან. სადგურზე დამხვდა განსვენებული ნოე ხომერიკი, რომელსაც მთავრობისა და მხედრობისაგან ჰქონდა დავალებული აქაური ფრონტის პოლიტიკური ხელმძღვანელობა. ხომერიკმა მთხოვა ქუთაისისთვის დამენებებია თავი და წავსულიყავი საჩხერეში გენერალ ბაქრაძის დასახმარებლად. ოსიოურიდან შეტევა იწყება და საჭიროა იქიდან ზურგის გამაგრებაო, მითხრა ნოემ. დავის და წინააღმდეგობის დრო არ იყო და შევცვალეთ მარშრუტი. საჩხერეში დამხვდა მეტად სიმპატიური და უბრალო(გარეგნული შეხედულებით) კაცი, რომელმაც ძალიან კარგად მიმიღო. ყვირილის პირათ ხვადაბუნებში გავმართეთ მიტინგი. შევეცადეთ გაგვემაგრებია შეშინებული ხალხი.

მეორე დღეს ცხენით გავემგზავრე კორბოულში. იქაც გავმართეთ დიდი მიტინგი. ოსიოურიდან ისმოდა სროლის ხმა. მიტინგი დიდ ხანს გაგრძელდა. შემოღამდა კიდეც. იძულებული ვიყავი იმ ღამეს იქ გამეთია. დილაზე ადრე ხმა გავრცელდა სოფელში, ვითომც ვიღაც გვარდიელი მოსულიყოს ახლო სოფელში და ეთქვას ოსიოურიდან მოვდივარო. მართლაც სროლა უფრო შორიდან ისმოდა. ამ გვარდიელს უთქვამს ჩვენებმა ოსიოური დატოვესო. როგორც გამოირკვა ცნობა მართალი იყო.

საჩხერეში დაბრუნების დროს ოსეთის მხრიდან ისმოდა თოფის სროლა დრო გამოშვებით. საჩხერეში დამხვდა ცნობა ჩვენი უკან დახევის და განკარგულება ბათუმისაკენ წასვლის, ამასთან, ვიყავი დანიშნული ეშელონის კომენდატად, რამაც ძალიან გამაკვირვა, როგორც ძალიან დაშორებული სამხედრო საქმეებიდან, მაგრამ არც კი ვიცოდი თუ ვისთვის უნდა მეთქვა უარი და იძულებული შეეიქენი მიმეღო ეს დანიშვნა. საჩხერიდან ჩვენი წამოსვლა შეუმჩნეველათ ჩატარდა, მხოლოდ ჩემი მეზობელი, კ. აბდუშელი, აკაკი წერეთლის დიდი თაყვანისმცემელი და მოურავი, შემდეგ აკაკის მუზეუმის გამგე, მოვიდა ჩვენთან, მოგვიტანა ძალიან კარგი ძღვენი:ქათმები, ხაჭაპურები, ჩინებული ღვინო აკაკის მამულიდან და ერთი აკაკის დაუბეჭდელი ლექსი, ფრიად პატრიოტული და გამამხნევებელი. სხვათაშორის, ჩვენთან იყო ვალიკო ჩუბინიძეც, რომელიც ჭიათურიდან ამოვიდა იმჟამათ და, რომელიც მე მგონია პირველათ ვნახე(უძახდნენ პატარა ვალიკოს, ალბათ ვალიკო ჯუღელთან შედარებით;)

ჭიათურაში ჩვენ შეგვხვდა და გამოგვემშვიდობა ბევრი ხალხი, ადგილობრივი პოლიტიკური და საზოგადო საქმეების ხელმძღვანელები.

როცა ჩვენი მატარებელი გაჩერდა სადგურ საღიეთის წინ(მეორე სადგური ჭიათურის შემდეგ) შემომესმა ჩემი გვარის ძახილი: ქუთაისიდან უძახიან გენერალ აბდუშელსო". პირველათ მე ყურადღება არ მივაქციე, მაგრამ როდესაც ეს განმეორდა მეორეთ და მესამეთ, მე ჩამოვხტი მატარებლიდან, მივედი სადგურში და ვიკითხე თუ რაშია საქმე თქო. ავიღე ტელეფონის ტრუბა და გავიგონე ზაქარია გურულის ხმა. მან გადმომცა განკარგულება ჩვენი მატარებლის შესახებ და მითხრა, რომ ალბათ მად შეცდენ, ეგონათ რადგან მატარებლის კომენდანტი ხარ გენერალი უნდა იყოო.

იქვე სადგურის დიდ ზალაში მე ვნახე საინტერესო სანახავი, მთელი სადგურის მუშა-მოსამსახურეები და მგონი სხვა სოფლელებიც იჯნენ თავმოყრილი სანთლის სინათლეზე, შუაში პატარა მაგიდასთან იჯდა ცნობილი პოეტი ვარდენ ყიფიანი და დიდი გატაცებით კითხულობდა საკუთარ ლექსს აქტიური პოლიტიკის შესახებ. მკაფიოდ მომესმა მისი ზოგიერთი სიტყვები: „გაიხარენით მდივან- ქავთარაძენო, გაიხარენით მახარაძეელიავებო" და ასე ყველას ჩამოთვლით მათი საქმეებით და სხვა.

ბათუმში, სადგურზე ჩვენ პირისპირ შევეხეჩეთ გენერალ მაზნიაშვილს, რომელიც ჯოხით ხელში დაიარებოდა და ეძებდა მთავრობას: „დამივიწყეს, არ მომაკითხეს და ეს არის მოვხსენი ფრონტიო." უკვე შეღამდა, დილით ვინახულე ყველანი და

მათ შორის ნოე ჟორდანიაც, რომელიც იყო მეტად შეწუხებული შექმნილი მდგომარეობით. იყო გაჩუმებული და აღარაფერს ამბობდა. მთხოვეს წავსულიყავი ქალაქის თვითმართველობაში, სადაც გრიშა ურატაძე არიგებდა მთავრობის მიერ გადადებულ თანხას, ყველა მათთვის, ვინც უკან ბრუნდებოდა და აძლევდა დარიგებას დაბრუნებულიყვნენ თავიანთ საქმეზე და მორიდებოდნენ ყოველგვარ საპასუხისმგელო მოვალეობას. მე შევცვალე გრიშა ურატაძე, რომელიც დამფუძნებელ კრების სხდომაზე მიეჩქარებოდა და განვაგრძე ფულის დარიგება. უკვე მოსაღამოვდა, რომ თანხაც გამომელია და ხალხიც წავიდ-წამოვიდა. დაიცალა დარბაზი და მეც გამოვედი ქუჩაში.

ქუჩაში ხალხი ჯგუფ-ჯგუფად იყო თავმოყრილი, იყო მისვლა-მოსვლა და ნერვიულობა. ვნახე გვარდიელები, სადღაც მიიჩქაროდნენ აღ. დგებუაძე, ვალოდია ჯიბლაძე, გენერალი წულუკიძე, მაზნიაშვილი, გიორგი ხიმშიაშვილი. იქვე კუთხეში იდგნენ ქართველი კომუნისტები, ს. ქავთარაძეს გარშემო თავმოყრილი, ახლახან გამოსული ციხიდან. როგორც გამოირკვა ბათუმის დაცვას აწყობდნენ. მეორე კუთხეში შევამჩნიე სეით დევდარიანი და მყისვე მივაშურე მისკენ. სად ხარ კაცო ამდენი ხანია შენ გეძებ. ნოე რამიშვილს უნდა ჩვენი ნახვაო, მითხრა სეითმა. მე ამან გამაკვირვა, რადგან მე ნოე უკვე ზღვაში მეგულებოდა, სხვა მთავრობის წევრებთან ერთად.

ჩვენ მაშინვე გავეშურეთ ნოესთან. არ მახსოვს კარგად რომელ შენობაში, რადგან ღამე იყო და ისედაც ბათუმს კარგად არ ვიცნობ. ნოე შეგვხვდა ყოჩაღად. გამოგვკითხა თუ რა ვიცით მდგომარეობის შესახებ და გადმოგვცა ათ-ათი მილიონი მანეთი თითოს ჟურნალებისათვის. სეითს პარტიული ორგანოსთვის, მე კი პროფესიონალურისათვის („მუშათა ცხოვრება" ორ ენაზე). ჩვენ ვიყავით ისე დაღონებული, რომ არც კი გამოვმშვიდობებივართ ნოეს, ისე გამოვედით დერეფანში. ნოეს ეს არ გამოპარვია, მოგვეწია გზაში, გაგვაჩერა, ჩამოგვართვა მაგრად ხელი და შემოგვძახა რიხიანად: „მშვიდობით, იყავით ყოჩაღათო!" თვითონ ისეთ შთაბეჭდილებას ახდენდა თითქოს უბრალო სამგზავროთ მიდის რამოდენიმე დღით.

ნოედან ჩვენ პირდაპირ მატარებელს მივაშურეთ, სადაც თავი მოეყარათ უკვე: სილიბისტრო ჯიბლაძეს, აღექსანდრე ღომთათიძეს, გრიშა ურატაძეს, აღფეზა ხელაძეს და სანდრო მაისურაძის ქვრივს—ელენეს. იყვნენ სხვა ამხანაგებიც, რომელთა გვარები მე აღარ მახსოვს. არ გასულა სულ ნახევარი საათი, რომ გავარდა თოფი, რასაც მოჰყა ზარბაზნის ხმა და, რაც თანდათან გაგრძელდა. ყუმბარები სკდებოდა ჩვენს გარშემო. მატარებელი ადგილიდან ვეღარ დაიძრა და ჩვენ განვიცადეთ დიდი შიში და მღელვარება. ხან ვწვებოდით, ხან ვიჩოქებდით, ხან ზეზე ვიყავით, ვეხეთქებოდით ერთი კუთხიდან მეორე კუთხეზე. განსაკუთრებით ღელავდნენ გრიშა და აღ. ხელაძე. მაღე ჩვენებმა წაიწიეს წინ, ყუმბარები ჩვენამდე ვეღარ აღწევდა, მაგრამ მაინც საკმაო ხანი დავყავით სანამ სადგურიდან დავიძრებოდით.

სილიბისტრო და ზოგი სხვა ამხანაგები წავიდენ პირდაპირ თბილისში. სეით დევდარიანი, აღ. ღომთათიძე, მე და ხელაძე წავედით გურიისკენ, ელენე მაისურაძესთან ერთად. გავიარეთ ოზურგეთში, სადაც დავრჩით რამდენიმე დღე, სეითს ქონდა განზრახული მოხსენებების გაკეთება ვიწრო წრეში, რომ მიეცა ერთგვარი დარიგებები და გაემხნევებია ამხანაგები. აღ. ღომთათიძე და აღ. ხელაძე წავიდენ შინ. სეითმა და მე მოვიარეთ გურიის ზოგიერთი ადგილები. მოვაწყვეთ მოხსენებები და გავემგზავრეთ თბილისისაკენ. ქალაქ ღანჩხუთში ამ დროს იდგა წითელი ჯარი, წითელი სამხედრო კომისარ შაღვა ელიავას მეთაურობით, რომელმაც გაიგო ჩვენი ღანჩხუთში ყოფნა და შემომითვალა, ჩვენი ამხანაგი ვარლამ ხუროძის პირით, მნახოსო. ჩვენ ძველი მეგობრები ვიყავით, ერთად ნაცხოვრები ჯერ პეტერბურგში და მერე გადასახლებაში ასტრახანში. რასაკვირველია მე ის არ ვნახე და შევუთვალე, რომ ჩვენს შორის ყველაფერი გამწყდარია. და, რომ სამშობლოს მოღალატეებთან მე საერთო არაფერი მაქთქო.

საჯავახოს რკინიგზა აყრილი იყო. მისვლა-მოსვლა მხოლოდ პორომის საშუალებით ხდებოდა. ჩვენც ჩავჯექით პორომში, სადაც დაგვხვდა მთელი გვარდიის შტაბი, გარდა ვალიკო ჯუღელისა და რუბენ აუშტროვისა. მათთან ერთად ჩვენ გადავედით მეორე ნაპირზე და ფეხით მივედით სამტრედიის სადგურზე. აქ ჩვენ დიდხანს მოგვიხდა ცდა. სეითმა დაიწყო ნერვიულობა, მიდი-მოდიოდა გაუჩერებლად, შემდეგ გადაწყვიტა დელეენით წასვლა ქუთაისისაკენ. ჩვენ ბევრი ვუშალეთ არ ნდობოდა სოფლის გზას, მაგრამ არ დაიჯერა და გაუდგა გზას.

მე წავედი გვარდიელებთან ერთად თბილისში და რამოდენიმე დღის შემდეგ გავიგე, რომ სეითი გზაში გააჩერეს, გაჩხრიკეს, უნახეს პალტოში ჩაკერებული ათი მილიონი და ჩამოართვეს.

მუშათა სასახლე, რომელიც ჩვენ დავტოვეთ, დამხვდა კომუნისტების ხელში. იმათ ესარგებლათ ჩვენი იქ არ ყოფნით და მოკალათებულიყვნენ შიგ. მე მივედი იქ ჩამოსვლისთანავე და განვაცხადე სასტიკი პროტესტი. მოვითხოვე მოეცათ ჩვენთვის განცხადების გაკეთების საშუალება თვით პლენუმზე, რაზედაც მომცეს დასტური, მაგრამ როდესაც სხდომაზე მივედი დასვეს საკითხი მივცეთ თუ არა ნება განცხადებისო, მოითხოვა სიტყვა ელექტრონზე მომუშავეთა კავშირის თავმჯდომარემ, ნიკო კიკნაძემ. გასწია საზიზღარი დემაგოგია და შემოიტანა წინადადება არ მიეცათ ჩემთვის სიტყვა, რაც ერთხმად მიიღეს. ერთადერთი ხმა ჩემ სასარგებლოთ, რომ გაისმა იყო მასწავლებლების კავშირის წარმომადგენელის, ნიკო ჩიგოგიძის, რომელმაც გააცხადა ჩემთან ერთად პროტესტი და დატოვა სხდომა პროტესტის ნიშნად. როგორც შემდეგ გამოირკვა, ჯერ კიდევ საქ–ს ოკუპაციის წინ, ქართველ კომუნისტებს აფიქრებდა თურმე ის გარემოება თუ როგორ მოქცეოდნენ საქ–ს მუშათა პროფკავშირებს, სადაც მუშათა 90% იყო მათდამი უარყოფითათ განწყობილი. ჩვენი მასიურათ უკან დახევის გამო, მათ უბრძოლველად ჩაუვარდათ ხელში შენობაც და თვით კავშირებიც, რადგან მთელი კავშირის კადრები და ხელმძღვანელები ჩაბმული იყვნენ ომში, ზოგი გვარდიაში და ზოგიც როგორც მოხალისეები.

ათი აპრილის სხდომა.

საქ–ს სოც. დემოკრატიულმა პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, რომელსაც თავმჯდომარეობდა განსვენებული სილიბისტრო ჯიბლაძე, გამართა თბილისის რაიონის პარტიულ წევრთა საერთო კრება, სახელმწიფო თეატრის დარბაზში. სხდომას დაესწრო თბილისში მყოფი ყველა პარტიის წევრი, თითქმის გამოუკლებლივ. ზალა აღარ იტევდა დამსწრეთ. კრებას თავმჯდომარეობდა ღადო ჯიბლაძე, მდივანი შალვა აბდუშელი. კრებაზე მეტად შინაარსიანი მოხსენება გააკეთა სეით დეედარიანმა. სიტყვებით გამოვიდნენ ისიდორე რამიშვილი და კიდევ რამდენიმე სხვა ორატორები. როგორც მომხსენებელი, ისე სხვა ორატორები აცხადებდნენ სასტიკ პროტესტს იმ ძალმომრეობის გამო, რომელსაც ქონდა ადგილი ჩვენ სამშობლოზე. მოითხოვდნენ დაუყოვნებლივ ჯარის გაყვანას. მიღებული იქნა ამავე ხასიათის რეზოლუცია, რომელიც კრების სახელით გაეგზავნა საბჭოთა ხელისუფლებას და გადმოგზავნილი იქნა მეორე ინტერნაციონალში.

+ **შალვა აბდუშელი,** საქ–ს თავისუფალი მუშათა პროფესიონალური კავშირების ცენტრალური საბჭოს მდივანი და მისი ორგანოს ჟურნალ „მუშათა ცხოვრების“ რედაქტორი.

გლოვის თვე

„ქართლის ჭირსა ვერვინ მოთვლის, თუ არ ბრძენი, ენამჭევრი.
იფქლი ღვარძლად გადაგვექცა, ზედ მობრუნდა ცეცხლის კევრი."—გურამიშვილი.

ბარდნიდა. ნავთლუღის ველები თოვლით იყო დაფარული. შორიდან ისმის ქვემეხთა გრუხუნი. ნავთლუღის მუშათა სახლში მოუთმენლად მოელიან ბრძანებას სახალხო გვარდიის, ჩვენი ნაწილის ფრონტზე გაგზავნის შესახებ. ამ დროს შემოიყვანეს ჩაღლეტილი, ძონძებში შემოსილი რუსი ჯარისკაცი. ვეკითხებით: რატომ მოდიხართ, რას გვერჩით? პასუხი: „უნდა გავანთავისუფლოთ თქვენი ქვეყანა ბურჟუებიდან. შემდეგ მივდივართ კონსტანტინოპოლში."

2) თოვლიანი თებერვალი. მძიმე ზამთარი და ქართველი ხალხის საშინელი ბრძოლა, რომელიც იცავდა მშობლიურ კერას. ამ თვეში დაუპირისპირდა სისხლით შეღებილი წითელი დროშა საქ—ს თავისუფლების დროშას. მოსკოვი ვერ შეურიგდა დემოკრატიის და თავისუფლების არსებობას საქ—ში, მასში გაიღვიძა თვითმპყრობელ მეფეთა მისწრაფებამ სამხრეთში გაბატონებისა. პატარა ქართველი ერი ეკვეთა მოზღვავებულ მტერს... მაგრამ დამარცხდა...

რუსი ჯარისკაცის თვალი არ შორდება გოგორა პურებს მაგიდაზე. ჩანს ძალიან განიცდის შიმშილს. ვაწვდით. იგი დაებღღვნება როგორც ყვავი წიწილას. ამ დროს გაისმის ტელეფონის ზარი, ლაპარაკობს თბილისი: „ვტოვებთ თბილისს. ემზადეთ უკან დასახევად." გაშტერებული შევჩერებივართ ერთიმეორეს.

3) საქ—ს თავზე სისხლის წვიმამ გადაიარა. გავიხსენოთ პოეტის სიტყვები: „ჩრდილოეთიდან შემოგვესიენ, მაისს ჩააცვეს შავი ჩოხაო." თებერვალში იყო, რომ რუსეთის ჯარები შემოესივნენ ჩვენს პატარა ქვეყანას: აჰკვეთეს მისი თავისუფლება, გააუქმეს მისი სუვერენობა. თებერვალი, თვე მტრული თავდასხმის, მუხანათური და ვერაგული თავდასხმის. თვე საქ—ს დიდი ისტორიული განსაცდელის დაწყებისა.

რა აღუთქვა და რა მოუტანა რუსეთმა საქართველოს? აღუთქვეს ბედნიერება. შემოიტანეს ტანჯვა, წამება და სიკვდილი. ციმბირის ველები მოკირწყლულია ქართველთა ძვლებით. აღუთქვეს ძმობა-ერთობა, მოგვიტანეს შური-მტრობა-რუსების ბატონობა. ჩვენი ქვეყანა დაიყენეს გარუსების გზაზე.

ააგეს ქარხნები, რომელთა ნაწარმი უცხოეთში გადის, ხოლო შემოსავალი მოსკოვის სალაროში, საიდანაც საქართველომ უნდა გამოითხოვოს ნამცეცები.

—ათასობით ქართველი იძულებულია თითქოს „თავისი ნებით" იმუშაოს ციმბირში და რუსეთის სხვა, ქართველი კაცისთვის ძნელად გასაძლებ, კუთხეში, მაშინ, როცა საქ—ს ქალაქები და სოფლები განიცდიან მუშახელის ნაკლებობას და სადაც რუსებს, უკრაინელებს და სხვა ეროვნებების წარმომადგენლებს ასახლებენ. დიახ, ააგეს ქარხნები, მაგრამ ხალხის ნივთიერი მოთხოვნილება არ არის დაკმაყოფილებული. მომხმარებელს რიგში დგომა უწევს უცხოეთიდან შემოზიდულ გაყინულ ქათმის საყიდლად.

აშენებენ სახლებს, რითაც ამდენს ტრაბახობენ, მაგრამ ეს სრულიად არასაკმარისია და რაცაა ისიც უაღრესად მდარე ხარისხის. პატიოსანი ქართველი მშრომელები უაღრესად ვიწრო და მოუწყობელ ბინებში ცხოვრობენ. ამას ვერ მაღავს თვით საბჭოური პრესაც კი.

—საქართველოს ხსენება, როგორც სახელმწიფოსი, ხომ აღარ არსებობს მსოფლიოში და ქართული ენის დასაცავად და შესანარჩუნებლად ახალგაზრდებს სჭირდებათ აკრძალული დემონსტრაციები, ინტელიგენციას კი პეტიციების მირთმევა ბრეჟნევისადმი, იმავე მიზნით.

მაგრამ, ქართველი ხალხი იცავს თავს ყოველ წუთში, ყოველ საათში. ერს გადახდილი აქვს ბრძოლა მრავალი, მისმა ტანჯულმა სულმა არ იცის დაღლა, თაობა მისდევს თაობას, იცვლება ბუნება, არ იცვლება მდგომარეობა, არ სუსტდება ქართველი ერის საციცოცხლო ძარღვი. მტერი უძლურია ქართული მხნე გულისა და მაგარი ნებისყოფის წინაშე, მას არ შეუძლია ჩაჰკლას ქართველი ხალხის სიყვარული კეთილისადმი და სიძულვილი ბოროტებისა. ქართველ ხალხს წინ მიუძღვის გამარჯვების იმედის და რწმენის

დროშა, მას „ვერც ქარი ავნებს, ვერც ქარიშხალი.“

პავლე სარჯველაძე

--- --- --- ---

მოგონებები, ამოღებული ჩემი რვეულიდან

შესაღლის სახით, მინდა მკითხველს მოვაგონო, რომ თბილისის არსენალი, რომელიც მთელ ამიერკავკასიას ამარაგებდა პირველი მსოფლიო ომის დროს, ჩვენს ხელში არ ყოფილიყო, ჩვენ დამოუკიდებლობას ვერ გამოვაცხადებდით. არსენალი კი ჩვენ ავიღეთ *1917* წლის *28* ნოემბერს ძველი სტილით, ახალით *12* დეკემბერს.

აგრეთვე მინდა დავუმატო: ცნობილი მიტინგი, აღექსანდროვის ბაღში, *1918* წლის თებერვალში, რომ არ გაერეკათ, რუსები და ქართველი ბოლშევიკები ჩვენ აგვიღებდნენ მაშინ. ისტორიაში შევა ევგენი გეგეჭკორმა, რომ უბრძანა გენერალ მაზნიაშვილს და კაპიტან ვლასა იმნაძეს მათი გაფანტვა. აი, აქ გადაწყდა ჩვენი *26* მაისი.

როცა ვიგონებ *1921* წლის თებერვალს, ვარ უბედურიც და ბედნიერიც. სიტყვები უძლურია გადმოვცე ჩემი განცდა: ჩემი ქვეყნის დაპყრობა, ბევრი, ბევრადბევრი თანამებრძოლი მაშინ დაღუპული, შემდეგ ციმბირი... დახვრეტები *1924* წელში და აქ–უცხოეთში–გავამსეთ ლოვილის ძმათა სასაფლაო. ბედნიერი ვარ იმითი, რომ ქართველ მოღალატეების, ვინც რუსეთის წითელ არმიას შემოუძღვნენ, იმათ დახვრეტას მოვესწარი. აი, მათი სახელები, „შულავერის მთავრობის“ წევრები: ფილიპე მახარაძე, მამია ორახელაშვილი, ბუდუ მდივანი, ლადო დუმბაძე, შალვა ელიავა, მიშა ოკუჯავა, ომარ ნაზარეტიანი, საშა გეგეჭკორი და კვირკველია. ესენი დახვრიტეს, გარდა ფილიპე მახარაძისა, *1936-37* წლებში. დგებუაძე გადაასახლეს *1929* წელს უზბეკისტანში და იქ გარდაიცვალა. საშა გეგეჭკორმა ხომ თავი მოიკლა *1922* წელში.

მე ჩემ წიგნში აღვნიშნე, რომ ვიყავი *1917* წლიდან სახალხო გვარდიის მთავარ შტაბის მუდმივ განკარგულებაში. ე.ი. დღიდან თბილისის მთავარი არსენალის აღებისა, რომლის დროსაც მე მხვდა წილად არსენალის მთავარი კარების გატეხვა და ჩემი ათეული მებრძოლებით შეველი არსენალში. ამის შემდეგ მე არ მიცილებდა ვალიკო ჯუღელი და აღექსანდრე დგებუაძე. იქ ვიყავი ყოველთვის წინა ხაზზე, სადაც გვარდია იყო. ეს ორი პიროვნება და მე ვიყავით სწორედ იქ, როცა ომი დაიწყო, საზღვრის ახლოს, პატარა ქალაქ რანში. სომხები ეძახდნენ „ნაგერალა“-ს. ორი მთავარი საგუშაგო იყო. ერთს იცავდა პირველი იმერეთის სახ. გვ. ათასეული, პოლკოვნიკ აბესალომ გაფრინდაშვილის მეთაურობით, მეორე საგუშაგოს კი პირველი ქართული ათასეული, პოლკოვნიკ გეგელაშვილის მეთაურობით. გვარდიის საგუშაგომ შეამჩნია საზღვარზე შეიარაღებულ ხალხის თავმოყრა. ეს აცნობა მეორე საგუშაგოს, მაგრამ სამწუხაროდ მეორე საგუშაგოს მთავარი ხელმძღვანელი არ აღმოჩნდა ადგილზე. ეს იყო დილის ოთხი საათი. ექვს საათზე თოვდა და ამ დროს დაესხნენ თავს ჯერ პირველ საგუშაგოს. ზოგი მოკლეს, ზოგი ტყვედ წაიყვანეს. მე თვითონ ვნახე ერთი ჩემი ნაცნობი ჯარისკაცი, საჩხერელი აბრამიშვილი, მკედარი. ამავე დროს დაიწყეს გამოსვლა რუსმა ღუხაბორებმა და სომხებმაც. ასე, რომ ეს ორი ათასეული გვარდიის და პირველი პოლკი ძლიერ დაზარალდნენ. ჩვენ–ალ დგებუაძე, გეგელაშვილი და მე,– დავუყარეთ თავი ვინც გადარჩნენ, შევუტიეთ და მტერი სასტიკად დავამარცხეთ და ქალაქიც გავწმინდეთ *12* თებერვალს. შულავერიდან მოვიდა გვარდიის მესამე ათასეული, იმერეთის, ლავრენტი ნებიერიძის მეთაურობით. ეს უკანასკნელი ცვლიდა პოლკოვნიკ ტრიფონ ლაბაძეს, რომელიც შვებულებაში იყო და მოვიდა *17*-ში კოჯორზედ. *13* თებერვალს წითელ არმიას მოუვიდა ახალი დამხმარე შენაერთები და კვლავ გადმოვიდა შეტევაზე. ჩვენ კიდევ დაგვემატა მეხუთე ქართული პოლკის ორი გუნდი, კაპიტან გრიგოლ აბესაძის მეთაურობით. ჩვენ მტერს ვამარცხებთ. ამ დროს–*16* თებერვალს– წითელ ხიდზე იდგა გურიის პირველი ათასეული, პოლკოვნიკ გ. ხომერიკის მეთაურობით, წითელმა არმიამ გადმოლახა წითელი ხიდის და ბამბაკის სიმაღლეები და წინ მოიწევს. გურიის პირველი

ათასეული, დუშეთის გვარდიის ათასეული, ტატო შოშიაშვილის მეთაურობით, მტერს შეხვდნენ პირისპირ არშაგასელოში და სასტიკად დამარცხდნენ. ჩვენ მივიღეთ ბრძანება მთავარსარდლისაგან, გენერალი ოდიშელიძე, დაგვეხია უკან და გავმაგრებულიყავით მდინარე ხრამთან.

17 თებერვალს გავიგეთ, რომ მთავრობამ გადააყენა გენერალი ოდიშელიძე და მის მაგივრად დანიშნა გენერალი გიორგი კვინიტაძე. ჩვენში ამ ამბავმა სიხარული გამოიწვია, რადგანაც გენერალი კვინიტაძე იყო მთავარსარდლად *1920* წელს, როცა ომი იყო რუსეთთან, ვითომ აზერბაიჯანთან, მაგრამ აზერბაიჯანი ჩვენ ომს ვერ გაგვიბედავდა.
19 თებერვალს, პირველმა ქართულმა პოლკმა, პოლკოვნიკ გოგელაშვილის მეთაურობით და მესამე იმერეთის გვარდია ტრიფონ ლაბაძის მეთაურობით, მთავარი შტაბის თავმჯდომარე ვ. ჯუღელის, აღექსანდრე დგებუაძის და გენერალ გიორგი მაზნიაშვილის მეთაურობით მტერი სასტიკად დავამარცხეთ. ტყვედ ჩაგვივარდა *1800* ჯარისკაცი, ოთხი ზარბაზანი, დიდძალი სხვა იარაღი და გაშიფრული საიდუმლო საბუთები.
16 თებერვალს ჭიათურის სახ. გვარდიის ერთი გუნდი დაგვემატა, კაპიტან აქვსენტი ქურციკიძის მეთაურობით. მტრის ახალმა ძალებმა თავი დაგვიარა ქოროღლის ციხის გვერდიდან და შეიქნა ძლიერი საარტილერიო დუელი. ჩვენმა ზარბაზნებმა, პოლკოვნიკ კარგარეთელის მეთაურობით მტერის არტილერია ჩააჩუმა. მტერმა ბრძოლის ველზე გამოიყვანა ტანკები და როსტოვიდან სამხედრო კურსანტების დივიზია. ჩვენც დაგვემატა მოხალისე სტუდენტები. მთელი თბილისი ფეხზე დადგა. ამ დროს გავიცანი კოწია სამყურაშვილი, დახვრიტეს ვაგონებში *1924*-ში, სევერიან ჭირაქაძე და წითელ ჯვარში ჩაწერილი ერასტო მაჭავარიანი. ამავე წითელ ჯვარში დაემატა, ცნობილი პოეტის კოტე მაყაშვილის ქალიშვილი მარო, მოწყალების დათ. მაგარი არტილერიის ბრძოლის დროს ჩემს გვერდით მომიკლეს კაპ. აქვსენტი ქურციკიძე, კოლია ხვედელიძე, ლავრენტი მიქაბერიძე. მძიმედ დაჭრილი მარო მაყაშვილი ჩემ ნაბადში გადავიწვინე, ზურგით გამოვიტანე და ჩავაბარე ექიმ ბეჟუაშვილს. ეს უკანასკნელი იყო ზესტაფონის სახ. გვარდიის საექიმო ნაწილის უფროსი. კაპიტანი ქურციკიძე, ხვედელიძე და ნიქაბერიძე ჩავასვენე თბილისის სადგურში და გოგიტა ფაღავამ გააგზავნა ჭიათურაში. გოგიტამ მითხრა: რაღაი მიდიხარ ფრონტზე, ჩვენი სამხედრო სკოლა უკვე გამოვიდა და წაყევი იმასო. ეს იყო *17* თებერვალს, მართლაც ერევნის მოედანზე შევხვდი იუნკერთა ორ გუნდს, მოუძღოდა პოლკ. ჩხეიძე სამხედრო მუსიკით. მთელი ხალხი ყვავილებს ესროდათ და ისმოდა: გაუმარჯოს ჩვენს თავისუფალ საქ–ს, მის მეთაურობას– საქართველოს მთავრობას, გაუმარჯოს ჩვენს ახალგაზრდა სამხედრო სკოლას!...

იუნკრებმა, მესამე იმერეთის სახ. გვარდიამ და ბათუმის სახ. გვარდიამ, ათასეულის მეთაური პოლკ. კვაშალი, დავიკავეთ *25* კილომეტრის ფრონტი–ტაბახმელა-კოჯორ–კუმისის სიმაღლეები. *18* თებერვალს მტერი აჩაღებს არტილერიის მაგარ ცეცხლს, ჩვენებმა უპასუხეს და ჩააჩუმეს. ფრონტის უფროსმა გენ. ანდრონიკაშვილმა თბილისის საგანგებო ათასეულის უფროსს პოლკ. ცომაიას უბრძანა გადასულიყო შეტევაზე. პოლკ. ცომაიამ გამოყო პირველი გუნდი ილიკო ჯუღელის მეთაურობით და მტერს დაედევნა. ი. ჯუღელმა მიაღწია ტბის მარჯვნით და შეეჩეხა მტრის ცხენოსან ჯარს. აქ, ჯუღელმა მისცა ბრძოლა და გარეკა მტერი, მაგრამ მარცხნით მოვიდა მტრის სამხედრო კურსანტების ათასეული, ი. ჯუღელი დაიჭრა ფეხში და მთელი გუნდი ტყვედ ჩავარდა.
19, 20, 21 და *22*-ს ჩვენ ყველგან გამარჯვებული ვიყავით. *23* თებერვალს მტრის ავიაციამ დაბომბა ჩვენი დიდი არსენალი და ვაზიანის ხეობა. ემჩნეოდა პანიკა მთავარსარდლობაში. გენერალი მაზნიაშვილი და გენ. ანდრონიკაშვილი მაგრად იყვნენ.

24 თებერვალს ჩვენ გადავედით რკინიგზის ღიანდაგზე შეშის მოსატანათ. აქ იდგა აღფეზა გოგუაძე ჯავშნოსნით. ღამის პირველი საათია, გოგუაძემ მტერი განდევნა. ჩვენი ათასეული, იმერეთის მესამე სახალხო გვარდია და ბათუმის სახ. გვარდია, კვაშალის მეთაურობით, მარჯვნით მეორე გუნდი იუნკრების. მტერმა ცენტრში მოიტანა

იერიში, მოგვიკლეს პოლკ. კვაშალი და ექვსი გვარდიელი, კვაშალის ადგილი დაიკავა პირველი გუნდის უფროსმა კაპიტანმა დოლიძემ. მტერი სასტიკად დამარცხდა.

ამოვიდა მათარსარდალი გიორგი კვინიტაძე, კარავში გაიშალა კარტა. აქ არიან გენერლები მაზნიაშვილი, ანდრონიკაშვილი და ზაქარიაძე, პოლკ. ჩხეიძე, ვ. ჯუღელი. ეს არის *24* თებერვლის *11* საათი დილის, *25* დილით, ოთხ საათზე ვიწყებთ შეტევას: კოჯორი- შინდისი- ქოროღლის ციხე- ვაზიანიდან. საღამოს *11* საათზე მოდის ფრონტის უფროსს ბრძანება: „დაიხიეთ მწყობრად მცხეთაში უნდა გავმაგრდეთ, თბილისს ვტოვებთ.“ (ამის შესახებ იხილეთ გენ. მაზნიაშვილის წიგნი, გამოცემული *1928* წ. თბილისში.)

ვიხევთ წყნარათ. ნაშუაღამევს ვართ სადგურში, სადაც აღფეზა გოგუაძეს ჯავშნოსანი დგას. აქ ვხედავ ნოე ჟორდანიას. გავიგონე აღფეზას ხმამაღალი შეძახილი: „რატომ გვიშვებით ბატონო ნოე!“ „ხიფათში ვვარდებით, მტერი უკვე ნავთლუღშია“, უპასუხებს ნოე ჟორდანია. დავინახე, რომ ორი ვაგონი მოუბეს ჯავშნოსანს, რომელშიც ჩაჯდა ნოე ჟორდანია. ჩვენი ეშელონი: ბათუმის და იმერეთის მესამე გვარდიის ათასეულები, გავიდა მის შემდეგ.

გორში, მე მივიღე ბრძანება გავყოლოდი იმერეთის სახ. გვარდიის მესამე ათასეულს საჩხერისაკენ. მტერს გადმოეღახავს მამისონის უღელტეხილი. შევიარე მთავრობის ვაგონში რომ გამოვმშვიდობებოდი. ვნახე ბატონი ნოე ჟორდანია ერთოფ დაღლილი და მოწყენილი. ამ დროს მოვიდა გენ. კვინიტაძე, რომელმაც განუცხადა: „მე ხომ გთხოვეთ, რომ ნუ ერევიან გვარდიის მთავარ შტაბის წევრები ჩემს სამხედრო საქმეებშიო.“ საქმე ყოფილა ასე: ვლადიმერ ჯიბლაძეს გაუგია, რომ სურამის უღელტეხილზე და წიფის უღელტეხილზე სანგრები არ ყოფილა მომზადებული და ეს მას უთქვამს გენ. კვინიტაძისთვის. ამის საპასუხოთ, ნოე ჟორდანიამ გასცა ბრძანება აეხადოს ყოველივე უფლება ვლადიმერ ჯიბლაძესო.

ხაშურში მოგვისწრო ევგენი გეგეჭკორმა, ევროპიდან დაბრუნებულმა. მახსოვს და არასოდეს დამავიწყდება, როცა გავიგეთ ევროპიდან არაფერი დახმარება არ არისო, აღექსანდრე დგებუაძემ ბატონ ევგენს მიახალა: „ნავხოთ რას ისარგებლებს ინგლისი და ლოიდ ჯორჯი ასეთი უმსგავსო პოლიტიკითო!“

ვალიკო ჩუბინიძე

--- --- --- ---

წითელი რუსეთი თავს დაგვესხა

(მოგონებები)

1921 წლის *11 - 12* თებერვალს, ჩრდილოეთიდან წამოსულმა შავმა ღრუბელმა, წითელ ფერში გახვეულმა, ჩვენი ძვირფასი სამშობლო გადმოლახა. ვერაგულათ თავს დაგვესხა, სისხლში ჩაახრჩო ჩვენი ეროვნული მეობა. რუსეთის წითელმა არმიამ დაიპყრო ჩვენი ქვეყანა. *25* თებერვალი არის ქართველი ერის გლოვის დღე.

მოსკოვმა შეადგინა მოღალატე ქართველებისაგან მთავრობა და დანიშნა „გრუზჩეკის“ თავმჯდომარეთ კოტე ცინცაძე, რომელსაც გვედში ამოუყენა რუსი და სომეხი ჯალათები. საქ–ს საბჭოთა ხელისუფლებამ გამოსცა ამნისტია, რომ წარსულზე შურს არ იძიებენ. ჩვენ კარგად ვიცოდით ამ ამნისტიის ფასი და ღირებულება–დღით გამოვდიოდით ხალხში და საღამოობით თავს ვაფარებდით შეუმჩნეველ ამხანაგებში.

საქ–ს დაპყრობის ერთი კვირის შემდეგ მოიწვიეს ლანჩხუთში დიდი მიტინგი, სადაც სიტყვით გამოვიდა მოღალატე ფილიპე მახარაძე. მიტინგი მოაწყვეს ნოე ჟორდანიას მოედანზე. ჩვენ კი აღყა გვქონდა შემორტყმული შეიარაღებული კომუნისტებით. მიტინგი გახსნა კოსანდილე ცინცაძემ და ტრიბუნაზე ადის ფ. მახარაძე. მთელმა დამსწრე ხალხმა ყვირილით და ფშვიტინით შესძახა: მოღალატე მახარაძე როგორ ბედავ ტრიბუნაზე გამოსვლას, რუსის წითელ ჯარს შემოუძახით, მოსპეთ ჩვენი ეროვნული მეობა, თელი ერი შავებშია გახვეული, გლოვობს დიდი და პატარა, დედები სტირიან თავიანთ შვილებს, რომლე-

ბიც გმირულად დაეცენ ბრძოლის ველზე. ძირს მოღალატე მახარაძე! გაიყვანეთ რუსის ჯარი და შემდეგ გამოდი ტრიბუნაზეო. სიტყვის ნება არ მისცა ხალხმა, ვერავითარი რეზოლუცია ვერ გამოიტანეს. ასე, რომ ბოლშევიკები სახტად დარჩენ. შემდეგ ტრიბუნაზე გადის ჩვენი დამფუძნებელი კრების წევრი ნიკიფორე იმნაიშვილი. მას არ უშვებენ ტრიბუნაზე მაგრამ ძალით გადის და შესძახა მოღალატეებს: „დღეს საქ–ო გლოვობს რუსის ხიშტებით, რომ მოუსპეთ ერს მისი მეობა, გაიყვანეთ რუსის ჯარი და შემდეგ გამოდით ტრიბუნაზეო." თელი დამსწრე ხალხი ნიკიფორეს დიდი ოვაციებით და ტაშით შეხვდა და ერთხმათ შესძახა: „გაუმარჯოს ნოე ჟორდანიას და ჩვენს ეროვნულ მთავრობასო." და ერთხმათ შემოსძახეს ჩვენი ეროვნული იმნი „დიდება ჩვენსა სამშობლოს."

თუ რა მოელოდა საქ–ს ახალი მდგომარეობის შექმნის გამო, ამაზე ხალხის აზრი მეტად ჭრელი იყო. ფართე მასაში ბევრი ფიქრობდა, რომ ბოლოს და ბოლოს "ბოლშევიკებთან" საერთო ენა მოინახებოდა და ეს საქ–ს დაპყრობა არ გადაიქცეოდა ისეთ დაპყრობად, როგორც ეს საერთოდ ხდება ასეთ შემთხვევაში. საერთოდ გურიაში საქ–ს დაპყრობის წინ ბოლშევიკების ორგანიზაციები განადგურებული იყვნენ. არ ყავდათ პირები მრავალ თემებში რომ რევკომი შეედგინათ და სხვადასხვა სოფლებიდან მოყავდათ. საერთოდ გურიაში არ მომხდარა ისეთი რამე, რომ ხელისუფლების რეპრესიები გამოეწვია. რასაკვირველია, იყო ბევრი გამონაკლისი. ძალიან ცუდ მდგომარეობაში იყო ის ხალხი, ვისაც ბოლშევიკები იცნობდნენ როგორჩ შეურიგებელ მტერს, ან ვინც დამოუკიდებლობის დროს მონაწილეობა მიიღო ბოლშევიკების წინააღმდეგ რეპრესიებში.

1921 წ. *29* აპრილს იყო წითელი პარასკევი, გავედი ლანჩხუთის ბაზარში, აქ იცოდენ პარასკევობა. ბევრი ამხანაგი ვინახულე და თან ბევრი ბოლშევიკები შემხვდენ. საღამოს გავიარე ჩემს სახლში და დამიხვდა ბათომიდან ჩამოსული ჩემი და ვერა და სიძე. შევყევით ლაპარაკს, უკვე ვახშმობის დრომ მოაწია და შევექეცით ვახშამს. იყო საღამოს *10* საათი, რომ კარებზე არახუნებენ. გააღეს კარი. შემოვიდენ შეიარაღებული ბოლშევიკები და მითხრეს დატუსაღებული ხარო. რაშია საქმე? ამნისტია გამოუშვით და მატუსაღებთ ქვა. მიპასუხეს: თქვენ არ ისვენებთ, ქუთაისში საშა გეგეჭკორს ბომბი ესროლეთო. მე დამიჭირეს ღამის ათ საათზე და ბომბი გავარდა ქუთაისში ღამის თერთმეტ საათზე. ასე, რომ ეს ხელოვნურად მოაწყვეს, რომ ამით გამოეწვიათ რეპრესიები. *30* აპრილს დილით მიმიყვანეს ლანჩხუთის რევკომის ბინაზე, იქ დამიხვთა ყველა მოწინავე პირები დატუსაღებული. ბევრმა მისაყვედურა თუ მე რათ ჩავუვარდი ხელში ამათ. ამავე დღეს, ე.ი. დიდ შაბათს, ჩაგვაყენეს რიგში სუყველანი და ნაშუადღევის სამ საათზე, გაძლიერებული ბოლშევიკებით, გაგვამგზავრეს ოზურგეთისაკენ, შუხუთის გზით. შუხუთში თელი ხალხი გადმოდგა და ჩვენ გვამხნევებს. დავუახლოდი მოედანს, სწორეთ აქ ცხოვრობდა ნიკიფორე იმნაიშვილი, იყო ჭიშკართან რაღაცას ასწორებდა. ბალკონზე გადმომდგარი დავინახე კირილე ნინიძე. ნიკიფორე გამოიქცა ჩვენსკენ გადამკოცნა და გამამხნევა. მცველებმა ბევრი აღარ შეგვაჩერეს და გაგვიძახეს აკეთის გზით ნაგომარისაკენ, სადაც მივედით საღამოს დაღლილები. აქ შეგვიყვანეს სკოლის დარბაზში. აქაც ადგილობრივი ამხანაგები დაგვიხდენ დატუსაღებული. მოვიდა თელი სოფლელები, მოგვიტანეს საჭმელ- სასმელი. ჩვენი მცველები სრულებით დაიბნენ.

პირველ მაისს დილით, აღდგომა დღეს, ჩაგვაყენეს რიგში და ნასაკირალის გზით გაგვიძახეს ოზურგეთისაკენ... მივედით ოზურგეთის ციხეში სამ საათზე, აქ დაგვიხდა მთელი გურიის მოწინავე პირები დატუსაღებული. ბევრი გადაიყვანეს სამხედრო ყაზარმებში, უადგილობის გამო. დაახლოებით ორი ათასი კაცი იყო და მათ შორის ბევრი მანდილოსანიც. აქვე იყო კარგი ქართველი, მღვდელი ღავრენტი წულაძეც. მეორე დღეს, ორშაბათს, მოიყვანეს ნიკიფორე იმნაიშვილი.(ნ. იმნაიშვილი ჩეკამ დახვრიტა *1939*-ში) ერთი კვირის შემდეგ სულ ყველანი გაანთავისუფლეს, მხოლოდ დაგვტოვეს თორმეტი, რომლებიც ჩვენი დამოუკიდებლობის დროს იყვენ ბოლშევიკების დაუნდობელი მტრები: ქრ. იმნაიშვილი, გრიგოლ ცინცაძე, გიორგი მურვანიძე, გრიგოლ ცინცაბაძე, ევგენი იმნაიშვილი, ისაკი ურუშაძე, ექვთიმე თოდრაძე(გახუჭული მღვდელი), ნ. ჭაონია, შიო ჭა-

ნტურიშვილი. სამის სახელი აღარ მახსოვს.

მოახლოდა 26. მაისი. გარეთ ემზადებიან სადღესასწაულოთ. გვესმის ხალხის დიდი მოძრაობა. ოზურგეთის ქალაქის მოედანზე მოაწყვეს დიდი მიტინგი, მოისმის გიორგი ნაკაშიძის პატრიოტული, შესანიშნავი სიტყვები, სამშობლოს მოღალატეთა და დამპყრობელთა წინააღმდეგ მიმართული. თუ როგორ შეხვდა ხალხი თვით გურიაში, რუსის ხიშტებზედ დაყრდნობილ საბჭოთა ხელისუფლებას, ეს აშკარად ჩანდა იმ ფაქტებიდან, რასაც ადგილი ქონდა მთელს გურიაში. აპრილში გურიაში ჩამოასვენეს ტაბახმელაზე მოკლული სახალხო გვარდიის ბათომის ათასეულის უფროსი, კაპიტანი გრიგოლ კვაშალი. მთელი მაზრა ამ მოვლენისათვის წინასწარ მომზადებული იყო. ქ. ოზურგეთის და ახლო-მახლო თემების მცხოვრებნი, დელეგატები სხვა რაიონებიდან, დიდძალი ხალხი შავებში ჩაცმული, დიდი შავი დროშებით შეეგებენ სამშობლოსათვის თავდადებულ გმირის ცხედარს. უსიტყვოდ, სამარისებული სიჩუმით, მიასვენეს ის და დაკრძალეს ოზურგეთის ქალაქის მოედანზე ეკლესიის ეზოში. საბჭოთა ხელისუფლებამ ვერავითარი ჩარევა ვერ გაბედა. თითქმის ასევე ხდებოდა უფრო პატარა მასშტაბით ყველა რაიონებში შეხვედრა და დასაფლავება სხვადასხვა ფრონტებიდან მოსვენებულ მხედრების. გრიგოლ კვაშალის დასაფლავება მოხდა ჩემს დაჭერამდე. ღანჩხუთიდან ვიყავი დელეგატათ ხუთი თანამებრძოლის თანხლებით.

30 მაისს, მახსოვს ოთხშაბათი დღე იყო, ჩემს საკანში შემოვიდა ციხის უფროსის თანაშემწე და წამიყვანა ციხის კანცელარიაში. იქ დამიხდა გიორგი მახარაძე, შუხუთის რევკომის თავმჯდომარე(ჩემი მეზობელი), რომელიც მეუბნება თავდებით უნდა გაგიყვანოო. მაშინ მე უპასუხე თქვენ ამნისტია გამოუშვით და ის უნდა დაგეცვათქვა. მახარაძე მეუბნება, კაცო, ამას თავი დაანებე, მე მემუქრებიან შენი დები და ბიძაშვილები: ქრისტეფორეს თუ რამე შეემთხვა ცუდი, კარგს დღეს არ დაგაყენებთო. დამემშვიდობა მახარაძე და წავიდა. მესამე დღეს ციხის უფროსმა ჩემი ხიბაკით წამიყვანა ოზურგეთის სამაზრო მილიციის სამართველოში. იქ კარების წინ დამიხვდა სამი ჯოფილი ყაჩაღი, რომლებსაც დამოუკიდებლობის დროს ჩვენ ვსდევდით და მომილოცეს განთავისუფლება. მილიციის უფროსმა სხვათაშორის მითხრა: შენ ხარ ძველი სოც. დემოკრატი და ჩვენს წინააღმდეგ არ იმოქმედებო, თავდებით გაყავხარ გ. მახარაძესო. ჩამომართვა მისამართი. რომ გამოვედი სამართველოდან, ეს სამი ყაჩაღი შემეგება წინ ძალიან გახარებული ჩემი განთავისუფლებით და მიმიპატიჟეს რესტორანში. ეხლა კარგად ვგრძნობ, თუ რა მომელის მარა უკან არ დავიხიე და არც შევიმჩნიე. ვხედავ: ჩემი თავდებში გაყვანა ჩაწყობილია. რესტორანში დავსხედით სადილზე. შეიქნა სადღეგრძელოები. გარდა ერთისა ყველამ შემაქო. ეს მესამე იყო ფილიპა მეგრელაძე. ის არ იყო ყაჩაღი, მარა ქონდა მათთან კავშირი. შუა ქეიფში გამომიხმო მეგრელაძემ გარეთ, ჩამიდვა გულის ჯიბეში თუთხმეტი მანეთი და მითხრა უშველე თავსო. მხოლოდ შებრუნდი მაგიდაზე, უთხარი მათ, რომ ვითომ აქ ნათესავებთან ხიბაკი გაქვს დატოვებული და ხელად მოხვალ. თხოვე, რომ ეტლი გიშოვონო. სწორედ ასეც მოვიქეცი. გამოვედი გარეთ, გავედი ქალაქიდან, იქ ახლოს ერთი მეგობარი მყავდა, იმას გავუარე და გავედი სოფელ მშვიდობაურში, სადაც მყავდა ცოლის ძმები. იმ ღამით იქ დავრჩი, დილით ადრე გავსწიე ფეხით, გავედი ნაგომარში, იქიდან აკეთის გზით ღანჩხუთისაკენ. იქნებოდა დილის ათი საათი მივედი სახლში. მოვინდომე ტანის დაბანვა, მაგრამ ამ დროს, 12 საათზე, შემომარტყეს აღყა. მითხრეს შეცდომით ხარ გაშვებულიო. ცხადია იმათ უნდოდათ ჩემი გზაში მოკვლა. შემდეგ იტყოდენ: ჩვენ გავანთავისუფლეთ და ვიღაცამ გზაში მოკლაო.

ხელახლად მიმიყვანეს ღანჩხუთის რევკომის ბინაზე. იქ კიდევ დამხვდა ოთხი ჩვენი ამხანაგი დატუსაღებული. შემოვიდა ჩემთან ცეკის წევრი პარმენ ცინცაძე და მეუბნება: დაგმე შენი წარსული, უარყავი შენი მენშევიკობა და ეხლავე გაგანთავისუფლებო. ამაზე მე მაგრად ვუპასუხე: ჯერ ერთი, მე ჩემს წასულს არ დავგმობ და, მეორე, მე მენშევიკი არა ვარ, მე ვეკუთნი საქ-ს ს.დ.მუშათა პარტიას თქვა. ცინცაძემ როცა ჩემგან ვერაფერი მიიღო წავიდა. მეორე დღეს, გაძლიერებული მცველებით, გაგვაგზავნეს ოზურგეთისაკენ. გზაში დედაჩემი დამეწია და შემომძახა: შვილო მაგრად იყავი, არ შე-

უშინდე ამ ჯალათებსო. მეორე დღეს, როგორც გადმომცეს, დედაჩემი დაეკირათ და სამ დღეს ყოფილიყო დატუსაღებული. ოზურგეთში ჩასვლის მეორე დღეს გამომიძახეს სამაზრო ჩეკაში. შემიყვანეს ერთ მიყრუებულ ოთახში. გამოვიდა ერთი ღაწირაკი, პოეტ ნოე ზომლეთელის ძმა—ქურიძე. დამიწყო დაკითხვა. მოაქვს დიდი იერიშები. სხვათაშორის მეკითხება თუ როგორ უყურებ საბჭოთა ხელისუფლებასო? უარყოფითად, ვუპასუხე. დღეს საქ—ო დაპყრობილია რუსის ხიშტებით და მე ამას ვგმობ თქვა.(ვიცი მაინც არ დამინდობენ და ვიჩენ ვაჟკაცობას). შემდეგ მისვამს კითხვას: *1919* წლის შემოდგომაზე, რომ თავს დამესხენ ჩემს სახ. გვარდიის შტაბზე და სისხლში ჩავახრჩვე მათი აჯანყება. მე ვუპასუხე: ამხანაგო კომისარო, მე ვიყავი ჩემი სამშობლოს სადარაჯოზე და თავი ხომ უნდა დამეცვა თქვა. უცებ ადგა ჩემი გამომძიებელი, გავიდა მეორე ოთახში, მაუზერის რევოლვერი დატოვა მაგიდაზე. დაახლოებით *15* წუთი დაჰყო და გამოვიდა. მე ადგილიდან არ დავნძრეულვარ. კარგად მივხვდი მისი ეშმაკობა. მას ეგონა მე მაუზერს ავიღებდი, მაგრამ ოინები არ გაუმართლდა.

ერთი კვირის შემდეგ გადაგვიყვანეს ქუთაისის ჩეკაში *18* კაცი, ამათში იყვენ: დამფუძნებელი კრების წევრი გრიგოლ ცინცაბაძე, ოზურგეთის ქალაქის თავი და დამფუძნებელი კრების წევრი გიორგი მურვანიძე, ისაკი ურუშაძე, გრიგოლ ცინცაძე, თედორე ჭანიშვილი, მწერალი შიო ჭანტურიშვილი და სხვა. ქუთაისის ციხეში დაგვიხვდა მრავალი ამხანაგი სხვადასხვა კუთხიდან, ამათში იყო მიშა კოღუაშვილი, რომელიც იყო ფედერალისტი და ცნობილი ვაჟკაცი და კარგი ქართველი, *1923* წელში, თბილისში თავს დაესხენ და მოკლეს. გურიის განმათავისუფლებელმა კომიტეტმა მოაწყო წითელი ჯვარი, რომელსაც ხელმძღვანელობდა ვასო ჩიტაიშვილი.(ვ. ჩიტაიშვილი *1924* წლის აჯანყების დღეებში დახვრიტეს ბათომში.)

ქუთაისის ჩეკის სარდაფში გვაძლევდენ ას გრამ ჰადს და ღობიოს ნახარშავ წვენს. აქ იყო „კომენდატ სმერტი"—ჯალათი ახუნდოვი, საზიზღარი შეხედულების, იცვამდა თეთრ ჩერკესკას და სისხლით შეღებილი იყო. ამ ჯალათს მოყავდა სისრულეში დახვრეტა. სარდაფში ჩაკლავდა და შემდეგ მიქონდათ საღორიას ტყეში. ლადიკო გიგინეიშვილი და თედორე ჭანიშვილი ჩაკლა ჩეკის სარდაფში.

ჭანიშვილის და გიგინეიშვილის დახვრეტის მესამე დღეს გამოგვიძახეს ჩეკის სარდაფიდან მე და ისაკია ურუშაძე, გაძლიერებული მცველებით მიგვიყვანეს ქუთაისის სადგურში, ჩაგვსვეს ერთ ვაგონში და ნაშუადღევის სამ საათზე ვიყავით თბილისის სადგურზე. აქ დავინახე ჩემი უმცროსი ძმა ლავრენტი, არტილერიის ოფიცერი, როცა დამინახა თავი გააქნია და თურმე თქვა: ვაი რა დღეში ხარო. ეს შეამჩნია ჩეკისტებმა და დაატუსაღეს. სამ დღეს ყოფილიყო თბილისის სადგურის ჩეკაში დატუსაღებული და გაეთავისუფლებია კოტე ცინცაძის ძმას ბიკტორას, რომელიც იყო მისი ახალგაზრდობის მეგობარი.

შემიყვანეს ჩეკის მესამე სარდაფში. იქ დამიხვდა მიკიჩა ვარდოიანი, გიზო ანჯაფარიძე, გენერალი მაზნიაშვილი, მიშა ნაკაშიძე და სხვები. არ აიწერება თუ რა ყოფაში ვიყავით აქ. დაგვესია კბენარი. გავიძრობდით საცვლებს და ვხეკავდით ტილებს. ვიყავით ნახევრად მშიერი. ნაშუადღევის ორ საათზე შემოვიდა სარდაფში ჯალათი შულმანი, მას თან ახლდა ჯალათი სომხები. ვინც მას მოესურვებოდა გამოუძახებდა: ვიხადიტე ტოვარიშჩ, გაიყვანდენ კალიდორში და იყო საშინელი წამება მათი და ყვირილი. შეუკრავდენ ხელებს და მიყავდათ და ჩაყრიდენ საბარგო მანქანაში. ეს საბარგო მანქანა ამუშავებული ყავდათ, რომ ფირილის ხმა გარეთ არ გასულიყო. წაიყვანდენ საბურთალოზე და გამზადებულ ორმოში ჩაყრიდენ. ყოველ ღამით მიმდინარეობდა ეს არგაგონილი წამება და მხეცური ჩაკვლა ადამიანების. ერთ ღამეს გამოუძახეს რამოდენიმე პირს, მათ შორის იყო ერთი ნიგოითელი ორმოცაძე. როცა გაიყვანეს და მოუნდმა ჯალათმა შულმანმა ხელების შეკვრა, ორმოცაძემ მოასწრო ჯიბიდან ნატეხი ჭიქის ამოღება და დაკრა სახეში შულმანს და მაგრად დაასახიჩრა. ორმოცაძე მოკლეს კალიდორში.

გამომიძახა დაკითხვაზე გამომძიებელმა და მისვამს კითხვებს რუსულად. არ ვიცი რუსულითქვა. გამომძიებელს გაეცინა. გამომძიებელი იყო გეგეჭკორი, ცოტა

ლიბერალი პიროვნება. როცა იმან გადახედა ჩემს დოსიეს ოზურგეთიდან გადმოგზავნილს, მითხრა: „რატომ უთხარი გამომძიებელს ოზურგეთში, რომ უარყოფითად უყურებ საბჭოთა ხელისუფლებასო“. თერთმეტი თვე გავატარე ჩეკის სარდაფში. *1922* წლის *12* მარტს გადამიყვანეს მეტეხის ციხეში. აქ შევხვდი აღექსანდრე დგებუაძეს. წამიყვანა მის საკანში, გამაცნო ერთი პიროვნება—დათიკო ჟღენტი. აღექსანდრემ მითხრა ამ კაცს ნუ მოიშორებ, ეს არ არის დასაკარგავი კაცი. დ. ჟღენტზე გაგრაში გაგონილი მქონდა, რომ რაღაც უსიამოვნება მოუვიდა და დარცხვენილი იყო. დათიკო იყო კარგი ვაჟკაცი და კარგი სამეგობრო და კარგადაც დავმეგობრდით. დათიკომ ვიღაც ნაცნობი აღმოაჩინა ციხის მოსამსახურეებში. მასთან მოაწყო საქმე. ამ ხანებში ბევრს აგზავნიდენ სამუშაოდ სოფლებში. ნატანებიდან ოზურგეთამდე გაყავდათ რკინის გზა. დათიკომ ამ პიროვნებას ჩემი თავი შეატანია გასაგზავნთა სიაში. ერთ დილით გამოგვიყვანეს, მიგვიყვანეს თბილისის სადგურში, ჩაგვაჯინეს მატარებელში და მივდივართ, არ ვიცით თუ სად. ჩაგვიყვანეს ნატანებში და მცველებმა გაგვიძახეს ოზურგეთისკენ. ოზურგეთში შეგვიყვანეს ციხეში. ციხის უფროსს გაუკვირდა მე რომ დამინახა. მითხრა: დახვრეტილი მეგონეო. ხელად აცნობა თბილისს, რომელმაც უბრძანა: ხელად გამოგზავნე თბილისშიო.

ახლა მე ვემზადები, უნდა გავიდე აქედან. სწორედ *8* აპრილს, აღდგომა დღეს, ციხის მცველებში აღმოვაჩინე ერთი ჩემი ნათესავი. მასთან გავაბი კავშირი და მისი საშუალებით გავედით ციხის კედლებიდან. გავედით ნასაკირალი—სოფ. მშვიდობაურში, სადაც დაგვაკავშირეს სიმონიკა გოგიბერიძეს. სიმონიკამ მოგვიტანა ორი თოფი კარაბინის, თავის ვაზნებით. თავს ვაფარებდით ერთ მიყრუებულ წისქვილში და საკმელი მოქონდა სიმონიკას დედას. ეს იყო სოფ. ჭაჭიეთი. კომუნისტებმა შეკრეს ყველა გზები. ამ სოფელში ცხოვრობდა ჩემი და, დაეცენ მის ოჯახს ჩეკისტები, ჩემი ღრმად მოხუცი დედ-მამა დაატუსაღეს, აწამეს, ჩემი ოდა სახლი დაშალეს, წაიღეს და კომუნისტებმა დაიდგეს. დედაჩემი დაავადმყოფდა ამ წამებით და გარდაიცვალა ექვს თვეში. ჩემი ცოლი ჩეკაში აწამეს, მოთხოვეს გვარი გამოიცვალეო. არ გამოიცვალა გვარი. შემდეგ ციმბირში დაიკარგა.
აი, რა მომიტანა მე და რა მოუტანა ჩვენს სამშობლოს თებერვალმა.

ქრისტეფორე იმნაიშვილი

მეოთხე განყოფილება—
დაპყრობის 60 წლისთავი პარიზში

1921 წლის, *21* თებერვალს, საბჭოთა რუსეთის ჯარებს გააფთრებული იერიშები მიჰქონდათ ჩვენი დედაქალაქის დასაპყრობად, ასობით ქართველი ახალგაზრდა დაეცა ამ დღეს ბრძოლის ველზე, მთელ ქართველ ხალხს თავს დასტრიალებდა შემოსეულ მტრისგან ჩვენი ქვეყნის დაპყრობის შემზარავი აჩრდილი, რაც აშფოთებდა და აბორგებდა მის სულსა და გულს. სწორედ ეს დღე შეარჩიეს საბჭოთა პროპაგანდისტებმა პარიზის საზოგადოების მოსატყუებლად და აქ მცხოვრებ ქართველების დასაცინრად და აბუჩად ასაგდებად.

სახელოვანმა „რუსთავის“ ქართული ხალხური სიმღერების და ცეკვების ანსამბლმა ამ დღეს „ოლიმპიაში“ პარიზელებს წარმოუდგინა თავისი სპექტაკლი, ამავე დღეს, პარიზის მეათე არონდისმანში, „საფრანგეთ- ს.ს.რ.კ.“-ს საზოგადოებამ გამართა **„ქართული საღამო“**, რომლის პროგრამაში იყო: აღექსანდრე იგნატოვის კონფერენცია „ყოველდღიური ცხოვრება ს.ს.რ.კ.—ში“, ფილმი „გამარჯობა საქართველო“, კავკასიური ბუფეტი და ქართული სიმღერები და ცეკვები. რა თქმა უნდა, ყველაფერი მაყურებელს წარმოუდგენდა ბედნიერ ქართველ ხალხს, რომელსაც საბჭოთა ხელისუფლების წყალობით სიმღერის, ცეკვის, ქეიფის და მხიარულების გარდა სხვა არაფერი საზრუნავი არა აქვს.

საპასუხოდ, პარიზის ქართველებმა ორივეგან, როგორც „ოლიმპიაში“, ისე „საფრანგეთ—ს.ს.რ.კ.“-ს საზოგადოების „ქართულ საღამოს“, მსახიობებს და მსმენელ-მაყურებლებს დაურიგეს ფურცლები, ფრანგულად და ქართულად, რომელშიც ახსნილი იყო მოკლედ ნამდვილი

ამბავი თუ როგორ და რა პირობებში მოხდა საქ–ს „გასაბჭოება“, როგორ იბრძოდა ქართველი ხალხი ამ 60 წლის განმავლობაში ამ „გასაბჭოების“ წინააღმდეგ, რა მსხვერპლი გაიღო მან ამ ხნის განმავლობაში და როგორია მისი დღევანდელი მდგომარეობა და სულიერი განწყობილება.

პ ა ნ ა შ ვ ი დ ი

კვირას, 22 თებერვალს, პარიზის წმიდა ნინოს ტაძარში, მრავალრიცხოვან საზოგადოების თანდასწრებით, ჩვენმა მოძღვარმა, დეკანოზმა ილია მელიამ პანაშვიდი გადაიხადა ყველა იმ მამულიშვილების, რომლებიც დაიღუპნენ 1921 წლის თებერვალ-მარტის ომის დროს და მერეც, ამ 60 წლის განმავლობაში, სამშობლოს მპყრობელების წინააღმდეგ წარმოებულ ბრძოლებში.

29 მ ა რ ტ ი ს კ რ ებ ა

საფრანგეთში არსებული ყველა ქართული პოლიტიკური პარტიების და ორგანიზაციების, კულტურული და საკულტო საზოგადოებების და პერიოდული გამოცემების წარმომადგენლები შეიკრიბნენ და შექმნეს კომისია, საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის 60 წლისთავთან დაკავშირებით, სამგლოვიარო-საპროტესტო კრების მოწვევისა და ჩატარებისათვის. კომისიის თავმჯდომარე პროფესორი შარაშიძე გიორგი. წევრები: ქალბატონი ურატაძე გულნარა, ბატონები(ანბანის მიხედვით): მიხეილ ვოდეგოგიტიძე, ზურაბიშვილი ოთარ, პატარიძე ოთარ, ფაღავა ლევან, წერეთელი გიორგი; ხომერიკი ვიქტორი, ამ კომისიაში შევიდა, როგორც სათვისტომოს თავმჯდომარე.

კომისიამ კრება დანიშნა 29 მარტს, 16 საათზე, პარიზის ქართულ ეკლესიის ბინაში. წერილებით აცნობა ყველა ქართველს საფრანგეთში, აგრეთვე ბელგიის, გერმანიის, ინგლისის და ამერიკის სათვისტომოებში და შეიმუშავა რეზოლუციის პროექტი.

დანიშნულ დღეს, საათსა და ადგილზე შეიკრიბა მრავალრიცხოვანი ქართველობა, ეკლესიაში ტევა არ იყო. თავმჯდომარემ, პროფ. გიორგი შარაშიძემ კრების გახსნისთანავე, კრებას თხოვა ფეხზე ადგომით და ხუთი წუთის სიჩუმით პატივი ეცათ ყველა იმ მამულიშვილის ხსოვნისათვის, რომლებიც სამშობლოს იცავდნენ შემოსეულ საბჭოთა რუსეთის ჯარებისაგან, 1921 წლის თებერვალ-მარტში და გმირული სიკვდილით დაეცნენ ბრძოლის ველზე, და იმათთვის, ვინც შემდეგ, ამ 60 წლის განმავლობაში დაიღუპა საბჭოთა ტირანიიდან საქართველოს განთავისუფლებისათვის წარმოებულ ბრძოლებში, იქ–სამშობლოში, თუ აქ–გადმოხვეწილობაში.

თავმჯდომარემ კრებას წაუკითხა წერილები და დეპეშები, მიღებული პარიზის გარედ, შორს მცხოვრებ თანამემამულეებისაგან. ყველა მწუხარებას გამოთქვამს, რომ ვერ ესწრება კრებას, უცხადებს თანაგრძნობას და თანადგომას და უსურვებს წარმატებას.(ქვემოდ მკითხველი ნახავს მათ სიას და ზოგიერთი წერილის ამონაწერს. სამწუხაროდ ყველა წერილის ან დეპეშის სრული ტექსტის დაბეჭდვა უადგილობის გამო შეუძლებელი გახდა.)

საორგანიზაციო კომისიის დავალებით, კრებას სიტყვებით მიმართეს თავმჯდომარე გიორგი შარაშიძემ, საფრანგეთის ქართული სათვისტომოს თავმჯდომარე ვიქტორ ხომერიკმა, გულნარა ურატაძემ და ლევან ფაღავამ. კრების მონაწილეთა მხურვალე ტაში ნათლად უჩვენებდა, რომ თითოეული ორატორის სიტყვები ზუსტად ხვდებოდა მსმენელთა გულებს, რომ ტრიბუნა და დარბაზი სრულ სულიერ ზიარებას განიცდიდა. ასევე ღრმა შინაარსიანი და მამულიშვილური გრძნობებით გამთბარი სიტყვები წარმოთქვეს ძველმა მუშა-რევოლუციონერმა, დამოუკიდებელი საქართველოს სახალხო გვარდიის ვეტერანმა, ქ. სოც. დემოკრატიული პარტიის პარიზის ორგანიზაციის თავმჯდომარემ, კრების უხუცესმა, ბატონმა ვალიკო ჩუბინიძემ და ხიზან ქართველთა სულიერმა მამამ, დეკანოზმა ილია მელიამ.

კრება გადავიდა რეზოლუციის მიღების საკითხზე. კომისიის მიერ შედგენილი პროექტი წაკითხული იქნა მუხლობრივად ქართულად და ფრანგულად, რეზოლუციის განხილვაში მონაწილეობა მიიღეს: ბბ. გრიგოლ ბარამიძემ, თამაზ ნასყიდაშვილმა, ოთარ ამილახვარმა, მწერალთა და ჟურნალისტთა კავშირის თავმჯდომარე გიორგი ჯფიანმა, ოთარ პატარიძემ და მიხეილ ვოდემ. მცირე შესწორებებით, რეზოლუციის ტექსტი ერთხმად იქნა კრების მიერ მიღებული.

საორგანიზაციო კომისიის სახელით, გიორგი წერეთელმა წინადადება შეიტანა, რომ კრება მიესალმოს განსაკუთრებით პოლონელ ხალხს და წაიკითხა ამ მისალმების ტექსტის პროექტი. მოკლე სიტყვით გამოვიდა გიორგი გრიგოლაშვილი. კრებამ ერთხმად მიიღო პოლონელი ხალხისადმი მისალმების ტექსტი.

კრების დამაგვირგვინებელი სიტყვა წარმოთქვა ქალბატონ ლუბა აბდუშელიშვილმა: **„დღევანდელი დღე მე უნდა ჩავთვალო ბედნიერ დღედ, იმიტომ, რომ ყველა ფენა საზოგადოებისა ერთი ხმით გამოვიდა, შეერთებული ყველა ერთად. ეს ჩემთვის დიდი ბედნიერებაა.**

თავმჯდომარე მადლობას უხდის კრებას ასეთი მასიური დასწრებისა და ერთსულოვანი მონაწილეობისათვის. გაისმის „დიდება“ მთელი კრება, როგორც ერთი კაცი, ფეხზე დგება მხედრულად და მღერის მშობლიურ ეროვნულ ჰიმნს.

--- --- --- --- ---

თავმჯდომარის მიერ მიღებული წერილების და დეპეშების სია
და ზოგიერთი მათგანის გამონათქვამი

(კანმეორებით ბოდიშს მოვითხოვთ, რომ უადგილობის გამო ყველა წერილის და დეპეშის ტექსტი არ ქვეყნდება და ზოგისაც ძლიერ შემოკლებითაა.)

ამერიკის შ. შტატების ქართული სათვისტომო:

„ჩვენ, ამერიკაში მცხოვრები ქართველები სულით და გულით თქვენთან ვართ, ქართველი ერის ამ ტრაგიკული თარიღის აღსანიშნავად მიძღვნილ კრებაზე, რათა თავისუფლების მოყვარე ერებს ერთხელ კიდევ მოვაგონოთ საქართველო, როგორც ერთერთი პირველი მსხვერპლთაგანი ბოლშევიკური აგრესიისა.

ჩვენმა სათვისტომომ, ამ თარიღის აღსანიშნავად, სპეციალური წერილი გაგზავნა თეთრ სახლში, პრეზიდენტ რეგანის სახელზე.

თქვენთან ერთად ღრმა რწმენით ვართ აღჭურვილი, რომ ერთ დღეს ქართველი ხალხი გადაიგდებს მონობის უღელს და დაიმკვიდრებს თავისუფალ ერთა ოჯახში თავის საპატიო კუთვნილ ადგილს, როგორც ერთერთი ძველი, ქრისტიანული და მაღალი კულტურის მატარებელი ერი.

პატივისცემით, სათვისტომოს მდივანი **ნიკო თოფურია.“**

ნიუ იორკი. *25* მარტი *1981.*

--- --- ---

ინგლისის ქართული სათვისტომო:

„...დიდ მადლობას გიხდით ამ მნიშვნელოვან ამბის შეტყობინებისთვის. დიდ ბრიტანეთში მყოფი ქართული საზოგადოება მჯიდროთ დგას საფრანგეთის ქართულ საზოგადოების გვერდში და გიგზავნით ჩვენ მთლიან თანაგრძნობას თქვენ მიერ მიღებულ რეზოლუციაში... “

ქარ. საზ–ის თავმჯდომარე **დ. მოდრეკელიძე.**
ლონდონი. *26.3.1981.*

--- --- ---

სოც–ფედერალისტური პარტიის წარმომადგენელი უცხოეთში:

„ძვ. თანამემამულენო, ძლიერ ეწუხვარ, რომ ავადმყოფობის გამო პირადად ვერ ვესწრები დღევანდელ სამგლოვიარო სხდომას. დღეს, როდესაც რუსული საოკუპაციო

ხელისუფლება და მის მიერ შექმნილი ადგილობრივი ოლიგარხია–ნომენკლატურა დღესასწაულობს ქართველი ხალხის დაპყრობის 60 წელს და ცდილობს უფლებააყრილ ქართველ ერს ეს, მისი სამგლოვიარო დღე, საზეიმოდ უქციოს, ჩვენ, ქართ. სოც–ფედერალისტურ მოძრაობის გადმოხვეწილობაში მყოფი რამდენიმე წარმომადგენელი, მოწიწებით მუხლს ვიდრეკთ იმ უამრავ, უცნობ თუ სახელოვან, მამულისათვის თავდადებულთა ხსოვნის წინაშე, და ამასთან ერთად ჩვენს მოვალეობად ვთვლით მოვიგონოთ, სწორედ ჩვენი ეროვნული გლოვის დღეს, ჩვენი მოძრაობის დამაარსებელნი, რომლებმაც ჩვენ გვასწავლეს მამულის სიყვარული და ქართველი ერის სამსახური. დიდი პატივისცემით და მადლერების გრძნობით დღეს ჩვენ ვიგონებთ არა მარტო ამ მოძრაობის იდეურ ფუძემდებელთ არჩილ ჯორჯაძეს, გიორგი ლასხიშვილს, გიორგი დეკანოზიშვილს და კიტა აბაშიძეს, არამედ მამულიშვილთა იმ თვალსაჩინო და ბრწყინვალე პლეადას, რომელმაც დიადი იდეა ქართ. ერის ეროვნულ და სოციალურ ემანსიპაციისა, საქმედ აქცია. ესენი იყვნენ: სხივოსანი გიორგი ლასხიშვილი და მისი ახლო თანამებრძოლები: სამსონ ფირცხალავა, გიგო რცხილაძე, სვიმონ მდივანი, ოსიკო ბარათაშვილი, სამსონ მდივანი, აკაკი პაპავა, რუსული ტყვეით განგმირული სვიმონ მაჭავარიანი, ძმები გიგა და კუკური ჩიქოვანი, ეგნატე გაბლიანი და სხვები...

ამ ქვეყნიდან წავალ იმ ღრმა რწმენით, რომ ადრე თუ გვიან თავისუფლება გაიმარჯვებს ტირანიაზე, ამას ადასტურებს კაცობრიობის მრავალსაუკუნოვანი ისტორია. გაუმარჯოს ქართულ ეროვნულ განმათავისუფლებელ ბრძოლას! მხნეობას და თავდადებას გისურვებთ თქვენს მიერ წარმოებულ ბრძოლაში.

გაუმარჯოს ქართველ ერს და მის უკვდავ სულს!

ნიკოლოზ ურუშაძე

--- --- ---

რადიო „თავისუფლების" ქართული რედაქცია:

„...ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ პარიზის ქართული წმინდა ნინოს ტაძრის ბინაში ჩატარებული ეს სამგლოვიარო კრება კიდევ ერთხელ ნათელს გახდის ქართველი ერის საუკუნოვან მისწრაფებას ისევ გახდეს თავისი თავის ბატონ-პატრონი, როგორც ეს იყო *1918-1921* წლებში–საქ–ს დამოუკიდებლობის დროს. გვჯერა, რომ საქ–ს, ქართველი ერის მჩაგვრელთა ცდები „შეაჩვიოს" ქართველი ერი უცხო ბატონობას,–ისევე განწირულია, როგორც ეს იყო საქ–ს სამიათასწლოვანი სახელმწიფოებრივი ისტორიის განმავლობაში. ჩვენმა ერმა ყოველთვის იცოდა და იცის, რომ თავის-უფლება შეიძლება მოპოვებული იქნას მხოლოდ ბრძოლით, და ამის ჩაუქრობელი ლამპარია *26* მაისი, *1918* წლის *26* მაისი, როცა საქ–მ, ქართველმა ხალხმა, *117* წლის უცხო ბატონობის შემდეგ, ისევ მოიპოვა თავისუფლება. ამდენად *26* მაისის იდეა უკვდავია; ის ისევ აღსდგება!...

ამ რწმენით ჩაგვთვალეთ ჩვენც საქ–ს დაპყრობის *60* წლისთავისადმი მიძღვნილი სამგლოვიარო კრების მონაწილეთა შორის: "

კარლო ინასარიძე, იოსებ ფორფოლიანი, ნოდარ გაგულაშვილი, დავით პეკურიძე, ნუგზარ შარია, კობა მელიქიშვილი, იაკობ კრიხელი, ლეო გოლანი.

--- --- ---

„რუსული კომუნიზმი და ცარიზმი მისწრაფებით არ სხვავდებიან ერთმანეთისგან. რა განსხვავებაა შემოსევები იქნება რუსული თუ მონგოლური..."

ლევილი. **ნამეტია გოგუაძე**

--- --- ---

„გთხოვთ მიიღოთ ჩემგან სრული მხარდაჭერა. ვისურვებდი თქვენს ინიციატივას მოჰყოლოდეს ქართული ემიგრაციის მიერ პარტიული პოლიტიკის მიტოვება და მხოლოდ და მხოლოდ გაერთიანებული ეროვნული ბრძოლა, ჩვენი ერის სუვერენობის მოსაპოვებლად."

ლოვილი. **გიორგი ნოზაძე**

„სსრკ-ს მიერ საქ–ში შემოსევის ამ მე-60-ე წლისთავზე, მე მინდა ჩემი მხარდაჭერა და სრული სოლიდარობა გამოგიცხადოთ თქვენ, ბატონო თავმჯდომარე და თქვენს კომიტეტს. გაუმარჯოს საქართველოს!

პარიზი. მიშელ ბაგრატიონი

--- --- ---

„...მინდა გთხოვოთ მომცეთ საშუალება თქვენთან ერთად მივესალმო ჩვენს საყვარელ ძვირფას სამშობლოს და ვუსურვო მაღე განთავისუფლებულიყოს დამპყრობელ უცხო ძალებისაგან, თავისი ბედიღბალი თვითონ წარემართოს თავისუფალ ერთა შორის სათანადო, კუთვნილი ადგილი დაეჭიროს. გაუმარჯოს თავისუფლებისათვის მებრძოლ ქართველ ერს! გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს!“

ბერლინი. დავით ბერძენიშვილი

--- --- ---

„...სიამოვნებით აღვნიშნავ, რომ უცხოეთში გადმოხვეწილი ქართველობა არ ივიწყებს თავის ქვეყანას, ფიქრობს და ზრუნავს მისი ნივთიერი და უფლებრივი პირობების შესახებ...“

ბრიუსელი. ირაკლი ოთხმეზური

--- --- ---

„...გთხოვთ შეუერთოდ ჩვენი ხმა იმ ქართველებისას თქვენი თაოსნობით, რომ შეიკრიბებიან 29 მარტს, იმ სამგლოვიარო დღის აღსანიშნავად, სამოცი წლის წინეთ, რომ თავს დაატყდა ჩვენს ტურფა სამშობლოს; მუხანათმა და ველურმა რუსეთმა(ქართველი მოღალატეების მონაწილეობით), რომ კვლავ განიმეორა მათი ბინძური ზრახვები და მოგვისპო თავისუფალი და ბედნიერი არსებობა. ჩემი ცხოვრების მიწურულში, ვიგონებ სამი წლის იმ დიად ბრძოლებს ქართველი ერის მიერ გადახდილს, სადაც მე ვღებულობდი აქტიურ მონაწილეობას და, რომელიც მე გავაგრძელე კიდევ სამი წელი, ე.ი. 1924 წლის აჯანყებამის დამარცხებამდე, და სხვა მებრძოლებთან ერთად იძულებული შევიქენი დამეტოვებინა სამშობლო და ოჯახი, მაგრამ აქაც არ დამიყრია იარაღი, არ გამტეხია გული და შესაძლებლობის ფარგლებში დღემდე ვაგრძელებ ბრძოლას 1918 წლის 26. მაისს დაწყებულს, იმ იმედით, რომ მებრძოლი ქართველი ერი კვლავ დაიბრუნებს დროებით დაკარგულ თავისუფლებას და თბილისში კვლავ აფრიალდება სამფეროვანი დროშა, ქართველი ვაჟკაცების მიერ აფრიალებული ნოე ჟორდანიას მეთაურობით...“

ილიკო სალუქვაძე

--- --- ---

მოსული დეპეშების და წერილების ატორთა სია:

საფრანგეთი: სოშო-მონბელიარის სათვისტომოს სახელით, თავმჯდომარე **გრიგოლ კვარცხავა, პავლე სარჯველაძე, ტარიელ ზურაბიშვილი, სევერიან ურუშაძე, ელენე ბარნოვი, ელიკო და ჭრეიმონ ბენარ–წერეთელი, ანი–თინა ასათიანი, ჯაბა ხაბულიანი.**

გერმანიის ფედ. რესპუბლიკიდან: **მინდია ღაშაური, შოთა სმიტი.**

ინგლისიდან: ევროპის პყრობილ ერთა ორგანიზაციასთან საკონტაქტო კავშირის ქართული საზოგადოების სახელით, ექიმი **აკაკი რამიშვილი.**

ამერიკის შ. შტატებიდან: **პეტრე ხვედელიძე** და **დიმიტრი მახარაშვილი.**

„მ ა ნ ი ფ ე ს ტ ა ც ი ე ბ ი ს ა ბ ჭ ო თ ა ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო შ ი“

როცა ეს სტრიქონები იბეჭდება, ჩვენამდე მოაღწია ქართველი ხალხის ბრძოლის ხმამ: რადიოს, ტელევიზორის და პრესის გზებით:

„მარტის თვის ბოლოს თბილისში ჩატარდა ორი მნიშვნელოვანი მანიფესტაცია, რასპუბლიკაში წარმოებული გარუსების პოლიტიკის წინააღმდეგ.

გასულ ორშაბათს(30 მარტი), ათასეულმა ქართველმა სტუდენტმა და ინტელიგენტმა, ხუთი საათის განმავლობაში, ქალაქის ცენტრში, საბჭოების სასახლის წინ, იმ დროს, როცა

„იქ მიმდინარეობდა ქართველ მწერალთა ყრილობა, ადგილი ჰქონდა მანიფესტაციებს. მანიფესტანტები, რომლებსაც ხელში ეკავათ პლაკატები, მოითხოვდნენ, რომ საშუალო და უმაღლეს სასწავლებლების პროგრამებში შეტანილი იქნეს საქართველოს ისტორიის და გეოგრაფიის სწავლება.“ („ლე კოტიდიან დე პარი“ 6.4.1981.)

ამავე თარიღის ფრანგულ გაზეთ „ლე მონდ“-ში დამატებით ნათქვამია, რომ პირველი საპროტესტო მანიფესტაციები მოხდა 23 მარტს. სტუდენტები მოითხოვდნენ უკან დაებრუნებიათ უნივერსიტეტში მოხსნილი გამოჩენილი ლიტერატორი და კრიტიკოსი, პროფესორი აკაკი ბაქრაძე. მანიფესტაციების შედეგად პროფესორი აღდგენილი იქნა თავის თანამდებობაზე და პირველმა მდივანმა ბ. შევარდნაძემ, რომელმაც მიიღო მანიფესტანტების დელეგატები, დათანხმდა მონაწილეობა მიიღოს 15 აპრილს უნივერსიტეტში გამართულ კრებაში, რათა იღაპარაკოს მათ პრობლემებზე.

30 მარტის მანიფესტაციებზე იგივეა ნათქვამი, რაც ზევით მოვიყვანეთ. ბოლოს, „ლე მონდში“ დამატებით ნათქვამია, რომ ორივე დღეს მანიფესტაციებმა ჩაიარა უინციდენტოდ, დაპატიმრებულები მაღე გაანთავისუფლესო.
ეს ცნობები მოდის მოსკოვიდან, სანდო საინფორმაციო წყაროდან.

პარიზის 29 მარტის კრებაზე წარმოთქმული სიტყვები

გიორგი შარაშიძის სიტყვა (მცირე შემოკლებით)

...ზოგიერთებმა ჩვენს შორის, თებერვლის თვეში, განიცადეს, როგორც აუცილებელი, როგორც სასიცოცხლო საჭიროება, რომ უცხოეთში არსებულ ორგანიზაციებს, უცხოეთში მცხოვრებ გადმოხვეწილებს და მათ შვილებს, ჩვენ ყველას, ხმა ამოგვეღო საქართველოს შესახებ, რადგანაც ჩვენ ეს შეგვიძლია, მაშინ, როცა ქართველი ხალხი ამ შესაძლებლობას მოკლებულია. ხელისუფლებამ მას, არა მარტო საჯაროდ ხმის ამოღების საშუალება წაართვა, არამედ, აგრეთვე, ის ცდილობს მუდამ, ამ წუთშიც, მას წაართვას მისი სულიც და მისი არსებობაც.

ჩვენ საჭიროდ ჩავთვალეთ ერთად გამოვსულიყავით ამ შემთხვევაში, რომელიცაა ერთ და იმავე დროს გლოვის და იმედის დღე. გლოვის დღე, რადგანაც დღეს ჩვენ აღვნიშნავთ 1921 წლის თებერვალ-მარტში ჩვენი ქვეყნის დაპყრობას. იმედისა, რადგანაც ჩვენ გვწამს, რომ ქართველი ხალხი თავს გაინთავისუფლებს ამ მპყრობელობიდან, როგორც მას ეს უქნია არაერთჯერ, მისი მრავალსაუკუნოვან ისტორიის განმავლობაში.
...საჭირო იყო, რომ ყველა ეროვნული ორგანიზაციები, რომლებიც კი არსებობენ უცხოეთში: პოლიტიკური პარტიები და ორგანიზაციები, ქართული ეკლესია, კულტურული ორგანიზაცია და პერიოდული გამოცემების ორგანოები, ერთად გამოვსულიყავით.
მართლაც, ამ ორგანიზმების წარმომადგენლები შეიკრიბნენ, აირჩიეს საორგანიზაციო კომისია და ამ უკანასკნელმა მე ამირჩია მის თავმჯდომარედ. ამიტომ იყო, რომ ხელი მოვაწერე იმ წერილებს, რომლებითაც მე თქვენ დღეს აქ მოგიწვიეთ.
რასაც მე ახლა გეტყვით თქვენ უკვე იცით, მაგრამ მაინც გაგიმეორებთ. თქვენ უკვე იცით, რომ ჩვენი ერი, ქართველი ერი, მრავალსაუკუნოვანი ერია და ის ყოველთვის იყო სახელმწიფო. ის იყო არა მარტო ერთი ხალხი, ერთი მიწა-წყალი, ერთი ენა და ერთი კულტურა, არამედ, აგრეთვე, ერთი სახელმწიფო, რომლის წარმომადგენლებიც იყვნენ დიდი მეფეები და მე ვიწვევ ყველა ისტორიკოს, რაც არ უნდა იყოს მისი ეროვნება და სპეციალობა, დამისახელოს მთელ მსოფლიოში ისეთი მეფეები, რომლებიც იდგნენ ჩვენი, საქართველოს მეფეების სიმაღლეზე, მაგალითად დავით აღმაშენებელის ან ირაკლი მეორეს, პატარა კახად წოდებულის, სიმაღლეზე. მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში, არც ერთ სამეფოში თქვენ ასეთებს ვერ იპოვნით და ეს ისეთი რამ არის, რომ უნდა ითქვას, უნდა ხშირად ითქვას არა მარტო ჩვენს შორის, არამედ უნდა ხშირად ვთქვათ ჩვენს მეგობრებს, არაქართველებს შორის.

ამ მთელი წყება მეფეების შემდეგ, მეფეებისა, რომლებიც გვეამაყებიან ჩვენ, და ეამაყება ჩვენს სამშობლოს, *1918*-ში საქართველო გახდა, როგორც ის მუდამ უნდა ყოფილიყო, დამოუკიდებელი და სრულუფლებიანი სახელმწიფო, იმ დღემდე, სანამ საბჭოთა რუსეთის ჯარები, საერთაშორისო წესების და მათ მიერვე აღიარებული ვალდებულებების წინააღმდეგ, შემოიჭრნენ ჩვენში, რათა ჩვენთვის წაერთმიათ ის, რაც ჩვენთვის ყველაფერზე ძვირფასია: ჩვენი თავისუფლება და დამოუკიდებლობა! აი, ამის გამო ჩვენ დღეს ვართ აქ.

აუცილებლად საჭიროა ქართველებმა, როდესაც ასეთი განსაკუთრებული შემთხვევაა, დაივიწყონ, თუნდაც ერთი დღით, მათი შინაური უთანხმოება. ვილაპარაკოთ გულახდილად: თქვენ იცით, რომ კოლონიაში, ჩვენს ემიგრაციაში არის სხვადასხვა მიმართულება, მრავალი მიმართულება და ხანდახან ამბობენ ზედმეტად ბევრიცო. ადგილი აქვს კონფლიქტებს, არიან პოლიტიკური, კულტურული ნაწილები, რომლებიც ერთმანეთს ეწინააღმდეგებიან, აგრეთვე პიროვნებები, რომლებიც ერთმანეთს ეწინააღმდეგებიან და ბევრი გმობს ასეთ მდგომარეობას. მე ამას არ ვგმობ. ნორმალურია, რომ საზოგადოებაში, რომელიც არ უნდა იყოს ის, არსებობდეს სხვადასხვა შეხედულება, რომლებიც ხშირად ერთმანეთს ეწინააღმდეგებიან. მე ვიტყოდი, რომ ეს სასურველიცაა. ნორმალურია არსებობდეს განხეთქილება, ეს ხელს არ უშლის, პირიქით, ეს კიდევ უფრო ღირსეულს და მნიშვნელოვანს ხდის ისეთ შემთხვევას, როგორიც დღესაა, ყველა პატარა თუ დიდ უთანხმოებას ვივიწყებთ და ერთად შეკრებილები, ერთი სულით და ერთი გულით, პატივს ვცემთ ჩვენ მიცვალებულებს, ყველა მათ ვინც დაიღუპა ჩვენი სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის და, რომ, ეს ყველაზე მნიშვნელოვანია, ჩვენ ვთქვათ თუ რისთვის ვართ აქ და, რომ პირობა დავდვათ ერთად მათ მიმართ ვინც ჩვენს წინ იყვნენ, ჩვენი უფროსების მიმართ და, აგრეთვე, ჩვენი შთამომავლობის მიმართ, ყველა იმ ქართველების მიმართ, რომლებიც ჩვენს შემდეგ მოვლიან და საქართველოს დამოუკიდებლობის ჩირაღდანს ატარებენ; რომლებიც უარს იტყვიან ისევე, როგორც უარს ამბობდნენ ჩვენი მამები და, როგორც ჩვენ ვამბობთ უარს ქედი მოვიხაროთ ძალადობის წინაშე. ყველა ამათი სახელით დღეს უნდა დავდვათ პირობა ვიყოთ ის რაც ვართ და ვიცოდეთ, რომ თუ ჩვენ აქ ვართ, ეს არა უბრალოდ იმისთვის, რომ ჩვენი მამები გამოაძევეს, არამედ იმისთვის, რომ ასეთია ჩვენი გადაწყვეტილება, რომ ჩვენ უარს ვამბობთ შეეურიგდეთ ძალმომრეობას. ჩვენი აქ ყოფნა, ჩვენი ყოფნა სადაც არ უნდა იყოს მსოფლიოში, ჩვენი ერთად ყოფნა დღეს აქ, ადასტურებს, რომ ქართულ ემიგრაციას აქვს თავისი არსებობის აზრი და მიზანი: ესაა საქართველოს დამოუკიდებლობა.

მე უკვე ვთქვი, რომ საჭიროა არსებობდეს საქ–ს ხმა მსოფლიოში. ჩვენ, გადმოხვეწილებმა უნდა ვილაპარაკოთ საქ–ს სახელით და არა მხოლოდ ემიგრაციის სახელით. ეს არ უნდა დავივიწყოთ არასოდეს და საჭიროა, რომ ჩვენი ხმა ისმოდეს ყველგან, რაგინდ სუსტი არ იყოს ის. ამ მოსაზრებით, ჩვენ შევადგინეთ რეზოლუციის პროექტი, რომელსაც განსახილველად წარმოგიდგენთ ახლავე. ამ რეზოლუციას ჩვენ დავაგზავნით ყველგან, სადაც საჭიროა და ხელი მიგვიწვდება. შესაძლებელია ამან დიდი ნაყოფი ვერ გამოიღოს, მაგრამ ამით ჩვენ მაინც ვიხდით ჩვენ ვალს და ყველას გასაგონად, ხმამაღლა და გარკვევით ვაცხადებთ, რომ თვით ჩვენი არსებობაც საქართველოს დამოუკიდებლობას ეძღვნება.

ესაა ძირითადად რისი თქმაც მე თქვენთვის მინდოდა. კიდევ ბევრის თქმა შეიძლებოდა, მაგრამ მე ვიცი, რომ თქვენ სწორედ ისე ფიქრობთ როგორც მე და არა მარტო ფიქრობთ, არამედ ხშირად კიდევაც საუბრობთ თქვენს შორის, როცა ერთმანეთს ხვდებით, მაგრამ, კიდევ ვიმეორებ, საჭიროა დროგამოშვებით ასე ერთად შევიკრიბოთ და საჯაროდ განვაცხადოთ და ეს ჩვენი განცხადება ჩვენს გარედაც გავაგებინოთ. ამას აქვს მნიშვნელობა, რადგანაც ჩვენ ვართ საქართველოს ხმა მსოფლიოში.

ვიქტორ ხომერიკის სიტყვა

ძვირფასო თანამემამულენო! ცნობილი ფრანგი მწერალი, სტენდალი, წერს: „თავისუფლებას ესაჭიროება მასზე ზრუნვა"; არსებობს თარიღები, რომლებიც ამას მუდამ ეამს აგონებს ყველა მათ, ვინც კი თავისუფლებით დაინტერესებულია: თავისუფალ ადამიანებს მის შესანარჩუნებლად, დამონებულებს მის აღსადგენად, ტირანებს კი მის ჩასახშობად. ასეთ ისტორიულ თარიღს წარმოადგენს ქართველ ხალხისთვის *1921* წლის თებერვლის დღეები.

მიუხედავად საქ–ს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ცნობისა, მიუხედავად *1920* წელს მაისში დადებულ ტრაქტატისა, საბჭოთა რუსეთი მუხანათურად დაეცა ჩვენ სამშობლოს და მოგვტაცა თავისუფლება.

სამოცი წელი გავიდა საქ–ს დაპყრობის შემდეგ. ყველასათვის ცნობილია თუ ამ ხნის განმავლობაში საქ–მ რა ჭირი გამოიარა: სისხლში ჩამხრჩვალი აჯანყებები, ხალხის მასიური გადასახლებები, ხალხის აქტიურ ელემენტების ამოწყვეტა, უკანასკნელ ომში, რუსეთის ინტერესებისათვის, ასიათასობით ხალხის გაწირვა. ოჯახი არ დარჩენილა უმსხვერპლო. დააქუცმაცეს სამშობლოს ტერიტორია, გაასაჩუქრეს ართვინი, არდაგანი, საინგილო, ლორი. წაგვართვეს სოჩა და რაც დარჩა ისიც სხვადასხვა „ავტონომიურ" ნაწილებად დაყვეს. გაითელა ეროვნული თავისუფლება! გაითელა პიროვნული თავისუფლება! საქ–ო ამხანად რუსეთის სახელმწიფოს ეკონომიური და კულტურული ბორბალია! მტრის მიზანია საბჭოთა კავშირში გამომწყვდეული ერების გადაგვარება და ერთ ეთნოგრაფიულ ქვაბში გადადნობა!

მაგრამ ძალმომრეობა ვერ იქცევა უფლებად, დაპყრობა ნებაყოფლობით შეერთებად. ქართველი ერი განაგრძობს ბრძოლას, ბრძოლა კი ერის არსებობის საწინდარია. დრო გადის, ბრძოლის ხასიათიც იცვლება, სულიერი წინააღმდეგობა ძლიერდება და მტკიცდება. მიუხედავად შექმნილ პირობებისა, დღეს ბორკილდადებულ ქართველ ერში გვაქვს საბუთები და ნიმუშები იმის, რომ ყველა სფეროში, სადაც კი ხალხის ენერგიას რამდენიმედ მაინც გზა გახსნილი აქვს, ეს ენერგია მომხიბლავ წარმატებას ქმნის, ის მაინც გამოჩქეფს ამ შემხუთავ ზღუდეებიდან.

მეტად ძლიერია ჩვენი ერის მოდგმა და საკუთარ სახეობის შენარჩუნების სწრაფვა. საბოლოო ანგარიშში ჩვენი ერიც, სხვა ერებთან ერთად, მოიპოვებს თავისუფლებას, რომელსაც ის ასე ეტრფის. მანამდის კი, უცხოეთში გადმოხვეწილ ქართველებს, რომლებიც წარმოვადგენთ თავისუფალ და ცოცხალ შტოს ჩვენი ერისას, გვევალება წმინდად შევინახოთ ჩვენი ეროვნული სახეობა და დავძინოთ ყველგან, სადაც კი ჩვენი ხმა მიწვდება, რომ საქ. მუდამ უფლებრივი სახელმწიფოა და, რომ ძალადობის ფაქტმა საქ–ს სახელმწიფოებრიობის უზენაესობა მოსტაცა, მაგრამ ის უფლებრივად არსებობას განაგრძობს და უმალვე გაცოცხლდება, როგორც კი წესი აეგება იმ ფაქტიურ დაბრკოლებას, რომელიც მას წინ ეღობება.

--- --- ---

გულნარა ურაბაძის სიტყვა

ქალბატონებო, ბატონებო! მრავალი თქვენთაგანი, ამ კრების დამსწრე, მოწამენი ბრძანდებით იმ ტრაგიკული მოვლენებისა, რომელთა მესამოცე წლისთავს აღვნიშნავთ დღეს. თქვენ პირადათ განიცადეთ თქვენი უფროსი თაობებისა და თქვენი დაუღალავი შრომით და მსხვერპლით კვლავ ახლად აშენებული ნორჩი სახელმწიფოს უხეში ძალის მიერ დამხობა. თქვენ, პირადად, განიცადეთ ქართველისათვის უძვირფასესი განძის–მშობლიური მიწის, სამშობლოს იძულებით დატოვების სიმწარე. და აი, უკვე ნახევარ საუკუნეზე მეტია, რაც თავისუფალ, მაგრამ თქვენთვის მაინც უცხო, მიწაზე განაგრძობთ, ჯერ კიდევ სამშობლოში დაწყებულ ბრძოლას, საქ–ს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის აღსადგენად.

ამ სამოცი წლის მანძილზე, დრომ, ბუნების კანონმა თავისი მოიმოქმედა. თქვენს რიგებს დააკლდა საქ–ს განთავისუფლებისათვის მრავალი თავდადებული, სახელოვანი

მებრძოლი.

ნება მომეცით, მოვიყვანო ტექსტი საქ–ს ეროვნულ დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი მეთაურის, საზოგადო და პოლიტიკურ მოღვაწის, აღექსანდრე ასათიანის მიერ *1953* წლის დეკემბერში, სიცოცხლის უკანასკნელ საათში, დაწყებული და დაუმთავრებელი წერილისა:

„ ამ მოკლე ბარათით მოგესალმებით ყველას ერთობით და გისურვებთ ყოველივე ბედნიერებას და, უპირველესად ყოვლისა, ჯანმრთელობას, რომ გაუძლოთ ჩვენი გადახვეწილობის მძიმე პირობებს და იქნებ მაინც მიაღწიოთ მშობლიურ კერას.

ჩვენი უფროსი თაობა დადნა ჩვენს თვალწინ და ჩვენი თაობიდანაც მეტად დაჩქარდა ეს პროცესი. ამიერიდან, ბუნებრივი წესით, თქვენს თაობას დააწვება მთელი სიმძიმე ჩვენი ეროვნული ბრძოლისა და მოქმედების. ის ახალი და უცნობი არ არის თქვენთვის, ჭაბუკობიდან ჩაბმული ხართ ამ დიდი ეროვნული ბრძოლის რიგებში და, როგორც არ უნდა გაიზარდოს ამ ბრძოლაში თქვენი ტვირთი და პასუხისმგებლობა, თქვენ მას აზიდავთ და არ გაექცევით. როგორც თქვენ ამოგვიდექით მხარში, იმ ხანად სულ ყმაწვილები, ისე თქვენ მოგეშველებიან და თქვენს რიგებს შეავსებენ თქვენი მომდევნო ახალგაზ...“

ამ წერილ-ანდერძის თქვენს წინაშე წაკითხვით, მსურს ხაზი გავუსვა იმას, რომ ჩვენ, მართალია უცხოეთში, მაგრამ თქვენს მიერ საქ–ს სიფარულში აღზრდილი თაობები, ამ ანდერძს ვღებულობთ და ვასრულებთ. და მართლაც, თქვენი ბრძოლა ჩვენთვის უცხო არ არის. ბავშვობიდან, ძალაუნებურად, ჩაბმული ვართ ამ ბრძოლის რიგებში. ყველა ჩვენთაგანი, თქვენთან ერთად, იქნებ სხვა გზებით და საშუალებებით, მაგრამ სრული პასუხისმგებლობით და შეგნებით ემსახურება საქ–ს *1921* წლის თებერვალ-მარტში დაკარგული სუვერენული უფლებების აღდგენის საქმეს. სრული თავისუფლების პირობებში მოქმედებით, ვცდილობთ ჩვენი წვლილი შევიტანოთ საკუთარ მიწა-წყალზე სიტყვისა და მოქმედების თავისუფლებას მოკლებულ ქართველი ხალხის ყოველდღიურ, უმძიმეს პირობებში წარმოებულ ბრძოლაში. მიზანი ერთი გვაქვს და გვწამს, რომ ჩვენ, უცხოეთში დაბადებული თაობები, ქართველ ხალხთან ერთად, თქვენთან ერთად ვიხილავთ ჩვენს სამშობლოს, საქართველოს, კვლავ თავისუფალსა და სუვერენულს, და, რომ სამუდამოდ ისტორიას ჩაბარდება *1921* წლის გლოვის დღეები.

--- --- ---

ლევან ფალავას სიტყვა (შემოკლებით)

ქალბატონებო და ბატონებო, ჩემსავით ბედშავო ძვირფასო თანამემამულენო! დღევანდელ დღეს ჩვენ ვიგონებთ იმ სამარცხვინო, ღაჩრულ მოვლენას, რომელიც ბოლშევიკურმა აღვირახსნილმა წითელმა იმპერიალიზმმა ჩაიდინა ამ სამოცი წლის წინად ჩვენს პატარა, სრულიად უდანაშაულო თავისუფალ სამშობლო-საქართველოს წინაშე .

თუ კი მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში, საქ–ს სამეფო დასცა ბიუროკრატიულმა რუსეთმა, მეოცე საუკუნეში კი დემოკრატიული რესპუბლიკა დასცა ბოლშევიკურ პოლიციურმა რუსეთმა, რომელიც მოვიდა ცეცხლითა და მახვილით, უფრო უხეში, უფრო ველური ვიდრე პირველი. მოგვტაცა საოცნებო თავისუფლება და ერის ბაგეს დაადვა რუსული სიჩუმის ბეჭედი, მაგრა სამაგიეროდ გვიბოძეს მხოლოდ ერთი თავისუფლება, თავისუფლება იმისა, რათა ხოტბა ვასხათ და სიფარული ვუცხადოთ ჩვენი ქვეყნის დამპყრობელებს და მათ მიერ ძალით დამყარებულ რეჟიმს.

თვით საქ–ს უღირსი შვილი, სერგო ორჯონიკიძე, რომელიც გაქრა, მაგრამ საქ–ს ისტორიის სარკეში დატოვა წაუშლელი კვალი უდიდესი მოღალატეობისა, ვერ მალავს რუსეთის მუხანათურ თავდასხმას და *1921* წლის *20* დეკემბერს წერს თავის ამხანაგებს საქ–ში: „თქვენ უნდა იცოდეთ, რომ ჩვენ საქ–ში შემოვედით უცხო ხიშტებით. დამპყრობელები ქართველ ხალხს არასოდეს არ შეუყვარებია. ქართველ ხალხს ჩვენ ვძულვართ“-ო. დიახაც, ჩვე გვძულს რუსები, როდესაც ისინი გამოდიან დამპყრობელის როლში და უფრო მეტად კიდევ ჩვენი მამა-პაპათა შემარცხვენელი, სამშობლოს მოღალატე

და გამყიდველი ქართველები.

რანი ვიყავით? ყველაფერი. გვაქციეს არარაობად. მოგვისპეს სახელმწიფოებრივი, ეროვნული, პოლიტიკური, სოციალური უფლებები და დღეს კრემლის მსახურნი ბედავენ გვითხრან, რომ რუსეთი არის საქ–ს ცხოვრების მზე, რუსეთმა მოგვიტანა ბედნიერება, თავისუფლება, ძმობა-ერთობა და საქ–ს გასაბჭოების 60 წლისთავი ქართველმა ხალხმა დიდი ზეიმით და სიხარულით უნდა აღნიშნოსო. სად გაგონილა ან სად წერია, რომ რომელიმე ერი თავის დაპყრობას, თავის მეობის და სიდიადის დაკარგვას ზეიმობდეს? ვაი სირცხვილო!! ვაი თავის მოკრა! თებერვალი სინამდვილეში ჩვენთვის არის დღე ჭმუნვის, ცრემლის და ვაების, რადგან შავთებერვალმა ქართველ ერს მოსტაცა ბრძოლით მოპოვებული უდიდესი საუნჯე, რომლის სახელია თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ა და ამით ყველა ქართველ კაცს სამუდამოდ გაუხდელი შავები ჩააცვა.

... უცხოეთში მყოფი ბედშავი ქართველობა, განუყოფელი ნაწილი ქართველი ერისა, შტო დიდი ქართული ვაზისა, ვიმყოფებით რა, საქ–ს დაპყრობის 60 წლისთავზე, საქ–ს განმანათლებლის, ქალწულ წმინდა ნინოს ეკლესიაში, მოწიწებით ვევედრებით ღმერთსა ჩვენსა და შევთხოვთ, რათა დასწყევლოს და დალახვროს ყველა ისინი, ვინც გვიწამა ჩვენი საქრისტიანო საქართველო, ვინც ატირა ჩვენი დედები, მამები, დები, ძმები და ნათესავები, შეაჩვენოს ყველა ისინი, ვინც საქ–ს მოსტაცა სუვერენობა და დაადვა მძიმე მონობის უღელი.

... ურყევად მწამს, რომ დადგება დრო, როდესაც ჩვენი ერის ბაგეს აეგლიჯება ამ სიჩუმის ბეჭედი, რომ ჩვენს დედა, ქალარა თბილის-ქალაქში კვლავ აფრიალდება დროშა ქართული, დროშა სამფეროვანი, რომ თეთრი გიორგი გულს გაუგმირავს ჩვენს დამპყრობელებს და კვლავ გამობრწყინდება დიადი 26 მაისის მზე. აი, მაშინ, მხოლოდ მაშინ, ქართველი ხალხი, სიხარულის ყიჟინით, აღფრთოვანებით, აღტაცებით, იზეიმებს მის ნამდვილ დღესასწაულს, დიად ოცდაექვს მაისს.

--- --- ---

ვ ა ლ ი კ ო ჩ უ ბ ი ნ ი ძ ი ს ს ი ტ ყ ვ ა (შემოკლებით)

ქალბატონებო და ბატონებო, დღეს მე ვარ უბედური და ბედნიერი. უბედური ვარ, როდესაც ვიგონებ 60 წლის წინად, 11 თებერვალს როგორ დაგვესხა თავს მტრის უხეში ძალა. რა დამავიწყებს მაშინდელ ბრძოლებს და უბედურებას.

ახლა, მე ძალიან კმაყოფილი ვარ ჩვენი ახალგაზრდა ქალბატონ ურატაძის, მადლობელი ვარ მისი და მინდა მივმართო ამ ახალგაზრდობას. ვამბობ ახალგაზრდები, მაგრამ წარმოიდგინეთ, არც ისეთი ახალგაზრდები არიან, არც ერთი არ იქნება 30 წლისაზე ნაკლები. სამოცი წლის წინად მე 32-33 წლის ვიყავი, როცა ჩვენს ქვეყანას ვიცავდი. მაშინ სწორედ დაუვიწყარი ბრძოლები მისცეს მტერს ჩვენმა ახალგაზრდა სტუდენტებმა ჩვენი სასიქადულო უნივერსიტეტისა და ჩვენმა ახალგაზრდა იუნკრებმა.

თუ ვამბობ ახალგაზრდები, ეს იმიტომ, რომ თქვენ ჩემთან შედარებით ახალგაზრდები ხართ, ჩვენი მომყოლები ხართ და მე თქვენ მოგიწოდებთ ჩაებათ ასე აქტიურად, როგორც მე დღეს თქვენ გხედამთ, ჩვენ მოვხუცდით, ზოგს თვალში დაგვაკლდა, ზოგს ყურში, ზოგსაც მუხლები გვღალატობს. ეხლა თქვენ უნდა აღმართოთ აგერ რომ დროშაა და უნდა შეუერთოთ ეს დროშა იქ, როგორც ბატონმა ლევან ფაღავამ თქვა, საქართველოს სამფეროვან დროშას.

...მე გთხოვთ თქვენ, ვინც ხართ ამ კომისიაში და ვინც ჩვენ დღეს აქ მოგვიწვიეთ, გააგრძელოთ ასე შეერთებულათ საქმიანობა.

გაუმარჯოს ჩვენ სამშობლოს დამოუკიდებლობას და გაგიმარჯოთ თქვენ, ვინც მეიწვიეთ დღეს ეს კრება და მშვიდობით გამყოფოთ ღმერთმა.

დეკანოზ ილია მელიას სიტყვა (მცირე შემოკლებით)

მე მინდა აღვნიშნო ჩვენი სამრეველოს მონაწილეობა, მე მინდა ხაზი გავუსვა იმ იმედს, რომელიც ჩვენ უნდა ვაღვივოთ ჩვენში, რაც დრო გადის და, რომელიც განსაზღვრულ დროის განმავლობაში ზოგს შეიძლება უაზროდ ეჩვენებოდეს. რადგანაც, 50 წელიწადზე მეტია, რაც ჩვენ გავძელით, მაგრამ, შეიძლება კიდევ გაგრძელდეს ათეულ წლების განმავლობაში და მაშინ რაღა დარჩება გადმოხვეწილ ქართველებიდან? დიახ, მე მსურს უბრალოდ ვთქვა,–და ესაა ჩვენი სამწყსოს მონაწილეობის მიზანი, როგორც სულიერი კერისა, რომელიც მოქმედობს შესაძლებლობის მიხედვით და წარმოადგენს იესო ქრისტეს სახარების გამოძახილს,–რას ნიშნავს ჩვენი, როგორც ეკლესიის მომონაწილეობა და ვალდებულება საქართველოსათვის? რა თქმა უნდა, სანამ ვართ ქართველები აქ, სანამ არსებობს ქართული თემი, რომელსაც აქვს ქართული ენა, ზნე-ჩვეები და ტრადიციები, ესენი ჩვენ გვაცოცხლებენ და ძალას გვმატებენ, მაგრამ შესაძლებელია ამან იკლოს და ჩვენ მივიდეთ იქამდე, როცა ჩვენ გვეყოლება ძლიერ გაფრანგებული თაობები. ეს ნორმალურია და ამას უნდა მოველოდეთ. მაშინ, მათთვის, მაგალითად 20-30 და 50 წლის შემდეგ, და, აგრეთვე, იმ ჩვენი მეგობრებისთვის, რომლებსაც ჩვენ ვიძენთ, საქართველოს საკითხი, რომელშიც ჩვენ ვმონაწილეობთ, არის ადამიანური, საკაცობრიო, ის საკითხია მორალის, ეთიკის და ის გასაგებია ყველა ადამიანისათვის და 50 წლის შემდეგ თუნდაც ხუთი ქართველი დარჩეს მხოლოდ აქ, მარტო გაფრანგებული ქართველებიც, რომ დარჩნენ, ქართული გვარების მხოლოდ მატარებელნი, **მაშინაც მათ შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ ქართულ საქმეში, საქართველოს ბრძოლაში.** რომ მოხდეს და საქართველო 50 წლის განმავლობაში კიდევ არ იყო განთავისუფლებული, მათ მაინც შეეძლებათ რაღაცის გაკეთება მისთვის, მათ შეეძლებათ მოითხოვონ, როგორც ფრანგებმა და ისინი დადებით გამოხმაურებას, მხარდაჭერას მიიღებენ ყველა პატიოსანი ადამიანისაგან. ესაა ჩვენი ბრძოლის მორალური და სულიერი საფუძვლები. ესაა ბრძოლა მოკლებული პირად ინტერესებს, ის არაა არც ეთნიკური, არც რასისტული, ის სცდება პოლიტიკას და ამიტომ **დიდი გულდაჯერებით, გადაწყვეტილებით და ქრისტიანული რწმენით, ჩვენ გავაგრძელებთ ჩვენს ბრძოლას.**

მართლაც, ომი არ დამთავრებულა 1921 წლის თებერვალ-მარტში, ომი გაგრძელდა, ადგილი ჰქონდა წინააღმდეგობას, აჯანყებებს და დიდი ხანი არაა, რაც თბილისში ჩატარდა მანიფესტაციები ქართული ენის დასაცავად. ეს იგივე ბრძოლაა, რომელიც გრძელდება. იმას, რასაც ჩვენ დღეს ვაკეთებთ იგივე ბრძოლაა და ქართული ემიგრაციის არსებობის დედააზრია იყოს პირაკრულ საქართველოს, ქართველი ხალხის ხმა თავისუფალ სამყაროში და, ამავე დროს, ჩვენ ვაგრძელებთ ბრძოლას, ჩვენ ვაგრძელებთ იმ ომს. ასეთი იყო გადაწყვეტილება ჩვენი, ჩვენი მამების, რომლებიც მოყავდა გემებს კონსტანტინეპოლში, რომლებმაც გზა გაიკვლიეს ანატოლიის მთებში თუ ირანში... ყველა ისინი აგრძელებდნენ ომს. ჩვენ თავი მოვიყარეთ აქ, რათა გავაგრძელოთ ეს ომი და ჩვენ უნდა ვიცოდეთ აგრეთვე,–დაეს მნიშვნელოვანია, რადგანაც ის ტრაგიკულ დაღს ასვამს ჩვენს არსებობას,– რომ სისხლის ზღუდეა აღმართული ჩვენსა და საოკუპაციო ხელისუფლებას შორის: ყველა ისინი ვინც დაიხოცნენ ომის, წინააღმდეგობის, აჯანყებების დროს, უკანასკნელად, იქა და აქ, ყველა იმათი სისხლის ზღუდე.

ჩვენ არ შეგვიძლია კომპრომისი საოკუპაციო ხელისუფლებასთან, თუნდაც ქართველების შუამდგომლობით, თუნდაც ისინი იყვნენ გულწრფელნი. ისინი აკეთებენ, რაც მათ შეუძლიათ, დაე, აკეთონ! მაგრამ, ჩვენ, აქ, ჩვენ არ შეგვიძლია არ ვიყოთ უკომპრომისო და სრულიად წმინდა ჩვენს ბრძოლაში, რადგანაც ჩვენს შორის არსებობს მკაფიო ზღუდე, რომელიც ჩვენ გვყოფს.

რ ე ზ ო ლ უ ც ი ა

ერთხმად მიღებული პარიზის 1981 წლის 29 მარტის ქართველ ლტოლვილთა კრების და საზღვარგარეთ არსებულ ყველა ქართულ პოლიტიკურ, კულტურულ, ჰუმანიტარულ, საკულტო და პერიოდულ პოლიტიკურ გამოცემათა ორგანიზაციების მიერ. საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობიდან 60 წლის შესრულების გამო.

ისარგებლა რა რუსეთში გამეფებული პოლიტიკური არეულობით და ხელსაყრელი საერთაშორისო პირობებით, საქართველომ აღიდგინა დამოუკიდებლობა 1918 წლის 26 მაისს და გახდა სრულუფლებოვანი საერთაშორისო სახელმწიფო, როგორიც ის მუდამ არსებობდა, მისი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის განმავლობაში. მაღე ის იურიდიულად და ფაქტიურად იცნეს უმრავლესმა სახელმწიფოებმა და თვით საბჭოთა რუსეთის მთავრობამ, 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულებით, აღიარა საქ–ს რესპუბლიკის დამოუკიდებლობა და სუვერენობა და ვალდებულება აიღო არ ჩარეულიყო საქ–ს შინაურ საქმეებში.

მაგრამ, ლენინის მთავრობამ სულ მაღე ფეხქვეშ გათელა მის მიერ ხელმოწერილი ხელშეკრულება და საქართველოს მიმართ პირველად გამოიყენა დაპყრობის მეთოდი, რომელიც შემდეგ კლასიკური გახდა და ავღანისტანი, მრავალ სხვათა შემდეგ, წარმოადგენს ყველაზე უკანასკნელ მაგალითს. 1921 წლის 11 თებერვალს, ომის გამოუცხადებლად, რუსეთის ჯარები თავს დაესხნენ და სისხლისმღვრელი, უთანასწორო ომის შემდეგ დაიპყრეს მთელი საქართველოს ძიწა-წყალი, კანონს გარეშე გამოაცხადეს ქართველი ხალხის მიერ დემოკრატიულად არჩეული ეროვნული საკრებულო, ღეგალური მთავრობა, ყველა ეროვნული საზოგადოება და დაწესებულება და ქართველ ხალხს ძალით თავს მოახვიეს რუსეთში არსებული საბჭოთა რეჟიმი. აქედან მოყოლებული დღემდე, ამ 60 წლის განმავლობაში, კრემლის მბრძანებლები აწარმოებენ ქართველი ხალხის ფიზიკურად განადგურების, ეკონომიური ძარცვის და ეროვნული ასიმილაციის უხეშ და ბარბაროსულ პოლიტიკას.

ქართველი ხალხი არასოდეს არ შერიგებია მოძალადე უცხო ერის ბატონობას, არც მის საბჭოთა ტოტალიტარულ რეჟიმს, რაც მან საქვეყნოდ დაამტკიცა შეუწყვეტელი წინააღმდეგობით, საჯარო საპროტესტო მანიფესტაციებით და არაერთი შეუბრალებლად სისხლში ჩამხრჩვალი აჯანყებებით, რომელთა აქ ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა.

ქართველი ერი დღესაც ჯიუტად იბრძვის თავისი დედაენისა და თავისი ეროვნული მეობის შესანარჩუნებლად, თუმცა ბრძოლის გზები და საშუალებები იცვლება. ამ ბრძოლის გამოძახილი ხშირად არ აღწევს თავისუფალ სამყარომდე. საქართველო სრულ იზოლიაციაშია გარე სამყაროსგან, საერთაშორისო მეთვალყურეებისაგან. ქართველი ხალხი პირაკრულია. მას უფლება და საშუალება არა აქვს მსოფლიოს განუცხადოს მისი გულის ნადები, მისი ურყევი გადაწყვეტილება.

ამიტომ, თავისუფალ ქვეყნებში მცხოვრებ ქართველ გადმოხვეწილებს და მათ შვილებს მართებთ და უფლებაც აქვთ ილაპარაკონ პირაკრულ მშობელი ხალხის სახელით, იჯნენ საქართველოს ხმა თავისუფალ სამყაროში.

ამ შეგნებით ვაცხადებთ ჩვენი და მთელი ქართველი ხალხის სახელით:

საბჭოთა რუსეთის მიერ დაპყრობილი ქართველი ხალხი არასოდეს ხელს არ აიღებს მის ურყევ გადაწყვეტილებაზე აღიდგინოს თავისუფლება, ეროვნული დამოუკიდებლობა და სუვერენობა, ყველა იმ უფლებებით, რომლებიც ამასთანაა დაკავშირებული.

პარიზი. 1981 წლის 29 მარტი.

მიმართვა პოლონელი ხალხისადმი

საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს რესპუბლიკის დაპყრობის, რომლის 60 წლისთავი ამ დღეებში შესრულდა, დასაგმობად შეკრებილი ქართული ეროვნული ემიგრაციის კრება აღფრთოვანებით ესალმება პოლონელ ხალხს, რომელიც სამაგალითო დარაზმულობით და დიდი ეროვნული შეგნებით აწარმოებს რთულ ბრძოლას პოლონეთის ეკონომიური გაჯანსაღებისა, დემოკრატიისა და თავისუფლებისათვის.

ქართველი ხალხი არასოდეს არ დაივიწყებს იმ თანაგრძნობას და გამხნევებას, რომელიც პოლონეთის მაშინდელმა მთავრობამ და ხალხმა გამოიჩინა ქართველი ხალხის მიმართ, როცა, 1921 წლის თებერვალ-მარტში, საქართველოს საბჭოთა რუსეთის ჯარები შემოესივნენ და დაიპყრეს.

პოლონელი ხალხის დღევანდელი ბრძოლა, თავის შედეგებით, ხელს უწყობს და აახლოვებს საბჭოთა რუსეთის მიერ დაპყრობილი ყველა ხალხების, მათ შორის ქართველი ხალხის, განთავისუფლების კეთილშობილ საქმეს.

ამიტომ, ორმაგი გულმხურვალებით ეუსურვებთ პოლონელ ხალხს სრულ წარმატებას მის ამ დიდებულ ეროვნულ საქმიანობაში.

გაუმარჯოს პოლონელი და ქართველი ხალხების ძმურ მეგობრობას!
გაუმარჯოს თავისუფალ, დემოკრატიულ და დამოუკიდებელ პოლონეთს!
მრავალჟამიერ პოლონელ ხალხს!

პარიზი. 1981 წლის 29 მარტი.

შემოწირულებათა სია (ფრანგულ ფრანკებში)

„თავისუფლების ტრიბუნაში" მიღებული:

500: ქრისტეფორე იმნაიშვილისგან–1921 წელში დაღუპულ მეგობრის, დათიკო ჟღენტის ხსოვნისათვის; 1000-1000: პავლე სარჯველაძე, გიორგი და ეთერი წერეთელი; 500_500: ლუბა აბდუშელი, ლევან ფაღავა; 472: შალვა ცინცაძემ; 300_300: რეი ზურაბიშვილმა, ანე-მარი და დავით ვაშაძემ; 200-200: ანონიმი გ.ფ.რ–დან, არჩილ მკედლიშვილი, ნიკოლოზ ურუშაძე, რუბენ გვეტაძე, მელიტონ ჟღენტი, გერასიმე ბოლქვაძე, რაფიელ ჯაში, მამია ბერიშვილი; 188: დავით ბებიაშვილი; 141: გივი გაბლიანი; 124: გიორგი ჯაყელი; 100-100: გ.ა. პარიზელი, ნიკოლოზ ბედელაძე, ვარლამ ანთელავა, ბრიჯიტ ასათიანი, ქრისტეფორე იმნაიშვილი, ნიკოლა ანთაძე, ირენ ბაგრატიონი, ნამეტია გოგუაძე, ელენე მგალობლიშვილი, აკაკი შავგულიძე, თინა ასათიანი; 50-50: აკაკი გამსახურდია, ვალია კედია, იონა გუნია, მეგობარი; 30: მართა სტურუამ; 100: მარი შენგელიამ; ჯამი-8.055

ქ–ნი ნელი მდივანი–ვოდეს მიერ მოგროვებული:

300: ნელი და რევაზ ვოდე; 200: პროკოფი ინწკირველი; 150-150: საღომე ზურაბიშვილი, ლია ვოდე; 130: გიორგი ლომაძე; 110: პოლ და დიმიტრი კლდიაშვილი; 100-100: ვიქტორ ხომერიკი, თამაზ ნასყიდაშვილი, ქეთევან დადიანი, ირაკლი ჯაფარიძე, ქრისტეფორე იმნაიშვილი, გიორგი შარაშიძე, გერასიმე ბოლქვაძე, აკაკი შავგულიძე, ზოსიმე ჯიშკარიანი, ნიკო მამულიშვილი, გივი ბეგიაშვილი, გია სარჯველაძე, ოთარ პატარიძე, შალვა თაყაიშვილი, ელისო ტარასაშვილი, კლოდ კემულარია, მიხეილ ვოდე; 60: ირენ ანთაძე; 50-50: არჩილ მკედლიშვილი, გიორგი დადიანი, ირენ ბაბე-კნებელი, ნიკო ჭავჭავაძე, ვალია კედია, ტარასი წულაძე, გივი მელიავა, მიშა მიმინოშვილი, სტანისლა მამულიშვილი, ალა მელია, დომინიკ ელიგულაშვილი, ნიკო ყურულიშვილი, ნინო მდივანი, თამარ კინსკი, გიორგი ასათიანი, ირენ ავარი, სიმონ კეკელიძე; 30-30: თამარ ოდიშელიძე, კოლეტ ხომერიკი, მართა სტურუა; 20-20: ირენ ლაღიძე, შოთა აბაშიძე; 10-10: იონა გუნია, გრიგოლ ბარამიძე, დავით ყურულიშვილი; ჯამი- 3.810 ფრ.ფრ. ორივე სიის ჯამი შეადგენს-11865 ფრანკს.

60 - EME ANNIVERSAIRE DE L'OCCUPATION
DE LA GEORGIE

1921 - 1981

EDITIONS THAVISSOUPHLEBISS TRIBOUNA

8, RUE DES MARCHAIS. 75019 PARIS

Edition hors commerce